ჩრდილოატლანტიკური ალიანსი „ცივი ომიდან“ ჰიბრიდული ომის ეპოქამდე: სტრატეგიული ხედვების ბალანსირება თავდაცვასა და დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ამოცანას შორის

დავით ბაქრაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის
სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადისერტაციო საბჭოზე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

ავტორის დეკლარაცია:

"როგორც წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციის ავტორი, ვაცხადებ, რომ ჩემი დისერტაცია წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს და მასში სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილი მასალები გამოყენებულია ციტირების სათანადო წესების დაცვით."

დავით ბაქრაძე (ხელმოწერა)

თარიღი: 8 თებერვალი 2022

დარგობრივი კომისიის რეკომენდაცია:

დისერტანტი: _____დავით ბაქრაძე_____ /სახელი და გვარი/

დისერტაციის სათაური: ჩრდილოატლანტიკური ალიანსი „ცივი ომიდან“ ჰიბრიდული ომის ეპოქამდე: სტრატეგიული ხედვების ბალანსირება თავდაცვასა და დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ამოცანას შორის

დისერტაციის დაცვის თარიღი: 15.10.2022

რეცენზენტი 1: პროფესორი დავით აფრასიძე

რეცენზენტი 2: პროფესორი თორნიკე თურმანიძე

რეკომენდებულია დაცვისათვის დარგობრივი სამეცნიერო მიმართულების კომისიის მიერ.

თავმჯდომარე : _____ /თინათინ ქაროსანიძე/
(ხელმოწერა)

წევრი: _____ /გიორგი კაციტაძე/
(ხელმოწერა)

წევრი: _____ /ერეკლე ასტახიშვილი/
(ხელმოწერა)

წევრი: _____ /დავით დარჩიაშვილი/
(ხელმოწერა)

სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი: _____ / ნუცა ბათიაშვილი/
(ხელმოწერა)

სადოქტორო სკოლის კოორდინატორი: _____ / ლანა გაბრიაძე/
(ხელმოწერა)

თარიღი: 15.10.2022

აბსტრაქტი:

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების ლანდშაფტი რამდენჯერმე ფუნდამენტურად შეიცვალა - საბჭოთა აგრესიისგან დაცვის ამოცანა შეცვალა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ინტეგრირების, ბალკანეთსა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი კრიზისების, საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემებმა; უკანასკნელ წლებში, კვლავ დომინანტური გახდა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები, საზღვრების ძალადობრივი ცვლილებებისა და ჰიბრიდული ომის სახით.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში არსებობდა მყარი დამოუკიდებელი ცვლადი - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. როგორ შესძლო ბლოკური დაპირისპირების პირობებში შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ალიანსმა წარმატებულად ოპერირება ასეთ ცვალებად გარემოში?

სწორედ ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების სფეროში მომხდარ ცვლილებებს და დღეს არსებულ გამოწვევებს იკვლევს წარმოდგენილი ნაშრომი, რომლის კვლევითი ამოცანა შემდეგია: ა) „ცივი ომის" დაწყებიდან დღემდე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ცვლილებებისა და ნატო-ს თანმდევი ტრანსფორმაციის შესწავლა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გამოყენებით; ბ) ნატო-ს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება-აღსრულების პროცესის ანალიზი; გ) კვლევა, რამ შეაძლებინა ალიანსს ძირეულად ცვალებად გარემოსთან წარმატებით ადაპტირება და რა როლი ითამაშა დემოკრატიის გავრცელების ამოცანამ ამ პროცესში; დ) ჰიბრიდული ომის გამოწვევებზე ნატო-ს რეაგირების ანალიზი და საქართველოს ადგილის გააზრება ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და დემოკრატიის სისტემაში.

კვლევა აჩვენებს, რომ ნატო-ს ისტორია არა იმდენად ცვლილებების ჯაჭვია, რამდენადაც მოქმედების ფუნდამენტურ პრინციპთა უცვლელობის და ახალ ვითარებებთან ადაპტირების დიალექტიკა. ალიანსის დაარსებიდან დღემდე, მისი მთავარი შემაკავშირებელი დუღაბი არის ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპების ერთგულება. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ, მიუხედავად ნატო-ს მკაფიოდ თავდაცვითი ხასიათისა, ალიანსის არსში თავიდანვე იდო ლიბერალური დემოკრატიის დაცვის და გავრცელების სულისკვეთება. დღესაც, ალიანსის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლებს ის, განაგრძოს ამ ამოცანის შესრულება. დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების დაცვა ალიანსის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე და დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება ნატო-ს უშუალო საზღვრებს გარეთ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი პასუხი რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდულ საფრთხეებზე. შესაბამისად, უახლოესი წლების განმავლობაში, დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება ნატო-სთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა გახდება.

ნაშრომი თვისებრივი და, მნიშვნელოვანწილად, ისტორიული კვლევაა. ნატო-ს ტრანსფორმაციის მაგალითები ერთგვარი ქეისებია, რომელთა ახსნა პროცესის მიდევნების მეთოდით შეიძლება. კვლევაში ხდება ნატო-ს ტრანსფორმაციის ეტაპების გამოკვეთა და ამ ტრანსფორმაციის ამოცანების, კონტექსტისა და შედეგის ჩვენება. ნაშრომში გამოყენებულია დისკურსის ანალიზის ელემენტები. დისერტაციას ასევე დავახასიათებდი, როგორც სამაგიდო კვლევას, რომლის ძირითადი არსი პირველადი და მეორადი წყაროების დამუშავება და ანალიზია.

ამასთან ერთად, კვლევითი ამოცანაა ისიც, რომ ნატო-ს არსისა და მისი განვითარების სტადიების კონცეფტუალიზაცია მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი თეორიის გამოყენებით. ვიყენებ რა საკვლევი ჰიპოთეზების დასაბუთებისათვის სოციალურ კონსტრუქტივიზმს, ნეოლიბერალურ ინსტიტუციონალიზმს და ლიბერალურ ინტერგოვერნმენტალიზმს, მივიჩნევ, რომ ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ფარგლებს განეკუთვნება.

საძიებო სიტყვები:

1. ნატო, 2. საერთაშორისო უსაფრთხოება, 3. ჰიბრიდული ომი, 4. დემოკრატიული ღირებულებები.

Abstract:

Within the last few decades, the European and Euro-Atlantic security landscape has fundamentally changed multiple times – the objective to defend from Soviet aggression was substituted by goals to integrate Central and Eastern European states, resolve crises in the Balkan region and post-Soviet space, and fight against international terrorism; In recent years, threats emerging from Russia – forceful change of borders and hybrid warfare - became dominant again.

However, throughout the entire period there has been a solid independent variable within the international security system – the North Atlantic Treaty Organization (NATO). How has a military-political alliance, established under the conditions of block-to-block confrontation, managed to operate successfully in such a volatile environment?

Focus of this research is exactly to study the transformation of European and Euro-Atlantic security system and to explore current challenges it faces. The research objective of this paper is fourfold: a) to analyze the transformation of the international security system from the Cold War to modern times, together with ensuing NATO transformation, by using relevant theories of international relations; b) to investigate the process of adoption and implementation of NATO strategic decisions; c) to study the reasons that allowed the Alliance to adapt to a fundamentally changeable environment and the role of spreading the

democratic values in this process; d) to analyze NATO reaction to hybrid warfare challenges and to understand Georgia's place in the system of Euro-Atlantic security and democracy.

The research shows that the history of NATO is not a chain of changes but rather a dialectics of unchangeable fundamental principles with ensuing adaptation with new realities. From the moment of foundation to modern days, the main glue of the Alliance has been a commitment to liberal-democratic values. Research demonstrates that despite a clearly defensive nature of the Alliance, upholding and spread of liberal-democratic values was at the very core of NATO from the very beginning. Today, the success of the Alliance very much depends on its ability to continue fulfillment of this commitment. Defense of democratic political systems within the member states of the Alliance and spread of democratic values outside NATO's immediate borders may be considered one of the key Western responses to the hybrid threats coming from Russia. This means that within the years ahead, spread of democratic values will become an even more important objective for NATO.

The presented paper is qualitative and, to a large extent, historical research. The phases of NATO transformation are cases, which may be explained using a method of process tracing. The research identifies stages of NATO transformation and investigates objectives, context and outcomes of these stages. Method of discourse analysis is used in the research. One of the main methods of the research is processing and analyzing primary and secondary sources.

Alongside with the above mentioned, another one of the objectives of the research is conceptualization of NATO's core and its transformation through theories of international relations. In particular, theories of Social Constructivism, Neoliberal Institutionalism and Liberal Intergovernmentalism are being used, therefore, making the current research a part of the International Relations academic discipline.

Key Words:

1. NATO, 2. International Security, 3. Hybrid Warfare, 4. Democratic Values.

ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი (ხელმოწერა)

მადლობა:

პირველ რიგში, მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ დავით დარჩიაშვილს, რომლის მონაწილეობის გარეშეც აღნიშნული კვლევა ვერ შედგებოდა.

ნაშრომის მომზადებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ყველა იმ ადამიანმა, ვისთანაც წლების მანძილზე მქონდა პატივი, მემსჯელა და ინფორმაცია გამეცვალა ნატო-ს, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის და ამ სისტემაში საქართველოს ადგილის შესახებ - განსაკუთრებით გამოვყოფ ვიქტორია ნულანდს (აშშ ყოფილი ელჩი ნატო-ში), მაიკ მაკფოლს (აშშ ყოფილი ელჩი რუსეთში), კურტ უოკერს (აშშ ყოფილი ელჩი ნატო-ში), მეტიუ ბრაიზას (აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ყოფილი მოადგილე), ჯონ ტეფტს (აშშ ყოფილი ელჩი საქართველოში), ჯეიმს აპატურაის (ნატო-ს გენერალური მდივნის ყოფილი სპეციალური წარმომადგენელი კავკასიაში), რადოსლავ სიკორსკის (პოლონეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი), კარლ ბილდტს (შვედეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი), პეტრას ვაიტიკუნასს (ლიეტუვას ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი), ადრონიუს აჟუბალისს (ლიეტუვას ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი).

კვლევის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა ის უაღრესად აკადემიური, საქმიანი და, ამავე დროს, მეგობრული გარემო, რომელიც შექმნილია თავისუფალი უნივერსიტეტის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო სკოლაში - ამისთვის დიდი მადლობა სკოლის დეკანს, პროფესორ ნუცა ბათიაშვილს, სადოქტორო სკოლის კოორდინატორს ლანა გაბრიაძეს, აგრეთვე ამ სკოლის თითოეულ ლექტორსა და თანამშრომელს.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს, რთულ მომენტებში სამეცნიერო კვლევის გაგრძელების მოტივაციის შექმნისთვის.

თარიღი: 8 თებერვალი 2022

სარჩევი

დეკლარაცია ii

დარგობრივი კომისიის რეკომენდაცია iii

აბსტრაქტი iv

მადლობა vii

სარჩევი viii

1. შესავალი 1

   1.1. ნაშრომის აქტუალობა და კვლევის ფარგლები 4

   1.2. კვლევითი ამოცანა - კითხვები და ჰიპოთეზა 12

   1.3. მეთოდოლოგია და სტრუქტურა 16

2. პირველი თავი: კონცეფტუალური ჩარჩო და წყაროები - ლიტერატურის მიმოხილვა, საერთაშორისო ურთიერთობების ჩარჩო თეორიების ანალიზი, ნაშრომის თეორიული ბაზის მომზადება 19

   2.1. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები 20

   2.2. მოდელები და ცნებები 37

   2.3. შემთხვევების კვლევები 48

   2.4. წყაროები 59

3. მეორე თავი: უსაფრთხოების არქიტექტურა “ცივი ომის” ეპოქაში - ნატო-ს შექმნა და ამოცანები, თავდაცვის კოლექტიური სისტემა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა 62

   3.1. პროცედურა, ანუ კონსულტაციების ჩვევის განვითარება ალიანსის ფარგლებში 75

   3.2. შეკავების სტრატეგია (containment, deterrence) 81

   3.3. განმუხტვა (Détente) 93

4. მესამე თავი: ნატო-ს ტრანსფორმაცია “ცივი ომის” დასრულების შემდგომ - „ისტორიის დასასრული“ და „ჰარმელის ანგარიშის“ ახალი სიცოცხლე, ევროპის გაერთიანება, პოლიტიკური უსაფრთხოება და კრიზისების მენეჯმენტი 101
4.1. “ცივი ომის” მოულოდნელი დასასრულის კონცეფტუალური სურათი 101
4.2. ალიანსის ხედვა და მოქმედება “ცივი ომის” დასრულების შემდეგ - კოოპერატიული უსაფრთხოება და კრიზისის მენეჯმენტი 122
4.3. ნატო-ს კოოპერატიული პოლიტიკა პრაქტიკაში 127
4.4. კრიზისების მენეჯმენტი პრაქტიკაში 146

5. მეოთხე თავი: „უკან, მომავლისკენ?“ - ნატო გლობალური ტერორისა და რუსული ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ 166
5.1. ომი ტერორთან 169
5.2. ნატო ჰიბრიდული საფრთხის პირისპირ 189

6. დასკვნა: ალიანსის შემდგომი გაფართოების საჭიროება და პერსპექტივები 226

ბიბლიოგრაფია 244

წყაროები 250

1. შესავალი

უკანასკნელი ოთხი ათწლეულის განმავლობაში ისტორიამ მოგვცა უნიკალური შესაძლებლობა, ერთი პოლიტიკური თაობის მეხსიერებაში რამდენჯერმე შეცვლილიყო ევროპული უსაფრთხოების ლანდშაფტი. „ცივი ომის“ დასასრულიდან ჰიბრიდული ომის ეპოქამდე განვლილი მცირე დროითი შუალედი საკმარისი აღმოჩნდა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის ძირეულად შესაცვლელად და დინამიკაში მოსაყვანად. ეს დინამიკა წარსულსა და მომავალს შორის ფლუქტუაციებით გამოირჩევა - “ცივი ომის” პერიოდში დასავლური უსაფრთხოების მთავარი ამოცანა იყო საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება, ბირთვული და კონვენციური ომის თავიდან აცილება; ბერლინის კედლის ნგრევის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ინტეგრირების, აგრეთვე ბალკანეთსა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი ომებისა და კონფლიქტების პრობლემა; 21-ე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ტერორიზმი, როგორც უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა; უკანასკნელ წლებში ტერორიზმის საფრთხე თანდათანობით შეავიწროვა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებმა - საზღვრების ძალადობრივი ცვლილებების, მეზობლების წინააღმდეგ ღია სამხედრო ძალის გამოყენების, ჰიბრიდული ომის მეთოდების ღიად დანერგვის, მათ შორის, დასავლური დემოკრატიების შიდა პროცესებში ჩარევის პრობლემებმა. ანუ, ისტორიამ თითქოს წრე გააკეთა და ისევ “ცივი ომის” დროინდელი კონფრონტაციისაკენ შევბრუნდით. თუმცა არაფერი მეორდება უცვლელი სახით - საბჭოთა და რუსულ საფრთხეებს შორისაც შესაძლოა სხვაობა მეტი იყოს, ვიდრე მსგავსება.

მაგრამ ვფიქრობ, ამ პერიოდის განმავლობაში მაინც არსებობს უცვლელი სიდიდე, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკმაოდ მყარი დამოუკიდებელი ცვლადი. ესაა ტრანსატლანტიკური ერთობა, პირველ რიგში გამოხატული ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში. ბუნებრივია, ზემოთ ჩამოთვლილი ძვრები გავლენას ახდენდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლზე, ამოცანებსა და პრიორიტეტებზე. ადაპტაციას განიცდიდა ალიანსის სტრატეგიული ხედვები, ძალთა სტრუქტურა თუ ოპერატიული გეგმები. მაგრამ, მიუხედავად სტრატეგიული

გარემოს და მასზე რეფლექსიის თვისებრივი ცვლილებებისა, ალიანსი დღემდე ასრულებს ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის ქვაკუთხედის როლს. როგორ შესძლო ბლოკური დაპირისპირების პირობებში შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა ალიანსმა ჯერ "ცივი ომის" დროს მშვიდობის უზრუნველყოფა, შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დემოკრატიზაცია, რეგიონულ სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა და ბალკანეთის წარმატებული ტრანსფორმაცია, ხოლო ამ ყველაფრის შემდგომ ასიმეტრიულ საფრთხეებთან და ტერორიზმთან ბრძოლის წარმატებული სტრატეგიის შექმნა? შეუძლია თუ არა დღეს ნატო-ს ასევე წარმატებით ებრძოლოს რუსული რევიზიონიზმის და ჰიბრიდული ომის საფრთხეებს? ეს კითხვები აქტუალურია როგორც აკადემიურად, ისე პრაქტიკულადაც, განსაკუთრებით, ალიანსის სტრატეგიაში და შესაბამისად, უსაფრთხოების ევროატლანტიკურ არქიტექტურაში, საქართველოს და სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ადგილის პროგნოზირებისათვის.

სწორედ ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების სფეროში მომხდარ ცვლილებებს და დღეს მის წინაშე არსებულ ზოგიერთ ფუნდამენტურ გამოწვევებს იკვლევს წარმოდგენილი ნაშრომი, რომლის კვლევითი ამოცანა შემდეგია:

ა) „ცივი ომის" დაწყებიდან დღემდე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ცვლილებებისა და ნატო-ს თანმდევი ტრანსფორმაციის ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გამოყენებით, შესაბამისი ამხსნელი ძალის მქონე მოდელების შერჩევა და გამოყენება;

ბ) ნატო-ს სტრატეგიული პრიორიტეტების და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება-აღსრულების პროცესის ანალიზი, მათ შორის, დემოკრატიული ღირებულებების დაცვის და გავრცელების კუთხით;

გ) კვლევა, თუ რამ შეაძლებინა ალიანსს "ცივი ომის" შემდგომ ძირეულად ცვალებად გარემოსთან წარმატებით ადაპტირება და რა როლი ითამაშა დემოკრატიის გავრცელების ამოცანამ ამ პროცესში;

დ) ჰიბრიდული ომის გამოწვევებზე ნატო-ს რეაგირების ანალიზი და პოსტსაბჭოთა სივრცის (მათ შორის, საქართველოს) დღევანდელი თუ

პერსპექტიული ადგილის გააზრება ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და დემოკრატიის სისტემაში.

საერთო და ზოგადი პასუხი ამ კითხვებზე ისაა, რომ ალიანსის დაარსებიდან დღემდე, მისი მთავარი შემაკავშირებელი დუღაბი, დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც, მიუხედავად არაერთხელ არსებული მწვავე ევროატლანტიკური დებატებისა, სხვა ფაქტორებს მასზე დამოკიდებულად აქცევს, არის ლიბერალურ-დემოკრატიული პრინციპების ერთგულება. ეს პრინციპები იდეალური სისრულით ყოველთვის არ გამოიხატება ალიანსის წევრთა შიდა პოლიტიკაში - კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების თუ დემოკრატიული, მონაწილეობრივი პროცესის საუკეთესო პრაქტიკები შესაძლოა მარტივად და მუდმივად ვერ მოქმედებდეს თურქეთში, უნგრეთში თუ აშშ-შიც კი. ნატო-ს წევრთა საგარეო პოლიტიკაზე ზოგჯერ გავლენას ახდენს ეგოისტური ეროვნული ინტერესი. მაგრამ ალიანსის უნიკალურობა, უპრეცედენტობა ისაა, რომ ერთობას არა რომელიმე მეტოქესთან მატერიალური ჭიდილის გარდაუვალობა, არამედ სწორედაც თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალთა დაცვის სურვილი ქმნის.

ეს კარგადაა დანახუ;ლი საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი თეორიული პერსპექტივებიდან, როგორიც ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმი, ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმი და სოციალური კონსტრუქტივიზმია. ჩემი კვლევაც ამ თეორიულ ჩარჩოებშია მოქცეული. საკითხთან კიდევ ერთხელ დაბრუნებით, მე ვასაბუთებ, რომ ალიანსის სიცოცხლისუნარიანობა და პერსპექტიულობა არა მსოფლიოს რეალისტურ/ნეორეალისტურ აღქმაში, არამედ ზემოთჩამოთვლილ თეორიათა არგუმენტებშია. პრაქტიკაში ეს ვლინდება კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის იმ მოდელში, რომელიც ნატო-მ შექმნა და რომელსაც ახლა ევროპის კავშირიც უერთდება.

1.1. ნაშრომის აქტუალობა და კვლევის ფარგლები:

უპირველეს ყოვლისა, საკვლევი თემის აქტუალობა მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ნაშრომი შეისწავლის ჩვენი ქვეყნის, რეგიონის და მთელი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემისთვის მნიშვნელოვან საკითხს. კვლევის აქტუალურობას განაპირობებს რუსეთის განგრძობადად აგრესიული საგარეო პოლიტიკა ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, არსებული უსაფრთხოების გამოწვევები და ნატო-ს, როგორც ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი ინსტრუმენტის მნიშვნელობა. დღეს, როდესაც ხდება უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემის მორიგი რეკონფიგურაცია, ნაშრომი, ისტორიული პროცესის შესწავლითა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გამოყენებით, ახდენს არსებული ტენდენციების ანალიზს და პროგნოზირებს ამ ტენდენციების სამომავლო განვითარების სავარაუდო ვექტორს.

ნაშრომში გაანალიზებულია ნატო-ს არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის, საფრთხეთა ბუნებისა და ალიანსის ამოცანების ცვლილების, აგრეთვე ნატო-ს შესაბამისი ტრანსფორმაციის ისტორიული პროცესი. ნაჩვენებია, რომ დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ამოცანა გამომდინარეობს ნატო-ს შინაგანი ბუნებიდან და მთელი ისტორიის განმავლობაში ისეთივე ორგანული იყო ალიანსისთვის, როგორც წევრების თავდაცვის უზრუნველყოფა. ნაჩვენებია, რომ ჰიბრიდული საფრთხეების გავრცელების პირობებში, უახლოეს წლებში ალიანსის გაფართოება და დემოკრატიული ღირებულებების მეტად გავრცობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევა გახდება.

არსებული ტენდენციების ანალიზი ნაშრომში გამყარებულია შესაბამისი საერთაშორისო თეორიების გამოყენებით და დასაბუთებულია, რომ ვინაიდან დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება ნატო-ს შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე ამოცანაა, გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ მოხდება ალიანსის გარიგება გარეშე ძალებთან, გაწევრიანების მსურველი დემოკრატიების ხარჯზე.

განსხვავებით საქართველოში ტრადიციულად დომინანტი მოსაზრებისგან, ნაშრომში ნაჩვენებია, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გზა გადის არა გეოპოლიტიკურ არგუმენტებზე, არამედ სრულფასოვანი ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობაზე;

მთლიანობაში, ნაშრომი ეძღვნება იმ დინამიური საერთაშორისო პროცესის ანალიზს, რომელზე ადექვატური პასუხებიც აუცილებელია მშვიდობის, დემოკრატიის და სტაბილურობის მშენებლობისთვის. ეს დაუსრულებელი პროცესია და მასში წარმატება როგორც პრაქტიკოსი პოლიტიკოსების და აქტიური მოქალაქეების, ისე აკადემიური წრეების ძალისხმევას მოითხოვს.

კვლევა, სადაც ერთ ნაშრომში განხილული იქნება საფრთხეთა ტრანსფორმაცია ევროპის კონტინენტზე უკანასკნელი რვა ათეული წლის მანძილზე, ნატო-ს ადაპტაცია ამ ტრანსფორმაციასთან და პოსტსაბჭოთა სივრცის ადგილი ამ პროცესებში, გარკვეული აკადემიური სიახლის შემომტანია ქართულ აკადემიურ სივრცეში. ბუნებრივია, მსგავსი თემები მსოფლიოს არაერთ უნივერსიტეტში მუშავდება. მაგრამ ეს არანაირად არ ამცირებს ევროატლანტიკური უსაფრთოების დღევანდელ გამოწვევებსა და სტრატეგიაზე ფიქრის საჭიროებას ამ სივრცის პერიფერიაზე მდებარე საქართველოშიც. ამგვარი „პერიფერიული“ ხედვების გარეშე არც ძველი იმპერიების და არც თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციების ანალიზი არ იქნება სრული. აღსანიშნავია ისიც, რომ მთლიანად თემა - ლიბერალურ-დემოკრატიული სამყაროს ბრძოლა უსაფრთხოების თანამედროვე და მრავალფეროვან გამოწვევებთან - კომპლექსურია და მის ირგვლივ აკადემიური დებატი დღემდე არ შემწყდარა.

საკვლევი თემის საწყის წერტილს წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც მოხდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაფუძნება. დაწყებული ამ მომენტიდან, კვლევა მოიცავს მთელს შემდგომ ისტორიულ დროით მონაკვეთს, ჩვენს დღეებამდე და გარკვეულწილად, ეხება სამომავლო პერსპექტივასაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიოს სტაბილურობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთის კოორდინირებულ მოქმედებას საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ - ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო და უსაფრთხოების ქოლგის გავრცელებას ევროპაზე, საბჭოთა გავლენისა და იდეოლოგიის შეკავებას მთელს მსოფლიოში, აგრეთვე „ვარშავის პაქტში“ შემავალ ევროპულ ქვეყნებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტების დაცვისათვის ბრძოლას. ამ მიზნით შექმნილი საერთაშორისო თუ რეგიონული ორგანიზაციებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ნატო-ს, როგორც ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის, დაცულობისა და უსაფრთხოების ძირითად გარანტორს. “ცივი ომის” და ბლოკური დაპირისპირების პირობებში, სწორედ ნატო გახდა საბჭოთა აგრესიულობის ევროპული და გლობალური შეკავების ძირითადი ინსტრუმენტი. შესაბამისად, ალიანსის უსაფრთხოების სტრატეგიაც ემსახურებოდა ბლოკური დაპირისპირების პერიოდში არსებულ მთავარ გამოწვევებს - თავდაცვის კოლექტიური სისტემის შექმნას, წევრი სახელმწიფოების დაცვას, საბჭოთა კავშირის შეკავებას, გლობალური ბირთვული ან კონვენციური ომის საფრთხის თავიდან აცილებას. “ცივი ომის” პერიოდში ნატო-ს მონაწილეობა უსაფრთხოების სხვა ტიპის ამოცანების შესრულებასა და სამშვიდობო ოპერაციებში სრულიად მინიმალური იყო - სამშვიდობო ოპერაციები ძირითადად განიხილებოდა გაერო-ს ფარგლებში და მიმდინარეობდა გაერო-ს მანდატით.

ამავე დროს, ნატო-ს იმთავითვე ახასიათებდა ის, რაც “ცივი ომის”დროს თუ მის შემდგომ ვითარებაში ალიანსის წარმატებულობის ერთ-ერთი მთავარი პირობა გახდა: კოოპერატიული, მეტოქეებთან შეხების წერტილების გამონახვაზე ორიენტირებული უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმულირების და განხორციელების უნარი. ეს არ იყო ადვილი და იწვევდა უთანხმოებებს ალიანსში, ვინაიდან ასეთ მიდგომას არ უნდა შეესუსტებინა ძალის ფაქტორი. მაგრამ მატერიალური შესაძლებლობები ფუჭია, თუ მის უკან კეთილი ნება, მტრების ჯერ ოპონენტებად, შემდეგ კი პარტნიორებად ქცევის სურვილი და კულტურა არ უმაგრებს ზურგს.

სწორედ ამგვარმა კომბინაციამ, რაც ალიანსის უნიკალურობას ჰქმნიდა, დაასრულა “ცივი ომი”.

რადიკალურად შეიცვალა ვითარება ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ. თავდაცვამ და შეკავებამ აქტუალობა დაკარგა. ბევრი პოლიტიკოსი თუ ანალიტიკოსი ამ ვითარებაში თვით ნატო-ს არსებობის მიზანშეწონილობასაც კი აყენებდა ეჭვის ქვეშ. მაგრამ ალიანსმა „მეორე სუნთქვა“ მიიღო და თავდაცვითი ფუნქციის შესრულების პარალელურად, ევროპულ კონტინენტზე დემოკრატიისა და სტაბილურობის გამავრცელებელ ორგანიზაციად გადაიქცა. თუ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების შემთხვევაში, ნატო-მ პირდაპირი სამხედრო ჩარევის გარეშე ითამაშა პოზიტიური როლი ამ სახელმწიფოების მშვიდობიან ტრანსფორმაციაში, მათთვის გაწევრიანების პერსპექტივის, დაცულობის და უსაფრთხოების ქოლგის შეთავაზების გზით, რადიკალურად განსხვავებული ვითარება შეიქმნა ბალკანეთში, სადაც ომისა და არასტაბილურობის პირობებში ნატო-ს მოუწია საკუთარი სამხედრო სტრატეგიის გადახალისება, ახალი ტიპის, კრიზისის მენეჯმენტისა თუ კრიზისზე პასუხისათვის წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში ჩართვა, სამშვიდობო მანდატითა და ფუნქციით მოქმედება და ბოლოს, სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობაც კი. მიუხედავად დღემდე არსებული გამოწვევებისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ბალკანეთის რეგიონის სახელმწიფოების წარმატებულ ტრანსფორმაციაში ომით და ქაოსით მოცული ქვეყნებიდან თანამედროვე ევროპულ დემოკრატიებამდე. ბალკანეთის რეგიონის ინტეგრაციამ საერთო ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეში დღეს შეუქცევადი სახე მიიღო, რაც ძალიან რთული წარმოსადგენი იყო სამი ათეული წლის წინ, როდესაც რეგიონში ტოტალური ომი მიმდინარეობდა, ხოლო მთავარი რეგიონული მოთამაშე - სერბეთი, რუსეთის მხარდაჭერით, ღია სამხედრო კონფლიქტში იყო ნატო-ს მოკავშირეებთან.

ბალკანეთში ვითარების სტაბილიზაციის კვალდაკვალ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე დადგა ახალი მთავარი საფრთხე - საერთაშორისო ტერორიზმი.

პრობლემის სიმძაფრეზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ნატო-ს მთელი არსებობის განმავლობაში, კოლექტიური თავდაცვის მე-5 მუხლის ამოქმედება პირველად მოხდა სწორედ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევის შემდეგ. ტერორიზმთან ბრძოლის საჭიროებიდან გამომდინარე, ალიანსს მოუწია მნიშვნელოვნად დაშორებოდა საკუთარ გეოგრაფიულ საზღვრებს და ეწარმოებინა ოპერაციები ავღანეთსა და ერაყში. ეს აღმოჩნდა დაკავშირებული ახალ დებატებთან ალიანსის შიგნით, ტრანსატლანტიკური ერთობის რღვევის განცდასთან ზოგიერთ აკადემიურ თუ პოლიტიკურ წრეებში. თუმცა, მიმაჩნია და, ნაშრომის ტექსტშც ამაზეა აქცენტი, რომ ალიანსმა ამ გამოცდასაც გაუძლო.

ბალკანეთის კრიზისის სტაბილიზაციისა და მსოფლიო ტერორიზმის საფრთხის თანდათანობითი ლოკალიზაციის ფონზე, უკანასკნელი წლების განმავლობაში ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დადგა - პირველად "ცივი ომის" დასრულების შემდეგ, პოსტ-საბჭოთა რუსეთი ღიად დაადგა დასავლეთთან კონფრონტაციის გზას და რეგიონული კონფლიქტების კერების გამოყენების, პოსტ-საბჭოთა სივრცეში დომინირების, სამხედრო კონფლიქტებითა და „მართვადი ქაოსით" მეზობელი სახელმწიფოების კონტროლის ტრადიციული პოლიტიკის გარდა დაიწყო პირდაპირი ჩარევა დასავლური დემოკრატიების შიდა პროცესებში. ამის მიზეზი, გარდა პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკური ხედვის და ამბიციისა, გახდა ისიც, რომ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში განვითარებულმა პროცესებმა ძირეულად შეცვალა რუსული სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის წარმოდგენა სახელმწიფო მდგრადობისა და სტაბილურობის მექანიზმებზე.

პოსტ საბჭოთა სივრცეში დაწყებულმა დემოკრატიულმა რევოლუციებმა, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს „ვარდების რევოლუციამ", ხოლო შემდეგ გაგრძელდა უკრაინასა და ყირგიზეთში, აგრეთვე „არაბული გაზაფხულის" პროცესმა რუსეთის ხელისუფლება თანდათანობით მიიყვანა პოლიტიკამდე, რომელიც 2013 წელს უკვე ერთიანად და სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბა გენერალმა გერასიმოვმა და რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ჰიბრიდული ომის

კონცეფციას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლება „გერასიმოვის დოქტრინამდე“ ბევრად ადრეც იყენებდა ჰიბრიდული ომის ელემენტებს მის უშუალო სამეზობლოში (მაგალითად, რუსული პასპორტების დარიგება აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონსა და ყირიმში; რუსულენოვანი უმცირესობების აგრესიული პროტესტების ორგანიზება ესტონეთში; „გაზის ომები“ უკრაინასა და საქართველოში; ეკონომიკური ინტერვენცია სომხეთსა და ლატვიაში; პრორუსული, პროსაბჭოთა და ულტრამემარჯვენე პოლიტიკური ძალების მხარდაჭერა მთელს პოსტ-საბჭოთა სივრცეში, სხვ.), მაგრამ დასავლეთმა ამ პრობლემისთვის ყურადღების მიქცევა დაიწყო მხოლოდ 2008 წლის საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის და განსაკუთრებით, ყირიმის ანექსიის, დონბასში ომის და უშუალოდ დასავლურ დემოკრატიულ პროცესებში რუსეთის ღიად ჩარევის შემდეგ.

დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარ საფრთხედ ტერორიზმი თანდათანობით შეავიწროვა და ახალ კონტექსტში მოაქცია რუსეთის მიერ წარმოებულმა ჰიბრიდულმა ომმა. ამ მხრივ, არსებობს გამოწვევების ორი მთავარი მიმართულება:

1. კონფლიქტები უშუალოდ რუსეთის სამეზობლოში, სადაც რუსეთი ჰიბრიდული ომის სხვა ელემენტებთან ერთად იყენებს ღია სამხედრო ძალას (საქართველო, უკრაინა), ან მანიპულირებს „გაყინული კონფლიქტებით“ (მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი) - ამ შემთხვევაში რუსეთი ღიად არღვევს საზღვრების ურღვევობის პრინციპს, რაც ჰელსინკის ფინალურ აქტში ასახული ევროპული უსაფრთხოების ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია;
2. ჰიბრიდული ომი ევროპული და დასავლური დემოკრატიების წინააღმდეგ, სადაც რუსეთი არ იყენებს (ან, ჯერ არ იყენებს - დ.ბ.) ღია სამხედრო ძალას, მაგრამ მოქმედებს ჰიბრიდული ომის სხვა ინსტრუმენტებით დასავლური დემოკრატიების დესტაბილიზების, მათი დასუსტების და დეზორიენტირების მიზნით.

ეს თვისებრივად ახალი რეალობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან შესაბამის რეაგრებას ითხოვს. პრაქტიკულად უკვე დაიწყო ალიანსის მორიგი ფუნდამენტური

ადაპტაციის პროცესი, რაც ერთის მხრივ, ჰიბრიდული ომის თავისებურებათა გაანალიზებაში, მის წინააღმდეგ კონკრეტული ზომების შემუშავება-განხორციელებაში ვლინდება, მეორეს მხრივ კი - ნატო-ს საზღვრებს გარეთ დემოკრატიული ღირებულებების მეტად გავრცელების გზით ჰიბრიდული ომის საფრთხეების წინააღმდეგ უფრო მდგრადი გარემოს შექმნაში. პროცესი არ დასრულებულა და სწორედ მისი ანალიზი, ნატო-ს სტრატეგიული აზროვნების პერსპექტივები და დიაპაზონია ჩემი ნაშრომის დასკვნითი ნაწილის თემა.

ალიანსის სტრატეგიულ აზროვნების და მიდგომების ფორმირების პროცესში გარდაუვალია წინააღმდეგობები, დავები. ასე იყო წარსულში, როდესაც, მაგალითად, 50-60-იან წლებში განვითარებულმა რიგმა ისტორიულმა და გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა (მაგალითად, კოლონიური იმპერიების რღვევამ), უშუალოდ ალიანსის ზოგიერთი წევრის ურთიერთობებიც დაძაბა. ეს ასეა დღესაც, როდესაც ზოგიერთი მოკავშირის (მაგალითად, თურქეთის) ხელისუფლება ნატო-ს სხვა წევრთაგან განსხვავებულ დამოკიდებულებებს ავლენს ალიანსის სამხრეთ და აღმოსავლეთ ფლანგებზე განვითარებული მოვლენების მიმართ. მაგრამ მაშინაც და ახლაც, რეალობა აჩვენებდა, რომ, საბოლოო ჯამში, ნატო-ს წევრთა ინტერესების თანხვედრა განსხვავებებზე უფრო ძლიერი იყო. საბოლოო ჯამში, სტრატეგიულ დინამიკას, რომლის მნიშვნელობა გლობალურია, ქმნიდა ტრანსატლანტიკური ერთობა, მთლიანი გარიგება და არა მისი ცალკეული ელემენტების ვიწრორეგიონალური თუ ეროვნული დინამიკა.

ნატო-ში არსებული წინააღმდეგობების ანალიზი და პრობლემების ერთიან ჭრილში დანახვა კიდევ უფრო ზრდის საკვლევი თემისა და წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობას. ალიანსის ადრინდელი და დღევანდელი შიდა დავების გაანალიზება დროულია ნატო-ს ერთიანობისა და მდგრადობის შესაფასებლად. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ ანალიტიკოსთა ნაწილი შეშფოთებით უმზერდა აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის დისკუსიებს ნატო-ს ევროპელ წევრებთან. არაერთგვაროვან რეაქციებს იწვევდა და იწვევს ისიც, რომ ალიანსის ერთერთმა უმნიშვნელოვანესმა წევრმა, თურქეთმა, რუსეთთან ურთიერთობებში სპეციფიკური,

მხოლოდ ნაციონალური და ვიწრო გეოპოლიტიკური ლოგიკით ნაკარნახევი მიდგომები გამოავლინა. ამ ვითარებამ კვლავ აქტუალური გახადა მსჯელობა იმაზე, ხომ არ კარგავს რელევანტურობას, ახალ ვითარებებთან ადაპტაციის უნარს ნატო. ამგვარ მსჯელობებს ამწვავებს ავღანეთიდან ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების გასვლის სულ ბოლოდროინდელი ფაქტიც. სწორედ ამ ფონზე არსებითია შეხსენება, რომ ალიანის წევრთა შორის უთანხმოებები სიახლე არ არის მის ისტორიაში. ნატო-ს წევრთა შორის ურთიერთობებში უფრო რთული ეპიზოდებიც ყოფილა, მაგრამ ტრანსატლანტიკური გარიგება ფუნდამენტალურად არ დაზიანებულა.

ამასთან, ნატო-ს ისტორია არა იმდენად ცვლილებების ჯაჭვია, რამდენადაც მოქმედების ფუნდამენტურ პრინციპთა უცვლელობის და ახალ ვითარებებთან ადაპტირების დიალექტიკა. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ჯერ კიდევ 1975 წელს, ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის თათბირზე, ჰელსინკიში მიღებული ფინალური აქტი, რომელიც ნატო-ს გარეშე არ იარსებებდა და რომელიც კვლავ რჩება ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის ერთ-ერთ ქვაკუთხედად. ეს აქტი ამოიზარდა “ცივი ომის” დროინდელი ნატო-ს სტრატეგიაში არსებული მოწინააღმდეგესთან დიალოგის, ზოგჯერ კი კოოპერაციის ამოცანებიდან, რომლებმაც იმთავითვე დაუდო სათავე ე.წ. დათბობის (détente) პროცესს. სწორედ მშვიდობის, თანამშრომლობის და, იმავდროულად, თავდაცვის ნაზავი იყო ყოველთვის ნატო-ს „მოდუს ოპერანდი“, მიუხედავად იმისა, რომ დათბობას ახალი „გამყინვარებები“ მოსდევდა ხოლმე. შესაბამისად, მისი დღევანდელი ადაპტირებაც მისთვისვე ჩვეული, განსხვავებული ამოცანების ბალანსის ფარგლებში არსებული გამოწვევაა. ამით იყო და არის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია უნიკალური ინსტიტუტი, რომელიც ვერ დაიყვანება რეალიზმისა და ნეორეალიზმის თეორიების ფარგლებში შემუშავებულ ალიანსთა მოდელებამდე. ეს თეორიული დაშვება წინამდებარე ნაშრომის კვლევითი კითხვებისა და ჰიპოთეზის საფუძველია.

დამატებით, კვლევა შეიძლება გახდეს საინტერესო არა მხოლოდ აკადემიური თვალსაზრისით, არამედ შეიძინოს მნიშვნელოვანი პრაქტიკული დატვირთვაც.

კვლევის შედეგებმა შეიძლება შესთავაზოს ქართულ დიპლომატიას და პოლიტიკურ სპექტრს როგორც დასავლეთის სამომავლო მოქმედებების პროგნოზი და ანალიზი, ასევე მიაწოდოს არგუმენტები ჩვენს პარტნიორებთან სადისკუსიოდ, თუ როგორი უნდა იყოს ნატო-ს სტრატეგია და კონკრეტული ნაბიჯები რუსეთიდან მომავალ საფრთხეებთან მიმართებაში და რატომ შეიძლება იყოს საქართველოს ევროატლანტიკური სივრცეში გაწევრიანება ნატო-ს სამომავლო სტრატეგიის პოზიტიური ნაწილი.

1.2. კვლევითი ამოცანა - კითხვები და ჰიპოთეზა:

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, არსებობის მანძილზე და თავისი ბუნების ფარგლებში, ნატო-მ გაიარა ტრანსფორმაციის რამდენიმე ეტაპი და ამჟამად დგას ახალი სერიოზული გამოწვევის წინაშე. ამასთან, ტრანსფორმაციის ყველა სტადიაზე, უშუალოდ წევრი-სახელმწიფოების ტერიტორიულ თავდაცვასთან ერთად, ნათლად ჩანდა ალიანსის მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაც: დემოკრატიული ღირებულებების დაცვა და გავრცელება. "ცივი ომის" პირობებშიც კი, როდესაც მთავარი აქცენტი ბლოკურ და ტერიტორიულ თავდაცვაზე იყო, ნატო ითავსებდა დემოკრატიის დაცვის ფუნქციას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი ცალკეული წევრი სახელმწიფოების შიდა პოლიტიკური დემოკრატიული გარემოს დაცვაში საბჭოთა/კომუნისტური იდეოლოგიის გავლენისგან. პარალელურად, ალიანსი არ აკლებდა ცდას, რომ მის მეტოქე, ტოტალიტარულ ბანაკში ადამიანის უფლებების დაცვის ღირებულება შესულიყო და გავრცელებულიყო. ალიანსის ეს ფუნქცია მკვეთრად გაიზარდა მისი ტრანსფორმაციის შემდგომ ეტაპებზე, როდესაც ნატო გახდა დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ჯერ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, შემდეგ ბალკანეთსა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში (სწორედ ამ ამოცანას ემსახურებოდა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ახალი მექანიზმის შემუშავება 1993 წელს - დ.ბ.), ხოლო შემდეგ გეოგრაფიულად ისეთ დაშორებულ რეგიონებშიც კი, როგორიცაა ცენტრალური აზია და ახლო აღმოსავლეთი. შეიძლება ითქვას, რომ "ცივი ომის" შემდგომ ალიანსის

ტრანსფორმაციის ყოველ ეტაპზე დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ამოცანა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას და ხილულობას იძენდა.

როგორ ხდებოდა ნატო-ს ტრანსფორმაცია უსაფრთხოების გარემოს ფუნდამენტური ცვლილებების ფონზე, რა იყო ალიანსის მიზნები და მისია? რამდენად მნიშვნელოვანია ალიანსისთვის დემოკრატიული ღირებულებების დაცვისა და გავრცელების ამოცანა? როგორ იცვლებოდა ეს ამოცანა უსაფრთხოების გარემოს ცვლასთან ერთად და რამდენად უცვლელად რჩება დღეს ალიანსის მისია? შესუსტდა ამ მხრივ ალიანსის პოტენციალი თუ პირიქით, გაძლიერდა ახალი პარტნიორების (ევროპის კავშირი) შეძენის გზით? რას წარმოადგენს მუდამ არსებული ევროატლანტიკური სტრატეგიული დებატები დღეს, ჰიბრიდული ომის და, განსაკუთრებით, ევროპის კონტინენტზე ჰიბრიდული საფრთხეების მომძლავრების ეპოქაში? რამდენად შეიძლება, დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ამოცანამ იმოქმედოს ალიანსის უსაფრთხოების მიმდინარე სტრატეგიაზე და სამომავლო გაფართოების გადაწყვეტილებებზე? რამდენად შეიძლება გახდეს საქართველოსა და პოსტ-საბჭოთა სივრცის, ან მისი ნაწილის პრობლემების მოგვარება გაკავშირებული ალიანსის ფუნქციონირებასთან? რუსეთის ფაქტორის, ოკუპაციისა და დემოკრატიული ხარვეზების ფონზე, რამდენად შესაძლებელია საქართველოს ინტეგრაცია ალიანსში და რა უნდა იყოს ქვეყნის სტრატეგია?

ყველა ამ მიმართულების ანალიზი როგორც პრაქტიკული მონაცემების, პირველწყაროების დამუშავების, ისე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიათა გამოყენების მეშვეობით დაეხმარება ევროატლანტიკური უსაფრთხოების მომავლის კონტურების გამოკვეთას, მასში აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის, მათ შორის - საქართველოს სათანადო ადგილის პროგნოზირებასა და დამკვიდრებას. ნაშრომის ფარგლებში სათანადო ცვლადების ანალიზისა და აქ ნახსენები კვლევითი კითხვების საფუძველზე ნაშრომის ჰიპოთეზა/ჰიპოთეზები შემდგომში მდგომარეობს:

მიუხედავად ნატო-ს მკაფიოდ თავდაცვითი ხასიათისა, ალიანსის არსში თავიდანვე იდო ლიბერალური დემოკრატიის არა მხოლოდ დაცვის, არამედ გავრცელების სულისკვეთება. ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა დიალოგი მოწინააღმდეგესთან, მისი დაყოლიება დაძაბულობის განმუხტვაზე და, შესაბამისად, დემოკრატიული ღირებულებების თუ საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანდათანობით აღიარებაზე. სწორედ ამ მცდელობების შედეგადაა აღსაქმელი ნაშრომში ნახსენები ჰელსინკის 1975 წლის ფინალური აქტი. ნატო არასოდეს ყოფილა კლასიკური თავდაცვითი ბლოკი, არამედ ჩანასახშივე ატარებდა უსაფრთხოების თანამეგობრობის ფუნქციასა და ნიშნებს. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის შესაძლებელი აღმოჩნდა "ცივი ომის" შემდგომ პერიოდთან სწრაფი ადაპტაცია და საერთო ევროპული უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციისათვის ზრუნვა.

"ცივი ომის" შემდგომ ნატო-მ დაიწყო საზღვრებს გარეთ შექმნილ ახალ გამოწვევებთან გამკლავება იმ პოლიტიკური ინსტრუმენტებით, რომლებიც გააქტიურდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ არსებული წესრიგის დაცვასთან ერთად აუცილებელი იყო დემოკრატიულ ღირებულებებზე, პირად თავისუფლებებსა და კანონის უზენაესობაზე დამყარებული ახალი წესრიგის შექმნა. "ცივი ომის" შემდგომ პერიოდში შეიცვალა არა ალიანსის საზრისი და ფუნდამენტური მისია, არამედ მისი მოქმედების მეთოდები, ფარგლები და გაფართოვდა დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ფუნქცია, რომელიც ნატო-ს არსებობაში თავიდანვე იყო ჩადებული.

დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებამ, თავის მხრივ, გარდაუვლად მოითხოვა ნატო-ს ფუნქციონირების პოლიტიკური განზომილების გაფართოებაც. აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ნატო-ს ტრანსფორმაციის შემდგომ ეტაპებზე, როდესაც ალიანსს მოუწია გამკლავება ჯერ რეგიონულ კრიზისებთან ბალკანეთში, ხოლო შემდეგ ბრძოლა მსოფლიო ტერორიზმთან ავღანეთში. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ნატო-ს ყველა ცვლილება მიმართულია

საზღვრებს გარეთ დემოკრატიული ღირებულებების მეტად გავრცელებასთან. ნატო-ს, როგორც თანამედროვე ალიანსის წარმატება დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად შესძლებს ის, განაგრძოს ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება მის საზღვრებს გარეთ.

აღნიშნული ამოცანა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ჰიბრიდული ომის ეპოქაში, როდესაც სახელმწიფოს უსაფრთხოება აღარ განისაზღვრება მისი ტრადიციული თავდაცვითი ინსტრუმენტებით (შეიარაღებული ძალები, საერთაშორისო ალიანსები) და ქვეყნის დაცულობას, პირველ რიგში, განსაზღვრავს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების მდგრადობა გარეშე ნეგატიური ჩარევების წინაშე. ასეთ მოცემულობაში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების დაცვა ალიანსის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე და დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება ნატო-ს უშუალო საზღვრებს გარეთ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი პასუხი რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეებზე. შესაბამისად, უახლოესი წლების განმავლობაში, დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება ნატო-სთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა გახდება.

და ბოლოს, მინდა ხაზი გავუსვა წარმოდგენილი კვლევის სპეციფიკურ მნიშვნელობას საქართველოსათვის - კვლევის ჰიპოთეზებიდან გამომდინარეობს საქართველოს უსაფრთხოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ორი დასკვნა:

1. მიუხედავად მოკავშირეებს შორის ჯერ კიდევ არსებული მძაფრი უთანხმოებებისა, თუ რამდენად უნდა მოხდეს ალიანსის გაფართოება და რამდენად აქტიური იყოს მისი პოლიტიკა საზღვრებს გარეთ, საბოლოო ჯამში გარდაუვალია ნატო-ს მხრიდან მეტი ფოკუსირება მისთვის მნიშვნელოვან რეგიონებში დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებაზე.
2. მიუხედავად ალიანსის წევრი სახელმწიფოების ინდივიდუალური ეგოისტური ინტერესებისა, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში შეუძლებელია ნატო-ს სტრატეგიული გარიგება რუსეთთან, ალიანსში გაწევრიანების მსურველი ქვეყნების ხარჯზე.

მიმაჩნია, რომ კვლევა, სადაც ერთ ნაშრომში განხილულია საფრთხეთა ტრანსფორმაცია ევროპის კონტინენტზე უკანასკნელი შვიდი ათეული წლის მანძილზე, ნატო-ს ადაპტაცია ამ ტრანსფორმაციასთან და პოსტ-საბჭოთა სივრცის ადგილი ამ პროცესებში, აკადემიური სიახლის შემომტანია როგორც ქართულ აკადემიურ სივრცეში, ასევე გარკვეულწილად საერთაშორისო მასშტაბითაც.

1.3. მეთოდოლოგია და სტრუქტურა:

ნაშრომი თვისებრივი და, მნიშვნელოვანწილად, ისტორიული კვლევაა. ნატო-ს მუდმივი ტრანსფორმაციის მაგალითები ერთგვარი ქეისებია, რომელთა ახსნა/დახასიათება პოლიტიკურ და ისტორიულ დისციპლინებში აპრობირებული პროცესის მიდევნების (process tracing) მეთოდით შეიძლება. შესასწავლ საკითხად მოიაზრება როგორც მთლიანად საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა და მისი ცვლილებების მნიშვნელოვანი ეტაპები, ასევე კონკრეტულად ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, მისი როლი და ადგილი ამ პროცესში. კვლევაში მოხდება ნატო-ს ტრანსფორმაციის ეტაპების გამოკვეთა და ამ ტრანსფორმაციის ამოცანების, მასში მონაწილე აქტორების, კონტექსტისა და შედეგის ჩვენება.

კვლევა დაეყრდნობა თვისებრივ მეთოდს. გამოყენებული იქნება როგორც ისტორიული, ასევე შედარებითი მიდგომა, აგრეთვე დისკურს ანალიზისა და კონტენტ ანალიზის ელემენტები. დისერტაციას ასევე დავახასიათებდი, როგორც სამაგიდო კვლევას, რომლის ძირითადი არსი პირველადი და მეორადი წყაროების დამუშავება და ანალიზია - განხილული იქნება თეორიული და აკადემიური ლიტერატურა, მოხდება ისტორიული დოკუმენტების ანალიზი, შესწავლილი იქნება შესაბამისი პირველწყაროები.

კვლევის ერთ-ერთი ამოცანაა საერთაშორისო ურთიერთობების იმ ჩარჩო-თეორიებისა და კონცეფტუალური მოდელების სისტემატიზაცია, რომელიც ემპირიულ მასალას მოაწესრიგებს და ჰიპოთეზების ანალიტიკური მტკიცების

პროცესში დაგვეხმარება. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არსისა და მისი განვითარების კონკრეტული სტადიების კონცეფტუალიზაციისა და ჰიპოთეზების დასაბუთებისათვის ვიყენებ სოციალურ კონსტრუქტივიზმს, ნეოლიბერალურ ინსტიტუციონალიზმს და ლიბერალურ ინტერგოვერნმენტალიზმს, ხოლო უფრო კონკრეტული მოდელებიდან განხილულია ჰიბრიდული ომი და კოოპერატიული უსაფრთხოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ ნაშრომი არა იმდენად ისტორიის, არამედ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ფარგლებს განეკუთვნება.

კვლევაში გამოყენებულია პირადი გამოცდილებით დაგროვილი ინფორმაცია: წლების მანძილზე ვიყავი ჩართული ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ვმუშაობდი საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის თემაზე, ვიყავი აშშ-საქართველოს უსაფრთხოების დიალოგისა და ნატო-საქართველოს დიალოგის ფორმატების მონაწილე, ქვეყნის ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, პარლამენტის თავმჯდომარე და 5 მოწვევის წევრი, მრავალრიცხოვანი ვიზიტების, კონფერენციების, მოლაპარაკებებისა და შეხვედრების მონაწილე. თეორიულ კონცეფტუალიზაციაში კი მეხმარებოდა როგორც თავისუფალი უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობა, ისე უსაფრთხოების პოლიტიკაში ადრე მიღებული ცოდნა (დამთავრებული მაქვს ნატო-ს თავდაცვის კოლეჯი და ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების საკითხთა ევროპული ცენტრის კურსი).

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან და შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

- შესავალი;
- პირველი თავი: კონცეფტუალური ჩარჩო და წყაროები - ლიტერატურის მიმოხილვა, საერთაშორისო ურთიერთობების ჩარჩო თეორიების ანალიზი, ნაშრომის თეორიული ბაზის მომზადება;

- მეორე თავი: უსაფრთხოების არქიტექტურა “ცივი ომის” ეპოქაში - ნატო-ს შექმნა და ამოცანები, თავდაცვის კოლექტიური სისტემა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა;
- მესამე თავი: ნატო-ს ტრანსფორმაცია “ცივი ომის” დასრულების შემდგომ - „ისტორიის დასასრული“ და „ჰარმელის ანგარიშის“ ახალი სიცოცხლე, ევროპის გაერთიანება, პოლიტიკური უსაფრთხოება და კრიზისების მენეჯმენტი;
- მეოთხე თავი: „უკან, მომავლისაკენ?“ - ნატო გლობალური ტერორისა და რუსული ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ;
- დასკვნა: ალიანსის შემდგომი გაფართოების საჭიროება და პერსპექტივები;
- ბიბლიოგრაფია.

ვინაიდან ნაშრომის მესამე და მეოთხე თავები მოიცავს ალიანსის განვითარების ისეთი განსხვავებული და მნიშვნელოვანი ელემენტების ანალიზს, როგორებიცაა “ცივი ომის”დასრულების მიზეზთა ანალიზი, კოოპერატიული უსაფრთხოება, რეგიონული კრიზისების მენეჯმენტი, ტერორიზმთან ბრძოლა და ჰიბრიდულ გამოწვევებთან გამკლავება. ეს თავები შესაბამის ქვეთავებადაა დაყოფილი.

პირველი თავი: კონცეფტუალური ჩარჩო და წყაროები - ლიტერატურის მიმოხილვა, საერთაშორისო ურთიერთობების ჩარჩო თეორიების ანალიზი, ნაშრომის თეორიული ბაზის მომზადება

ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღება ფოკუსირებული იქნება ორ მთავარ საკითხზე. უპირველეს ყოვლისა, ჩამოყალიბდება შესაბამის თეორიულ ლიტერატურასა და რიგი ქეისების უფრო პრაქტიკულ ანალიზზე დაფუძნებული კონცეფტუალური ხედვა, რომელიც დისერტაციის ზოგად ჩარჩოს, მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და შედარებით/წყაროთმცოდნეობით ბაზას ქმნის. როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტულ და ნეოლიბერალურ-ინსტიტუციონალისტურ ხედვებზე. ამ აკადემიური ამოცანის შესრულებაში დამხმარე როლს თამაშობს ენდრიუ მორავჩიკის ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმიც. იგი ავტორმა ძირითადად ევროპის კავშირის არსის ახსნისათვის გამოიყენა და საამისოდ ევროინტეგრაციის ამხსნელი ნეოფუნქციონალისტური მიდგომები რეალიზმისა და ლიბერალიზმის საინტერესო სიმბიოზით გაამდიდრა. ვფიქრობ, ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმი დამატებით შტრიხებს მატებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბუნების, დინამიკის და სამომავლო პერსპექტივების ახსნასაც.

თეორიული ჩარჩოს ფორმირებას მეორე საკითხად მოსდევს უშუალოდ ნატო-ს პოლიტიკის ანალიზისადმი მიძღვნილი აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა. ვთვლი, რომ მასში დომინანტურია არა რეალისტურ/ნეორეალისტური კრიტიკული ხედვა, რომლის თანახმადაც, ნატო არანაირ სიახლეს არ წარმოადგენს საუკუნოვან საერთაშორისო ურთიერთობებში (და რომელიც რეალიზმის ბევრი წარმომადგენელის ნაშრომებში სტატიკურ-პრიმორდიალისტურად გამოიყურება), არამედ სწორედ ლიბერალიზმი და კონსტრუქტივიზმი. ზოგჯერ ასეთ კვლევებში თეორიულ წიაღსვლებს ვერც ვხვდებით, რადგან ისინი უშუალოდ ქეისის ანალიზის თუ ისტორიულ ნარატივთა ნიმუშებს წარმოადგენს. მაგრამ არის სიმბიოზური - პრაქტიკულ-თეორიული ტექსტებიც, რომელთა ნიმუშიცაა ნატო-ს დანახვა კოოპერატიული უსაფრთხოების ინსტიტუტად. თავად კოოპერატიული უსაფრთხოების ცნება აკადემიური მიდგომებისა და დიპლომატიურ-პოლიტიკური

გაიდლაინების ერთგვარი ჰიბრიდული პროდუქტია. ამის ნიმუშად უსაფრთხოების კვლევების ჯორჯ მარშალის ცენტრის ყოფილი პროფესორისა და გადამდგარი სამხედრო პირის, რიჩარდ კოენის ნაშრომი გვაქვს აღებული.

აქვე, მოკლედ გვაქვს დახასიათებული ნატო-ს პრაქტიკული ფუნქციონირების ფარგლებში შექმნილი დოკუმენტები, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომისათვის მეტად საჭირო პირველადი წყაროების ბაზას წარმოადგენს, პირადი გამოცდილებით ნატო-ელი კოლეგებისაგან მიღებულ თუ მედიის მიერ შექმნილ ინფორმაციებთან ერთად.

2.1. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები:

ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმი, რომელიც, პირველ რიგში, უკავშირდება რობერტ კეოჰეინის სახელს, უპირისპირდება რეალისტურ სკეფსისს საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ რაციონალური, სახელმწიფოთა ეგოისტური ბუნებიდან გამომდინარე არგუმენტების საფუძველზე. ესაა საერთაშორისო რეჟიმების აღწერის ფუნქციონალური (კონტრაქტუალური) თეორია.[1] თეორიის ძირითადი ამოსავალი არგუმენტებია „საბაზრო ჩავარდნების“ (market failure) ეკონომიკური თეორია, რომელიც განსაზღვრავს „შეთანხმების ფასს“ (transaction costs), როგორც ბარიერს ეფექტური თანამშრომლობისთვის და ე.წ. „პატიმრის დილემის“ (Prisoners' Dilemma) ლოგიკა, რომელიც ემყარება არაფრის გაკეთებით შედეგის მიღების ("free-rider" problem) ეფექტს. კეოჰეინის თეორიის თანახმად, საერთაშორისო რეჟიმები განიხილება, როგორც ეგოისტური ინტერესების მქონე სახელმწიფოების ხელთ არსებული საშუალება, გადალახონ ორივე პრობლემა ყველასთვის მისაღები საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. საერთაშორისო რეჟიმები ასრულებს ძალიან ღირებულ როლს კანონიერი შეთანხმებების ფასის შემცირების, არაკონონიერი შეთანხმებების ფასის გაზრდის და ზოგადი გაურკვევლობის კლების გზით. საერთაშორისო რეჟიმები არ გამორიცხავს სახელმწიფოთა ინტერესებით

[1] Robert Keohane, *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy* (Princeton: Princeton University Press, 1984);

ვაჭრობას - პირიქით, ის აკანონებს გარკვეული ტიპის ვაჭრობას შეთანხმებული მიზნებისთვის. საერთაშორისო რეჟიმების ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ისეთი მოლაპარაკებების ხელშეწყობა, რომლის შედეგიც იქნება ქვეყნებს შორის ყველაზე მისაღები შეთანხმებების მიღწევა.

ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის თეორიის მიხედვით, სახელმწიფოები რჩებიან საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის მთავარ მოთამაშეებად და, როგორც კეოჰეინი აღნიშნავს, საერთაშორისო ინსტიტუტების შედეგობრივი გავლენა სახელმწიფოების პოლიტიკაზე ნაკლებად ძლიერია, ვიდრე სახელმწიფოების ინტერესების გავლენა საერთაშორისო ინსტიტუტებზე.[2] მაგრამ, რეალიზმისგან განსხვავებით, სახელმწიფო არ არის ერთადერთი მოთამაშე და საერთაშორისო რეჟიმებს შეუძლიათ აიძულონ სახელმწიფო, დათმოს ან შეცვალოს მისი ეგოისტური ინტერესების ნაწილი. შესაბამისად, თუმცაღა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ვერ გამორიცხავს ცალკეული წევრი სახელმწიფოების მხრიდან საკუთარი ეგოისტური ინტერესებით ვაჭრობას, მაგრამ მთლიანობაში, გარკვეულ კალაპოტში აქცევს ერთიანად ყველა წევრ სახელმწიფოს და განსაზღვრავს იმ ღირებულებით და პრაქტიკულ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც ამ ქვეყნებს უწევთ მოქმედება - სწორედ ამით აიხსნება ნატო-ს, როგორც ორგანიზაციის ერთიანი ლოგიკა, რომელიც ხშირად შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდეც მისი ცალკეული, თუნდაც გავლენიანი წევრების ზოგიერთ ინტერესს.

1990-იან წლებში, როგორც ომსა და მშვიდობაზე, ისე კონკრეტულად ნატო-ს აწმყოსა და მომავალზე რეალისტებთან გამართული დებატებისას, რობერტ კეოჰეინი ხაზს უსვამდა, რომ სახელმწიფო, როგორც ასეთი, ბუნებით ეგოისტია, მაგრამ რაციონალური ეგოისტი. შესაბამისად, საერთაშორისო ინსტიტუტებს ხანდახან მნიშვნელობა აქვს ("institutions sometimes matter"). ინსტიტუტები იძლევა ინფორმაციას, გარკვეულ ვითარებებში, შეუძლია კოორდინირების პრობლემათა გადაწყვეტა. ინსტიტუტი კეოჰეინისა და მისი კოლეგებისათვის დამოუკიდებელი

[2] Robert Keohane, *International Institutions and State Power: Essays in International Relations Theory* (Colorado: Westwiev Press, 1989): 6;

ცვლადიცაა და დამოკიდებულიც ერთდროულად, ანუ მისი არსებობა სულაც არ გამორიცხავს რეალისტთა მიერ ერთადერთ ფაქტორად მიჩნეულ ნაციონალურ ინტერესს. მაგრამ ინსტიტუტები ქმნის ორმხრივად ხელსაყრელი ტრანსაქციების და მატყუარათა დასჯის შესაძლებლობას.[3] ამგვარი ლოგიკით ნათელი ხდება, რომ ნატო-ს არსებობა თავისთავადი ღირებულებაა, იგი არ ექვემდებარება მხოლოდ ძალთა ბალანსის ლოგიკას და ამიტომ, აზრს არ კარგავს მთავარი მეტოქის, სსრკ-ს გაქრობის გამო.

რობერტ კეოჰეინის კიდევ ერთი საყურადღებო მოსაზრების თანახმად, საერთაშორისო თანამშრომლობა მოითხოვს, რომ წინასწარ ჰარმონიაში არმყოფი ცალკეული ინდივიდუმების, სახელმწიფოების თუ ორგანიზაციების მოქმედებები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში მოლაპარაკებების პროცესის მეშვეობით, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „პოლიტიკის კოორდინირების“ პროცესს.[4] კეოჰეინის აზრით, თანამშრომლობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მონაწილეები აცნობიერებენ, რომ მათი მიზნები ერთმანეთის შესატყვისია და პოლიტიკის კოორდინირების მიზნით ერთად მუშაობამ შეიძლება სარგებელი მოიტანოს. ასეთ შემთხვევაში ეს მონაწილეები ერთიანდებიან და ქმნიან საერთო ინსტიტუტებს (ალიანსებს), რადგან ხედავენ ამ ინსტიტუტების მნიშვნელობას უსაფრთხოების, ეკონომიკური, პოლიტიკური ან სხვა მიზნების მისაღწევად. ამ მოსაზრებას დავუბრუნდებით ნაშრომის მომდევნო ნაწილებში, სადაც განვიხილავთ, რამდენად მნიშვნელოვანია ნატო-ს ფუნქციონირების, წარმატებული ადაპტირებისა და შიდა კრიზისების გადალახვისათვის მოკავშირეებს შორის კონსულტაციებისა და კომპრომისების ძიების მუდმივი პროცესი.

როგორც ნატო-ს პერსპექტიულობის კონსტრუქტივისტი ადვოკატები უსვამენ ხაზს, კეოჰეინის და, ზოგადად, ლიბერალისტული სკოლის წარმომადგენელთა საგარეოპოლიტიკური შეხედულებები იმ დაშვებიდან ამოდის, რომ საგარეო და

[3] Robert Keohane, and Lisa Martin, “The Promise of Institutionalist Theory”, In *Theories of War and Peace* (Cambridge: The Mit Press, 1998), 384-394;

[4] Robert Keohane, *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy* (Princeton: Princeton University Press, 1984): 51;

საშინაო პოლიტიკები ურთიერთკავშირშია.[5] შესაბამისად, კეოჰენისათვისაც და „დემოკრატიული მშვიდობის“ იდეის ერთერთი შემოქმედის, მაიკლ დოილისათვის, საერთაშორისო ინსტიტუტთა თუ რეჟიმთა სიმყარე მათი წევრების ერთგულებაშია დემოკრატიის პრინციპთა მიმართ. ნატო-ს ამ ასპექტზე ყველაზე სრულ სურათს კონსტრუქტივიზმი, ანუ საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიური მიდგომა იძლევა. მაგრამ სანამ ჩემი ნაშრომის აღნიშნული კონცეფტუალურ საყრდენის დახასიათებაზე გადავალ, მოკლედ მაინც უნდა შევეხო კონსტრუქტივისტთა და ლიბერალთა აკადემიური ოპონენტების მოსაზრებებს.

ნატო-ს მიმართ სისტემური სკეფსისის საფუძველი კენეტ ვოლცის მიერ 1970-იან წლებში შემუშავებული სტრუქტურული რეალიზმის თეორიის ინტერპრეტაციებია. ამ თეორიის, ანუ საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურული ანალიზის მიხედვით, დავიწყებას უნდა მიეცეს ერთეულთა (სახელმწიფოთა) ურთიერთობები. არსებითი მხოლოდ მათი განლაგება თუ მატერიალური დისპოზიციაა (arrangement). შესაბამისად, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ღირებულებებს უჭერენ მხარს ნატო-ს წევრები და რას დეკლარირებს ალიანსი. ეს თეორია, ვოლცისავე სიტყვებით, საერთაშორისო ურთიერთობების გრამატიკაა, აბსტრაქციაა, რომელზე ფოკუსირებისას ვივიწყებთ კულტურას, ტრადიციებს, აქტორთა ხასიათს.[6] ვოლცს ესმოდა, რომ უშუალო საერთაშორისო ურთიერთობები, სახელმწიფოთა ინტერაქციები მრავალ სხვა ცვლადზეც იყო დამოკიდებული და თავის თეორიას რაიმეს პროგნოზირების ძალას არ ანიჭებდა. მაგრამ მისი მოსწავლეები ამ მხრივ ბევრად ხისტნი აღმოჩნდნენ.

ამ მხრივ, კერძოდ კი, “ცივი ომის” შემდგომ ნატო-ს დანიშნულებასა და მომავალში ეჭვის შეტანის თვალსაზრისით, გამორჩეულია ჯონ მერშეიმერი. 2020 წლის ივლისში გამართულ ვირტუალურ დებატებზე - „არის თუ არა ნატო კვლავ რელევანტური“ - რომლის ორგანიზატორიც ცნობილი ამერიკული ანალიტიკური ცენტრი,

[5] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 358;

[6] Kenneth Waltz, *Theory of International Politics* (New York: McGraw Hill, 1979), 82;

ატლანტიკური საბჭო იყო, მერშეიმერი ამტკიცებდა, რომ შეერთებული შტატები აღარ უნდა იყოს ნატო-ს მიმართ ვალდებული, რადგან პუტინის აგრესიულობა არაა ამერიკის მთავარი თავის ტკივილი. მერშეიმერი ამტკიცებდა, რომ რუსეთი არ არის და ვერ იქნება რეგიონალური ჰეგემონი მთელი ევროპის მასშტაბით, რისი საფრთხეც საბჭოთა კავშირის პერიოდში თვალნათელი იყო. შესაბამისად, ახალი დისპოზიციის პირობებში, ევროპა სამხედრო თვალსაზრისით ნაკლებად აქტუალურია.[7] მერშეიმერის ხედვა თავისებურად გაიზიარა სარა მოლერმა, რომლის აზრითაც, ნატო-მ დაკარგა სტრატეგიული ფოკუსი და შესაძლოა, მალე არარელევანტური გახდეს. ამის მაგალითად მან მოიყვანა თურქეთის შემაშფოთებელი ნაბიჯები რუსეთთან მიმართებაში, კერძოდ, რუსული აირსაწინააღმდეგო რაკეტების შეძენა, როგორც ალიანსის წევრთა ხედვების დაცილების მაგალითი.

მერშეიმერის ხედვა მის მიერ 90-იან წლებში შექმნილ კონცეფტუალურ ნაშრომებს ეყრდნობა, რომელთა არსიც შემდეგია: საერთაშორისო ინსტიტუტები მხოლოდ რეალურ ძალთა განაწილების რეფლექსიაა. ამასთან, სახელმწიფოებს აშფოთებთ ფარდობითი მოგება, რაც კოოპერაციის მთავარი ბარიერია. კარგი და ცუდი სახელმწიფოები არ არსებობს.[8] ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში, მაგალითად ესტონეთი განსხვავდება თანამედროვე რუსეთისაგან მხოლოდ ზომით და არა ღირებულებებით თუ მისწრაფებებით. შესაბამისად, ნატო-ს საჭიროება კონკრეტულ სტრატეგიულ თუ ტაქტიკურ კალკულაციებზეა დამოკიდებული და არა რაიმე უფრო ფუნდამენტურზე.

მსგავსი კონცეფტუალური დაშვებებიდან ამოდიოდა მერშეიმერი, როდესაც უშუალოდ "ცივი ომის" შემდგომი ევროპის უსაფრთხოებაზე მსჯელობდა და მას არა

[7] "Will NATO Still Be Relevant in the Future? Virtual Debate", Atlantic Council (24 July 2020), https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/will-nato-still-be-relevant-in-the-future (20.05.2021);

[8] John Mearsheimer, "The False Promise of International institutions", In *Theories of War and Peace* (Cambridge: The Mit Press, 1998), 332-382;

ნატო-ს და დემოკრატიული სტაბილურობის ზონის გაფართოებას, არამედ ახალ ნაციონალურ მეტოქეობებს უწინასწარმეტყველებდა.[9]

როგორც ზემოთ ვნახეთ, მერშეიმერის იმდროინდელი პროგნოზების მცდარობა არ ცვლის მის ნეგატიურ დამოკიდებულებას ნატო-ს შემდგომი გაფართოებისა და, საერთოდ, მისი უცვლელი რელევანტურობისადმი. მაგრამ თუ უსაფრთხოების ე.წ. კრიტიკული კვლევების მემარცხენე ნაკადს გამოვრიცხავთ, რომლისთვისაც არა თუ ნატო, არამედ მთლიანად თანამედროვე სახელმწიფოც კი არასწორი „რეფერენტული ობიექტია“,[10] სტრუქტურული რეალიზმი, საბოლოო ჯამში, ერთადერთი მიმდინარეობაა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, რომელიც ნატო-ს ადექვატურობას ეჭვით უყურებს.

რეალიზმის უფრო ფართო მემკვიდრეობა არაა ასე ცალსახად სკეპტიკური საერთო ინტერესების მქონე ქვეყნების თანამშრომლობის პერსპექტიულობის მიმართ, რისი ნიმუშიცაა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. ენდრიუ მორავჩიკი არც თანამიმდევრული რეალისტია და არც ნატო-ს მკვლევარი. საერთაშორისო ურთიერთობების საკუთარი ხედვის ჩამოყალიბებისას, მორავჩიკი ხაზს უსვამს, რომ იგი არაა „რეალისტური“.[11] მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის თეორია მნიშვნელოვანწილად საზრდოობს რეალიზმის ზოგიერთი ძირითადი პოსტულატიდან. კერძოდ, მორავჩიკი და შიმელფენინგი თვლიან, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში კრიტიკული აქტორები სახელმწიფოებია, ხოლო იგივე ევროპის კავშირი სხვა არაფერია, თუ არა საერთაშორისო რეჟიმი.[12]

---

[9] John Mearsheimer, "Back to the Future: Instability in Europe after the Cold War", International Security, Vol. 15, No. 1 (Summer, 1990): 5-56;

[10] Allan Collins (editor), *Contemporary Security Studies*, 4th edition (Oxford: Oxford University Press, 2016);

[11] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, "Liberal Intergovernmentalism", In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019), 65;

[12] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, "Liberal Intergovernmentalism", In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019), 65;

თეორიის დანარჩენი შემადგენელი კონსტრუქტივიზმის წინამორბედის, ნეოფუნქციონალიზმის ალტერნატივაა და არც რეალიზმთან აქვს ბევრი საერთო. იღებს რა მაგალითად ევროპის კავშირს, ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმი ამტკიცებს, რომ როგორც გეოპოლიტიკური, ისე, განსაკუთრებით სავაჭრო-ეკონომიკური მიზეზების გამო, სახელმწიფოები ხშირად არიან მიდრეკილნი ინტენსიური თანამშრომლობისა და ინტეგრაციისაკენ, თუ ამას მათი შინაგანი დემოკრატიული აგებულებაც უწყობს ხელს. ეს უკანასკნელი მიზეზი არსებითია: კოლექტიურ გარიგებებში მონაწილე მთავრობებისათვის ასეთი ფორმატები დამატებითი საშუალებებია საკუთარ ეროვნულ ამომრჩევლებთან, მის გავლენიან ჯგუფებთან სასაუბროდ. მაგალითისათვის, საქართველო არც ნატო-ს წევრია და არც ევროკავშირის, მაგრამ ამ სტრუქტურათა წონა, იმიჯი მუდმივად გამოიყენება შიდა პოლიტიკური წინააღმდეგობების გადასალახავად, რადგან სტრატეგიულ პარტნიორთა ინტერესი, განწყობა თუ რჩევები არგუმენტია ქვეყნის შიგნით როგორც ხელისუფლებათა მომხრეების, ისე მოწინააღმდეგეებისათვის.

მორავჩიკის კიდევ ერთი დამარწმუნებელი დაშვებაა, რომ ევროპის კავშირის თანდათანობითი ინტეგრაციის პროცესში შესამჩნევი იყო და არის ძლიერი წევრების განწყობა დათმობებისაკენ და სუსტების ან ნაკლების მიმღებების მომთხოვნელობა. შესაბამისად, კოოპერაცია საერთო სარგებლის მომტანი ხდება, გარიგებების ფასი არავისთვისაა უსაშველოდ მაღალი. რა თქმა უნდა, გაერთიანებაში მყოფთა დამოკიდებულებები ასიმეტრიული რჩება, მაგრამ მათი დემოკრატიულობა და მოლაპარაკებების ინსტიტუციურ-პროცედურული ბაზა ამცირებს ტრანსაქციის ფასს, უზრუნველყოფს ინფორმაციის ინტენსიურ გაცვლას და, მთლიანობაში, ემსახურება ევროპის კავშირის სტაბილურ ფუნქციონირებას.[13]

ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის მიმდევრების მოსაზრებები ნატო-ს კვლევისათვის ორმხრივადაა საინტერესო: 1. თუ ევროპის კავშირი საერთაშორისო რეჟიმად და არა სუპრაეროვნულ გაერთიანებად აღიქმება, მასში მიმდინარე

[13] Andrew Moravcsik, *The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht* (New York: Cornell University Press, 1998);

სამთავრობოთაშორისი გარიგებების ანატომია ნატო-ს ფუნქციონირების გასაგებად კიდევ უფრო რელევანტურია, რადგან სწორედ ნატო წარმოადგენს სუვერენული დემოკრატიული ქვეყნების თანასწორუფლებიან გაერთიანებას, სადაც გადაწყვეტილებები მხოლოდ კონსენსუსით მიიღება; 2. მორავჩიკი და შიმელფენინგი თვლიან, რომ ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმი, შესაძლოა, სოციალური კონსტრუქტივიზმიდან ნასესხები იდეაციური ახსნებით იქნას გაფართოვებული. ნორმებზე ბაზირებული ერთობის ეფექტი უფრო გავლენიანი იქნება, თუ განსახილველ საკითხს ძლიერი დამფუძნებელი, იდენტობასთან დაკავშირებული განზომილება აქვს, რომელიც წევრთა შიდა ეროვნულ იდეებთან/ღირებულებებთან რეზონირებს. ევროპის კავშირის შემთხვევაში, მორავჩიკს ასეთ საკითხად აღმოსავლეთით გაფართოება მიაჩნია.[14] ვფიქრობ, იგივე ითქმის ნატო-ს შემთხვევაშიც და, ამიტომაც, საკუთარი კვლევის თეორიული ჩარჩოს კონსტრუირებისას, მნიშვნელოვანწილად კონსტრუქტივიზმს ვეყრდნობი.

90-იანი წლებიდან, მრავალი, შედარებით ჩრდილში მდგომი, ორიგინალური მოსაზრებისა და სოციოლოგიის დაკვირვებათა საფუძველზე აღმოცენებული სოციალური კონსტრუქტივიზმი, ავიწროვებს საერთაშორისო ურთიერთობების რაციონალისტურ (ნეორეალიზმი და ნეოლიბერალიზმი) თეორიებს.[15] სოციალური კონსტრუქტივიზმის (ან, უბრალოდ, კონსტრუქტივიზმის - დ.ბ.) ერთერთი შემქმნელის, ალექსანდრე ვენდტის თქმით, საერთაშორისო ურთიერთობებსა და სტრუქტურას არა იმდენად მატერიალური პირობები, რამდენადაც გაზიარებული ცოდნა და ნდობის ხარისხი განაპირობებს. მეგობრების ანარქია განსხვავდება მტრების ანარქიისაგან.[16]

კონსტრუქტივიზმი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო თუ ეროვნული ინტერესები არც თავისთავად არსებობს და არც იმდენად გეოგრაფიითაა დეტერმინირებული.

[14] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, "Liberal Intergovernmentalism", In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019), 82-83;

[15] Christine Agius, "Social Constructivism", In *Contemporary Security Studies*, 4th edition (Oxford: Oxford University Press, 2016), 71;

[16] Alexander Wendt, "Constructing International Politics", In *Theories of War and Peace* (Cambridge: The Mit Press, 1998), 423;

სახელმწიფოს ინტერესები არ წარმოადგენს ობიექტურად არსებულ რეალობას, რომელიც უნდა იქნას „აღმოჩენილი“ რაციონალური მოთამაშეების მხრიდან - ინტერესები სოციალური ინტერაქციის ფარგლებში ჩამოყალიბებული იდენტობის, კულტურის და შესაბამისი ნორმების შედეგია, ის იქმნება სოციალური ინტერაქციის პროცესში და ამიტომ, მთავარია ამ ინტერესების ფორმირება და არა მათი აღმოჩენა.[17] თავის მხრივ, საერთაშორისო კულტურულ-ინსტიტუციონალური კონტექსტიდან მომდინარე ნორმები გავლენას ახდენს ეროვნულ კულტურებზე, იდენტობებზე და, შესაბამისად, სახელმწიფო ინტერესებზეც. თუმცა, პროცესი ციკლურია და ეს „საერთაშორისო კულტურულ-ინსტიტუციური კონტექსტი“, რომელიც გულისხმობს რეჟიმებს, წესებს (მათ შორის, საერთაშორისო სამართალს), მათ ინტერპრეტაციებს და ინტერპრეტატორებს (მათ შორის, ცნობილი პროფესორებისა და ექსპერტებისაგან შემდგარ „ეპისტემურ თემებს“), ისევე, როგორც რიგ ქვეყნებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ მტერ-მოყვრობის ფაქტორებს, გავლენიან ეროვნულ საზოგადოებათა შემოთავაზებებზეცაა დამოკიდებული.[18]

ცხადია, ტრადიციული მატერიალური შესაძლებლობებით განსაზღვრული ძალა კვლავაც მნიშვნელოვანია - სახელმწიფოს ძალა თავად რჩება ინტერესად და, ამასთან ერთად, ყველანაირი ინტერესების დაცვის ძირითად ფაქტორად. მაგრამ, რა ამოცანების მიღწევა და, განსაკუთრებით, რომელი ინტერესების დაცვა სჭირდება სახელმწიფოს, ამას განსაზღვრავს სწორედ კულტურული, სოციოლოგიური და ინსტიტუციონალური ფაქტორები, რომლებიც მთლიანობაში ქმნის სახელმწიფოს იდენტობას.[19]

საინტერესოა, რომ ამავე მოსაზრებას ნაწილობრივ ეთანხმება რობერტ კეოჰეინიც, რომლის მიხედვითაც: „საერთაშორისო რეჟიმების საფუძვლიანი ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეჟიმები შეიძლება იცვლებოდეს არა სახელმწიფოების ობიექტური

[17] Peter Katzenstein (editor), *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 28-32;
[18] Peter Katzenstein (editor), *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 28-32;
[19] Peter Katzenstein (editor), *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 28-32;

ინტერესების, ძალთა გადანაწილების, ან მთავრობათა წინაშე არსებული საერთაშორისო პირობების გამო, არამედ იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს ხალხი მის ინტერესზე, მათ შორის - სხვა ხალხების მეტი კეთილდღეობის მიღწევაზე, ზოგადი სიმპატიიდან ან საკუთარი ღირებულებებიდან გამომდინარე".[20]

კონსტრუქტივიზმის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, პიტერ კატცენშტეინის აზრით, ისტორია უფრო მეტია, ვიდრე საკუთრების უფლების მარეგულირებელი ეფექტური ინსტიტუტების მუდმივი ძიების პროცესი, ის ვერ დაკნინდება კონფლიქტების და ბალანსირების ერთიდაიგივე მუდმივ ძიებამდე - ისტორია ცვლილებების პროცესია, რომელიც თავის კვალს ტოვებს სახელმწიფოს იდენტობაზე.[21] სახელმწიფოს იდენტობა და მისი ინტერესები წარმოიქმნება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო სოციალურ გარემოში მუდმივი ინტერაქციების და ცვლილებების შედეგად. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს იდენტობა და მისი ინტერესები ვერ განისაზღვრება დედუქტიური გზით, ის ემპირიულად უნდა იქნას დადგენილი ყველა კონკრეტულ ისტორიულ გარემოში. აუცილებელია ამ გარემოს შეფასება სოციალური პერსპექტივიდან - სახელმწიფო ინტერესების და შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების ანალიზის დროს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული პოლიტიკური გარემოს კულტურულ-ინსტიტუციონალური კონტექსტი.

კატცენშტეინი შეგვახსენებს ძველ, მინიმუმ, იმანუილ კანტიდან მომდინარე შეგონებას, რომ ცხოვრება მარტო არჩევანი არაა, იგი ინტერპრეტაციაცაა და გვიმტკიცებს, რომ "ცივი ომის" დასრულება, რომელიც რეალისტებისათვის სიურპრიზი აღმოჩნდა, რუსეთში ხელისუფლებაში კოსმოპოლიტური და რეფორმისტული ელიტის მოსვლით გახდა შესაძლებელი.[22]

---

[20] Robert Keohane, "Empathy and International Relations", In *Beyond Self-Interest* (Chicago: Univercity of Chicago Press, 1990), 236;

[21] Peter Katzenstein (editor), *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 28-32;

[22] Peter Katzenstein (editor), *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 28-32;

ალექსანდრე ვენდტის კლასიკად ქცეული ფრაზაა „ანარქია ისაა, რასაც სახელმწიფოები აკეთებენ მისგან“.[23] ამ დაშვებიდანაა ვენდტის მოდელი, რომლის თანახმად, საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა შეიძლება იღებდეს ჰობსიანურ, ლოკეანურ ან კანტიანურ ხასიათს. ეს უკანასკნელი დემოკრატიულ ქვეყანათა ერთობაა, რომელთა ღირებულებების სიახლოვე იწვევს ძირითად ინტერესთა თანხმობასაც. რა თქმა უნდა, ეს იდეალური მოდელთა ტიპებია და რეალობა უფრო წინააღმდეგობრივია. კატცენშტეინიც, ვენდტიც და მათი კოლეგა, რონალდ იეპერსონიც აღიარებენ, რომ სახელმწიფოთა ამა თუ იმ ერთობაში ან მთელს მსოფლიო თანამეგობრობაში მოქმედი ნორმები ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგება - ძველი ნორმა ახალს უპირისპირდება და ნორმების არსებობა არ ნიშნავს მათ აუცილებელ დაცვას.[24]

ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურასა და სტრატეგიაში ამგვარი, პოსტ-პოზიტივისტური ეპისტემოლოგიის დამასურათებელი მაგალითები, გარდა “ცივი ომის” დასრულების ზემოთნახსენები მიზეზებისა, კონსტრუქტივისტებს მრავალი აქვთ. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ყურადღება ეთმობა ევროპულ ინტეგრაციას, რაშიც, მათი აზრით, განსაკუთრებული როლი ადამიანის უფლებათა წინ წამოწევამ ითამაშა და გააღრმავა ევროპული იდენტობა. კონსტრუქტივიზმის იდეური ხაზი, რომელიც ნაშრომში შესწავლილი საკითხისთვის მნიშვნელოვანია, გახლავთ ის, რომ ალიანსები თუ სხვაგვარი საერთაშორისო რეჟიმები, არ იქმნება მხოლოდ ძალთა ან საფრთხეთა ბალანსის გამო: მათ სიმყარეს იდენტობა და ღირებულებები განსაზღვრავს.

[23] Alexander Wendt, “Anarchy is What States Make of it: The Social Construction of Power Politics”, International Organization, Vol. 46, No. 2 (Spring, 1992), 391-425;

[24] Ronald Jepperson, Alexander Wendt and Peter Katzenstein, “Norms, Identity, and Culture in National Security”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 56;

კონსტრუქტივიზმის მიმდევრებიდან, კვლევისთვის მნიშვნელოვნად გვეჩვენება თომას რისსე-კაპენის ნაშრომი,[25] რომელშიც სპეციფიურად არის განხილული ნატო-ს, როგორც დემოკრატიული თანამეგობრობის შემთხვევა. ნაშრომის დასაწყისში ავტორი სვამს კითხვას, რატომ დასჭირდა აშშ-ს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდავოდ იყო მსოფლიოს ჰეგემონი სახელმწიფო, თავდაცვითი ალიანსის შექმნა და რატომ შეიქმნა ნატო სწორედ ამ გეოგრაფიული და შემადგენლობითი კონფიგურაციით? ამის ასახსნელად, ავტორი ეყრდნობა კონტრუქტივიზმამდელი თეორეტიკოების, კერძოდ სტეფან უოლტის იდეას, რომ სახელმწიფოებს აერთიანებს არა „ძალთა ბალანსი“, არამედ „საფრთხეთა ბალანსი“ - ანუ, სახელმწიფოებს აწუხებს არა სხვა სახელმწიფოს აღმატებული ეკონომიკური ან პოლიტიკური შესაძლებლობები, როგორც ასეთი, არამედ ამ სახელმწიფოსგან მომავალი საფრთხის განცდა, რომელიც იქმნება ამ შესაძლებლობების ერთიანობით გეოგრაფიულ სიახლოვესთან, შეტევით სამხედრო ძალასთან და მიუღებელ იდეოლოგიასთან.[26]

სწორედ მიუღებელი იდეოლოგია, ან განსხვავებული შიდა წესრიგი თამაშობს გადამწყვეტ როლს საფრთხის განცდის ფორმირებაში. დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რომელთა შიდა წესრიგიც ეყრდნობა კანონის უზენაესობას, სამართლიანობას და კონსენსუსის ძიებას, მიაჩნიათ, რომ სხვა სახელმწიფოები, რომელთაც ანალოგიური შიდა წესრიგი აქვთ, იმსახურებენ ნდობას და ამიტომ, არ ქმნიან საფრთხის განცდას. შესაბამისად, დემოკრატიები ერთმანეთს განიხილავენ მოკავშირეებად და პარტნიორებად. რაც შეეხება არადემოკრატიულ ქვეყნებს, ვინაიდან ასეთ ქვეყნებში მთავრობა არ ეყრდნობა ხალხის ნდობას და სამართლიანობას, ის ახორციელებს აგრესიას საკუთარი ხალხის ნების წინააღმდეგ და შესაბამისად, მისგან მოსალოდნელია აგრესია საერთაშორისო ურთიერთობებშიც. სწორედ ამიტომ, ლიბერალური დემოკრატიები ყოველთვის ეჭვით აფასებენ არალიბერალური ქვეყნების ქმედებებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ნატო-ს შექმნის

[25] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996);

[26] Stephen Walt, *The Origins of Alliances* (Ithaca: Cornell University Press, 1986);

პროცესში დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი საფრთხეს ხედავდა საბჭოთა კავშირში და არა აშშ-ში, მიუხედავად ამერიკის ბევრად აღმატებული სამხედრო და ეკონომიკური ძალისა - აშშ იყო „მათი“ სისტემის ნაწილი, ხოლო სსრკ განეკუთვნებოდა „სხვა“ სისტემას.[27]

როგორც თომას რისსე-კაპენი მიიჩნევს, საფრთხის განცდა არ გამომდინარეობს საერთაშორისო ძალის სტრუქტურის ობიექტური შეფასებიდან - ქვეყნები აფასებენ ერთმანეთის საგარეო ქცევას გამომდინარე იმ ნორმებიდან და ღირებულებებიდან, რომელიც მართავს ქვეყნების შიდა პოლიტიკურ პროცესებს და ამით განსაზღვრავს მათ პოლიტიკურ იდენტობას. დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების მქონე ქვეყნების საერთო იდენტობა განსაზღვრავს მეგობართა „შიდა“ და მოწინააღმდეგეთა „გარე“ჯგუფებს. ამიტომ, რეალიზმის შესაბამისი ანარქია განაგებს ურთიერთობებს დემოკრატიულ და ავტორიტარულ სისტემებს შორის, მაშინ როცა ლიბერალური სისტემების ურთიერთობას განსაზღვრავს „დემოკრატიული მშვიდობის“ კონცეფცია.[28]

დემოკრატიები ერთმანეთს აღიქვამენ მშვიდობიან და პროგნოზირებად პარტნიორებად და კარლ დოიჩის განმარტების თანახმად, ქმნიან „პლურალისტულ უსაფრთხოების თანამეგობრობას“, რომლის წევრებსაც აქვთ ურთიერთნდობა და ლოიალობა; ერთმანეთის ინტერესებთან საკუთარი ინტერესის თუნდაც ნაწილობრივ გაიგივების უნარი და შესაძლებლობა, განსაზღვრონ ერთმანეთის ქცევა და იმოქმედონ ამ პროგნოზის მიხედვით.[29] შესაბამისად, დემოკრატიებს შორის ღია კონფლიქტი ძალიან იშვიათია - ისინი ერთმანეთს აღიქვამენ მშვიდობიან, სამართლიან და საერთო ღირებულებების მქონე პარტიორებად. ეს საშუალებას

[27] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996): 367;

[28] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996) 367;

[29] Karl W. Deutsch, *Political Community and the North Atlantic Area* (Princeton: Princeton University Press, 1957): 129;

აძლევს ლიბერალურ დემოკრატიებს, არა მხოლოდ მშვიდობიანად მოაგვაროონ მათ შორის არსებული უთანხმოებები, არამედ გადალახონ საერთაშორისო თანამშრომლობის გზაზე არსებული პრობლემები და შექმნან საერთაშორისო ინსტიტუტები. ამასთან, თომას რისსე-კაპენის თანახმად, ასეთი ინსტიტუტებში ქცევისა და ურთიერთქმედების ნორმები ასახავს საერთო დემოკრატიულ ღირებულებებს და წააგავს შიდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიულ ნორმებს.[30]

უსაფრთხოების ალიანსის შექმნის არა გეოპოლიტიკური, არამედ ღირებულებითი საფუძველი იყო სწორედ ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ არ მოხდა ნატო-ს დაშლა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ - განსხვავებით სამხედრო საფრთხისგან, ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებები არათუ არ გამქრალა, არამედ პირიქით, მოხდა მათი გავრცელების არეალის გაფართოება ჯერ ცენტრალურ ევროპაში, შემდეგ აღმოსავლეთში, სამხრეთ-დასავლეთში და ბოლოს, პოსტ-საბჭოთა სივრცეშიც. აღნიშნული ჰიპოთეზა ხსნის იმ ფაქტსაც, თუ რატომ იყო დემოკრატიული ღირებულებების დაცვა და გავრცელება თავიდანვე ჩადებული ნატო-ს ბუნებაში, როგორც მისი ერთ-ერთი ამოცანა. ეს ამოცანა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ და შესაბამისად, ნატო-ს გაფართოების ტალღები შეიძლება განხილულ იქნას არა მხოლოდ რეალიზმით ახსნადი ძალთა ბალანსის და გეოპოლიტიკის, არამედ კონსტრუქტივიზმიდან გამომდინარე ღირებულებითი საფუძვლების კუთხიდანაც.

კონსტრუქტივისტთა და მის წინამორბედთა ნააზრევის ეს ასპექტი, ასახული თომას რისსე-კაპენის მოსაზრებებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივის შეფასებისას. კერძოდ, როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, პიტერ კატცენშტეინისა და რობერტ კეოჰეინის დებულებების შესაბამისად, საქართველოს ექნება ალიანსში გაწევრიანების რეალური შანსი არა იმდენად გეოპოლიტიკური ან სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე,

[30] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996): 368;

არამედ მაშინ, როდესაც ნატო-ს წევრი სახელმწიფოების საზოგადოებრივი აზრი ჩათვლის, რომ ზოგადი სიმპატიიდან ან საკუთარი ღირებულებებიდან გამომდინარე, მის ინტერესში შედის საქართველოს მეტი კეთილდღეობის მიღწევა. ანუ, როგორც კეოჰეინი მიიჩნევდა, საერთაშორისო რეჟიმი შეიცვლება იმის შესაბამისად, თუ რას იფიქრებს ნატო-ს წევრ ქვეყნებში ხალხი მის ინტერესზე, მათ შორის - სხვა ხალხების (ამ შემთხვევაში, საქართველოს) დაცულობისა და კეთილდღეობის მიღწევაზე. ასეთი საზოგადოებრივი აზრისა და მხარდაჭერის ერთადერთი გზა კი არის საქართველოს აღქმა დემოკრატიად და შესაბამისად, იმ პლურალისტულ უსაფრთხოების თანამეგობრობის ნაწილად, რომლის ინსტიტუციონალიზაციასაც წარმოადგენს ნატო. სწორედ ღირებულებითი მიდგომა და სრულფასოვან დემოკრატიად ჩამოყალიბებაა გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელსაც ქმნის გეოპოლიტიკა და რუსული ფაქტორი. დასავლეთის მხრიდან ნამდვილ დემოკრატიად აღქმულ საქართველოს ექნება ნატო-ში გაწევრიანების, ანუ მეგობართა „შიდა“ ჯგუფში მოხვედრის რეალური შანსი; ამის საპირისპიროდ, თუ საქართველო არ იქნა დემოკრატია, რეალიზმიდან გამომდინარე ნებისმიერ არგუმენტს (ენერგოტრანზიტი, გეოპოლიტიკა, სამხედრო-ლოჯისტიკური მდებარეობა) ყოველთვის დაუპირისპირდება ასევე რეალიზმიდან გამომდინარე კონტრარგუმენტი რუსეთის წინააღმდეგობის სახით.

თომას რისსე-კაპენი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ნატო-ს ფუნქციონირებას სწორედ კონსტრუქტივისტული მიდგომებიდან აფასებდა.[31] ამ პროცესში მისი მიზანი ნატო-ს, როგორც სამხედრო ალიანსის გამძლეობის ახსნა და კენეტ ვოლცთან პაექრობა გახლდათ, რომლის იმდროინდელი (1990-იანი წლები - დ.ბ.) შეხედულებებით, ნატო-სგან უახლოეს მომავალში შეიძლებოდა მხოლოდ სახელი დარჩენილიყო. რისსე-კაპენი იხილავს ნატო-ს არსებობის მანძილზე შექმნილ ორ კრიზისულ სიტუაციას - სუეცის კრიზისს 1956 წელს და კარიბის კრიზისს 1962 წელს. პირველ შემთხვევაში, ნატო, რომელიც სულ რამოდენიმე წლის წინ იყო შექმნილი, რღვევის საფრთხის წინაშე დადგა: შეერთებულმა შტატებმა არა მხოლოდ მხარი არ

[31] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996);

დაუჭირა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ინტერვენციას ეგვიპტეში, არამედ ოპერაციის შეწყვეტა მოითხოვა. ავტორის აზრით, მოკავშირეთა შორის მაშინ წარმოქმნილი დაძაბულობა, ისევე როგორც საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საბოლოო უკანდახევა, მარტო სუსტის მარცხის „რეალისტური“ ლოგიკით ვერ აიხსნება. არსებითია წყენები, გაუგებრობები, მხარეთა რეალური მოტივაციის არასწორი ინტერპრეტაციები და არა მხოლოდ ინტერესთა კონფლიქტი. სწორედ ამიტომ, სუეცის კრიზისს ნატო-ს შიგნით საკონსულტაციო მექანიზმთა რეფორმა მოჰყვა, რამაც ალიანსი პირიქით გააძლიერა.[32]

თუ სუეცის კრიზისი ნორმათა დარღვევის მაგალითი იყო, რისსე-კაპენისათვის კარიბის კრიზისი ნატო-ს კოლექტიური იდენტობის დემონსტრირებად იქცა.[33] საბჭოთა ბირთვული ქობინების კუბაზე განლაგებამ გამოიწვია შეერთებული შტატების მძაფრი რეაქცია, რომლის ფარგლებშიც ამერიკელები არა მხოლოდ მოქმედებდნენ სტრატეგიული არგუმენტებით, არამედ ზრუნავდნენ ალიანსის მოკავშირეთა წინაშე საკუთარი არგუმენტების სანდოობაზეც. პრეზიდენტ კენედიზე გავლენას ახდენდა ბრიტანეთის მშვიდობიანი პოზიცია, აგრეთვე პასუხისმგებლობა დასავლეთ ბერლინის წინაშე, რომელსაც ამერიკისათვის ნიუ იორკის მნიშვნელობა მიენიჭა. ცხადია, ამ მასშტაბის საბჭოთა გამოწვევის წინაშე პრეზიდენტ კენედის არც უმოქმედობა შეეძლო, მაგრამ არც ცალმხრივად და რადიკალურად მოქმედებდა. შესაბამისად, მთელი კრიზისის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები ალიანსის ფარგლებში.[34]

როგორც ითქვა, კონსტრუქტივისტული ხედვით, ნებისმიერი საერთაშორისო ხასიათისა და ბუნების პოლიტიკურ მოვლენებზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ

[32] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 384;

[33] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 385;

[34] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 386-393;

რაციონალური კალკულაციები, არამედ ნორმები, კულტურა და იდენტობა. რაციონალობაც, გარკვეულწილად, ე.წ. დამფუძნებელი, მარეგულირებელი და შემეცნებითი ნორმების ფუნქციაა. შესაბამისად, თუ ნატო ღირებულებითი ერთობაა, იგი შემდგომ გაფართოებაზე უფრო იქნება ორიენტირებული, ვიდრე თვითლიკვიდაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამომწვევი საფრთხე გაქრა. რისსე-კაპენისათვის ნორმა არა მარტო განსაზღვრავს, თუ ვინ ვართ, არამედ ასევე გვყოფს „მათგან“.[35] საბჭოთა საფრთხე აღარ არსებობს, მაგრამ დარჩა არალიბერალური სამყარო, რომელსაც ნატო-ს წევრები მხოლოდ ეჭვით შეიძლება უყურებდნენ.

რისსე-კაპენი ამტკიცებს, რომ “ცივი ომის” დროსაც, ამერიკული ჯარების ევროპაში ყოფნის აუცილებლობა კონგრესისა და ამერიკელთა უმეტესობისათვის ღირებულებითი და არა მატერიულ-სტრატეგიული არგუმენტებით აიხსნებოდა. ნატო-ელთა კოლექტიური იდენტობა არ ყოფილა შეერთებული შტატების ჰეგემონობის ნიღაბი - ევროპა ნამდვილად ზღუდავდა აშშ-ს კონსულტაციის ნორმებით, კორეის ომის დროს თუ ბირთვული სტრატეგიის შემუშავებისას. 1990-იანი წლების შუაში დაწერილი ამ სტატიის ავტორი პროგნოზირებს, რომ შეიძლება ისტორიამ შეცვალოს კოოპერაციის ფორმები, მაგრამ თუ რუსეთში ავტორიტარიზმი იმძლავრებს, ნატო დასავლეთის უსაფრთხოებაში დომინანტურ ინსტიტუტად დარჩება. იგი გააგრძელებს შიდაეროვნული, დემოკრატიული ნორმების ექსტერნალიზაციას წევრებს შორის ურთიერთობებში, ხოლო რეალისტთა ახსნები ქვეყნების მოქმედებათა ეგოისტურ, უნდობლობით დაღდასმულ ბუნებაზე მხოლოდ არადემოკრატიული ქვეყნებისთვის იქნება რელევანტური.[36] ვფიქრობ, ნატო-ს ამგვარ ანატომიას მხოლოდ ორი რამ აკლია: დასაბუთების გაძლიერება შემდგომი არგუმენტებით და ალიანსის გაფართოების გარდაუვალობაზე მსჯელობა. დრომ გადაჭარბებით დაადასტურა რისსე-კაპენის მოლოდინები.

[35] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 367;

[36] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 396-399;

2.2. მოდელები და ცნებები:

დისერტაციის კონცეფტუალურ ჩარჩოსთან კავშირშია კოოპორატიული უსაფრთხოებისა და ჰიბრიდული ომის კონცეფციები. ეს ორი აბსტრაქცია უფრო ორმაგი, პრაქტიკული და აკადემიური მოდელებია, ვიდრე საერთაშორისო ურთიერთობების სრულფასოვანი თეორიები. ისინი ასახავს ნატო-ს მოქმედების არეალში დღეს შექმნილ საფრთხეებსა და თავად ალიანსის "ცივი ომის" შემდგომი პოლიტიკის თავისებურებებს. ორივე ტერმინი არა მხოლოდ საუნივერსიტეტო ტექსტებში, არამედ ანალიტიკური ცენტრების ანგარიშებსა და ოფიციალურ დოკუმენტებში გვხვდება. ამ ტერმინებს იყენებენ ყოფილი თუ მოქმედი პოლიტიკოსები, დიპლომატები, საჯარო მოხელეები და სამხედროები.

ნატო-ს ერთერთი ცნობილი ამერიკელი ექსპერტი, წლების მანძილზე აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და კონგრესის კვლევითი სამსახურის თანამშრომელი სტენლი სლოუნი ალიანსს ევროპაში კოოპერატიული უსაფრთხოების ცენტრად მოიაზრებს. ამასთან დაკავშირებით, სლოუნი აღნიშნავს ისეთ ინიციატივებს, როგორიც იყო ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC), ნატო-რუსეთის საბჭო, პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის".[37] სლოუნის არგუმენტაციიდან გასაგებია ავტორის განზრახვა - დაგვანახოს ნატო, როგორც თავდაცვით ალიანსზე უფრო მეტი. იგი ხაზს უსვამს, რომ დამფუძნებელი ხელშეკრულების მეხუთე მუხლი, რომელიც წევრთა კოლექტურ თავდაცვას ეხება, ორგანიზაციის მთავარი, მაგრამ არაერთადერთი ფუნქციაა. "ცივი ომის" შემდეგ, უფრო აქტუალური ალიანსის ე.წ. „არა-მეხუთე-მუხლის" (non-article-five) ფუნქციები, მაგალითად, მეოთხე მუხლთან დაკავშირებული კრიზისების მენეჯმენტი გახდა. ასევე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამოცანად იქცა თავდაცვითი კოოპერაცია ალიანსის საზღვრებს მიღმა.

[37] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013), 11-12;

ამ ქმედებებს სლოუნი კოლექტიურ უსაფრთხოების ელემენტებს უწოდებს და განმარტავს, რომ ამ ცნების უკან, კლასიკური გაგებით, ერთა ლიგის მაგვარი რეჟიმი მოიაზრება, რომლის მიზანიც წევრებს შორის ძალთა ბალანსის და მშვიდობის უზრუნველყოფაა. სლოუნის თქმით, დღეს ევროპაში მსგავს ამოცანას ეუთო ასრულებს, თუმცა ნატო, წევრობის კანდიდატთა შორის კონფლიქტების რეგულირების წახალისებით, კოლექტიურ უსაფრთხოებას ეხმარება.[38]

მთლიანობაში, სტენლი სლოუნის ნაშრომის სულისკვეთება რელევანტურია მორავჩიკისა თუ კეოჰეინის თეორიების, მაგრამ ნატო-ს, როგორც „ტრანსატლანტიკური გარიგების“ ილუსტრირების სურვილის მქონე მისი ავტორი არ, თუ ვერ შედის თეორიული დებატის სიღრმეში. იგი არც კოოპერატიული უსაფრთხოების მოდელის კონცეფტუალიზაციას ახდენს და არც კოლექტიური უსაფრთხოებისაგან მის განსხვავებას წარმოაჩენს ნათლად. ამ უკანასკნელი საკითხის გასარკვევად საინტერესოა უსაფრთხოების კვლევების ჯორჯ მარშალის ევროპული ცენტრის პუბლიკაციები და, კერძოდ, რიჩარდ კოენის ნაშრომი „ინდივიდუალური უსაფრთხოებიდან საერთაშორისო სტაბილურობამდე“.[39]

კოენის აზრით, მსოფლიოში ერთადერთ კოოპერატიული უსაფრთხოების ორგანიზაციას წარმოადგენს ნატო, ხოლო ევროპის კავშირი აქეთკენ მიისწრაფის.[40] უსაფრთხოების კოოპერატიული მოდელი, რომელიც 2010 წელს ნატო-ს ლისაბონის სამიტზე მიღებული სტრატეგიული კონცეფციის მიხედვით, ალიანსის ძირითად ამოცანად გამოცხადდა,[41] კოენისათვის 1990-იანი წლების ოპტიმისტი ლიბერალი პოლიტიკოსების იდეაა. ავტორი ავსტრალიის ყოფილ პრემიერ მინისტრს ციტირებს,

---

[38] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013), 12-13;

[39] Richard Cohen, “From Individual Security to International Stability”, In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001);

[40] Richard Cohen, “From Individual Security to International Stability”, In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001), 1-2;

[41] “Cooperative Security as NATO’s Core Task” (07.09.2011), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77718.htm?selectedLocale=en (18.11.2020);

რომლის თანახმად, კოოპერატიული უსაფრთხოება უნდა იქნას გაგებული, როგორც კონსულტაცია კონფრონტაციის წილ, გარანტირება შეკავების ნაცვლად, გამჭვირვალეობა გასაიდუმლოებების მაგივრად, პრევენცია გამოსწორების და ურთიერთდამოკიდებულება უნილატერალიზმის სანაცვლოდ.[42]

მაგრამ კოენი პოლიტიკურ განცხადებებზე შორს მიდის და კონკრეტულ კონცეფციას გვთავაზობს, რომლის თანახმადაც, კოოპერატიული უსაფრთხოება სტრატეგიული სისტემაა, რომელიც ოთხი ურთიერთგამაძლიერებელი „უსაფრთხოების რგოლის“ ერთობას წარმოადგენს.[43] ეს რგოლებია: ინდივიდუალური უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება, კოლექტიური თავდაცვა და გარე პერიმეტრზე სტაბილურობის გავრცელება. ავტორი განმარტავს ამ კომპონენტთა ლოგიკას, რომელთაგან ორი კარგად ცნობილი და აღიარებულია - კოლექტიური უსაფრთხოება წარმოადგენს ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ და სამართლებრივ ვალდებულებას, დაიცვან შეთანხმებაზე ხელმომწერი ინდივიდუალური ქვეყნების უსაფრთხოება; ხოლო კოლექტიური თავდაცვა ასახავს ყველა სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვან ერთმანეთი გარეშე აგრესიისგან. წარმოდგენილი ნაშრომისთვის განაკუთრებულ ინტერესს პირველი და მეოთხე კომპონენტი წარმოადგენს. ამათგან, პირველი ამ პოლიტიკის გამტარებელი აქტორის ღირებულებებზე მიუთითებს, მეოთხე კი სისტემაში თავიდანვე ჩანერგილ სურვილზე, გაავრცელოს ღირებულებებზე დაფუძნებული სტაბილურობა საზღვრებს გარეთ.

კოენის აზრით, ბოლო წლების საერთაშორისო პოლიტიკური და სამართლებრივი ტენდენციები მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალური უსაფრთხოება სულ უფრო მეტად ხდება მთლიანად უსაფრთხოების ძირითადი განმსაზღვრელი ელემენტი და ადამიანის უფლებების დაცვა წარმოადგენს დასავლური

[42] Richard Cohen, “From Individual Security to International Stability”, In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001), 4;

[43] Richard Cohen, “From Individual Security to International Stability”, In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001);

უსაფრთხოების ინსტიტუტების პირველ და მთავარ კომპონენტს. უსაფრთხოების თანამედროვე გაგება ეყრდნობა სწორედ ინდივიდების უფლებათა დაცვას, რის გარეშეც ვერ მოხდება გრძელვადიანი და ქმედითი უსაფრთხოების სისტემის შექმნა. შესაბამისად, უსაფრთხოების ასეთი სისტემის წევრი ქვეყნები უნდა იზიარებდნენ ძირითად ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებს.

ამავე დროს, ქმედითობის მისაღწევად და შედეგის მისაღებად, უსაფრთხოების სისტემა უნდა იყოს პროაქტიული, რაც გულისხობს მისი წევრების მზადყოფნას, ჩაერთონ კოლექტიურ დიპლომატიურ, ეკონომიკურ და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო მოქმედებებშიც მათი საერთო სივრცის გარეთ მიმდინარე იმ პროცესების მართვაში, რომლებიც ემუქრება მათ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას. სწორედ ამას გულისხმობს კოოპერატიული უსაფრთხოების მეოთხე კომპონენტი, ანუ გარე პერიმეტრზე სტაბილურობის გავრცელება. უსაფრთხოების სისტემის არაწევრი ქვეყნები, რომლებიც იზიარებენ ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებებს, სარგებლობენ ამ კომპონენტით, რაც ზრდის მათ უსაფრთხოებას, აღრმავებს თანამშრომლობას სისტემის წევრ ქვეყნებთან და პერსპექტივაში უჩენს მათ შანსს, თვითონაც გახდნენ სისტემის წევრები.

ავტორი განიხილავს მთელ რიგ უსაფრთხოებით ორგანიზაციებს და ასკვნის, რომ ოთხივე კომპონენტი ერთადერთ ორგანიზაციას, ნატო-ს ახასიათებს. თუმცა, კოენის აზრით, ევროკავშირიც ავლენს კოოპერატიული უსაფრთხოების ორგანიზაციად ქცევის ნიშნებს და უფრო აქტიური ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების, აგრეთვე საზღვრებს გარეთ სტაბილურობისა და ლიბერალური ღირებულებების უფრო აქტიურად გავრცელების შემთხვევაში, ევროკავშირსაც შეუძლია სრულფასოვან უსაფრთხოების ორგანიზაციად ჩამოყალიბება. აღსანიშნავია, რომ ნაშრომი დაწერილია 2001 წელს - მას შემდეგ განვლილმა დრომ აჩვენა, რომ ევროკავშირი, თუმცა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მოძრაობს კოენის მიერ რეკომენდირებული მიმართულებით, რაც ადასტურებს კოენის პროგნოზის ვალიდურობას. ამდენად, კოოპერატიული უსაფრთხოების თეორიის ის დასკვნა, რომელიც შეეხება ნატო-ს და ცალსახად მიიჩნევს, რომ ალიანსის მხრიდან

ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დაცვის და მათი გავრცელების ამოცანა შეადგენს ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის აუცილებელ კომპონენტს, ნიშანდობლივი და საყურადღებოა ჩემი ჰიპოთეზისათვის.

ლიტერატურაში მოიძებნება ბევრი მნიშვნელოვანი წყარო, რომელიც შეეხება უკანასკნელი წლების ერთ-ერთ მთავარ უსაფრთხოების გამოწვევას, ჰიბრიდულ ომს. ამ მხრივ, საყურადღებოა ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შექმნილი ანალიტიკური შრომები ჰიბრიდული ომის არსისა და მისი რუსული თავისებურებების შესახებ. ამ მხრივ, მაგალითად, აღსანიშნავია შოთა ღვინერიას სტატია ჰიბრიდული ომის საინფორმაციო კომპონენტის თაობაზე.[44] 2020 წელს, თინათინ ხიდაშელისა და რიგი სხვა ავტორების მონაწილეობით, გამოიცა კრებული „ჰიბრიდული ომების ანატომია“. მათ შორის, ცალკე უნდა აღინიშნოს გიორგი ბუტიკაშვილის სტატია „ომის კომპლექსური ხასიათი 21-ე საუკუნეში“, სადაც ავტორი არაკონვენციური ომების რუსული მოდელის ევოლუციას განიხილავს.[45]

ჰიბრიდული ომის არსსა და მეთოდებზე არსებულ შრომებში შეიძლება გამოვყოთ დავით დარჩიაშვილის სტატია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და მისი მიზეზების შესახებ.[46] ნაშრომი საინტერესოა იმით, რომ არა მხოლოდ განიხილავს ჰიბრიდული ომის შინაარსსა და საშუალებებს, არამედ ამას აკეთებს კონკრეტული და ჩვენთვის გასაგები მაგალითის შესწავლითა და გაანალიზებით. სტატიაში დეტალურადაა განხილული 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებამდე პერიოდი სწორედ ჰიბრიდული ომის მეთოდების კონტექსტში. ავტორის მიერ გამოყენებული უსაფრთხოების თანამედროვე კონცეფციით, ჰიბრიდული ომი განიხილება, როგორც ისეთი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც შლის საზღვარს

---

[44] Shota Gvineria, “Information Warfare As Russia’s Hybrid Warfare Tool”, In *Information Warfare – New Security Challenge for Europe* (Bratislava: Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), 2017);

[45] გიორგი ბუტიკაშვილი, „ომის კომპლექსური ხასიათი 21-ე საუკუნეში“, *ჰიბრიდული ომების ანატომია* (თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L, 2020);

[46] David Darchiashvili, “Russo-Georgian War of August 2008: Clash of Ideologies and National Projects in the Era of Hybrid Warfare”, Sojateadlane (Estonian Journal of Military Studies), Vol. 7 (July 2018), www.ksk.edu.ee/teadus-ja-arendustegevus/publikatsioonid (15.11.2020);

ომს და მშვიდობას შორის, როგორც დიპლომატიური, ეკონომიკური და საინფორმაციო მეთოდების, ასევე სპეციალური და არარეგულარული სამხედრო ძალების გამოყენებით. ეს მოქმედებები გამოიყენება სამიზნე ქვეყნის შიგნით მოქმედი რადიკალური ანტისახელისუფლებო ძალების მხარდასაჭერად იმ მიზნით, რომ მომზადდეს ნიადაგი პირდაპირი სამხედრო ინტერვენციისთვის, მათ შორის ხშირად - მშვიდობის დამყარების საბაბით. დავით დარჩიაშვილი რეტროსპექტულად იყენებს აღნიშნულ კონცეფციას 2008 წლის სამხედრო ინტერვენციამდე პერიოდში რუსეთის მოქმედებების გასაანალიზებლად და ასკვნის, რომ საქართველო იყო რუსეთის მხრიდან არადეკლარირებული ჰიბრიდული შეტევის ობიექტი მინიმუმ 2006 წლიდან.

ჰიბრიდული ომის ხასიათზე და აღმოსავლეთ ევროპის წინაშე არსებულ ამ გამოწვევაზე მსჯელობაში მეც შევიტანე წვლილი დავით დარჩიაშვილთან თანაავტორობით შექმნილ სტატიაში.[47]

სრულიად ბუნებრივია ქართველი ავტორების მცდელობა, ქვეყნის რელევანტური გამოცდილება უცხოური ანალიზისა და რუსული წყაროების გათვალისწინებით იქნას განხილული. ნაშრომის შემდგომ ნაწილებში კვლავ დავუბრუნდები წყაროების მიმოხილვას, დასავლური ანალიტიკური მასალებიდან კი აღსანიშნავია 2015 წლის მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციის ანგარიში, რომლის თანახმად, ჰიბრიდული ომი გულისხმობს რეგულარული, ირეგულარული და სპეციალური ძალების კომბინაციას, ადგილობრივი ამბოხებულების მხარდაჭერას, დიპლომატიას, პროპაგანდას და საინფორმაციო ომს, ეკონომიკურ ომს და კიბერთავდასხმებს.[48]

რანდ კორპორაციის (RAND Corporation) 2017 წლის უფრო დეტალურ ანგარიშში, რომელიც უშუალოდ რუსულ ჰიბრიდულ ომს მიეძღვნა, შეფასება იგივეა, ოღონდ

47 David Bakradze and David Darchiashvili, "The EU Eastern Partnership Initiative and Georgia - Context and Perceptions, Experiences and Prospects", Politeja, Vol. 16 No. 5(62) (October 2019): 117-140;

48 Munich Security Report 2015, Munich Security Conference, https://www.securityconference.de/fileadmin/MunichSecurityReport/MunichSecurityReport_2015.pdf/ (22.03.2021);

დამატებითი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ყველა ამ მეთოდის გამოყენება რუსეთმა საქართველოსა და უკრაინის მიმართ 2003-04 წლების „ფერადი რევოლუციების“ შემდეგ დაიწყო და რუსული ჰიბრიდული ომის მეთოდები ზოგჯერ საბჭოთა სპეცსამსახურების „აქტიურ ზომებს“ იმეორებს.[49] ამ ზომებს შორის კი საგანგებო ყურადღება ეთმობა ე.წ. რეფლექსიურ კონტროლს, რაც ნიშნავს მოწინააღმდეგის ნების წარმართვას რუსეთისათვის ხელსაყრელი ნაბიჯების გადასადგმელად. ეს მიიღწევა ოპონენტის ხედვებსა და აღქმებზე ზემოქმედებით, რაშიც წამყვან როლს ინფორმაციული პროპაგანდა თამაშობს. პროპაგანდის ელემენტი ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰიბრიდული ომის სტრატეგიის იმ ნაწილში, რომლის ამოცანაა მსხვერპლი სახელმწიფოს წარმოჩენა აგრესორად, როგორც ეს მოხდა საქართველოს შემთხვევაში. იმავე რანდ კორპორაციის (RAND Corporation) ექსპერტების 2017 წლის ანგარიშის თანახმად,[50] ჰიბრიდული ომის რუსული ტაქტიკა მიზნად ისახავს ომს და მშვიდობას შორის მკაფიო საზღვრის წაშლას საინფორმაციო კამპანიის, არარეგულარული და ელიტური სამხედრო შენაერთების გამოყენების გზით. ეს ტაქტიკა გამოყენებული იყო როგორც ყირიმში, ასევე საქართველოს წინააღმდეგაც 2008 წლის ომის დაწყებამდე და ემსახურებოდა სრულმასშტაბიანი ომისთვის მოსამზადებელი პირობების შექმნას, აგრეთვე გარეშე დამკვირვებელთათვის ამ ომის დაწყების მომენტის რუსეთისთვის ხელსაყრელი ფორმით დაფიქსირებას.

საინტერესოა, აგრეთვე, ატლანტიკური საბჭოს 2017 წლის პუბლიკაცია, რომელიც, უკვე ნახსენები ასპექტების გარდა, აქცენტს იმაზეც აკეთებს, რომ რუსულ ჰიბრიდულ გამოწვევებზე პასუხი რუსული მსოფლმხედველობის გაგებას მოითხოვს.[51] ამავე

[49] Christopher Chivvis, “Understanding Russian “Hybrid Warfare” And What Can Be Done About It”, RAND Corporation Testimonies, CT-468 (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/testimonies/CT400/CT468/RAND_CT468.pdf (04.05.2021): 11-12;

[50] Christopher Chivvis, “Understanding Russian “Hybrid Warfare” And What Can Be Done About It”, RAND Corporation Testimonies, CT-468 (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/testimonies/CT400/CT468/RAND_CT468.pdf (04.05.2021): 11-12;

[51] Franklin Kramer and Lauren Speranza, “Meeting the Russian Hybrid Challenge, A Comprehensive Strategic Framework”, Atlantic Council (May 2017): 4;

ნაშრომში ხაზგასმულია ისიც, რომ დასავლურ ქვეყნებში სამოქალაქო უწესრიგობების წახალისებაც რუსული ჰიბრიდული ომის ნაწილია. ავტორებს ჰიბრიდული ომის კონტექსტში აქვთ დანახული რუსული ბიზნეს კულტურის წახალისება საზღვარგარეთ, რაც ადგილებზე „გავლენის აგენტებს“ თუ „ტროას ცხენებს“ წარმოშობს.[52]

პუბლიკაცია სრულდება რეკომენდაციებით ტრანსატლანტიკური თანამეგობრობისათვის. მასში აქცენტია ნატო-ევროკავშირის თანამშრომლობის გაძლიერებაზე ჰიბრიდული ომის საწინააღმდეგო ზომების შემუშავებასა და გატარებაში. სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი ამ მიმართულებით რუსეთის ნატო-ს არაწევრ მეზობლებთან თანამშრომლობაზე.

ასევე ჰიბრიდული ომის მეთოდებსა და საფრთხეებს, კონკრეტულად ნატო-ს კონტექსტში, ეძღვნება ქეთრინ ებოტის[53] ნაშრომი, რომელშიც განხილულია ჰიბრიდული ომის კონცეფცია, ყირიმის შემთხვევის მაგალითზე იდენტიფიცირებულია ამ ტიპის კონფლიქტში ნატო-ს პოლიტიკური და სამხედრო შეზღუდვები, აგრეთვე შეფასებულია ალიანსის მცდელობები, ადაპტაცია განიცადოს და უფრო ეფექტურად უპასუხოს ჰიბრიდული ომის გამოწვევებს. ებოტის აღწერით, ჰიბრიდული ომი არის ომი, რომელიც მოიცავს სახელმწიფო და არასახელმწიფო მოთამაშეების მიერ განხორციელებული პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური, სოციალური და ინფორმაციული ქმედებების ერთდროულ ნარევს და მიზნად ისახავს პოლიტიკური ამოცანის მიღწევას კონვენციული, ასიმეტრიული, ტერორისტული, ძირგამომთხრელი და კრიმინალური მეთოდებით.

ებოტის შეფასებით, ყირიმის შემთხვევის მაგალითზე, ჰიბრიდული ომის მეთოდების ასეთმა მრავალფეროვნებამ გამოავლინა ნატო-ს არაეფექტურობა და აჩვენა, რომ

[52] Franklin Kramer and Lauren Speranza, “Meeting the Russian Hybrid Challenge, A Comprehensive Strategic Framework”, Atlantic Council (May 2017): 9;
[53] Katie Abbott, “Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization*”,* API6999-Major Research Paper, University of Ottawa (2016), https://ruor.uottawa.ca/bitstream/10393/34813/1/ABBOTT%2C%20Kathleen%2020161.pdf (10.04.2021);

მთელი რიგი მიმართულებებით ალიანსი არ არის მზად ახალ საფრთხეებთან საბრძოლველად.

შესაბამისად, ებოტის აზრით, ამ გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია, ნატო-ს მხრიდან უახლოეს მომავალში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, მათ შორის, ევროკავშირთან სისტემური თანამშრომლობის გაღრმავება. ეს თანამშრომლობა, პირველ რიგში, უნდა გამოიხატებოდეს დემოკრატიული ღირებულებების, კარგი მმართველობის, სოციალური ერთობისა და უმცირესობების მიმართ ტოლერანტული კლიმატის გავრცელებასა და პროაქტიულ წახალისებაში იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან ნატო-სა და ევროკავშირის წევრები, ესაზღვრებიან რუსეთს და იმყოფებიან ჰიბრიდული შეტევის მაღალი რისკის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს სტრატეგიულ იდენტობაში თავიდანვე ჩადებულია დასავლური ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება და მხარდაჭერა, მას არ გააჩნია არც მანდატი და არც აუცილებელი მექანიზმები ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების, კარგი მმართველობის, ანტიკორუფციული და სოციალური ერთობის იმ მექანიზმების შესაქმნელად და მხარდასაჭერად, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია დასავლური ლიბერალური წესრიგი. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირს, როგორც არასამხედრო ძალას, გააჩნია უნარი და შესაძლებლობა, გააძლიეროს და წაახალისოს დემოკრატიული ინსტიტუტები მის საზღვრებს გარეთ, მათ შორის - დაინტერესებული ქვეყნებისთვის სამომავლო გაწევრიანების შეთავაზების გზით. სწორედ ამიტომ, დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების საკითხში თანამშრომლობა ამ ორ მთავარ დასავლურ ინსტიტუციას შორის არის უაღრესად მნიშვნელოვანი ჰიბრიდული საფრთხეების შესაკავებლად.

ებოტი მიიჩნევს, რომ ძლიერი, დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა და მოსახლეობის ყველა ჯგუფს შორის სოციალური ერთობის განცდის შექმნა შეიძლება იყოს გადამწყვეტი ფაქტორი, თუ რამდენად წარმატებულად და მარტივად მოახერხებს ჰიბრიდული ომის მეთოდები მოქმედებას სამიზნე ქვეყანაში. ქვეყნები, რომელთა მთავრობები და დემოკრატიული ინსტიტუციები სუსტია, უფრო

მოწყვლადი არიან საგარეო ზეწოლის მიმართ და ამით ქმნიან ხელსაყრელ გარემოს ჰიბრიდული შეტევისთვის.[54]

აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოდგენილი ნაშრომის მიზნებისთვის, რადგან განსაზღვრავს, რომ სამომავლოდ, ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გზა გადის ნატო-სა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებში დემოკრატიული ღირებულებების მეტად გავრცელებაზე.

ასევე აღსანიშნავია კიდევ ერთი ანალიტიკური ნაშრომი, რომელიც რუსულ ჰიბრიდულ გამოწვევას ეძღვნება.[55] მასში ნიკლას ნილსონი აღნიშნავს, რომ ჰიბრიდულ ომში არაფერია ისეთი, რაც ომებში ადრე არ გამოიყენებოდა. ჰიბრიდულ ტაქტიკას საქართველოს წინააღმდეგ ავტორი 1990-იან წლებშიც ხედავს. თუმცა, 21-ე საუკუნეში მიმდინარე მოვლენები მისთვისაც განსაკუთრებულია, რადგან რუსეთმა „ფერადი რევოლუციები“ სწორედ დასავლეთის ჰიბრიდულ ტაქტიკად აღიქვა და კიდევ უფრო მნიშვნელოვნად ჩათვალა ომის არატრადიციული მეთოდებისათვის მზადება და მათი გამოყენება. ავტორის აზრით, მთავარი საკითხია, რამდენად შეძლებს ნატო რუსულ ჰიბრიდულ მეთოდებზე რეაგირებას საკუთარ ტერიტორიაზე. ავტორის მოსაზრებით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ფაქტობრივად შეაჩერა ნატო-ს გაფართოება, ყირიმის ანექსიამ კი ალიანსს ძველი მისია - აგრესიული მეზობლისაგან წევრების დაცვა გაახსენა.

ჰიბრიდული ომის თემა საკვანძოა ნატო-ს დღევანდელი მიზნების, სტრატეგიისა და მის წინაშე არსებული საფრთხეების გასაგებად. ალიანსი მნიშვნელოვანწილად უცვლელია, იგი თავის მყარ პრინციპებზე დგას და ეს მტკიცებულება წინამდებარე

[54] Katie Abbott, “Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization*”,* API6999-Major Research Paper, University of Ottawa (2016), https://ruor.uottawa.ca/bitstream/10393/34813/1/ABBOTT%2C%20Kathleen%2020161.pdf (10.04.2021): 29;

[55] Niklas Nilsson, “Russian Hybrid Tactics in Georgia”, Silk Road Paper (2018), Central Asia-Caucasus Institute and Silk Road Studies Program, https://silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2018_01_Nilsson_Hybrid.pdf (15.10.2020);

ნაშრომის ერთერთი მთავარი იდეური ხაზია. მაგრამ ნატო მუდმივად განიცდიდა ადაპტაციას. სხვაგვარად იგი ვერ დარჩებოდა სახელმწიფოთა ყველაზე ხანგრძლივვადიან იდეურ ერთობად თანამედროვე ისტორიაში. შესაბამისად, ნატო 2014 წლამდე და ნატო დღეს ერთი და იგივე არ არის. ამ წელს, უელსის სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში ალიანსის წევრებმა ჩაწერეს, რომ: „ ... ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ნატო-ს შეეძლოს, ეფექტიანად გაუმკლავდეს ჰიბრიდული საფრთხეებიდან მომდინარე სპეციფიკურ გამოწვევებს, რომელთა ფარგლებშიც ღია და ფარული სამხედრო, პარა-სამხედრო და სამოქალაქო ქმედებების ფართო სპექტრი გამოიყენება ძალზე ინტეგრირებული ფორმით. არსებითია, რომ ალიანსი ფლობდეს საჭირო საშუალებებსა და პროცედურებს, რომლებიც აუცილებელია ჰიბრიდული ომის საფრთხეთა შესაკავებლად და მათზე ეფექტიანად საპასუხოდ ... ეს ასევე მოიცავს სტრატეგიული კომუნიკაციების გაუმჯობესებას, საწვრთნელი სცენარების განვითარებას ჰიბრიდულ საფრთხეთა გათვალისწინებით, სხვა ორგანიზაციებთან ნატო-ს კოორდინაციის გაძლიერებას“.[56]

ბუნებრივია, მსგავსი ცნება თუ კონცეფტი არ გაჩნდებოდა არა მხოლოდ რეალური პრობლემის წარმოქმნის, არამედ მასზე აკადემიური რეფლექსიის გარეშეც. თავად მსგავსი ოფიციალური ტექსტი კი, თავის მხრივ, იწვევდა შემდგომ ანალიტიკურ და აკადემიურ ნაბიჯებს ჰიბრიდული ომისა თუ საფრთხეების დეფინიციის თვალსაზრისით.

რამდენადაც არ უნდა გრძელდებოდეს დავა იმაზე, ახალი ფენომენია თუ არა ჰიბრიდული ომი, ვფიქრობ, მტრული მოქმედების მრავალგვარი არატრადიციული მეთოდის ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანება და მისთვის ჰიბრიდული ომის დარქმევა მნიშვნელოვანია როგორც თანამედროვე ევროატლანტიკური უსაფრთხოების პრობლემების გასაცნობიერებლად, ისე ამ პრობლემებთან დაპირისპირების ეფექტური გზების მოძებნისთვის.

---

[56] Wales Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Wales (05 September 2014), Press Release (2014) 120, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm (19.11.2020);

2.3. შემთხვევების კვლევები:

თავისთავად, ნატო ზემოთ დახასიათებული თეორიების, მოდელების და ცნებების ძალიან მნიშვნელოვანი კონკრეტული შემთხვევაა და ამდენად, მისი კვლევებიც შესაბამისად მრავალფეროვანია. ნატო-ს მკვლევარები ხან საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს იყენებენ, ხანაც უფრო ისტორიულ თუ პროცესისათვის თვალის გადევნების (process tracing) მეთოდს.

მსგავსი ნაშრომია სტენლი სლოუნის უკვე ნახსენები წიგნი, რომელიც ეძღვნება ნატო-ს ფორმირება-ტრანსფორმირების ისტორიას ალიანსის შექმნის პირველი წლებიდან დღემდე.[57] როგორ მოახერხა „ცივი ომის" დროს საბჭოთა სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ შექმნილმა ალიანსმა გადარჩენა და უფრო მეტიც - გაფართოება და გაძლიერება, ბერლინის კედლის დანგრევის და ამ საფრთხის გაქრობის შემდეგ? სლოუნის აზრით, ეს მოხდა იმიტომ, რომ ნატო განსხვავდება ისტორიაში მანამდე არსებული ყველა სხვა სამხედრო ალიანსისგან ორი ძირითადი ფაქტორით: 1. ალიანსის ქარტია თავიდანვე ძალიან მოქნილად და ფართოდ განსაზღვრავდა საფრთხეებს, არ ჰქონდა დროში მოქმედების შეზღუდვა და არ იყო მიმართული კონკრეტული მოწინააღმდეგის წინააღმდეგ; 2. ნატო იყო ლიბერალური დემოკრატიების ალიანსი და მას გააჩნდა ძლიერი ღირებულებითი საფუძველი.

სლოუნის აზრით, სწორედ საერთო ღირებულებითი საფუძველი განსაზღვრავს ნატო-ს უნიკალურ უნარს, გადალახოს შიდა კრიზისები და მიუხედავად მოკავშირეთა შორის არსებული უთანხმოებებისა, გაძლიერებული გამოვიდეს ყველა კრიზისული ვითარებიდან. სლოუნი მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა კრიზისი საკუთარ კვალს ამჩნევს ალიანსს, მოკავშირეები არ აძლევენ საშუალებას

[57] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013);

უთანხმოებებს, დააზიანოს და დაარღვიოს ალიანსის ერთიანობა. პირიქით - უმეტეს შემთხვევებში, კრიზისის აღქმა აჩენს პრობლემის მოგვარების მოტივაციას.[58]

მიუხედავად იმისა, რომ „ცივი ომის“ დროს ალიანსს უწევდა გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა დემოკრატიული ღირებულებების თვალსაზრისით, სლოუნის აზრით, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და პიროვნული თავისუფლება მაინც რჩებოდა ალიანსის ძირითად შემაკავშირებელ საფუძვლად - სწორედ ამან განაპირობა, რომ „ცივი ომის“ დამთავრებას არ მოყვა ნატო-ს დაშლა და ალიანსი ასეთი მიმზიდველი აღმოჩნდა ყოფილი სოციალისტური/საბჭოთა ბლოკის სახელმწიფოებისთვის.[59] ამითვე აიხსნება ნატო-ს სულ უფრო მეტად გადაქცევა პოლიტიკურ ალიანსად - დაწყებული 1994 წლიდან, როდესაც შეიქმნა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა, ნატო სულ უფრო მეტად ასრულებს პოლიტიკურ ფუნქციას ალიანსის არაწევრ ქვეყნებში დემოკრატიული ღირებულებებისა და სტაბილურობის გავრცელების კუთხით და თავისი შინაარსით, ფაქტობრივად, წარმოადგენს არა კოლექტიური თავდაცვის, არამედ კოოპერატიული უსაფრთხოების ორგანიზაციას.

სტენლი სლოუნის ნაშრომი ღირებულია სადისერტაციო კვლევის მიზნებისთვის, ვინაიდან სლოუნი პრაქტიკოსის პოზიციიდან განიხილავს ნატო-ს ტრანსფორმაციას და დემოკრატიული ღირებულებების მნიშვნელობას ალიანსის სტრატეგიაში. მისი, როგორც პრაქტიკოსის, გამოცდილებიდან გამომდინარე დასკვნები კარგად შეესაბამება საერთაშორისო ურთიერთობების ჩვენს მიერ განხილულ და გამოყენებულ ჩარჩო-თეორიებს.

[58] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 286;
[59] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 253;

ნატო-ს მკვლევარისათვის საინტერესოა რებეკა მურის ნაშრომი.[60] არსებითად, ის ლიბერალიზმისა და სოციალური კონსტრუქტივიზმის სულისკვეთებითაა დაწერილი. რებეკა მური აჩვენებს, რომ "ცივი ომის" შემდგომ ნატო-მ დაიწყო საზღვრებს გარეთ შექმნილ ახალ გამოწვევებთან გამკლავება იმ პოლიტიკური ინსტრუმენტებით, რომლებიც გააქტიურდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც მოკავშირეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელი იყო მთელს კონტინენტზე დემოკრატიულ ღირებულებებზე, პირად თავისუფლებებსა და კანონის უზენაესობაზე დამყარებული ახალი წესრიგის შექმნა. სწორედ ამიტომ, ნატო-ს არსებული საზღვრების აღმოსავლეთით, ანუ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხოების სისტემის შექმნა განუყოფლად გახდა დაკავშირებული აღნიშნული ღირებულებების გავრცელებასთან. დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებამ, თავის მხრივ, გარდაუვლად მოითხოვა ნატო-ს ფუნქციონირების პოლიტიკური განზომილების გაფართოებაც. აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ნატო-ს ტრანსფორმაციის შემდგომ ეტაპებზე.

რებეკა მურის მიხედვით, ალიანსის ტრანსფორმაციის მთავარი არსი გახლდათ ის, რომ, ნატო აღარ იყო არსებული წესრიგის დამცველი. ამის ნაცვლად, ის ჩაერთო ახალი უსაფრთხოების სისტემის შექმნაში, რომელიც დაემყარებოდა ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებს და ასევე მოიცავდა კოლექტიური თავდაცვის ტრადიციული ზონის გარეთ არსებულ ტერიტორიებსაც.[61] მაგრამ დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ევროპული უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნა საჭიროებდა ახალ ინსტრუმენტებს, რომლებიც დაეხმარებოდა ნატო-ს ამ ღირებულებების გავრცელებაში. სწორედ ამიტომ, ალიანსმა დაიწყო ახალი პოლიტიკური მექანიზმების შექმნა, რისი მაგალითებიცაა იმ პერიოდში შექმნილი პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის", ევროატლანტიკური უსაფრთხოების საბჭო, ნატო-რუსეთის საბჭო, ნატო-უკრაინის კომისია.

[60] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007);
[61] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 31;

დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების პროცესის ნაწილი იყო ნატო-ს გაფართოების დაწყებაც, ვინაიდან ახალი წევრების მიღება გახდა ერთ-ერთი საშუალება აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული სისტემის დასამკვიდრებლად. გაფართოების პროცესის ლოგიკა უშუალოდ გამომდინარეობდა ნატო-ს 1990 წლის ლონდონის სამიტის გადაწყვეტილებებიდან ალიანსის პოლიტიკური განზომილების გაღრმავების შესახებ - ნატო განიხილებოდა, როგორც საერთო ღირებულებებისა და ისტორიული კავშირების მქონე დემოკრატიების ალიანსი და შესაბამისად, არ არსებობდა საფუძველი, მასში გაწევრიანებაზე უარი ეთქვათ ასეთივე ღირებულებებისა და კავშირების მქონე ქვეყნებისთვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. რებეკა მურის თანახმად, უსაფრთხოების ახალი სისტემის აშენება ნიშნავდა ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებების მქონე სახელმწიფოების თანამეგობრობის გაფართოებას და ამ ღირებულებების საფუძველზე ერთმანეთთან მშვიდობიან თანაცხოვრებას.[62]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, „ცივი ომის“ შემდგომ ეტაპზე ნატო-ს მისიის შეფასებისას რებეკა მური ასკვნის, რომ 1990-იან წლებში ნატო სულ უფრო მეტად განიხილავდა უსაფრთხოებას, როგორც პოლიტიკურ, და არა როგორც სამხედრო ამოცანას. საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული დიალოგი, თანამშრომლობა და პარტნიორობა გამოცხადებული იყო, როგორც მომავალ საუკუნეში მშვიდობის მიღწევის მთავარი გზა.[63]

ბალკანეთის კონფლიქტებმა და 11 სექტემბრის ტერორისტულმა შეტევამ მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპული უსაფრთხოების გარემო და დღის წესრიგში დააყენა ნატო-ს მორიგი ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ამ პროცესში, რებეკა მურის თანახმად, დემოკრატიული ღირებულებების დაცვისა და გავრცელების ამოცანის მნიშვნელობა ალიანსისთვის არათუ არ შემცირებულა, არამედ პირიქით, გაიზარდა კიდეც - როგორც ფუნქციონალურად, ასევე გეოგრაფიულადაც. მაგრამ

[62] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 27;
[63] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 33;

მთავარი აქცენტი სახელმწიფოებიდან გადავიდა არასახელმწიფო მოთამაშეებზე და მთავარი ცვლილება, რომელიც მოიტანა ახალმა გარემომ, იყო მეტი აქცენტი პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებზე. „ცივი ომის“ დასრულებამ მინიმუმამდე შეამცირა მოკავშირეთა წინააღმდეგ მტრული სახელმწიფოს ტერიტორიული აგრესიის საფრთხე და წინა პლანზე გამოვიდა ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების, ტერიტორიული დავების, ავტოკრატიული რეჟიმების და ადამიანის უფლებების დარღვევების, სახელმწიფოთა რღვევის შედეგად წარმოშობილი პრობლემები.

ტრანსფორმაციის შემდგომ ეტაპზე, ტერორიზმის საფრთხემ აჩვენა, რომ უსაფრთხოება განხილულ უნდა იყოს გლობალურ და არა რეგიონულ დონეზე. ამის დადასტურება იყო ალიანსის 2004 წლის სტამბოლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლითაც გაძლიერდა ნატო-ს პარტნიორული ურთიერთობები ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და დაიწყო თანამშრომლობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან. ეს გადაწყვეტილებები ასახავდა მოკავშირეების ხედვას, რომ გლობალური საფრთხეების ეპოქაში ნატო-ს ამოცანაა უსაფრთხოების პროექცირება არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ევროპის საზღვრებიდან მნიშვნელოვნად დაშორებულ რეგიონებშიც. ეს მიდგომა წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას ნატო-ს ტრადიციული, ევრო-ცენტრული ხედვისგან, რომელიც არსებობდა ალიანსში მისი შექმნის დღიდან და „ცივი ომის“ შემდეგაც - ფაქტობრივად, სტამბოლის სამიტზე დასრულდა მუდმივი დავა იმის თაობაზე, უნდა იყოს თუ არა ნატო ჩართული მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე პროცესებში.

ამრიგად, მიუხედავად კრიზისების მენეჯმენტის და ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით კონკრეტული სამხედრო და ოპერატიული შესაძლებლობების განვითარებისა, უცვლელი დარჩა ალიანსის მისიის მთავარი შემადგენელი ელემენტი - უსაფრთხოების გარანტირება დემოკრატიული ღირებულებების დაცვისა და გავრცელების გზით. რებეკა მურის აზრით: „საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი სისტემა შინაარსით ძალიან ჰგავს ემანუელ კანტის მიერ აღწერილ მოდელს - სახელმწიფოების ზრდადი მშვიდობიანი ფედერაცია, დამყარებული ლიბერალურ-

დემოკრატიულ საერთო ვალდებულებებზე და გავრცობილი სრულად ინტეგრირებულ ევროატლანტიკურ სივრცეზე. მიუხედავად იმისა, რომ ნატო ერთგული რჩება ტერიტორიული დაცვის ვალდებულებისა, უსაფრთხოების ახალი კონცეფცია ნაკლებად არის ორიენტირებული სახელმწიფოებზე, ნაკლებად ეყრდნობა ჩაურევლობის შესახებ ვესტფალიურ პრინციპს და მჭიდროდაა დაკავშირებული ინდივიდის უფლებათა ცნებასთან. როგორც ადასტურებს ალიანსის ყველა მნიშვნელოვანი ოპერაცია - ბალკანეთის სამშვიდობო მისიები, ტერორიზმთან ბრძოლა ნატო-ს ფარგლებს გარეთ, ახალი საპარტნიორო ფორმატების შექმნა, ახალი წევრების მიღება - უსაფრთხოება არა მხოლოდ მოიცავს ადამიანის უფლებებს, არამედ ის ინდივიდის სუვერენიტეტს სახელმწიფოს სუვერენიტეტზე წინ აყენებს. ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებები, რომელთაც ნატო იცავდა „ცივი ომის“ განმავლობაში, დღეს აღქმულია, როგორც უნივერსალური ნორმები, რომლებიც უნდა მოქმედებდეს როგორც ევროპაში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც“.[64]

რებეკა მურის ნაშრომი და აღნიშნული დასკვნა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის, ფაქტებზე დამყარებული ანალიზით, კონკრეტული შემთხვევების განხილვითა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ციტატებით ამაგრებს ჩვენს მიერ კონსტრუქტივიზმის ჩარჩო-თეორიიდან მიღებულ დასკვნებს - ერთის მხრივ, მიუხედავად მოკავშირეებს შორის ჯერ კიდევ არსებული მძაფრი უთანხმოებებისა, თუ რამდენად უნდა მოხდეს ალიანსის გაფართოება და რამდენად აქტიური უნდა იყოს მისი პოლიტიკა საზღვრებს გარეთ, საბოლოო ჯამში გარდაუვალია ნატო-ს მხრიდან მეტი ფოკუსირება მისთვის მნიშვნელოვან რეგიონებში ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებაზე; ხოლო მეორეს მხრივ, საქართველოს სამომავლო გზა ნატო-ში გაწევრიანებისკენ გადის ღირებულებით და არა გეოპოლიტიკურ არგუმენტებზე, ვინაიდან სანამ საქართველო არ აღიქმება, როგორც სრულფასოვანი ლიბერალური დემოკრატია და მოკავშირეების „შიდა“ ჯგუფის ნაწილი, ნებისმიერ გეოპოლიტიკურ არგუმენტს ყოველთვის დაუპირისპირდება კონტრარგუმენტი რუსეთის წინააღმდეგობის სახით. ქართული

[64] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 35;

დემოკრატია, კომბინაციაში იმ ფაქტთან, რომ ნატო სულ უფრო მეტად იქნება ჩართული უშუალო საზღვრებს გარეთ დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებაში, ქმნის რეალურ საფუძველს საქართველოს ევროატლანტიკური მომავლისთვის.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შიგნით გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები და მოკავშირეებს შორის არსებული განსხვავებები ზემოთ განხილული ნაშრომებისგან განსხვავებული კუთხით არის აღწერილი ლორენს კაპლანის მიერ.[65] ნატო-ს არსებობის პირველი 40 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირთან მიმდინარე "ცივი ომი"" ძალიან ნათლად განსაზღვრავდა ალიანსის არსებობის მთავარ მიზანს. მაგრამ საბჭოთა კავშირისა და მთლიანად ვარშავის პაქტის დაშლამ ეს მიზანი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა და ნატო-მ დაიწყო არსებობის ახალი მიზნის ძიება. ეს მიზანი აღმოჩნდა ალიანსის საზღვრებს გარეთ დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება და კრიზისების მოგვარება. თუმცა, საერთო მტრის და მისგან მომდინარე უშუალო საფრთხის გაქრობამ გააღრმავა ის წინააღმდეგობები და განსხვავებები, რომელიც ტრადიციულად არსებობდა ნატო-ში, განსაკუთრებით - ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს შორის. ასეთი წინააღმდეგობები არსებობდა ნატო-ს შექმნის პირველივე დღეებიდან, მაგრამ დომინანტური საბჭოთა საფრთხის პირობებში მათ ნაკლები ყურადღება ექცეოდა. "ცივი ომის" დასრულების პირველ ეტაპზე კი საერთო საფრთხის გაქრობის გამო გაჩნდა საფრთხე, რომ სწორედ ასეთი „დასავლეთ-დასავლეთის" ტიპის კონფლიქტები შეუქმნიდა ნატო-ს ერთიანობას იმ საფრთხეს, რისი შექმნაც ვერ შესძლო „აღმოსავლეთ-დასავლეთის" ტიპის პრობლემებმა. ნაშრომში მოყვანილი ანალიზი მნიშვნელოვანია. რადგან, მიუხედავად უფრო რეალიზმის სკოლისკენ გადახრილი ხედვისა, განსაკუთრებით, ნატო-ს „ცივი ომის" დროინდელი მიზნების შეფასებისას, ავტორი მაინც აღიარებს, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ალიანსის ამოცანებში.

[65] Lawrence Kaplan, *NATO Divided, NATO United: The Evolution of an Alliance* (Connecticut: Praeger Publishing, 2004);

“ცივი ომის” შემდეგ ნატო-ს მიერ სრულიად ახალი ტიპის გადაწყვეტილებებამდე მისვლის პროცესი დეტალურად არის აღწერილი ტორუნ ლაუგენის[66] ნაშრომში. ავტორის აზრით, “ცივი ომის” პერიოდში ნატო-ს მონაწილეობა საზღვრებს გარეთ მიმდინარე კრიზისებში სრულიად მინიმალური იყო, ნატო-მ თავიდანვე გააკეთა სტრატეგიული არჩევანი, კოლექტიური თავდაცვის ფარგლებში დაეცვა საკუთარი ტერიტორია და არ ჩარეულიყო საზღვრებს გარეთ მიმდინარე პროცესებში. თუმცა 1992 წლიდან 1999 წლამდე შუალედში, ბალკანეთში მოხდა ნატო-ს საზღვრებს გარეთ ოპერაციებში მონაწილეობის ნახტომისებური ზრდა. ავტორი აანალიზებს, თუ რა ფაქტორებმა მოიტანა პოლიტიკის ასეთი დრამატული ცვლილება და ასკვნის, რომ საბჭოთა კავშირიდან მომავალი საერთო საფრთხის გაქრობის შემდეგ ალიანსის მთავარი ამოცანა გახდა ლიბერალური დემოკრატიის გავრცელების გზით უსაფრთხო სამეზობლო გარემოს შექმნა და კრიზისების მენეჯმენტი. მსგავსად ლორენს კაპლანისა, ტორუნ ლაუგენიც მიიჩნევს, რომ „ცივი ომის“ პერიოდში დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება არ ყოფილა ალიანსის ამოცანა, მაგრამ მოყოლებული 1990-იანი წლებიდან, ალიანსი სულ უფრო მეტად ერთვებოდა ამ მიზნის შესრულებაში.

კვლევაში განხილული საკითხებისთვის ერთგვარი პირველადი წყაროს მნიშვნელობა აქვს მაიკლ მაკფოლის ნაშრომს,[67] რომელშიც ავტორი იხსენებს აშშ-ს პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის მიერ მისი მონაწილეობით მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის - რუსეთთან, საქართველოსთან და ნატო-სთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ღირებულია მისი მემუარები ნაშრომის მეოთხე თავში განხილული პროცესების უკეთ გასაგებად - როგორც აშშ-ს ელჩი რუსეთში, მაკფოლი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე აანალიზებს იმ პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესს, რომლის შედეგადაც პრეზიდენტ პუტინის და რუსული პოლიტიკური ელიტის თვალში დასავლეთმა დაკარგა რთული, მაგრამ მაინც პარტნიორის სტატუსი და გადაიქცა „ცივი ომის“ პერიოდის მსგავს მოწინააღმდეგედ. სწორედ ამ

[66] Torunn Laugen, “Stumbling Into a New Role: NATO's Out-of-area Policy After the Cold War“, The Norwegian Institute for Defense Studies, Defense Studies No. 5 (1999);
[67] Michael McFaul, *From Cold War to Hot Peace: An American Ambassador in Putin’s Russia* (Boston - New York: Houghton Mifflin Harcourt, 2018);

ტრანსფორმაციის ერთერთი შედეგია დღეს რუსეთის მხრიდან მომდინარე ჰიბრიდული ომის თუ პირდაპირი სამედრო დაპირისპირების საფრთხეები.

საინტერესოა და თეორიულ მიდგომებთან მაგალითების კვლევის განუხრელ კავშირს უსვამს ხაზს მარკ ვებერის სტატია „თეორიული ფიქრი ნატო-ზე“, რომელიც შემდგომ სპერლინგის და სმიტის მონაწილეობით გამოცემული წიგნის ნაწილი გახდა.[68] ვებერი ცდილობს, ნატო-ს ტრაექტორია ახსნას ნეორეალიზმის, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის და სოციალური კონსტრუქტივიზმის თვალთახედვით. ამასთან, თეორიული პერსპექტივის მაგალითებად ავტორი ნატო-ს სამხედრო ძალთა განვითარება-განლაგებას განიხილავს. ვფიქრობ, ჯერ სტატიაში და შემდეგ უკვე წიგნში გადმოცემული ვებერის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ნატო-ს ძალთა ინტეგრაციის პროცესი ინტერ-სამთავრობო კონსულტაციებისა და კონსენსუსზე ბაზირებული გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია იყო,[69] ეხმიანება ენდრიუ მორავჩიკის ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის პოსტულატებსაც. საბოლოო ჯამში, ნაშრომი ნატო-ს ასახსნელად სამივე შერჩეულ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას რელევანტურად მიიჩნევს და ასკვნის, რომ ალიანსი შეიძლება ერთდროულად აჩვენებდეს დაღმასვლასაც და რეგენერაციასაც. ვებერის აზრით, ნათქვამი განაპირობებს კონკრეტულ საკითხებზე ბაზირებული კვლევების საჭიროებას.[70]

წარმოდგენილი ნაშრომისათვის აქტუალურია საერთაშორისო ურთიერთობების ნიდერლანდის ინსტიტუტის 2015 წლის ანგარიში, რომლის ავტორები არიან

[68] Mark Webber, James Sperling and Martin Smith, *NATO's Post-Cold War Trajectory: Decline or Regeneration (New Security Challenges)*, (London: Palgrave Macmillan, 2012);
[69] Mark Webber, "Thinking NATO through Theoretically", paper presented to the ECPR Joint Sessions (Lisbon, 14-19 April 2009), Workshop 24: 'Theorizing NATO", https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/e004327f-8597-4408-b51a-2e8fabdbeb21.pdf/ (20.03.2021): 4;
[70] Mark Webber, "Thinking NATO through Theoretically", paper presented to the ECPR Joint Sessions (Lisbon, 14-19 April 2009), Workshop 24: 'Theorizing NATO", https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/e004327f-8597-4408-b51a-2e8fabdbeb21.pdf/ (20.03.2021): 23;

მარგარიტ დრენტი, რობ ჰენდრიკსი და დიკ ზანდი.[71] იგი შეეხება როგორც ნატო-ს, ისე ევროპის კავშირის რეაგირებებს ახალ საფრთხეებზე. ავტორები მიიჩევენ, რომ ვინაიდან საფრთხეების ბუნება ჰიბრიდულია, ნატო-ს უელსის სამიტის შემდგომი აქცენტირება ხელშეკრულების მეხუთე მუხლზე, ანუ კოლექტიურ თავდაცვაზე კითხვებს აღძრავს. მოძველდა ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკაც.[72] ანგარიში ნატო-ს აღმოსავლეთით ახალი რეალობის წარმოშობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომს. ანგარიში საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ჰიბრიდული ომის ნაცვლად, მისი ავტორები ამჯობინებენ ჰიბრიდულ ჩარევასა თუ საფრთხეებზე საუბარს და გარკვეულ თეორეტიზირებას გვთავაზობენ ამ საკითხზე.[73] თავის არგუმენტაციაში ისინი ეყრდნობიან რუსეთის 2013 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციას, რომელიც „რბილ ძალაზე“ აკეთებს აქცენტს. ანგარიში გამოირჩევა როგორც რუსული სამხედრო შესაძლებლობების და ტაქტიკის ანალიზით, ისე ნატო-ევროკავშირის პარტნიორობის სქემების დასახვით.

მსურს, ვახსენო კიდევ ორი კვლევა: საერთაშორისო მშვიდობის კარნეგის ფონდის ეგიდით შესრულებული სუნან ულგენის და ქან კასაოღლუს ნარკვევი ნატო-ს სამხრეთის ფლანგის სტრატეგიაზე[74] და რანდ კორპორაციის (RAND Corporation) 2017 წლის პუბლიკაცია რუსეთის რეაქციებზე აშშ-ს და ნატო-ს სამხედრო ნაბიჯებზე.[75]

---

[71] Margriet Drent, Rob Hendriks and Dick Zandee,“New Threats, New EU and Nato Responses” Clingendael Report (July 2015), Clingendael, Netherlands Institute of International Relations;

[72] Margriet Drent, Rob Hendriks and Dick Zandee,“New Threats, New EU and Nato Responses” Clingendael Report (July 2015), Clingendael, Netherlands Institute of International Relations: 7;

[73] Margriet Drent, Rob Hendriks and Dick Zandee,“New Threats, New EU and Nato Responses” Clingendael Report (July 2015), Clingendael, Netherlands Institute of International Relations: 10;

[74] Sunan Ulgen and Can Kasapoglu, “A Threat-based strategy for NATO’s Southern Flank”, Carnegie Europe, Carnegie Endowment for International Peace (10.06.2016), https://carnegieeurope.eu/2016/06/10/threat-based-strategy-for-nato-s-southern-flank-pub-63785 (13.09.2020);

[75] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), Santa Monica, California,

ორივე ნაშრომი აღწერს ნატო-ს სამხრეთითა და აღმოსავლეთით არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ გამოწვევებს. ერთი შეხედვით, რადგან ნატო-ს სამხრეთი გეოგრაფიულად ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკაა, პირველი ნაშრომი ჩემი კვლევის ინტერესს ცდება. მაგრამ, როგორც ავტორები მართებულად აღნიშნავენ, ამ არეალში შექმნილი ვითარება ითხოვს ნატო-ს სამხრეთული და აღმოსავლური ფლანგების წევრთა დისკუსიებს.[76] ავტორთა აზრით, ნატო-ს პასუხი კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის სიბრტყეში უნდა იყოს. თუმცა იქვეა აღნიშული, რომ რუსული ჰიბრიდული საფრთხეები არა მხოლოდ აღმოსავლეთის, არამედ სამხრეთის ფლანგზეც ფიქსირდება და ნატო-ს ახლადშექმნილი „ძალიან მაღალი მზადყოფნის ერთობლივი ოპერატიული ძალები“ (Very High Readiness Joint Task Force, VJTF), უკრაინის მიმართულებასთან ერთად, მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს სამხრეთის ფლანგსაც. შენიშვნის სახით მინდა ვთქვა, რომ ავტორთა წუხილები აქტუალურს ხდის ნატო-ს გააქტიურებას შავი ზღვა-სამხრეთ კავკასიის არეალში, რაც საჭიროა თავდავისუნარიანობისათვის როგორც აღმოსავლეთ, ისე სამხრეთის ფლანგებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორები ამის შესახებ არ საუბრობენ.

შინაარსობრივად სულ სხვაგვარია რანდ კორპორაციის (RAND Corporation) პუბლიკაცია,[77] რომლის ავტორთა აზრით, მნიშვნელოვანია, კარგად იყოს გათვლილი რუსეთის შესაძლო პასუხები ბალტიის ქვეყნებში ნატო-ს ძალთა ზრდაზე. არსებითად, ავტორებს მიაჩნიათ, რომ რუსეთი არ გეგმავს ისეთ აგრესიულ ნაბიჯებს ბალტიის სახელმწიფოებთან მიმართებაში, როგორსაც ადგილი უკრაინასა და

---

https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021);

[76] Sunan Ulgen and Can Kasapoglu, “A Threat-based strategy for NATO’s Southern Flank”, Carnegie Europe, Carnegie Endowment for International Peace (10.06.2016), https://carnegieeurope.eu/2016/06/10/threat-based-strategy-for-nato-s-southern-flank-pub-63785 (13.09.2020): 5;

[77] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), Santa Monica, California, https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021);

საქართველოში ჰქონდა და ამ მხრივ, სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ ნატო-სა და შეერთებულ შტატებს.

ცხადია, ნატო-ზე ბევრად მეტია დაწერილი, ვიდრე აქ განხილული ნაშრომების ჩამონათვალია. კვლევის ფარგლებში მეც ვიყენებ დამატებით მეორად წყაროებს. მაგრამ, წარმოდგენილი მიმოხილვა, ვფიქრობ, მოიცავს საკითხის შესახებ არსებული აკადემიური მოსაზრებების ძირითად სპექტრს.

2.4. წყაროები:

მინდა ვახსენო რამოდენიმე წყარო, რომელსაც არა იმდენად ნატო-ს, არამედ უფრო მისი მთავარი აღმოსავლური გამოწვევის, რუსეთის შეხედულებებზე, განზრახულობებსა თუ ქმედებებზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, წინამდებარე ნაშრომი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა ნატო-ს სტრატეგიული დოკუმენტების, მის ოფიციალურ პირთა განცხადებების თუ ინტერვიუების განხილვას. ვიყენებ პირად მოგონებებსაც ზოგიერთ მათგანთან შეხვედრების შესახებ. მაგრამ ამ შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს როგორც რუსული ოფიციოზის ნარატივები, ისე ზოგიერთ რუსი ანალიტიკოსის ან სახელმწიფო თანამდებობის პირის ანალიტიკური სტატიები. როგორც ანალიტიკა, გარკვეულწილად, ეს მოსაზრებები მეორადი წყაროებია. თუმცა, ჩემი კვლევის ამოცანებისათვის მთავარი მათ ავტორთა მსოფლმხედველობის თუ იდეოლოგიური ორიენტაციის გაგებაა და ამ მხრივ, ისინი პირველად წყაროებს, დოკუმენტებს წარმოადგენს.

ასეთი მასალების მაგალითებია პრეზიდენტ პუტინის ცნობილი მიმართვა რუსეთისადმი 2005 წლის აპრილში, რომლის დროსაც მან საერთაშორისო თანამეგობრობისათვის პირველი საგანგაშო გზავნილი გააჟღერა და საბჭოთა კავშირის დანგრევა გეოპოლიტიკურ კატასტროფად შეაფასა;[78] აგრეთვე, იმავე პუტინის გამოსვლა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე 2007 წლის

[78] "Putin Deplores Collapse of USSR", BBC News (25 April 2005), http://news.bbc.co.uk/2/hi/4480745.stm (12.02.2021);

თებერვალში, რომელსაც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იმედების გამაცრუებელი უწოდა.[79]

რაც შეეხება ანალიტიკურ სტატიებს, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ ვალერი გერასიმოვის სახელით დაბეჭდილი სტატია, რომელიც დასავლეთში „გერასიმოვის დოქტრინის“ სახელით მოინათლა და ჰიბრიდული ომის ინსტრუქციად იქნა გაგებული.[80] გერასიმოვი ადანაშაულებდა დასავლეთს „არაბული გაზაფხულის“ მოწყობაში და აფასებდა ამ მოვლენებს, როგორც ასიმეტრიულ ომს. იგი გამოხატავდა შეშფოთებას, რომ მსგავსი რამ რუსეთსაც ემუქრებოდა და აცხადებდა, რომ თანამედროვე ომები „არასწორხაზოვანი“ ომებია, რისთვისაც რუსეთი მზად უნდა იყოს. 2013-2014 წლების უკრაინული კრიზისის ფონზე, ეს ტექსტი დასავლეთში ცალსახად იქნა გაგებული უახლოეს სამეზობლოში თავად რუსეთის ქცევებისა და დამოკიდებულებების აღწერად.

აქვე მინდა აღვნიშნო მოსკოვის კარნეგის ცენტრის ხელმძღვანელის, დიმიტრი ტრენინის სტატია, რომლის თანახმადაც დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებული დაპირისპირება განსხვავდება “ცივი ომის” ეპოქისაგან, რადგან მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის არ არსებობს ფუნდამენტური იდეოლოგიური ანტაგონიზმი და ხიფათი მხოლოდ ინციდენტების ალბათობის ზრდაშია.[81] ვფიქრობ, მსგავსი შეფასებები შორსაა ვითარების ადექვატური აღწერისაგან და მიზნად ან პუტინის რუსეთის ანტიდასავლური იდეური პროფილის შენიღბვას ისახავს, ან თვითდამშვიდების ნიმუშს წარმოადგენს. ორივე შემთხვევაში, ეს მიდგომა

[79] Roy Watson, “Putin’s speech: Back to Cold War?”, BBC News (February 2007), http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/6350847.stm (29.06.2020);

[80] Валерии Герасимов, “Ценность науки в предвидении, Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий”, Военно-промышленный курьер (23.02.2013), https://vpk-news.ru/articles/14632 (30.01.2021); იხ. აგრეთვე Andrew Monaghan, “The “War” in Russia’s “Hybrid Warfare”, Parameters, Vol. 45, No.4 (Winter 2015–16), https://press.armywarcollege.edu/parameters/vol45/iss4/8 (10.03.2021);

[81] Dmitri Trenin, “The Disruptor”, Security Times (16.02.2018), Carnegie Moscow Center, Carnegie Endowment for International Peace, http://carnegie.ru/2018/02/16/disruptor-pub-75565 (12.09.2020);

ნიშანდობლივია პუტინისადმი ლოიალურად განწყობილი ე.წ. რუსი სისტემური ლიბერალებისათვის, იმ ფონზე, როდესაც რუსეთის უფრო ღიად რევანშისტული ძალები არც მალავენ დასავლეთის იდეოლოგიურ მიუღებლობას. აღნიშნულ სტატიაში ტრენინს პრეზიდენტ პუტინის ზემოთნახსენები გამოსვლების რეალური მნიშვნელობის დამცრობა სურს - იგი ცდილობს, ერთ დონეზე დააყენოს ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების მხარდამჭერთა და ამ გაფართოებით „განაწყენებული“ პუტინის შეხედულებები.

საყურადღებოა, რომ ამ მიდგომას ძირეულად ეწინააღმდეგება რუსეთში აშშ-ს ყოფილი ელჩის და „გადატვირთვის“ პოლიტიკის ავტორის, მაიკ მაკფოლის ზემოთ უკვე ნახსენები მოსაზრება,[82] რომლის თანახმადაც, თვისებრივი ცვლილება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში და რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში მოხდა სწორედ მაშინ, როდესაც რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და პირველ რიგში, პრეზიდენტმა პუტინმა შეწყვიტა ამერიკელების აღქმა რთულ, მაგრამ მაინც პარტნიორებად (როგორც ეს ხდებოდა პრეზიდენტების გორბაჩოვისა და ელცინის ეპოქაში - დ.ბ.) და მოახდინა მათი გადაკვალიფიცირება „ცივი ომის“ პერიოდის ტიპის მოწინააღმდეგეებად. ამიტომ, ვთვლი, რომ ტრენინის სტატიაში ასახული პოზიცია არაადექვატურობის ან დეზინფორმაციის ნიმუშია და ამდენად, ასევე წარმოადგენს ნატო-რუსეთის ურთიერთობებში შექმნილი ვითარების ამსახველ წყაროს.

მთლიანობაში კვლევისას გამოყენებული ლიტერატურის დიდი ნაწილი ამყარებს ჩემს ჰიპოთეზას როგორც ალიანსის ღირებულებითი ბუნების შესახებ, ისე ნატო-ს როლზე მის აღმოსავლეთით დემოკრატიული ნორმებისა და ინსტიტუტების შემდგომი გავრცელების საქმეში. ეს ორი მოცემულობა ურთიერთგადაჯაჭვულია და თავად 1949 წლის დამფუძნებელ ხელშეკრულებაშია ჩაქსოვილი.

[82] Michael McFaul, *From Cold War to Hot Peace: An American Ambassador in Putin's Russia* (Boston - New York: Houghton Mifflin Harcourt, 2018)*;*

მეორე თავი: უსაფრთხოების არქიტექტურა "ცივი ომის" ეპოქაში - ნატო-ს შექმნა და ამოცანები, თავდაცვის კოლექტიური სისტემა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა

მეორე მსოფლიო ომმა მთელი სამყარო და, განსაკუთრებით, ევროპის კონტინენტი მრავალი ამოცანის წინაშე დააყენა. საჭირო იყო ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, რომლის კონტურები ანტიჰიტლერული კოალიციის იალტის კონფერენციაზე მხოლოდ ზოგადად თუ იქნა მოხაზული. ნაშრომში დეტალურად არ შევეხებით, ერთის მხრივ, ნატო-ს დაფუძნების ქრონოლოგიას, მეორეს მხრივ კი ბრეტონ ვუდსში 1944 წელს გამოკვეთილ მსოფლიო ფინანსური სისტემის კონტურებს. თუმცა ცხადია, რომ ეს ორი პროცესი აჩვენებდა მზარდი გლობალიზაციის ტენდენციას, რომლის აუცილებლობაც ნათელი გახდა მსოფლიო ომის მიმდინარეობისას. ომის დასრულების შემდგომ დადგა დრო, რომ გამარჯვებულ მხარეს, დამარცხებულებთან ერთად, ეზრუნა მშვიდობისა და ეკონომიკური განვითარების საერთო ჩარჩოების ფორმირებაზე.

ბუნებრივია, საერთო სურვილებს გამჭოლად კვეთდა ერების კონკურენცია, ნაციონალური ინტერესები, კომუნიზმის საფრთხის აღქმა თავისუფალი სამყაროს მხრიდან. საერთაშორისო ურთიერთობებში ბატონდებოდა ე.წ. რეალიზმის ლოგიკა, ანუ გაცნობიერება და კონცეფტუალიზაცია იმისა, რომ, მიუხედავად გლობალური ურთიერთდამოკიდებულებისა, სამყარო ანარქიულია. შესაბამისად, დამოუკიდებელ ერთა სიძლიერეს განსაზღვრავს როგორც მატერიალური სიმდიდრე, ისე მთავრობების ხარისხი და ეროვნული მორალი.[83] რეალიზმის კონცეფციათა თანახმად, სახელმწიფოთა არსებობის ლოგიკა თვითგადარჩენა და უსაფრთხოებაა. მათი მოქმედება ომისათვის მზადებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. რეალიზმი არ უარყოფს ძალთა ბალანსის ძიებაში ალიანსების ფორმირების სურვილს. მაგრამ მისი ალიანსები დროებითია და არამყარი, რადგან წევრებს ეგოისტური მოტივები ამოძრავებს. არასოდეს არავინაა მშვიდად ე.წ. ფარდობით სარგებლზე წუხილის

[83] Hans Morgentau, *Politics Among Nations: Straggle for Power and Peace* (Revised by Kenneth Thompson and David Clinton, New York: McGraw-Hill, 2006), 149-154;

გამო: პოლიტიკაში საკუთარი მოგების ღირებულება განისაზღვრება იმით, თუ რა მოიგო ამ დროს სხვამ.[84]

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომმა მძიმე დარტყმა მიაყენა ენდრიუ კარნეგის და ვუდრო ვილსონის მიერ ნასაზრდოებ მსოფლიო მშვიდობისა და ერთა თანამშრომლობის იდეებს, რეალიზმი ვერ იქცა საერთაშორისო პოლიტიკის ერთადერთ აღწერად თუ პარადიგმად, რაშიც წვლილი ნატო-სა და ევროპის გაერთიანების პროექტებმა შეიტანა.

ლიბერალური მსოფლმხედველობიდან ამოზრდილი და იდეალიზმად მონათლული საერთაშორისო ურთიერთობების ალტერნატიული პარადიგმა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ვითარდებოდა. ეს იარლიყი განსაკუთრებით მიკუთვნებული იყო ომთაშორის პერიოდის რაციონალისტებზე, რომელთაც ოპტიმისტურად სჯეროდათ, რომ ჰუმანური გონიერების გამოყენებით პროგრესი მიღწევადია და მისი საფუძველი ადამიანური ინტერესების ჰარმონიაშია.[85] თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე მსოფლიო ომმა იდეალიზმი საფუძვლიანად შეასუსტა და მთავარ მიმართულებად აქცია რეალისტთა ხედვა ნაციონალური ინტერესების, უსაფრთხოების და ძალის პრიმატზე. ბრიტანელი ეკონომისტის, ჯონ ჰობსონის და სხვა „იდეალისტთა“ მტკიცებები სუვერენიტეტის კონცეფციის მოძველებულობაზე, საერთაშორისო სამართლის საშინაო სამართლის დონეზე გაძლიერებაზე, საერთაშორისო შეიარაღებული თუ საპოლიციო ძალების შექმნის შესაძლებლობებსა და დიპლომატიის დემოკრატიულ კონტროლზე,[86] რეალისტთა ახალი დარტყმების ქვეშ მოექცა.

„იდეალიზმს“ მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე უდავოდ ჰქონდა ნაკლოვანებები და საკუთარი იარლიყიც ლოგიკურად მიეკუთვნა. მაგალითად, იდეალიზმი

[84] John Mearsheimer, "Back to the Future: Instability in Europe after the Cold War", International Security, Vol. 15, No. 1 (Summer, 1990): 44;
[85] David Long, "J.A. Hobson and Idealism in International Relations", Review of International Studies, Vol. 17, No. 3 (July, 1991);
[86] David Long, "J.A. Hobson and Idealism in International Relations", Review of International Studies, Vol. 17, No. 3 (July, 1991): 287-292;

უყურადღებოდ ტოვებდა პოლიტიკაში სამხედრო ძალის როლს, რასაც რეალისტები ცენტრალურ ადგილს ანიჭებდნენ.[87] მაგრამ, როგორც აქ ციტირებული დევიდ ლონგი წერს, არც ჰობსონი და არც „იდეალისტური“ ბანაკის სხვა წარმომადგენლები იყვნენ მონოლითურნი და ცალსახა. ისინი მსჯელობდნენ არა მხოლოდ „მსოფლიო მთავრობის“ სასურველობაზე, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაზეც. ლონგის თქმით, იმჟამინდელ იდეალისტთა ნაწერებში თანამედროვე თეორიების ინსპირაციის მიკვლევაა შესაძლებელი: „ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფად ცვალებად სამყაროში, სადაც რეალიზმის დოგმები მოძველებული და არაადექვატური ჩანს. პროგრესული, რეფორმისტული ასპექტები იდეალისტური ნაშრომებისა შეიძლება განახლებურ რელევანტურობას ფლობდეს საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევართათვის“.[88]

ამ ლოგიკას შეიძლება დავამატოთ ისიც, რომ უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც თეორიაში რეალიზმი მომძლავრდა და მსოფლიო ახალ ბანაკებად იყოფოდა, თავად პრაქტიკულმა საერთაშორისო ურთიერთობებმა მიიღო ისეთი სახე, რომ გაჩნდა იდეალიზმის ფესვებზე აღმოცენებული ახალი თეორიების განვითარების საფუძველი. ამის მაგალითია “ცივი ომის” პერიოდის უმნიშვნელოვანესი პროექტები - ნატო და ევროპული თანამეგობრობა - რომლებიც არ ეტეოდა ნაციონალური ქიშპის მუდმივობის რწმენაზე აგებულ რეალისტურ პარადიგმაში.

რეალიზმის თეორიის ზეობისას განვითარებულ ამგვარ ნაკლებრეალისტურ ტენდენციებს, რასაც, საბოლოო ჯამში, ე.წ. ლიბერალისტური და კონსტრუქტივისტული საერთაშორისო ურთიერთობათა სკოლების ფორმირება მოჰყვა, ახალმა გლობალურმა საფრთემ მისცა ბიძგი. ეს იყო საბჭოთა კავშირის უპრეცედენტო გაძლიერება და გლობალური მასშტაბის აგრესიულობა, რომელიც უშუალოდ დაემუქრა ევროპას. კომუნისტური იდეოლოგიის ანტილიბერალური

[87] David Long, “J.A. Hobson and Idealism in International Relations”, Review of International Studies, Vol. 17, No. 3 (July, 1991): 302;
[88] David Long, “J.A. Hobson and Idealism in International Relations”, Review of International Studies, Vol. 17, No. 3 (July, 1991): 304;

მიმართულება 1917 წლიდანვე იყო ცნობილი და მაშინ წარმოქმნილმა ამ ახალმა გლობალურმა საფრთხემ იმთავითვე შექმნა ნაციონალური სახელმწიფოებისა თუ იმპერიების კონკურენციის გადაფარვის საფუძველი. მაგრამ 1945 წლის შემდეგ, როდესაც სტალინის რეჟიმმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის „გაწითლება“ დაიწყო და ბერლინის დასავლურ სექტორს ღიად დაემუქრა, ნაციონალიზმის ეპოქამ მთლიანად დაუთმო ადგილი “ცივი ომის” ორპოლუსიანობას.

საერთოდ, სამყაროს დაყოფა პოლუსებად ნეორეალიზმის თეორიულ სამყაროში აღმოცენებული კონცეფტია. 1970-იან წლებში ფორმულირებული ნეო, ანუ სტრუქტურული რეალიზმი, რომელიც კენეტ ვოლცის სახელს უკავშირდება,[89] საერთაშორისო სისტემის მთავარ ცვლადებად სამყაროს ანარქიულობას, უნიტარულ სახელმწიფოებრივ აქტორებს და ძალთა ბალანსს თვლიდა. შესაბამისად, მის კონცეფტში მშვენივრად ჯდებოდა ის რეალობა, რომ ბირთვული საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები მსოფლიოს ორ ძალისმიერ პოლუსად ჩამოყალიბდნენ. კენეტ ვოლცი სავსებით ლოგიკურად მიიჩნევდა, რომ ორპოლუსიანობამ ევროპას შინაომები დაავიწყა. მაგრამ მისი მოწოდება, რომ სისტემური ანალიზისას უნდა დავივიწყოთ მისი ერთეულების ურთიერთობები და ხასიათი,[90] თეორიის ამხსნელ ძალას აღარიბებდა.

ეს კონცეფტი არსებითად დუმდა და დუმს ისეთი ცვლადების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე თუნდაც ამ ორი პოლუსის არსის გასაგებად, როგორიც ნორმები, ღირებულებები, კულტურა თუ იდეოლოგიებია, რადგან, ვოლცის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურა და კონკრეტული პროცესი უნდა გამიჯნულიყო და მათი ეფექტი ცალცალკე შესწავლილიყო. საინტერესოა, რომ ვოლცი საბოლოოდ მივიდა დასკვნამდე, რომ კონკრეტული ვითარებების, ანუ სახელმწიფოთა ქცევის ანალიზი, რაც ნებისმიერი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მიზანი უნდა იყოს, მეტ ყურადღებას ითხოვდა მათი ინდივიდუალური სტატუსის და როლის (არსებითად, აღქმით/კულტურული ცვლადების - დ.ბ.)

[89] Kenneth Waltz, *Theory of International Politics* (New York: McGraw Hill, 1979);
[90] Kenneth Waltz, *Theory of International Politics* (New York: McGraw Hill, 1979): 82;

მიმართ.[91] მაგრამ ნეორეალიზმი მაინც ზეკონტექსტუალურ, სტრუქტურალისტურ ჩარჩოში დარჩა. ვოლცის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი კვლევის ობიექტი საერთაშორისო სისტემის უცვლელი გრამატიკა იყო. შესაბამისად, ნაკლებად აინტერესებდა ნატო-ს, როგორც გარკვეული ღირებულებების მატარებელი საერთაშორისო ორგანიზაციის არსში წვდომა - ვარშავის ბლოკის მსგავსად, ნეორეალისტთა სამყაროში ნატო უფრო პოლუსის დანამატად, თუ ანტურაჟად განიხილებოდა.

ამ ლოგიკას მომხრეები დღესაც ჰყავს. მაგალითად, იგივე ხაზია გატარებული ნილ ფერგიუსონის 2019 წლის მტკიცებაში, რომ 1945 წლიდან დღემდე შენარჩუნებული შედარებითი საერთაშორისო სტაბილურობის მიზეზი რაიმე ტიპის ლიბერალური წესრიგის არსებობაში კი არა, არამედ შეერთებული შტატების ეროვნულ ძალმოსილებაშია და დასავლური ინტეგრაციის მომლოდინე პატარა ქვეყნებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.[92]

მაგრამ, ჩემი შეფასებით, ეს ლოგიკა ვერ აღწერს კომპლექსური რეალობის სრულფასოვან სურათს. ნატო-ს 1949 წლის დამფუძნებელი ხელშეკრულების პრეამბულაში წერია, რომ ხელშეკრულების წევრებს: „ ... გადაწყვეტილი აქვთ, უზრუნველყონ მათი ხალხების თავისუფლება, საერთო მემკვიდრეობა და ცივილიზაცია, დამყარებული დემოკრატიაზე, პიროვნულ თავისუფლებებსა და კანონის უზენაესობაზე“.[93] მიმაჩნია, რომ ეს არაა ლიტონი სიტყვები: ნატო-ს წევრები არა მხოლოდ ძალთა ბალანსისა და ეროვნულ ეგოიზმთა მუდმივი კონკურენციის ლოგიკამ, არამედ ღირებულებითმა ერთიანობამ და მოწინააღმდეგე ბლოკთან იდეოლოგიების შეუთავსებლობამ გააერთიანა. სწორედ ამის წყალობით გაძლო ნატო-მ უპრეცედენტოდ დიდხანს. იგივე ლოგიკას მოჰყვა შედეგად ევროპის

[91] Peter Katzenstein (editor), *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996): 16;

[92] Niall Ferguson’s and Fareed Zakaria’s Summary Debate: The Liberal International Order is Over? 16th Yalta European Strategy Annual Meeting (14.09.2019), https://www.youtube.com/watch?v=UtC-eT9YWZg (28.05.21);

[93] The North Atlantic Treaty (Washington, 04 April 1949), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm (18.09.2020): 1;

კავშირის ფორმირებაც. შეერთებული შტატები დასავლური ლიბერალური სამყაროს ლიდერი იყო და არის, მაგრამ ამას განაპირობებს არა მხოლოდ და არა იმდენად მისი მატერიალური შესაძლებლობები, რამდენადაც მისი იდეოლოგიური არჩევანი და ამ არჩევანის პროექცია დანარჩენ სამყაროზე.

მთავარი, რაც განასხვავებს ნატო-ს შექმნის დროინდელ გარემოებებს თანამედროვე საერთაშორისო გეოსტრატეგიული და კულტურული კონტექსტისაგან, ესაა კომუნისტური იმპერიის, როგორც გაცხადებული და, სამხედრო თვალსაზრისით, თანაბარზომიერი ძალის მქონე საფრთხის გაქრობა. შესაბამისად, შეიცვალა „ცივი ომის“ წლებში იდეოლოგიურად ფორმირებული ორპოლუსიანობაც. მაგრამ ნატო, როგორც ლიდერალური დემოკრატიების ალიანსი, დღემდე არსებობს სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ სტრუქტურული რეალიზმის ლოგიკისგან განსხვავებით, ძალთა ბალანსთან ერთად მის შექმნასა და არსებობაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ღირებულებითი კომპონენტი. თავის დროზე, როგორც შეერთებული შტატების, ისე იმჟამინდელი ევროპის წამყვანი სახელმწიფო მოღვაწენი თუ ინტელექტუალები ნატო-ს შექმნის აუცილებლობას სწორედ ამ ორი განუყოფელი, ურთიერთგადაჯაჭვული იმპერატივით ასაბუთებდნენ - ეს იყო ომის შემდგომი საბჭოთა კავშირის გლობალური სამხედრო ძალისა და ამბიციების შეკავების აუცილებლობა და ლიბერალურ-დემოკრატიული სამყაროს ინტეგრაცია გაზიარებული ღირებულების საფუძველზე.

პირველი იმპერატივი გამოიკვეთა სტალინურ მოსკოვში მოღვაწე ამერიკელი დიპლომატის, ჯორჯ კენანის ე.წ. გრძელ დეპეშაში, რომელიც შემდგომში როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე მთელი ტრანსატლანტიკური ერთობის შეკავების სტრატეგიის კონცეფტუალური საფუძველი გახდა. თავის დეპეშაში, რომელიც შემდგომ ანონიმურად სტატიად გამოქვეყნდა, კენანი ხსნიდა, რომ საბჭოთა კავშირი „კაპიტალისტურ სამყაროსთან“ მუდმივ ომში მყოფად აღიქვამდა თავს და რომ მას ყავდა სხვა ქვეყნებზე გავლენის მოხდენის ისეთი სამსახურები, „რომელთა ხელმძღვანელებს ქონდა იატაკქვეშა მუშაობის სავარაუდოდ უპრეცედენტო გამოცდილება“. ნიშანდობლივია საბჭოთა კომუნისტური პარტიის

მსოფლმხედველობის კენანისეული დახასიათებაც: " ... იგი არ ექვემდებარება რეალობის აღქმას. მისთვის ობიექტური ფაქტები ადამიანური საზოგადოებების შესახებ არაა საზომი, რომლის საფუძველზეც შეხედულებები მუდმივად უნდა შეამოწმო და გადაასხვაფერო. არამედ ეს ფაქტები გროვაა, საიდანაც შერჩევითად და ტენდენციურად იღებენ ცალკეულ ელემენტებს, რათა წინასწარ აკვიატებული შეხედულებები განიმტკიცონ".[94] ამასთან, კენანი ხაზს უსვამდა საბჭოეთის პოლიტიკური ელიტის პრაგმატიზმსაც და მიიჩნევდა, რომ იგი არ იყო ჰიტლერის რეჟიმივით ავანტიურისტული, ექვემდებარებოდა ძალის ლოგიკას და ძლიერი წინააღმდეგობის დახვედრის შემთხვევაში, უკან იხევდა.

როდესაც კენანის ტექსტი გახმაურდა და გამოჩნდა, რომ მის ხედვას მხარს იმჟამინდელი პრეზიდენტის ადმინისტრაციაც უჭერდა, ამ საკითხებზე დაიწყო ინტენსიური დებატი როგორც შეერთებულ შტატებში, ისე მის გარეთაც. გამოჩნდნენ პოლიტიკური და აკადემიური წრეების ისეთი წარმომადგენლებიც, ვინც არც სსრკ-სთან ურთიერთობების გაფუჭებას მიიჩნევდა მიზანშეწონილად და ევროპა-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობასაც ზედმეტად თვლიდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყოველივე შვიდ ათეულზე მეტი წლის წინ ხდებოდა, ეს დისკუსია დღესაც საოცრად თანამედროვედ ჟღერს. საბოლოო ჯამში, კენანის ხედვამ გაიმარჯვა.

ამ ხედვის პრაქტიკულ პოლიტიკად ქცევის მაგალითია 1947 წელს ჰარვარდის უნივერიტეტში აშშ სახელმწიფო მდივნის, ჯორჯ მარშალის გამოსვლა, რომელშიც ანტისაბჭოთა პოსტულეტებს უკვე ზემოთნახსენები მეორე იმპერატივი, ლიბერალურ-დემოკრატიული დასავლეთის ერთიანობის სურვილი ერთვოდა. მარშალი აღნიშნავდა ომის შემდგომი ევროპული ქვეყნების ეკონომიკური ინფრასტრუქტურის სრულ მოშლას, რომელიც, მისი თქმით, მთელ მსოფლიოს ემუქრებოდა, რადგან „შრომის დანაწილების თანამედროვე სისტემა, რაზეც

[94] Telegram 861.00/2 – 2246: The Charge in the Soviet Union (Kennan) to the Secretary of State (22.02.1946), National Security Archive, The George Washington University, https://nsarchive2.gwu.edu//coldwar/documents/episode-1/kennan.htm (20.09.2020);

საქონლის გაცვლაა დაფუძნებული, კოლაფსის საფრთხის წინაშეა“.[95] შესაბამისად, ამტკიცებდა მარშალი, ამერიკას ყველაფერი უნდა ეღონა ევროპის დასახმარებლად, რათა მსოფლიოს ეკონომიკური სიჯანსაღე დაბრუნებოდა, რის გარეშედაც არ იქნებოდა პოლიტიკური სტაბილობა და მშვიდობა. განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია, რომ ასეთი დახმარების მიღების პირობად სახელმწიფო მდივანმა პირდაპირ დაასახელა მიმღებ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური ვითარება: „ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ცდილობს დაბლოკოს სხვათა აღორძინება, არ უნდა ელოდოს ჩვენს დახმარებას. მეტიც, მთავრობები, პარტიები თუ ჯგუფები ვინც ცდილობენ გაახანგრძლივონ ადამიანური გაჭირვება, რათა ამით პოლიტიკური თუ სხვაგვარი სარგებელი ნახონ, შეერთებული შტატების წინააღმდეგობას წააწყდებიან“.[96]

იმ ამერიკულ დისკურსს, რომელიც ბოლოს არა მხოლოდ ბრეტონ-ვუდსის შეთანხმებამდე და საერთაშორისო სავალუტო ფონდამდე, არამედ ნატო-ს დაფუძნებამდეც მივიდა, ზურგს უმაგრებდა გამორჩეული ევროპელი ლიდერის, უინსტონ ჩერჩილის ავტორიტეტი. აღსანიშნავია ჩერჩილის მიერ ფულტონში, ვესტმინსტერის კოლეჯში ერთი წლით ადრე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც „რკინის ფარდის სიტყვის“ სახელითაა ცნობილი[97] და რომელმაც, ფაქტიურად, შექმნა ევროატლანტიკური სტრატეგიული პარტნიორობის ფუძე ნარატივები. ჩერჩილი პოლიტიკაზე საუბრობდა და ახალი რეალობის ძირითად კონტურს საბჭოთა კავშირის მიერ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დამორჩილებაში ხედავდა. იგი უფრო მკაფიოდ, ვიდრე მარშალი, აღნიშნავდა, რომ სწორედ ამ საფრთხის

---

[95] George Marshall, "Against Hunger, Poverty, Desperation and Chaos: the Harvard Speech", Foreign Affairs (May/June 1997), https://web.archive.org/web/20040130053503/http://www.foreignaffairs.org/19970501faessay76399-p0/george-c-marshall/against-hunger-poverty-desperation-and-chaos-the-harvard-speech.html (27.05.2021);

[96] George Marshall, "Against Hunger, Poverty, Desperation and Chaos: the Harvard Speech", Foreign Affairs (May/June 1997), https://web.archive.org/web/20040130053503/http://www.foreignaffairs.org/19970501faessay76399-p0/george-c-marshall/against-hunger-poverty-desperation-and-chaos-the-harvard-speech.html (27.05.2021);

[97] Iron Curtain Speech by Churchill (05.03.1946), Britannica, https://www.britannica.com/topic/Iron-Curtain-Speech (27.05.2021);

შემდგომი გაფართოების წინააღმდეგ უნდა გაერთიანებულიყო ბრიტანეთი და ამერიკა, ისევე, როგორც უნდა გაერთიანებულიყო მთელი არაკომუნიტური ევროპა.

ამ ტექსტებში არეკლილმა მსოფლმხედველობამ, რომელიც დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში იკიდებდა ფეხს და დასავლეთისავე აკადემიური წრეების კონცეფციებით მდიდრდებოდა, წარმოშვა როგორც ევროპული თანამეგობრობა, ისე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. არც ერთი მათგანი - არც შექმნის ლოგიკით, არც არსებობის მოდალობებითა და ხანგრძლივობით - არ ჯდება სამყაროს რეალისტური პარადიგმის ფარგლებში. ისტორიულმა გარემოებებმა დასავლური დემოკრატიები გააერთიანა არა დროებითი და ვიწრო ეროვნული ამოცანების გადასაჭრელად, არამედ ამ ერთა საერთო, ლიბერალური საფუძვლების დასაცავად და განსამტკიცებლად.

ნატო-ს თანამედროვე მკვლევარების დიდი ნაწილი არც შემთხვევითად თვლის და არც რამენაირად მეორეხარისხოვნად ფაქტს, რომ ალიანსის დამფუძნებელი ქარტია ზემოთნახსენები პრეამბულით იწყება, სადაც აქცენტი სწორედაც რომ ღირებულებებზე, იდეოლოგიაზეა და არა კონკრეტული მატერიალური ძალისაგან დაცვის თუ მისი დაბალანსების საკითხზე. რა თქმა უნდა, მეხუთე მუხლის გარეშე, რომლის დამსახურებითაც, სხვა განზომილებებთან ერთად, ნატო კლასიკურ თავდაცვით ალიანსს წარმოადგენს, ჩრდილოატლანტიკური ერთობა ბევრად ნაკლებ სტრუქტურირებული და ეფექტური იქნებოდა. სწორედ მეხუთე მუხლში ასახული კოლექტიური თავდაცვაა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომლის თანახმად, ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფოზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა განიხილება, როგორც თავდასხმა ნატო-ს ყველა წევრ სახელმწიფოზე. ასეთ შემთხვევაში, ალიანსი დახმარებას გაუწევს საფრთხის ქვეშ მყოფ წევრ ქვეყანას ან ქვეყნებს და განახორციელებს ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილოატლანტიკური

რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით.[98] მაგრამ ვიზიარებ მათ აზრს, ვისთვისაც თავად დასაცავი „რეფერენტული ობიექტი“ - ამ შემთხვევაში სამყაროს თავისუფალი, ლიბერალურ-დემოკრატიული ნაწილი და მისი ერთიანობის იდეა - არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიდრე დაცვის მეთოდები.

აღნიშნულის დასტურია ისიც, რომ ნატო-ს შემადგენელი ღირებულებითი კომპონენტი ასახულია არამხოლოდ ალიანსის პრეამბულაში, არამედ მთლიანად ქარტიის სტრუქტურასა და მიზნებში. სტენლი სლოუნის აზრით, ნატო განსხვავდება ისტორიაში მანამდე არსებული ყველა სხვა სამხედრო ალიანსისგან ორი ძირითადი ფაქტორით: 1. ალიანსის ქარტია თავიდანვე ძალიან მოქნილად და ფართოდ განსაზღვრავდა საფრთხეებს, არ ჰქონდა დროში მოქმედების შეზღუდვა და არ იყო მიმართული კონკრეტული მოწინააღმდეგის წინააღმდეგ; 2. ნატო იყო ლიბერალური დემოკრატიების ალიანსი და მას გააჩნდა ძლიერი ღირებულებითი საფუძველი.[99] სლოუნი იშველიებს ამერიკელი ექსპერტის, უოლეს ტიესის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს, რომ: „ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეიქმნა იმ სახელმწიფოების მიერ, რომელთაც გააჩნიათ საერთო მემკვიდრეობა, საერთო ღირებულებები და საერთო ინტერესები; რომლებიც მზად არიან, გააერთიანონ საკუთარი შესაძლებლობები და რესურსები როგორც მშვიდობიან, ასევე ომის დროსაც, რათა დაიცვან და განავითარონ საერთო ღირებულებები“.[100]

ეს ღირებულებითი ერთიანობა თავიდანვე იყო ჩადებული ნატო-ს არსში. მაგალითად, როდესაც 1949 წელს აშშ სენატში განიხილებოდა ალიანსის შექმნის საკითხი, აშშ სახელმწიფო მდივანმა დინ აჩისონმა განაცხადა, რომ: „ალიანსის მთავარი იდეა არ არის სტატიკური და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება ბევრად მეტია, ვიდრე თავდაცვითი შეთანხმება. ის არის ჩვენი საერთო მორალური

[98] The North Atlantic Treaty (Washington, 04 April 1949), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/stock_publications/20120822_nato_treaty_en_light_2009.pdf (05.09.2021);

[99] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 286;

[100] Thies Wallace, *Why NATO Endures* (Cambridge: Cambridge University Press, 2009): 306-307;

და სულიერი ღირებულებების დადასტურება“.[101] აჩისონი და პრეზიდენტ ტრუმენის ადმინისტრაციის სხვა ოფიციალური პირები სენატში გამოსვლების დროს ამტკიცებდნენ, რომ მათი შეთავაზება ნატო-ს შექმნის შესახებ თვისებრივად განსხვავდებოდა მანამდე არსებული ყველა სხვა თავდაცვითი ალიანსისაგან.[102] ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა ბრიტანეთის პარლამენტში ევროპული ერთიანობის თემაზე გამოსვლის დროს, გაერთიანებული სამეფოს საგარეო მდივანმა ერნსტ ბევინმა 1948 წლის 22 იანვარს: „ჩვენს მიერ ომის დროს გაღებული მსხვერპლი, უსამართლობისა და ტირანიის აუტანლობა, ჩვენი დემოკრატიული სისტემა, ეკონომიკური უფლებების დაცვა, თავისუფლების სიყვარული - აი ის საერთო ღირებულებები, რაც გვაერთიანებს“.[103]

სლოუნს მიაჩნია, რომ სწორედ საერთო ღირებულებითი საფუძველი განსაზღვრავს ნატო-ს უნიკალურ უნარს, გადალახოს შიდა კრიზისები და, მიუხედავად მოკავშირეთა შორის არსებული უთანხმოებებისა, გაძლიერებული გამოვიდეს ყველა კრიზისული ვითარებიდან. სწორედ ამიტომ, მეოცე საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა ფრაზა „Transatlantic bargain”.[104] როგორც არ უნდა ითარგმნოს ეს ტერმინი - „ვაჭრობად“ (პროცესი) თუ „გარიგებად“ (შედეგი), მისი შინაარსი ალიანსის ფუნდამენტალურობაზე მიუთითებს. იგივეა ამ ავტორის ლოგიკაც - მისი თქმით, ალიანსი შეიქმნა სსრკ-ს წინააღმდეგ, მაგრამ იგი არა მტრის განსაზღვრაზე, არამედ ღირებულებებზე იყო ბაზირებული და შექმნის მომენტიდანვე აღინიშნებოდა, რომ ნატო თავდაცვით ორგანიზაციაზე მეტია.[105]

---

[101] Stanley Sloan, *NATO, the European Union, and the Atlantic Community: The Transatlantic Bargain Challenged* (Lanham: Rowman & Littlefield Publishers, 2005): 4;
[102] Stanley Sloan, *NATO, the European Union, and the Atlantic Community: The Transatlantic Bargain Challenged* (Lanham: Rowman & Littlefield Publishers, 2005): 4;
[103] Address given by Ernest Bevin to the House of Commons (22.01.1948), University of Luxemburg's E-Library, https://www.cvce.eu/en/obj/address_given_by_ernest_bevin_to_the_house_of_commons_22_january_1948-en-7bc0ecbd-c50e-4035-8e36-ed70bfbd204c.html (22.08.2020);
[104] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 3;
[105] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 6;

ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის პროექტების ასახსნელად რეალიზმის თეორიათა არასაკმარისობა მათ სრულ არარელევანტურობას არ ნიშნავს. როგორც რეალიზმის, ისე მისი სტრუქტურული თუ ნეორეალისტური განაყოფის ლოგიკით აიხსნება, რომ დემოკრატიის დასაცავად შექმნილი ალიანსი ზოგჯერ თვალს ხუჭავდა თავისი ზოგიერთი წევრის ავტორიტარულ ტენდენციებზე. მაგრამ არ შემიძლია, არ დავეთანხმო სლოუნს, რომლის მოსაზრებითაც, მიუხედავად ყველაფრისა, ალიანსის გადარჩენა აჩვენებს, რომ მისი ღირებულებითი ფუნდამენტი მნიშვნელოვანია.[106]

სლოუნი ბევრს მსჯელობს იმაზე, თავდაცვითი ალიანსის გარდა, რა დეფინიცია მოუხდება ნატო-ს. ეს საკითხი აფიქრებდა და აფიქრებს თეორიაზე ორიენტირებულ ისეთ ავტორებსაც, როგორიც კარლ დოიჩი და თომას რისსე-კაპენია. ამ საკითხს შემდეგ თავებში დავუბრუნდები, აქ კი უნდა ითქვას, რომ "ცივი ომის" დროს დემოკრატიულ ღირებულებებთან დაკავშირებით ალიანსის გარკვეული კომპრომისების მიუხედავად, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და პიროვნული თავისუფლება მაინც რჩებოდა ნატო-ს ძირითად შემაკავშირებელ საფუძვლად - სწორედ ამან განაპირობა, რომ "ცივი ომის" დამთავრებას არ მოყვა ნატო-ს დაშლა და ალიანსი ასეთი მიმზიდველი აღმოჩნდა ყოფილი სოციალისტური/საბჭოთა ბლოკის სახელმწიფოებისთვის.

"ცივი ომის" პირობებში ალიანსმა გამოავლინა ბევრი ისეთი მახასიათებელი, რომელიც კიდევ მეტად გაძლიერდა და განვითარდა საბჭოთა საფრთხის გაქრობის შემდეგ. ამდენად, "ცივი ომის" შემდგომი ეპოქის ნატო არ არის რაიმე თვისებრივად ახალი ნებისა და ინტერესების ერთობა, არამედ ალიანსის დამფუძნებელთა ჩანაფიქრის უშუალო ორგანიზაციულ-ღირებულებითი მემკვიდრეა. სტენლი სლოუნის აზრით, ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებაშია, რომ „ცივი ომის" დრომ ნატო-მ აჩვენა გამოწვევების მიმართ ადაპტაციის უნარი. ამ უნარის მთავარი ბერკეტი და საფუძველი კი იყო ე.წ. „კონსულტაციების ჩვევა", რომელიც

[106] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 6-7;

1950-იანი წლებიდან თანდათანობით განვითარდა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (1949 წლის დამფუძნებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული მთავარი პოლიტიკური ორგანო - დ.ბ.) მუშაობის პრაქტიკაში.[107]

კონსულტაციების კულტურა და პროცედურა ეყრდნობოდა დემოკრატიული იდეალების ერთგულებას. როგორც უკვე აღვნიშნე, ამ მხრივ ყველაფერი ყოველთვის იდეალურად არ იყო - ეს, პირველ რიგში, "ცივი ომის" დროინდელ თურქეთს ეხება, მაგრამ არც თავად შეერთებული შტატებისათვისაც იყო უცხო სპეცსამსახურების კანონის მიღმიერი მოქმედებები (მაგალითისათვის შეიძლება ირან-კონტრასის სკანდალური საქმე,[108] ან, თუნდაც, უოტერგეიტი გავიხსენოთ), ან სისტემური რასიზმის პრობლემები. მაგრამ, საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, შტატებსა და ნატო-ს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში აღმასრულებელი ხელისუფლების უკანონო ქმედებებს დამოუკიდებელ და ძლიერ ინსტიტუტებად ჩამოყალიბებული მედია, სასამართლო, პოლიტიკური კლასის ოპოზიციური ნაწილი უპირისპირდებოდა. სხვაგვარად, ნატო-ში არ იქნებოდა პროცედურებისადმი, ანუ ნორმებისადმი ის პატივისცემა, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად შევეხებით და რაც დღემდე რჩება აღნიშნული ალიანსის თავისებურებად.

ენდრიუ მორავჩიკი ევროპის კავშირთან დაკავშირებით წერს: „ერთაშორისი ინტეგრაციისაკენ სვლა იყო პასუხი ინსტიტუტების როლზე, რომლებიც აძლიერებდნენ სახელმწიფოთაშორისი ვალდებულებების სანდოობას".[109] მისი აზრით, შეთანხმებებს მოსდევდა დამატებითი ინსტიტუტების მშენებლობა, რაც ხელს უწყობდა ინფორმაციის გაცვლას, მონიტორინგს, ხოლო საერთო ინსტიტუტებისადმი მორჩილება განპირობებული იყო შიდაეროვნული

[107] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 7, 70;

[108] "Reagan's Mixed White House Legacy", BBC News (6 June, 2004), http://news.bbc.co.uk/2/hi/americas/213195.stm (22.08.2020);

[109] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, "Liberal Intergovernmentalism", In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019): 66;

ინსტიტუტების და პრეფერენციების ევოლუციით.[110] მორავჩიკი მიიჩნევს, რომ არაიძულებითი მოლაპარაკებები იქ იმარჯვებს, სადაც ინფორმაცია ბევრია და გაზიარებული,[111] ხოლო იდენტობაზე და ნორმებზე ბაზირებული თანამეგობრობის ეფექტი გავლენიანი იქნება, თუ განსახილველ ნორმებს გააჩნია მაღალი ლეგიტიმიზმი და რეზონირებს საშინაო იდეებთან და აქტორებთან.[112] ანუ, მორავჩიკის დასკვნით, დემოკრატიის შიდაეროვნული კულტურა იყო და არის ევროპის კავშირის მთავარი დუღაბი - ანალოგიურად, იგივე შეიძლება იქვას ნატო-ზეც.

და ბოლოს, რა თქმა უნდა, ნატო-ს ფუნქციონირებაზე საუბრისას უმნიშვნელოვანესია მსჯელობა ალიანსის სამხედრო სტრატეგიაზე. "ცივი ომის" დროს მისი იდეალების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო მზაობით იყო განპირობებული, რასაც, თავის მხრივ, იმჟამინდელ საფრთხეთა ბუნება განსაზღვრავდა. მაგრამ სამხედრო/თავდაცვით ზომებს თითქმის დასაწყისიდანვე თან სდევდა მთავარი ოპონენტის - საბჭოთა კავშირის - ცივილიზებულ ურთიერთობებში ჩართვის მცდელობები. ამ მცდელობათა მემკვიდრეა თანამედროვე კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკა. ზოგიერთი ავტორი ნატო-ს სწორედაც რომ არა მხოლოდ და არა იმდენად თავდაცვით ალიანსად, არამედ უსაფრთხოების თანამეგობრობად და კოოპერატიული უსაფრთხოების ერთადერთ სრულფასოვან ორგანიზაციად განიხილავს, რასაც შემდგომ თავებში დავუბრუნდები. ამჯერად კი ცალცალკე განვიხილოთ "ცივი ომის"დროინდელი ნატო-ს აღნიშნული მახასიათებლები.

3.1. პროცედურა, ანუ კონსულტაციების ჩვევის განვითარება ალიანსის ფარგლებში:

გადაწყვეტილების მიღების პროცედურები დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია - კანონის უზენაესობა არ გულისხმობს მხოლოდ კანონის მიღება/აღსრულებას,

[110] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, "Liberal Intergovernmentalism", In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019): 69-70;
[111] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, "Liberal Intergovernmentalism", In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019): 82;
[112] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, "Liberal Intergovernmentalism", In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019): 83;

არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინ, სად, რა რეგლამენტით და დროის რა მონაკვეთში ხვდება ერთმანეთს და თანხმდება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება-აღსრულება-ინტერპრეტაცია-მონიტორინგზე. უშუალოდ სამხედრო უსაფრთხოების პოლიტიკაში სემუელ ჰანტინგტონმა ამდაგვარ, არსებითად პროცედურულ საკითხებს აღნიშნული პოლიტიკის ინსტიტუციური დონე უწოდა და მთელი თეორია, სამხედრო-სამხედრო ურთიერთობები მიუძღვნა. კერძოდ, ჰანტინგტონის თანახმად, ესაა მანერა, რომლითაც ოპერატიული პოლიტიკა (უშუალოდ გადაწყვეტილებები და ქმედებები) ფორმულირდება და ხორციელდება.[113]

საინტერესოა, რომ ჰანტინგტონის აღნიშნული თეორია იქმნებოდა 1950-იან წლებში, ანუ მაშინ, როდესაც ნატო არსებობის სულ რამოდენიმე წელიწადს ითვლიდა. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა შეერთებული შტატების სამხედრო-პოლიტიკური მმართველობითი სტრუქტურის რეფორმები - ომის დასრულების მიუხედავად, ამერიკა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა მრავალრიცხოვან შეიარაღებულ ძალებს. ამ დროსვე იქმნებოდა აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭო. აქტუალური გახდა მსჯელობა, ერთის მხრივ, სამხედროებსა და სამხედრო პოლიტიკაზე სამოქალაქო უზენაესობის შენარჩუნების მექანიზმებზე, მეორეს მხრივ კი, სამხედრო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების კოლექტიურ ჩარჩოებზე. არც ისაა შემთხვევითი, რომ იმავე 1950-იან წლებში ჩაისახა პლურალისტური უსაფრთხოების თანამეგობრობის კონცეფცია. იგი ამერიკაში ჩეხოსლოვაკიიდან ემიგრირებული სოციალური მეცნიერის, კომუნიკაციებზე, სოციალური სწავლაზე, ნაციონალიზმზე ფოკუსირებული კარლ დოიჩის პირმშოა და, თავის არსში, სათავეს უდებს კონსტრუქტივისტულ დისკურსს.

კარლ დოიჩი მიიჩნევდა, რომ ჩრდილო ატლანტიკურ არეალში ნელნელა ისახებოდა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის მოდელი, რისი მაგალითიც, ერთის მხრივ, ბრიტანეთის ჩრდილოამერიკული კოლონიებიდან შეერთებული შტატების

[113] Samuel P. Huntington, *The Soldier and the State, The Theory and Politics of Civil-Military Relations* (Cambridge: Harvard University Press, 1995): 1; ციტირებულია წიგნიდან: დავით დარჩიაშვილი, *პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი* (თბილისი: თსუ, 2000): 38;

ფორმირება იყო, მეორეს მხრივ კი სკანდინავიური ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ტრადიციის განვითარება. კარლ დოიჩმა უსაფრთხოების თანამეგობრობა განსაზღვრა, როგორც „ხალხთა ჯგუფი“, რომელიც მივიდა შეთანხმებამდე იმ ერთ საკითხში მაინც, რომ სოციალური პრობლემების გადაჭრა „მშვიდობიანი ცვლილებებით“ შეიძლება.[114]

ნატო, როგორც არა მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო, არამედ ინტელექტუალური, ღირებულებითი პროექტი, ამ დისკურსის საგანიცაა და პროდუქტიც. კარლ დოიჩის მიგნებებში მთავარი ის ღირებულებებია, რაც ამგვარი რეალობის შექმნას შესაძლებელს ხდის. ნატო-ს დამფუძნებელი ქარტიის ზემოთაღნიშნული პრეამბულა, ანუ ერთიანობის დაფუძნება თავისუფლების, დემოკრატიის, კანონის უზენაესობის ღირებულებრივ მატრიცაზე ისაა, რაც დოიჩის მსგავს მოაზროვნეებს ინსპირაციას აძლევდა და რწმენას უძლიერებდა. მაგრამ ღირებულებათა, ნორმათა დამკვიდრებას პროცედურები სჭირდება. მათი დახვეწისა და დაცვის გარეშე კანონიც ლიტონ სიტყვად რჩება. არსებითად, თავად პროცედურათა გაწერა/დაცვა ასევე ღირებულებადაა აღსაქმელი და როგორ წესი, „კანონში“ პროცედურაც იგულისხმება. სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, ეს დამოკიდებულებებიც განაპირობებს ნატო-ს ქცევას „უსაფრთხოების თანამეგობრობად“.

ნატო-ს კლასიფიცირება უსაფრთხოების თანამეგობრობად, ისევე როგორც კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთადერთ განმახორციელებელ ორგანიზაციად, ნიშნავდა მისი თავდაცვის ალიანსად იდენტიფიცირების მიღმა წასვლას და ამ საკითხს ბევრმა მკვლევარმა დაუთმო ყურადღება. ნატო-სადმი ჩემი მიდგომაც ანალოგიურია, თუმცა, ამ საკითხს დისერტაციის სათანადო ადგილებში დავუბრუნდები. აქ კი მსურს, მოკლედ შევეხო რელევანტური შეფასებების მქონე ერთერთი თანამედროვე ავტორის კვლევის ანალიზს, რომელმაც „თანამეგობრობის“ ცნებაში სწორედ კონსულტაციების პროცედურაზე ხაზგასმა მიიჩნია

[114] Richard Ned Lebow, “Karl Wolfgang Deutsch: A Brief Introduction”, Research Paper, Deutsch Security Square (January 2015), https://deutschsquare.fsv.cuni.cz/DSS-1-version1-lebow_essay.pdf (12.02.2021);

მნიშვნელოვნად. თომას რისსე-კაპენის შეხედულებები თეორიული რეფლექსიაა იმაზე, რასაც სტენლი სლოუნმა „კონსულტაციების ჩვევა“ უწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კონსულტაციების მყარი ტრადიციითა და პროცედურით კოლექტიურობის სულისკვეთების გამოვლენა დასავლური ცივილიზაციის ერთერთი მთავარი მახასიათებელი დიდი ხნის მანძილზე იყო (რასაც კარლ დოიჩიც უსვამდა ხაზს), ნატო-ს კონტექსტში მისი დამკვიდრების საწყისი წლები მნიშვნელოვანი პრობლემებით ხასიათდებოდა. 50-იანი წლები ნატო-ს დამფუძნებელ წევრთა შორის უთანხმოებითა და წყენებით აღინიშნა. ნათქვამი ეხება, ერთის მხრივ, აშშ-ს, მეორეს მხრივ კი საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის უთანხმოებას სუეცის არხის კრიზისის დროს. მივყვეთ თანამიმდევრობით ამ ამბის განვითარებისა და განმუხტვის რისსე-კაპენისეულ შეფასებას.

რისსე-კაპენის აზრით, გაზიარებული ნორმების გამო, ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნები არ და ვერ აღიქვამენ ერთმანეთს მტრად და შესაფერისნი არიან კარლ დოიჩის „პლურალისტური უსაფრთხოების თანამეგობრობის“ შესაქმნელად. მაშინ, როცა ავტორიტარულ ქვეყნებს შორის წამყვანი მოტივაცია ეგოიზმი და სამყაროს ანარქიულობაა, დემოკრატიები მიდრეკილნი არიან კონსენსუსზე და კომპრომისებზე დაფუძნებული ინსტიტუტების შექმნისაკენ და ახერხებენ ამ შიდაეროვნული ნორმების ექსტერნალიზაციას.[115] რეგულარული კონსულტაციები მსგავსი ქვეყნების თანამეგობრობის წევრთა ურთიერთგავლენებსაც ლეგიტიმურ ელფერს სძენს: აქტორები ცდილობენ, ისე ჩამოაყალიბონ სურვილები, რომ ისინი მოკავშირეების შეხედულებებთან თავსებადი იყოს. კონსულტაციების ნორმათა არსებობა ემსახურება ქცევის კოლექტიური გაგების ფორმირებას და ასუსტებს ძალაზე აქცენტს ალიანსის შიგნით არსებულ დიპლომატიურ ვაჭრობაში. როდესაც ნორმათა

[115] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 367-368;

დარღვევა მაინც ხდება (რაც ადამიანთა შორის ზოგჯერ გარდაუვალია), ვითარების განმუხტვას ბოდიშის, ახსნა-განმარტების, კომპენსირების ნორმები ემსახურება.[116]

კორეის ომის დროს სუსტი, ომის ქაოსიდან ახლად გამოსული და ფეთქებადი კოლონიური მემკვიდრეობით დამძიმებული ევროპა რეალურად ზღუდავდა ძლიერ შეერთებულ შტატებს კონსულტაციის ნორმებით. კონსულტაციები მიმდინარეობდა 1956 წელს სუეცის კრიზისის დროსაც, როდესაც საბჭოთა ბლოკთან დაახლოვებულმა ეგვიპტემ მოახდინა სუეცის არხის ნაციონალიზაცია, რაც ბრიტანეთის და ინგლისის ეკონომიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს აზარალებდა. აღნიშნულმა ქვეყნებმა ისარგებლეს ეგვიპტე-ისრაელის ომით და არხის ზონის ოკუპირება მოახდინეს. მაგრამ, ამ შემთხვევაში გამოვიდა ისე, რომ შტატებმა საკუთარი მოკავშირეები აიძულა, რომ ოპერაცია შეწყვეტილიყო. ამის მიზეზი გახდა კონფლიქტში საბჭოთა კავშირის ჩაბმის რეალური საფრთხე. ამ პროცესს ახლდა სერიოზული წყენები მოკავშირეთა შორის.

რისსე-კაპენი მიზნად ისახავს, რომ ეს „რეალისტური“ შედეგი ასევე ლიბერალისტული და კონსტრუქტივისტული პერსპექტივიდან ახსნას: ბრიტანელებს არ ეგონათ, თუ აშშ გასაჭირში არ დაეხმარებოდა, ეს უკანასკნელი კი კონსულტაციებისას მაქსიმალურად არ/ვერ აწვებოდა პარტნიორებს და მხოლოდ ეგვიპტესთან ომის სარისკოობის ახსნა-განმარტებებით იფარგლებოდა. საბოლოო ჯამში, იყო მხარეთა შორის გაუგებრობები და ყველას ჩამოუყალიბდა განცდა, რომ მოკავშირემ მოატყუა. კრიზისის კულმინაციისას ამერიკა უფრო კატეგორიული გახდა.[117]

ბრიტანულ-ამერიკული „კონფლიქტი“, რომელსაც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა „ოჯახური პრობლემა“ უწოდა, მალე მოგვარდა. ნატო-ს ფარგლებში კი

[116] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 369;

[117] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 379-384;

განხორციელდა საკონსულტაციო პროცედურების შემდგომი დაზუსტება-დახვეწა. წყენამ უფრო დიდხანს გასტანა საფრანგეთთან ურთიერთობაში, მაგრამ ეს ცალკე ისტორიაა და როგორც პრეზიდენტ დე გოლის ამბიციებს, ისე ფრანგული კოლონიური იმპერიის უფრო მწვავე კრიზისს უკავშირდება. რისსე-კაპენის აზრით, სუეცის კრიზისი იყო არა ინტერესთა კონფლიქტი და ძლიერის (აშშ) მიერ სუსტების (ბრიტანეთი და საფრანგეთი) დაჩაგვრა, არამედ ნორმათა დარღვევის ქეისი, რადგან არასათანადოდ წარმართული კონსულტაციების პირობებში ორივე მხარეს დარჩა განცდა, რომ პარტნიორმა მოატყუა. აღნიშნულის საპირისპიროდ, რამდენიმე წელიწადში განვითარებული კარიბის კრიზისი გახდა კოლექტიური ტრანსატლანტიკური იდენტობის დემონსტრირების მაგალითი.[118]

კუბაზე საბჭოთა ბირთვული რაკეტების განლაგებით გამოწვეული ახალი დაძაბულობისას შეერთებული შტატები არა მხოლოდ საბჭოთა კავშირთან აღმოჩნდა ჩაბმული კლასიკურ, რეალპოლიტიკურ ნერვების ომში, არამედ, კონსულტაციების მეშვეობით, მაქსიმალურად ზრუნავდა მოკავშირეთა აღქმებსა და წუხილებზე. სწორედ იდენტობის, თანამეგობრობის მნიშვნელობაზე ხაზგასმად თვლის რისსე-კაპენი კენედის ადმინისტრაციის სერიოზულ ყურადღებას აშშ-ს რეპუტაციაზე, სანდოობაზე ნატო-ელ მოკავშირეთა თვალში. ამერიკის პრეზიდენტის ქცევაზე გავლენას ახდენდა როგორც ბრიტანელთა სურვილი, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულებულიყო, ისე წუხილი საბჭოთა არმიით გარშემორტყმული ბერლინის ბედზეც. ავტორის აზრით, სწორედ ეს ფაქტორები აკავებდა კენედის როგორც უმოქმედობისაგან, ისე ზედმეტი რადიკალიზმისაგან.[119] ცალკე მიმდინარეობდა ამერიკულ-თურქული მოლაპარაკებები ამ უკანასკნელის ტერიტორიიდან ამერიკული რაკეტების, „იუპიტერების“ გატანაზე, რასაც სსრკ ითხოვდა და რაც თურქეთს აშინებდა. აქაც მოინახა კომპრომისი - მოძველებული „იუპიტერების“

[118] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 385;

[119] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 389;

სანაცვლოდ ნატო-ს სამხრეთი ფლანგის საზღვაო ბაზირების ბირთვული იარაღით გაძლიერების იდეის დამუშავება.[120]

ამ დაძაბულობამ და რიგმა სხვა მოვლენებმა აჩვენა, რომ, რისსე-კაპენის თქმით, ბერლინს აშშ-სთვის ნიუ იორკის მნიშვნელობა მიენიჭა,[121] რაც მხოლოდ ორთოდოქსულად გაგებული სტრუქტურული რეალიზმის პარადიგმით ვერ აიხსნება - გეოპოლიტიკაზე მნიშვნელოვანი შეერთებული შტატებისა და ნატო-სათვის სიმბოლიზმი და ღირებულებათა თანხვედრა იყო.

3.2. შეკავების სტრატეგია (containment, deterrence):

რა თქმა უნდა, სამოკავშირეო კონსულტაციების მნიშვნელობა არანაირად არ აკნინებს იმ ფაქტს, რომ ნატო-ს პირველადი ფუნქცია იყო და არის მისი წესდების მე-5 მუხლით განსაზღვრული კოლექტიური თავდაცვა. „ცივი ომის“ ეპოქაში ლიბერალური დემოკრატიების თანამეგობრობას ემუქრებოდა საბჭოთა ექსპანსიონიზმი, კომუნისტური დოქტრინის გავრცელებისა და დასავლური დემოკრატიების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი ქმედებების პოლიტიკა. სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას ჯორჯ კენანის „გრძელი დეპეშა“, რაც ამერიკული „შეკავების სტრატეგიის“ საწყის ნარატივად ითვლება. იგივე იგრძნობოდა ჯორჯ მარშალის თუ უინსტონ ჩერჩილის ზემოთნახსენებ ტექსტებშიც. კონსულტაციების ჩვევა თუ პრაქტიკა იყო არა მხოლოდ თავისთავადი მიზანი, რაც ეროვნული თუ საერთაშორისო დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის არსია, არამედ საშუალებაც, ანუ კომუნისტური „წითელი საფრთხის“ შეკავების ფორმა.

ნატო-ს მკვლევარები საგანგებოდ გამოყოფენ 1949 წლის 4 აპრილს მიღებული დამფუძნებელი ხელშეკრულების მესამე, მეხუთე და მეცხრე მუხლებს: ამათგან

[120] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 390;

[121] Thomas Risse-Kappen, “Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 393;

პირველი ხელმომწერებს მოუწოდებდა, განევითარებინათ ინდივიდუალური და კოლექტიური უნარები თავდასხმის შესაკავებლად; შემდეგი მუხლი საუბრობდა იმაზე, რომ ალიანსის ერთ წევრზე თავდასხვა ყველაზე თავდასხმას ნიშნავდა. მეცხრე მუხლში კი აღინიშნებოდა, რომ მთავარი ორგანიზაციული სტრუქტურა NAC (ჩრდილოატლანტიკური საბჭო), უფლებამოსილი იყო შეექმნა თავდაცვის კომიტეტი და სხვა დაქვემდებარებული ორგანოები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მე-3-მე და მე-5-ე მუხლების შესრულება.[122]

ამ კვლევის მიზანს ნაკლებად წარმოადგენს ნატო-ს პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და ინტეგრირებული სარდლობის სტრუქტურული განვითარების განხილვა - ამ საკითხებს შევეხები იმდენად, რამდენადაც ისინი დამატებით ნათელს მოჰფენს ნატო-ს იდეური არსისა და მისი სტრატეგიის განვითარების სურათს. აქ მინდა აღვნიშნო, რომ თავდაცვის და სამხედრო კომიტეტებმა, რომლებიც NAC-ის შემდგომ შეიქმნა, უპირველეს ამოცანად სწორედ ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება დაისახა.

საინტერესოა, რომ სამხედრო კომიტეტის ეგიდით მომზადებული პირველი სტრატეგიული კონცეფცია, რომლის პროექტიც, თავდაცვის კომიტეტის გავლით, შემდგომ საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან შემდგარ ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში გაიგზავნა, ექსპლიციტურად არ ახსენებდა ალიანსზე თავდასხმის შემთხვევაში ბირთვული იარაღის გამოყენების განზრახვას. თავდაპირველ ტექსტში „ატომური ბომბი“ ნახსენები იყო, მაგრამ დანიის მოთხოვნით, ამერიკის იმჟამინდელმა თავდაცვის მდივანმა ლუის ჯონსონმა კომპრომისული ტექსტი მიაღებინა ჯერ თავდაცვის კომიტეტს, 1950 წლის დამდეგს კი - ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსაც. ფრაზა, რომელიც საბოლოო დოკუმენტში მოხვდა, კერძოდ, თავდაცვის შემთხვევაში „ ... უზრუნველყოს სწრაფი სტრატეგიული დაბომბვის განხორციელების უნარი ყველა არსებული საშუალებითა და შეიარაღების

[122] Gregory Pedlow, “The Evolution of NATO Strategy 1949-1969”, In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/intro.pdf (10.08.2021): XI;

ყველა სახეობით, გამონაკლისის გარეშე“,[123] რა თქმა უნდა, ბირთვულ შესაძლებლობათა გამოყენებასაც გულისხმობდა. მაგრამ ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ „კონსულტაციების ჩვევა“ იმთავითვე მკვიდრდებოდა ალიანსში.

თავად ნატო-ს ფორმირება შეერთებული შტატების მხრიდან კომუნიზმის შეკავების სტრატეგიის ნაწილი იყო, რომელსაც მისი მოკავშირეები იზიარებდნენ. ინგლისურ ენაზე ეს სტრატეგია, რომელიც სათავეს კენანის ზემოთნახსენები „გრძელი დეპეშიდან“ იღებს, containment-ის და deterrence-ს ურთიერთდაკავშირებულ ცნებებში გამოიხატება. აქედან მეორე უშუალოდ ნატო-ს ფუნქცია იყო და სამხედრო, მათ შორის ბირთვულ შეკავებას გულისხმობდა. პირველი კი უფრო ფართო, სამხედრო-პოლიტიკური, მნიშვნელოვანწილად ეკონომიკური და იდეოლოგიური შინაარსის მატარებელია, მის განხორციელებაში დიდია სპეცსამსახურების წვლილიც.

ეს უკანასკნელი თემა, ანუ საჭოთა კავშირის ზოგადი შეკავება არა მხოლოდ ნატო-ს ქვეყნების მიმართ, არამედ ირგვლივ, მთელს სამყაროში, განსაკუთრებით კი წევრთა საზღვრების სიახლოვეს, რაც უკვე არა უშუალოდ თავდაცვის, არამედ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ამოცანა იყო, თანდათანობით სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა ნატო-ს სტრატეგიულ დოკუმენტებშიც. არსებითად, ამით ხაზი ესმებოდა ნატო-ს, როგორც სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის არსს. 1956 წლის 13 დეკემბერს ჩრდილოატლანტიკური საბჭო მიმართავდა ნატო-ს მართვის სამხედრო უჯრედებს პოლიტიკური დირექტივით, რომ: „ ... მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს თავდაცვითი დაგეგმარება შეზღუდულია ხელშეკრულებით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვით, აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული საფრთხეები, რომლებიც შეიძლება შეექმნას ნატო-ს მის ფარგლებს გარეთ განვითარებული

[123] Gregory Pedlow, “The Evolution of NATO Strategy 1949-1969”, In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/intro.pdf (10.08.2021): XIII;

პროცესების გამო“.[124] დირექტივის თანახმად, ნატო-ს უნდა შესძლებოდა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის იძულება, ბირთვული მუქარის (deterrence) გზით თავი შეეკავებინა ალიანსის მიმართ პირდაპირი აგრესიისაგან, არამედ ასევე ყურადღება მიექცია, ემოქმედა ინფილტრაციების, მტრული ნაბიჯების წინააღმდეგ პასუხისმგებლობის ზონის ირგვლივ. ასეთ დირექტივას მალე ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება მოჰყვა.

1957 წლის სტრატეგიული კონცეფცია ცნობილია, როგორც „მასობრივი შურისძიების“ სტრატეგია.[125] იგულისხმებოდა ფართომასშტაბიანი ბირთვული მუქარა, რომლის მიზანი სტრატეგიული დოკუმენტის მეხუთე მუხლში შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „ ... [თავდაცვის] მთავარი პრინციპი არის ერთობლივი ქმედება, ინდივიდუალური მოქმედებებისა და ერთობლივი დახმარების გზით ომის შესაკავებლად და შეიარაღებული შეტევის წინააღმდეგ თავდასაცავად, თუკი შეკავება ვერ იმოქმედებს“.[126] მაგრამ, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ზემოთნახსენები პოლიტიკური დირექტივის კვალობაზე, დოკუმენტის მესამე სექცია საგანგებო ყურადღებას უთმობდა ნატო-ს გარეთ მიმდინარე სახიფათო პროცესებს. კერძოდ, 21-ე პარაგრაფი ყურადღებას ამახვილებდა შემდეგზე: „ ... დამატებით, უნდა აღინიშნოს მზარდი მნიშვნელობა საბჭოთა ძალისხმევისა, პირდაპირ ან არაპირდაპირ მოიპოვოს გავლენა ზოგიერთ ნატო-ს არაწევრ სახელმწიფოზე, რომელთა შენარჩუნებას საბჭოთა ორბიტის გარეთ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ალიანსისათვის. ეს მანევრი ხასიათდება საბჭოთა მცდელობებით, მაქსიმალური მოგება მიიღონ საბჭოთა ბლოკის გარეთ მყოფ სახელმწიფოთა შორის

---

[124] Gregory Pedlow, “The Evolution of NATO Strategy 1949-1969”, In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/intro.pdf (10.08.2021): XIX;
[125] Gregory Pedlow, “The Evolution of NATO Strategy 1949-1969”, In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/intro.pdf (10.08.2021): XX;
[126] A Report by the Military Committee on Overall Strategic Concept for the Defense of the North Atlantic Treaty Organization Area, MC 14/2 (23.05.1957), In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a570523a.pdf (29.06.21): 284;

უთანხმოებებისგან; ამ ერებზე ფსიქოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური შეტევით; იარაღის მიწოდებით; და სავარაუდოდ, ამ სახელმწიფოების ტერიტორიებზე, ღიად ან ფარულად, სამხედრო ბაზების შექმნით. ამ ყველაფერმა შეიძლება განაპირობოს ადგილობრივი ომის დაწყება, აქედან გამომდინარე ყველა თანმდევი საფრთხით".[127] შესაბამისად, აცხადებდნენ მოკავშირენი, მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი თავდაცვითია, მისი ცალკეული ქვეყნები მზად უნდა იყვნენ იმოქმედონ საზღვრებს გარეთაც. ამავე დოკუმენტის 22-ე პარაგრაფის თანახმად: „ ... აღნიშნულ ფონზე, ნატო-ს ძალების ყველაზე ეფექტურად ორგანიზებისა და აღჭურვის დასაგეგმად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნატო-ს ზოგიერთი ქვეყნის შესაძლო მოთხოვნა, გამოიყენონ საკუთარი ნატო-ს ძალების ნაწილი ალიანსის გარეთ თავდაცვითი საჭიროებების უზრუნველსაყოფად, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს მსოფლიოში საბჭოთა კომუნისტური საფრთხეების სხვადასხვა და ცვალებადი ფორმებიდან".[128] ეს იყო ერთგვარი სიახლე ნატო-ს სტრატეგიულ დაგეგმვაში. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი მსჯელობების გაჩენა ოფიციალურ დოკუმენტებში, რაც წმინდა სამხედრო-თავდაცვით ლოგიკას სცდებოდა, ნაკარნახევი იყო მოვლენებით ახლო აღმოსავლეთსა თუ უნგრეთში. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ზემოთნახსენები 1956 წლის პოლიტიკური დირექტივა, რომელიც წინ უძღოდა ალიანსის ახალ სტრატეგიულ კონცეფციას, ჯორჯ კენანის „გრძელი დეპეშის" სტილში საუბრობდა საბჭოთა კავშირის ლიდერების განზრახულობაზე, დაესუსტებინათ და საბოლოოდ დაენგრიათ „კაპიტალისტური სამყარო", რადგან მოვლენებს იდეოლოგიური ბრძოლის ჭრილში აღიქვამდნენ.

---

[127] A Report by the Military Committee on Overall Strategic Concept for the Defense of the North Atlantic Treaty Organization Area, MC 14/2 (23.05.1957), In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a570523a.pdf (29.06.21): 292;

[128] A Report by the Military Committee on Overall Strategic Concept for the Defense of the North Atlantic Treaty Organization Area, MC 14/2 (23.05.1957), In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a570523a.pdf (29.06.21): 292;

ნათქვამის უახლეს დასტურად დოკუმენტი სწორედ უნგრეთის და ახლო აღმოსავლეთის მოვლენებზე მიუთითებდა.[129] როგორც სტრატეგიის, ისე დირექტივის ენა და შინაარსი ნათლად ადასტურებს, რომ ნატო-ს შემაკავებელი (deterrence) სამხედრო ძალა და აშშ-ს შეკავების (containment) საგარეო პოლიტიკური კონცეფცია, რომელსაც, მთლიანობაში, მისი ნატო-ელი მოკავშირეებიც იზიარებდნენ, ურთიერთშემავსებელი სახელმძღვანელოები და მექანიზმები იყო საბჭოთა პირდაპირი და შეფარული აგრესიის წინააღმდეგ.

ამ ტერმინთა სემანტიკური განსხვავება ქართულ ენაზე რთულია და, არსებითად, ისინი ერთი მედლის ორი მხარეა. მაგრამ, ვფიქრობ, რომ nuclear deterrence თავისთავადი, სპეციფიკური, თუმცა მაინც უფრო ვიწრო და კონკრეტული დატვირთვის მატარებელია და კომუნიზმის იმ ამერიკული containment-ის ნაწილადაა აღსაქმელი, რომლის საწყისებიც კენანის და მარშალის, ისევე როგორც უინსტონ ჩერჩილის მოსაზრებებიდან იღებს სათავეს. აღნიშნული სტრატეგია თუ სტრატეგიები კონფლიქტთა რეგულირების ისეთი მეთოდოლოგიის ქოლგის ქვეშაც შეიძლება განვიხილოთ, როგორიც coersive diplomacy ანუ „მაიძულებელი დიპლომატიაა“. იგი სამყაროსავით ძველია, მაგრამ მასზედ აკადემიური რეფლექსია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის პროდუქტია. გარკვეული, შენთვის სასურველი ქმედებებისა თუ უმოქმედობისაკენ მეტოქის მიმართვა იყო ამერიკელი ეკონომისტის, თამაშის თეორიის გურუს და “ცივი ომის” სტრატეგოსის ტომას შელინგის ინტერესის სფერო.[130] ბირთვული დაპირისპირებისას იგი მიიჩნევდა, რომ უმჯობესია მეტოქე საგონებელში ჩააგდო, შურისძიების რეალური ფორმა და მასშტაბი ბუნდოვანი გაუხადო, ვიდრე მკაფიო და წინასწარმეტყველებადი.

[129] Directive to the NATO Military Authorities from the North Atlantic Council, C-M(56)138, (13.12.1956), In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a561213a.pdf (30.06.21): 271;

[130] Thomas Schelling, *The Strategy of Conflict* (Cambridge: Harvard University Press, 1960);

უფრო რელევანტურია და შეკავების ამერიკულ-ნატოური სტრატეგიის ვარიაციათა განმსაზღვრელია მაიძულებელი დიპლომატიის მეთოდოლოგია, როგორადაც იგი პეტერ იაკობსენს აქვს გადმოცემული.[131] ეს მეთოდიკა თუ მოდელები შეიძლება კარგად მივუსადაგოთ იმ ქმედებებს, რასაც უშუალოდ ამერიკა და ნატო თავის საზღვრების მიღმა საბჭოთა კავშირისა და მისი ადგილობრივი მოკავშირეების შეკავებისათვის ახორციელებდა. იგი გულისხმობს ოთხ ნაბიჯს: გააგებინო მეტოქეს, თუ რას ითხოვ; გააგებინო, რომ შეუსრულებლობის შემთხვევაში სასჯელი გარდაუვალია; შესთავაზო კომპენსაცია; და დაარწმუნო, რომ თანხმობის შემთხვევაში კიდევ მეტს არ მოსთხოვ. იაკობსენი ხაზს უსვამს, რომ ეს ძნელია და ამიტომ, ტომას შელინგის შეგონება მაიძულებელი დიპლომატიისას ორმხრივი კომპრომისების აუცილებლობის შესახებ, რელევანტურია.[132]

containment-ის და coercive diplomacy-ს მაგალითია ამერიკის ქცევა კარიბის კრიზისის დროს. თუმცა, იგივე პრინციპების ფარგლებში ჯდება როგორც შეერთებული შტატების, ისე ნატო-ს პოლიტიკა ალიანსის სამხრეთ ფლანგზე, რომლის მოწყვლადობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო. აქ მხოლოდ ბირთვული შეკავება არ იყო საკმარისი, რადგან თურქეთი და საბერძნეთი თავდაპირველად არ იყვნენ ნატო-ს წევრები, ხოლო მათ (განსაკუთრებით, საბერძნეთის) წინაშე არსებული საფრთხეები უფრო ძირგამომთხრელი ქმედებებით იყო განსაზღვრული, ვიდრე უშუალო სამხედრო კონფრონტაციით. შესაბამისად, საჭირო ხდებოდა კომუნისტური პროპაგანდის აღმოფხვრა, რაც სპეცსამსახურების, დიპლომატიიური და ეკონომიკური პოლიტიკის საქმე უფრო იყო, ვიდრე ბირთვული სტრატეგიის.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ ახორციელებდა შეკავება/containment-ს უშუალოდ საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ ევროპული გავლენის ზონაში. ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი, სადაც საბჭოთა რეპრესიები განსაკუთრებული

[131] Peter Viggo Jakobsen, "Coercive Diplomacy: Countering War-Threatening Crisis and Armed Conflicts", In *Contemporary Security Studies* (Oxford: Oxford University Press, 2015): 279-293;

[132] Peter Viggo Jakobsen, "Coercive Diplomacy: Countering War-Threatening Crisis and Armed Conflicts", In *Contemporary Security Studies* (Oxford: Oxford University Press, 2015): 286;

მასშტაბებით განხორციელდა, ჯერ კიდევ ნატო-ს შექმნამდე იყო დროებით დაკარგული დასავლური სამყაროსათვის. როგორც მომავალმა აჩვენა, აქ დასავლეთი უფრო დიალოგს, ანუ განმუხტვა/détente-ს ირჩევდა. მაგრამ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირთან საჯილდაო ქვა გახდა ნატო-ს სამხრეთი ფლანგი. 1947 წელს ბრიტანეთის მთავრობამ მიმართა პრეზიდენტ ტრუმენის ადმინისტრაციას, რომ საბერძნეთი და თურქეთი განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა კომუნისტური საფრთხის მხრივ და დიდ ბრიტანეთს არ/აღარ შესწევდა ძალა, დაეცვა სტაბილურობა რეგიონში. იმავე წელს, ამერიკის კონგრესმა დააკმაყოფილა პრეზიდენტ ტრუმენის თხოვნა და ამ ორი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, მათი დემოკრატიის გაძლიერებისათვის 400 მლნ. დოლარი გამოყო. ბუნებრივია, ეს პრესი საბჭოთა პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული - საბერძნეთის მთავრობა ადგილობრივ პროკომუნისტურ შეიარაღებულ ფორმირებებს ებრძოდა, თურქეთი კი სსრკ-ს მხრიდან შანტაჟისა და დარდანელის სრუტეზე კონტროლის დამყარების საფრთხის ქვეშ იყო. ამ ფონზე ჩამოყალიბდა ტრუმენის დოქტრინა, რომელიც "თავისუფლებისმოყვარე ხალხების" დაცვას გულისხმობდა შეიარაღებული უმცირესობებისა თუ გარე ძალებისაგან.[133] არსებითად, ეს იყო საბჭოთა კავშირის შეკავების არსი. დასამალი არაა, რომ პრაქტიკაში ამერიკულ დახმარებას ორივე ქვეყანაში მემარჯვენე ავტორიტარიზმის დამყარება მოჰყვა. თუმცა საბჭოთა აგრესიულობის ფონზე ამერიკაც და, მოგვიანებით შექმნილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც, ამ ვითარებას ნაკლებ ბოროტებად და გამოუცხადებელი ომის ლოგიკად აღიქვამდა.

ტრუმენის დოქტრინის გამოცხადებიდან ხუთ წელიწადში ორივე ქვეყანა ნატო-ში გაწევრიანდა. პროცესის გახანგრძლივება დაკავშირებული იყო ამ ქვეყანებში არსებულ არასტაბილურობასა და მათ არცთუ დემოკრატიულ პროფილთან. ამერიკელ სამხედროთა ნაწილსაც კი ჰქონდათ კითხვები, თუ რატომ უნდა ჩაბმულიყო ამერიკა ადგილობრივ ომებში, ამ ქვეყნებთან დაკავშირებით ასეთი გადაწყვეტილების მიღებით. მაგრამ სტრატეგიულმა განზრახულობებმა, ისევე, როგორც საბჭოთა გავლენის ზონის დამყარების შემთხვევაში, ამ რეგიონში

[133] 12 March, 1947 - President Truman Announces the Truman Doctrine, History, A&E Television Networks (10.03.2020), https://www.history.com/this-day-in-history/truman-doctrine-is-announced (11.12.2020);

თავისუფლებისათვის ბრძოლის შეუძლებლობამ, საბოლოოდ გადაწონა. 1950 წელს საბერძნეთი და თურქეთი ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ მხოლოდ ხმელთაშუაზღვისპირეთის დაცვის დაგეგმვაში მონაწილეობისათვის იყვნენ მიწვეულები.[134] ორი წლის შემდეგ კი ორივე ქვეყანა სინქრონულად გახდა ნატო-ს წევრი. საბერძნეთისათვის ნატო-ს წევრობაზე უარი არც მაშინ უთქვამთ, როდესაც მემარცხენე, პროკომუნისტური ძალების გაძლიერების საფრთხის ქვეშ, 1967 წელს ე.წ. „შავი პოლკოვნიკების“ მემარჯვენე გადატრიალება განხორციელდა. საბერძნეთი, რომელსაც კომუნისტური ბულგარეთისაგან, ანუ საბჭთა ბლოკისაგან, 1200 კილომეტრიანი საზღვარი ჰყოფდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ალიანსისთვის. მაგრამ ნატო-ს ფარგლებში საგრძნობი გახდა საბერძნეთის კრიტიკა ადამიანის უფლებების დარღვევის გამო, რამაც 1974 წელს დიქტატურის დასასრულში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ასეა თუ ისე, აქტიური ქმედებებით ალიანსის მხრიდან საბჭოთა გავლენა ამ ქვეყნებზე საგრძნობლად შესუსტდა. ამდენად, მართალია, ნატო-ს კომპრომისი დემოკრატიასთან დაკავშირებით თვალშისაცემი, მაგრამ მაინც დროში შეზღუდული და არასრული იყო. ისტორიული გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ამ დროებითი კომპრომისის ხარჯზე უზრუნველყოფილი იქნა გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპის სამხრეთ ფლანგზე თავისუფლებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება.

არც ისაა უმნიშვნელო, რომ ნატო-ს წევრობამ, დიდი ალბათობით, ამ ორი ქვეყნის, საბერძნეთისა და თურქეთის ომი გამორიცხა: რომ არა ნატო-ს წევრობა და დასავლურ, ლიბერალურ-დემოკრატიულ სამყაროსთან ინტეგრაციის სურვილი, კვიპროსისა თუ ეგეოსის კუნძულების გამო თურქულ-ბერძნული დაპირისპირება დიდი ალბათობით რეგიონალურ ომში გადაიზრდებოდა, რაც მათ ბედსაც ბუნდოვანს გახდიდა და ნატო-საც საგრძნობლად დაასუსტებდა.

1960-იან წლებში ნატო-ს სტრატეგიული კონცეფცია კიდევ ერთხელ გადაიხედა - ამ პერიოდისთვის შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა განცდა, რომ ბირთვული

[134] D. J. K., (1952), “Greece, Turkey, and NATO”, The World Today, Vol. 8, No. 4 (April 1952), Royal Institute of International Affairs: 162-169;

იარაღის მატარებელ ინტერკონტინენტურ რაკეტებში საბჭოთა კავშირი უპირატესობას აღწევდა.[135] ვითარება დაძაბული იყო ევროპაშიც - მძვინვარებდა ბერლინის ე.წ. მეორე კრიზისი, რაც ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ ნატო-ს წევრთაგან დასავლეთ ბერლინის დატოვების მოთხოვნამ გამოიწვია და ბოლოს, ბერლინის კედლის მშენებლობით დასრულდა.

1961-1963 წლებში, ამერიკის ინიციატივით, ნატო-ს სამხედრო და პოლიტიკური სტრუქტურები მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებისა და მასობრივი ბირთვული შურისძიების შუალედური ვარიანტი სსრკ-სთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, რომლის ალბათობა ბერლინის კრიზისმა გაზარდა. აშშ თავდაცვის მდივანი მაკნამარა აგიტაციას უწევდა ე.წ. „მოქნილი პასუხის“ (Flexible Response) სტრატეგიას, რაც ბირთვული იარაღის შეზღუდულ გამოყენებას გულისხმობდა, მაგრამ კონსენსუსის მიღწევა მარტივად ვერ ხერხდებოდა.[136]

მთავარი წინააღმდეგობა საფრანგეთის მთავრობიდან მოდიოდა. რიგ ოპერატიულ საკითხებში პრეზიდენტ დე გოლის აღქმები, მისი შიშები ძალიან სპეციფიური იყო. ის რჩებოდა ევროამერიკულ ღირებულებათა ერთობის ქომაგად, მაგრამ სხვა უთანხმოებებთან ერთად, ჰქონდა ეჭვი, რომ სსრკ-ს აგრესიის შემთხვევაში, ამერიკას შეიძლება არ მიემართა ევროპის ბირთვული დაცვისათვის. თავის მხრივ, შეერთებულ შტატებს ნაკლებად ადარდებდა დაშლის გზაზე მდგარი საფრანგეთის კოლონიური იმპერია, მაგრამ აფიქრებდა მისი სწრაფვა დამოუკიდებელი ბირთვული არსენალის შექმნისაკენ. შედეგად, როგორც ცნობილია, დე გოლის მთავრობა დარჩა ალიანსის ერთგული, მაგრამ უარი განაცხადა მის ინტეგრირებულ სამხედრო

---

[135] Gregory Pedlow, “The Evolution of NATO Strategy 1949-1969”, In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/intro.pdf (10.08.2021): XXI;

[136] Gregory Pedlow, “The Evolution of NATO Strategy 1949-1969”, In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/intro.pdf (10.08.2021): XXIII-XXIV;

დაგეგმვასა და მართვაში მონაწილეობაზე.[137] არსებითად, ამ გადაწყვეტილებამ დააჩქარა ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის რევიზია და კონსენსუსის მიღწევა. უნდოდა ეს პრეზიდენტ დე გოლს თუ არა, ნატო დარჩა იმავე საფრანგეთის უსაფრთხოების მთავარ გარანტიადაც სსრკ-სთან გლობალურ იდეოლოგიურ დაპირისპირებაში. აღნიშნული დადასტურდა მომდევნო წლებში, როდესაც 1974 წელს, პომპიდუს მთავრობის ინიციატივით, ნატო-მ მიიღო ატლანტიკური ურთიერთობების დეკლარაცია. მასში აღინიშნა, რომ საფრანგეთის ბირთვული პოტენციალი „თავისუფალი სამყაროს“ დამცველია და ნატო-ს გლობალური შეკავების (deterrent) მონაწილე. დეკლარაცია ქმნიდა „შეუზღუდავი ატლანტიკური კონსულტაციების სისტემას“.[138] 2009 წელს კი საფრანგეთი ნატო-ს ინტეგრირებულ სამხედრო სტრუქტურაში დაბრუნდა. რა თქმა უნდა, ამან ალიანსში კონსენსუსის მიღწევა არანაირად არ გააიოლა, მაგრამ შიდა თანხმობის მიღწევის კომპლექსურობა ნატო-ს თანდაყოლილი მახასიათებელი და ტრანსატლანტიკური, ღირებულებებზე დაფუძნებული უნიკალური გარიგების ერთერთი შტრიხია.

მაგრამ იმ პერიოდში, საფრანგეთის გადაწყვეტილებას დადებითი შედეგი მოჰყვა და დაჩქარდა ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფციის მიღება: 1966 წლის 9 მაისს ნატო-ს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტმა, რომელიც საფრანგეთის გარეშე მუშაობდა და ჩრდილოატლანტიკური საბჭოსგან თავდაცვასთან დაკავშირებული ყველა საქმე ჰქონდა მინდობილი, განაცხადა: „ ... ნატო-ს მთლიანი სტრატეგიული კონცეფცია უნდა გადაიხედოს, რათა მიეცეს ნატო-ს მეტი მოქნილობა და შესაძლებლობა, გამოიყენოს ვითარების შესაბამისად ერთი ან მეტი საშუალება უშუალოდ თავდაცვის, გამიზნული დაპირისპირების ან ზოგადი ბირთვული პასუხის სახით, რითიც დაუპირისპირებს მოწინააღმდეგეს ესკალაციის სარწმუნო საფრთხეს ნებისმიერი იმ აგრესიის პასუხად, რომლის დონეც მნიშვნელოვანი ბირთვული

[137] Maurice Vaïsse, Clémence Sebag, “France and NATO: An History”, In *Politique Étrangère 2009/5*, Institut Français des Relations Internationals (May 2009), https://www.cairn.info/revue-politique-etrangere-2009-5-page-139.htm (30.06.21): 139-150;
[138] Maurice Vaïsse, Clémence Sebag, “France and NATO: An History”, In *Politique Étrangère 2009/5*, Institut Français des Relations Internationals (May 2009), https://www.cairn.info/revue-politique-etrangere-2009-5-page-139.htm (30.06.21): 143-144;

შეტევის ქვემოთაა".[139] ახალი კონცეფცია, რომელიც 1967 წელს იქნა მიღებული, „მოქნილი პასუხის" (Flexible Response) სახელით გახდა ცნობილი. იგი დასაშვებად მიიჩნევდა ბირთვული იარაღის გამოყენებას, ოღონდ ვითარების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების საშუალებას აძლევდა ნატო-ს, რომელიც აღარ იყო ვალდებული, ნებისმიერი კონფრონტაცია განეხილა ბირთვული დაპირისპირების საფუძვლად. ეს კონცეფცია "ცივი ომის" დასრულებამდე აღარც შეცვლილა.[140]

„მოქნილი პასუხის" კონცეფცია სტენლი სლოუნს ევრო-ამერიკულ კომპრომისად მიაჩნია.[141] საქმე იმაშია, რომ ევროპელებს ეეჭვებოდათ სსრკ-ს სამხედრო აგრესიის შეჩერება ჩვეულებრივი შეიარაღებით, კენედის ადმინისტრაციიდან მოყოლებული კი აშშ-ს ეფიქრებოდა მთავარ მეტოქესთან ნებისმიერ სამხედრო ინციდენტზე მყისიერი ბირთვული პასუხი. შედეგად, ამ კომპრომისით, ევროპელებმა ომის ჩვეულებრივი სტადიის ამერიკული მოთხოვნა აღიარეს, რაც ნიშნავდა, რომ „რკინის ფარდის" გასწვრივ პირველი გასროლისთანავე ბირთვული ჰოლოკოსტი არ უნდა დაწყებულიყო, აშშ კი დათანხმდა მკაფიო კავშირზე ევროპაში სახმელეთო ომსა და საკუთარ ბირთვულ არსენალს შორის.[142] აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილების, მათ შორის, სამხედრო ხასიათის გადაწყვეტილებების მიღების პროცესშიც, კონსულტაციების ჩვევა და საერთო ღირებულებითი საფუძვლებით განპირობებული კომპრომისის უნარი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ალიანსის წარმატებული ფუნქციონირებაში.

---

[139] Gregory Pedlow, "The Evolution of NATO Strategy 1949-1969", In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/intro.pdf (10.08.2021): XXIV;

[140] Gregory Pedlow, "The Evolution of NATO Strategy 1949-1969", In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/intro.pdf (10.08.2021): XXV;

[141] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 57;

[142] Flexible Response, In *Nuclear Strategy,* Britannica, https://www.britannica.com/topic/nuclear-strategy/Flexible-response (14.10.2021);

3.3. განმუხტვა (Détente):

ეს ტერმინი, რომელიც შეიძლება „განმუხტვად“ ითარგმნოს, მე-20 საუკუნის სამოციანი წლების მიწურულიდან ნატო-სა და ვარშავის ბლოკის, ან აშშ-სა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობათა აღმწერი ერთერთი მთავარი კლიშე გახდა. ამ დოქტრინამდე მისვლაში თავისი როლი ითამაშა ნატო-ს ზემოთ განხილულმა ახალმა სტრატეგიულმა კონცეფციამ, რომელიც „მოქნილი პასუხის“ სახელითაა ცნობილი - ეს მიდგომა, რომელიც თავისთავად კუბასა და დასავლეთ ბერლინში განვითარებული კრიზისული მოვლენების პირდაპირი გამოძახილი იყო, ირიბად მაინც კავშირშია დაძაბულობის განმუხტვის, ანუ détente-ს პოლიტიკურ კურსთან.

ამ უკანასკნელის კონტურები თუ წანამძღვრები ყოველთვის არსებობდა, მაგრამ მის მატერიალიზაციამდე მისვლა მხოლოდ 60-იანი წლების მეორე ნახევარში მოხერხდა. საქმე იმაშია, რომ არც აშშ და არც ნატო-ს სხვა წევრები არ ისახავდნენ მიზნად საბჭოთა იმპერიის სამხედრო ძალით განადგურებას. თავად შეკავების, ანუ deterrence-ს საერთო სტრატეგია, როგორადაც იგი მის ამერიკელ სულისჩამდგმელებს ესახებოდათ, გარდა სამხედრო-პოლიტიკური, ისევე როგორც ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული დაპირისპირებისა, მოწინააღმდეგესთან რაციონალურ დიალოგსაც გულისხმობდა. ჯორჯ კენანი თავის „გრძელ დეპეშაში“ აღნიშნავდა, რომ: „ ... საბჭოთა ხელისუფლება, განსხვავებით ჰიტლერული გერმანიისგან, არც სქემატურია და არც ავანტურისტული . . . ის ძალზე მგრძნობიარეა ძალის ლოგიკის მიმართ. ამ მიზეზით, მას შეუძლია, იოლად დაიხიოს უკან - და, როგორც წესი, ასეც იქცევა ხოლმე, როდესაც რომელიმე წერტილში აწყდება ძლიერ წინააღმდეგობას. ამიტომ, თუ მის მოწინააღმდეგეს გააჩნია საკმარისი ძალა და ცხადყოფს, რომ მზად არის მისი გამოყენებისთვის, მას ძალზე იშვიათად მოუწევს ამის გაკეთება. თუ ვითარება სწორად არის მართული, არ არსებობს პრესტიჟის დაცვის ღონისძიებების აუცილებლობა“.[143]

[143] Telegram 861.00/2 – 2246: The Charge in the Soviet Union (Kennan) to the Secretary of State (22.02.1946), National Security Archive, The George Washington University, https://nsarchive2.gwu.edu//coldwar/documents/episode-1/kennan.htm (20.09.2020);

ამერიკული სტრატეგიის არსი იყო კონკურენცია, დემონსტრირება სამყაროსა და მათ შორის, უშუალოდ საბჭოთა კავშირისათვისაც, რომ ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები და იდეალები პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზაა. ეს გულისხმობდა დიალოგს, რომელიც თითქმის შეუძლებელი გახდა სტალინის მმართველობის ბოლო წლებში, მაგრამ ახალი შანსი მიეცა ნიკიტა ხრუშჩოვის სახელთან დაკავშირებული „დათბობის“ დროს. ამას ადასტურებს 1959 წელს ამ უკანასკნელის უპრეცედენტო, 13 დღიანი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. რა თქმა უნდა, იდეოლოგიური და სამხედრო დაპირისპირება კვლავინდებურად ძალაში რჩებოდა - საბჭოთა ანტილიბერალური პოლიტიკა, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური კლიშე არსად გამქრალა, სამხედრო და სპეც სამსახურების დაპირისპირებაც ისევე გრძელდებოდა. კუბის, ანუ კარიბის კრიზისიც სწორედაც დათბობის პირველი ნაბიჯების შემდეგ მოხდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთლიანობაში მაინც მართლდებოდა კენანის შეფასება, რომ საბჭოთა ხელისუფლება - აგრესიული, დასავლეთის პრობლემებზე პარაზიტირებადი, ადამიანთა ჭანჭიკებად აღმქმელი - მაინც არ იყო სქემატურ-ავანტიურისტული და აფასებდა ძალის ლოგიკას. იმდროინდელ საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში წამყვან ტენდენციებს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის სისუსტეთა გამოყენება, კონკურენტთა ტერიტორიაზე ძირგამომთხრელი საქმიანობა, ანუ უშიშროებისა და საგარეო დაზვერვის ე.წ. აქტიური ზომების განხორციელება და საკუთარი იმპერიული საზღვრების დაცვა.

პარალელურად, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეა სულ უფრო მეტად იღებდა წარსულიდან გადმოყოლილი, უსიცოცხლო კლიშეს სახეს. კაპიტალისტურ სამყაროსთან მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა ჯერ კიდევ ლენინიდან იღებდა სათავეს, მაგრამ ეს იმ დროს უფრო საბოლოო შეტაკებამდე შესვენებად და გაძლიერების საშუალებად აღიქმებოდა. მე-20 საუკუნის სამოციან წლებში, ხრუშჩოვის და შემდგომ, ბრეჟნევის ხანაში, ბირთვული არმაგედონის შიშმა და საბჭოთა ელიტის გადაქცევამ იდეური ბოლშევიკებიდან ახალ ნომენკლატურულ კლასად, რომელსაც სტაბილურობა და კომფორტულად ცხოვრება სურდა, მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას წონა შემატა. ეს რომ არა, არც დასავლური

détente-ს შეესხმებოდა ხორცი და, ალბათ, არც პირველ სსრკ-აშშ ბირთვულ შეთანხმებას მოეწერებოდა ხელი 1963 წელს. ამ შეთანხმების თანახმად, რომელშიც დიდი ბრიტანეთიც მონაწილეობდა, აიკრძალა ბირთვული იარაღის გამოცდა წყალქვეშ და ატმოსფეროში; გარკვეული შეზღუდვები დაწესდა მიწისქვეშა გამოცდებზეც.

ნატო-ს ფარგლებში სსრკ-სთან ურთიერთობების დათბობის ერთერთი ენთუზიასტი იყო საფრანგეთის მთავრობა, რაც 1966 წელს დე გოლის მოსკოვში ვიზიტსა და ფრანგულ-საბჭოთა დეკლარაციაში გამოვლინდა. მის ტექსტში აღინიშნებოდა ევროპის მასშტაბით დათბობა/détente-თი ორმხრივი დაინტერესება. თუმცა, დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობათა მშვიდობიან კალაპოტში მოქცევას საბოლოო ბიძგი მისცა დასავლეთ გერმანიაში სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ფორმირებამ. სტენლი სლოუნის თანახმად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1966 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმატება და დიდი სამთავრობო კოალიციის შექმნა ნატო-ს ევროპულ ფლანგზე იმ დროის ყველაზე რეზონანსული მოვლენა იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი (მომავალი ახალი კანცლერი, იმჟამად კი საგარეო საქმეთა მინისტრი - დ.ბ.) ვილი ბრანდტი ახალი „აღმოსავლური პოლიტიკის“ ინიციატივით გამოდიოდა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ურთიერთობების მეტ-ნაკლებ ნორმალიზაციას უჭერდა მხარს.[144] სხვა შემთხვევაში და სხვა ტიპის სამხედრო ალიანსში, ამ განვითარებას შეიძლება საერთო მიზნებში ბზარი შეეტანა, მაგრამ ღირებულებათა არსებითი ერთიანობის, კონსულტაციების ჩვევისა და საბჭოთა კავშირის მხრიდან „მშვიდობიან თანაარსებობაზე“ მზარდი აქცენტის წყალობით, ალიანსის შიდა აზრთასხვაობანი განხეთქილების მაგივრად ე.წ. „ჰარმელის ანგარიშით“ და ახალი, კიდევ უფრო მოქნილი და ეფექტური სამოქმედო სტრატეგიით დასრულდა.

ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის, პიერ ჰარმელის სახელი ეწოდა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს 1967 წლის დოკუმენტს, რომელშიც აისახა

[144] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 49;

კომპრომისული ევრო-ამერიკული მიდგომა ზემოთ აღწერილი ახალი პოლიტიკური რეალობის მიმართ. „ალიანსის სამომავლო ამოცანები“, ანუ „ჰარმელის ანგარიში“ ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ 1967 წლის დეკემბერში მიიღო. იგი ითვლება სტრატეგიულ ნააზრევად, რომელსაც იმაზე ხანგრძლივვადიანი გავლენა აღმოაჩნდა, ვიდრე ალბათ მისი ავტორი, ან ნატო-ს მაშინდელი ხელმძღვანელები წარმოიდგენდნენ.

გარკვეულწილად, „ჰარმელის ანგარიში“ ფართო საზოგადოებას წარუდგენდა კლასიფიცირებულ დოკუმენტებში ასახულ ხედვებს.[145] ამ დოკუმენტში ნათლადაა გადმოცემული ნატო-ს ორმაგი თუ ორგვარი - შეკავებისა და განმუხტვის (deterrence and detente) პოლიტიკური ხაზი. ზოგადად, ეს ორგვარი მიდგომა და კომპრომისებისთვის მზადყოფნა კონფრონტაციის პირობებშიც კი, ჯერ კიდევ ომისშემდგომ ამერიკულ სტრატეგიულ განცხადებებს ახასიათებს და, საერთოდ, დღემდე ევროატლანტიკური სტრატეგიული კულტურის ერთერთი მთავარი ნიშანია. მაგრამ, ჰარმელის რეპორტში ეს ყოველივე მეტად მოკლედ, ცხადად და გასაგებად აისახა. სლოუნის თქმით, ჰარმელის რაპორტის სულისკვეთებამ გამოკვეთა ნატო-ს, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტის რენომე. მისი შედეგი იყო ნატო-ს წვლილი ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის თათბირის (მომავალი ეუთო - დ.ბ.) დაფუძნებაში 1975 წელს.[146]

ნათქვამის საუკეთესო ილუსტრაცია როგორც ნატო-ს თანამედროვე მკვლევართა შეფასებები, ისე თავად ტექსტის შინაარსია: ანგარიშის მე-4 პუნქტში აღინიშნება, რომ საერთაშორისო სიტუაციის ცვლილებასთან ერთად, ალიანსის პოლიტიკური ამოცანები ახალ განზომილებას იძენს. ნატო-მ შეაჩერა კომუნიზმის ექსპანსია ევროპაში; სსრკ ერთერთი სუპერ სახელმწიფოა, რომლის „მშვიდობიანი

[145] “Harmel Report” (16.11.2017), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_67927.htm (14.10.2021);
[146] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 51-53;

თანაარსებობის“ დოქტრინამ არ შეცვალა საბაზო პრობლემები, მაგრამ შეცვალა კონფრონტაციის ბუნება.[147]

რა თქმა უნდა, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ალიანსის წევრთა მთავარი ფუნქცია აგრესიის შესაკავებლად საკმარისი სამხედრო ძალისა და პოლიტიკური სოლიდარობის შენარჩუნებაა (მე-5 პუნქტი). ნათქვამია, რომ ევროპული კრიზისის შესაძლებლობა კვლავ რეალურია, რამდენადაც გერმანული საკითხი გადაუწყვეტელია. გარმანიის საკითხის ცალკე გამოყოფა, გარდა სტრატეგიული მნიშვნელობისა, ერთგვარი რევერანსიც გახლდათ გერმანიის ახალი კოალიციური მთავრობის მიმართ. ამ მთავრობის სულისკვეთებას სრულად ასახავს და პასუხსაც სცემს მე-7 პუნქტი, რომლის თანახმად: „ ... ყველა მოკავშირე მაქსიმალურად უნდა ეცადოს, თავის წვლილი შეიტანოს საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპასთან ურთიერთობების გაუმჯობესებაში, ამასთან, უნდა გაითვალისწინოს, რომ დათბობის პოლიტიკის გატარებამ არ უნდა გამოიწვიოს განხეთქილება ალიანსში“.[148]

ტექსტში შემდგომ აღინიშნება, რომ ამ ცვლილებების საშუალებას იძლევა საბჭოთა პოლიტიკის ევოლუცია, რაც იმედისმომცემია; ალიანსის წევრები მუშაობენ განიარაღებისა და შეიარაღების კონტროლის ზომებზე, რაც აჩვენებს მათი მხრიდან ვითარების განმუხტვის განზრახვას. ამავე ტექსტში ხაზგასმულია, რომ ჩრდილოატლანტიკური არეალის უსაფრთხოება ვერ იქნება განხილული და აღქმული დანარჩენი სამყაროსაგან იზოლირებულად. ეს პასაჟი მიუთითებს, რომ ათწლეულების შემდგომ ნატო-ს მხრიდან განხორციელებული არეალის მიღმა ოპერაციები (out-of-area operations) ისევე იღებს სათავეს ალიანსის “ცივი ომის” დროინდელი სტრატეგიული პროფილიდან, როგორც კოოპერაციული უსაფრთხოების თანამედროვე ლოგიკა.

---

[147] The Future Tasks of the Alliance, Report of the Council – “The Harmel Report” (14.12.1967), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_26700.htm (14.10.2021);

[148] The Future Tasks of the Alliance, Report of the Council – “The Harmel Report” (14.12.1967), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_26700.htm (14.10.2021);

მთლიანობაში, „ჰარმელის ანგარიშმა“ შეუქცევადად და დოკუმენტირებულად განსაზღვრა, რომ ნატო-ს ფუნქცია და ინტერესები სცილდება მხოლოდ კლასიკური თავდაცვითი ალიანსის ფუნქციასა და ინტერესებს. უკვე იმ პერიოდში გამოჩნდა, რომ ნატო მზად არის, შეასრულოს კოოპერატიული უსაფრთხოების ორგანიზაციის როლი, რაც, უსაფრთხოებასთან ერთად, გულისხმობს დიალოგს, ლიბერალურ ღირებულებათა გავრცელებას და პოლიტიკურ ტრანსფორმაციას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლის შემდეგ განვითარებული მოვლენები, “ცივი ომის” დასრულება, აღმოსავლეთთან კონფლიქტების (მათ შორის, გერმანიის საკითხის) მშვიდობიანი გადაწყვეტა და ევროპული დემოკრატიის სივრცის უპრეცედენტოდ გაფართოება დიდწილად სწორედ ამ ანგარიშში ასახული მიდგომებით ნატო-ს ეფექტური და სწორი მოქმედებების შედეგია.

* * *

რა თქმა უნდა, “ცივი ომის” დროინდელი ნატო-ს სტრატეგია და პრაქტიკული პოლიტიკა ბევრად უფრო კომპლექსური და მრავალმხრივი იყო, ვიდრე ეს სახელმძღვანელო დოკუმენტებშია ასახული. შეკავება და განმუხტვა, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, პოლიტიკის განსხვავებულ ფორმულებს ქმნიდა. ამ მიდგომების შემდუღაბებელი იყო მოკავშირეების ღირებულებათა მაქსიმალური თანხვედრა და ზემოთნახსენები დემოკრატიული კონსულტაციების კულტურა.

მაგრამ, ამავე დროს, ნატო-ს მოქმედებების დიაპაზონი და ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად საბჭოთა კავშირის ქმედებებზე იყო დამოკიდებული. ამ კუთხით, ნიშანდობლივია, რომ „ჰარმელის ანგარიშის“ მიღებიდან რამოდენიმე თვეში საბჭოთა და ვარშავის ბლოკის წევრთა ტანკები პრაღაში შევიდნენ. ამ აგრესიის საპასუხოდ ნატო რადიკალურ სამხედრო ნაბიჯებს არ და ვერ გადადგამდა, ისევე, როგორც არ გადაუდგამს ასეთი ნაბიჯები 1956 წელს, ბუდაპეშტის ამბოხის სისხლში ჩახშობის შემდეგ. აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა გავლენის ზონად ითვლებოდა, დასავლელი პოლიტიკოსები და ნატო-ს დიპლომატები ამას ეგუებოდნენ, ხოლო თეორეტიკოსები - ნეორეალიზმის სკოლიდან - სამყაროს ორპოლუსიანობას, ევროპის

ორად გაყოფას, სტაბილურობისათვის არც თუ ყველაზე მიუღებელ მოდელად თვლიდნენ.

მთლიანობაში, ევროატლანტიკური თანამეგობრობა თანხმდებოდა, რომ ვითარების შეცვლა მხოლოდ ხანგრძლივვადიან ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ჭიდილში თანდათანობით მიღწეულ გამარჯვებას შეეძლო. ამიტომ, მიუხედავად პრაღაში დატრიალებული მოვლენებისა, განმუხტვის პროცესი გაგრძელდა და, როგორც ზემოთ ითქვა, საბოლოოდ ეუთო-ს შექმნას დაუდო საფუძველი. 1975 წელს ჰელსინკიში ხელმოწერილი ფინალური აქტი, რომელიც ევროპაში თანამშრომლობას და უსაფრთოებას მიეძღვნა, ადამიანის უფლებების უზენაესობას, ევროპის კონტინენტზე საზღვრების ურღვევობას და ქვეყნების საგარეო პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებას აღიარებდა. რემარკის სახით, აღსანიშნავია, რომ სსრკ-ს მიერ ხელმოწერილ ამ დოკუმენტისა და მის საფუძველზე ფორმირებული უსაფრთხოების ევროპული არქიტექტურის რევიზიას ოთხი ათეული წლის შემდეგ დღევანდელი რუსეთი, პუტინის ხელისუფლება ცდილობს.

70-იან წლებში აქტიურად მიმდინარეობდა საბჭოთა-ამერიკული მოლაპარაკებები ევროპაში ბირთვული შეიარაღების კონტროლის შესახებ. ბუნებრივია, ამ მოლაპარაკებებში საგრძნობი იყო ევროპელ მოკავშირეთა წვლილი და გავლენა, რომელთათვისაც, საკუთარი პოზიციების გაზიარების მთავარ ფორმატს, ტრადიციულად, ნატო-ში მიმდინარე პოლიტიკური კონსულტაციების პროცესი წარმოადგენდა. განსაკუთრებული პრობლემა ნატო-ს ევროპელი წევრებისათვის საშუალო რადიუსიანი საბჭოთა ბირთვული რაკეტები იყო. როგორც სტენლი სლოუნი აღნიშნავს, იმჟამინდელი საბჭოთა-ამერიკული დებატები ბირთვულ შეიარაღებაზე, რომელიც, ამერიკელთა მხრიდან, „ჰარმელის ანგარიშის“ პოლიტიკურ ხაზს მიყვებოდა, გადაიქცა შეჯიბრად ევროპელთა გულებისა და გონებისათვის.[149] სწორედ ევროპელებთან, განსაკუთრებით კი გერმანელებთან, მუდმივი დიალოგის რეჟიმში იღებდა პრეზიდენტ კარტერის ადმინისტრაცია

[149] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 60;

როგორც შეიარაღების შეზღუდვა-კონტროლზე დიალოგის გაგრძელების, ისე ბირთვული არსენალის შემდგომ მოდერნიზაციის შესახებ გადაწყვეტილებებს.[150]

ისტორიის ირონიაა, რომ "ცივი ომის" დროინდელი ერთერთი ყველაზე მშვიდობიანად განწყობილი პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის მმართველობისა და განმუხტვა/detente-ს კულმინაციის დროს სსრკ-ს ავღანურმა ავანტიურამ მთელი პოლიტიკური პროცესი და ჰარმელის სულისკვეთება ჩაშლის წინაშე დააყენა. ამერიკის კონგრესმა უარი თქვა სტრატეგიული ბალისტიკურ რაკეტების შესახებ აშშ-სსრკ მორიგი შეთანხმების (SALT-2) რატიფიცირებაზე და 1981 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე détente-ს მოწინააღმდეგე რონალდ რეიგანმა გაიმარჯვა. სწორედ პრეზიდენტ რეიგანს ხვდა "ცივი ომის" დასრულებაში ლომის წილის პატივი. მაგრამ სათუოა, ეს მომხდარიყო, რომ არა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როგორც სტრატეგიული, ისე ღირებულებითი ერთიანობა და პარალელურად, საბჭოთა ელიტებისა თუ საზოგადოების თანდათანობითი ტრანსფორმაციის შეუქცევადობა. ამ ორმხრივ პროცესს და მის შედეგს - "ცივი ომის" დასრულებას - კარგად ხსნის საერთაშორისო ურთიერთობების ორი თეორია - ლიბერალიზმი და სოციალური კონსტრუქტივიზმი, რის შესახებაც უფრო დეტალურად შემდგომ თავში ვისაუბრებთ.

[150] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 60;

მესამე თავი: ნატო-ს ტრანსფორმაცია "ცივი ომის" დასრულების შემდგომ - „ისტორიის დასასრული" და „ჰარმელის ანგარიშის" ახალი სიცოცხლე, ევროპის გაერთიანება, პოლიტიკური უსაფრთხოება და კრიზისების მენეჯმენტი

წინამდებარე თავი ეხება ნატო-ს ფუნქციონირებას "ცივი ომის" დასრულებისა და დემოკრატიული სივრცის რადიკალური გაფართოების ეპოქაში. მნიშვნელოვანწილად, ამ ეპოქის დადგომა თავად ნატო-მ, მისმა "ცივი ომის" დროინდელმა პოლიტიკურმა და სამხედრო სტრატეგიამ მოიტანა. ბერლინის კედლის ნგრევის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ინტეგრირების, აგრეთვე ბალკანეთსა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი ომებისა და კონფლიქტების პრობლემა. თავისი არსებობის ამ ეტაპზე ნატო-მ განაგრძო ფუნქციონირება არსებითად იგივე პრინციპების ადაპტაციით, ამოცანების რიგითობის შეცვლით და არა მათი უარყოფით. რთულია ზუსტი ქრონოლოგიური ვადების განსაზღვრა ამ პერიოდისათვის - ის 1989-90 წლებში, "ცივი ომის" დამასრულებელი აკორდებით იწყება, მაგრამ მას შემდეგ პროცესები არაერთმნიშვნელოვანი იყო და არის. მიმაჩნია, რომ მიუხედავად ნატო-ს წინაშე ახალი პრობლემების გაჩენისა - მათ შორის, გლობალური ტერორიზმის საფრთხის სახით - 2014 წლამდე, ანუ ნატო-ს უელსის სამიტამდე ეს მაინც იყო მრავალფეროვნებაში ერთიანი ეპოქა. ეტაპი, როდესაც ნატო-ს ფუნქციებში თავდაცვაზე წინ კრიზისების მენეჯმენტი და კოოპერატიული უსაფრთხოება იდგა. ვითარება კიდევ ერთხელ შეიცვალა ყირიმის ანექსიით რუსეთის ფედერაციის მხრიდან, მაგრამ ეს უკვე შემდეგი თავის თემაა.

4.1. "ცივი ომის"მოულოდნელი დასასრულის კონცეფტუალური სურათი:

მეოცე საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნა საერთაშორისო ურთიერთობებში მოულოდნელი მოვლენებისა და მათთან ასოცირებული ახალი იმედების გაჩენის ხანა იყო. ნატო-ს არსის და ამოცანების საერთაშორისო თეორიების ჭრილში განხილვისას, მარკ ვებერი აღნიშნავს, რომ "ცივი ომის" პირობებში, რადგან ვარშავის ბლოკი უპირატესობას ფლობდა ჩვეულებრივ შეიარაღებაში, ხოლო ბირთვულ

შეიარაღებაში აშშ-სსრკ ბალანსში პარიტეტი იყო მიღწეული, ნატო-ს მთავარი საფიქრალი კოლექტიური თავდაცვა იყო.[151] ვერ ვიტყვით, რომ ისტორიის რომელიმე ეტაპზე ეს ამოცანა გაქრა და კოლექტიური თავდაცვის მისია აღარ არსებობს - ასე რომ იყოს, ალბათ ახდებოდა ზოგიერთი ნეორეალისტის პროგნოზი და ნატო, ვარშავის ბლოკივით, ისტორიას ჩაბარდებოდა. სანამ არსებობს ალიანსის დამფუძნებელი ქარტია, ნატო კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციაა. მაგრამ მისი განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ნატო არასოდეს ყოფილა მხოლოდ თავდაცვითი ალიანსი, ახალმა ვითარებამ კი სწორედ მისი დამატებითი ფუნქციები გამოკვეთა.

ეს ახალი ვითარება სოციალურ მეცნიერებებსა და, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. დღემდე არ წყდება დებატი იმაზე, თუ რამ გამოიწვია "ცივი ომის" და ორპოლუსიანი სამყაროს მოულოდნელი დასასრული. ამ პროცესის პროგნოზირების ვერმოხდენა ალბათ ერთერთი მთავარი ნაკლია, რაზეც ოპონენტები დღემდე მიუთითებენ საერთაშორისო ურთიერთობების როგორც რეალიზმის, ისე ლიბერალიზმის სკოლებს.[152] სწორედ ამ დებატების ფონზე აღმოცენდა და გავრცელდა საერთაშორისო ურთიერთობების სოციალურ-კონსტრუქტივისტული მიდგომა. მისი წარმომადგენელი, რობერტ ჰერმანი მიიჩნევს, რომ "ცივი ომის" დასასრულის მომტანი ერთერთი მთავარი ფაქტორი მიხაილ გორბაჩოვის „ახალი აზროვნება" იყო: „ძალის უარყოფა აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური დომინირების შენარჩუნებისა და სსრკ-ს დაშლის პრევენციის საქმეში უფრო შორს წავიდა, ვიდრე ამას საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული თეორიები ითავსებდა და რეგიონის მცოდნე სპეციალისტები წარმოიდგენდენ".[153]

---

[151] Mark Webber, "Thinking NATO through Theoretically", *paper presented to the ECPR Joint Sessions (Lisbon, 14-19 April 2009), Workshop 24: 'Theorizing NATO"*, https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/e004327f-8597-4408-b51a-2e8fabdbeb21.pdf/ (20.03.2021);

[152] Peter Katzenstein (editor), *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics* (New York: Columbia University Press, 1996): XI;

[153] Robert G. Herman, "Identity, Norms, and National Security: The Soviet Foreign Policy Revolution and the End of the Cold War", In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 271-272;

რა თქმა უნდა, "ცივი ომის" დასასრულის აღქმა რეალპოლიტიკის შედეგად, რომელშიც სსრკ დამარცხდა, სულაც არაა ლოგიკას მოკლებული. 1979 წლის ავღანურმა ავანტიურამ შეაჩერა ამერიკულ-ევროპული détente ენთუზიაზმი. ერთი შეხედვით, ეს წელი მოლაპარაკებებით იყო დატვირთული, მაგრამ საბჭოთა არმიის ავღანეთში შესვლის ფონზე, უკვე შეთანხმებული სტრატეგიული ბირთვული რაკეტების კონტროლის ხელშეკრულება, SALT-2, აშშ სენატმა არ დაამტკიცა. მალე ამერიკის ხელისუფლებაში ხისტი მიდგომის მომხრე რონალდ რეიგანი მოვიდა.[154] მან საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია" უწოდა. ავღანური აგრესიის და ევროპის ტერიტორიაზე საშუალორადიუსიანი საბჭოთა რაკეტების განლაგების პასუხად, დაიწყო შეიარაღების ზრდის ახალი ტალღა, რომლის ინიციატივა აშშ-დან მოდიოდა. 1983 წლის 23 მარტს რეიგანმა დააანონსა ე.წ. სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა (SDI), რაც ანტისარაკეტო სისტემების კოსმოსში განლაგებას გულისხმობდა. საბჭოთა კავშირის მესვეურებზე ამან დიდი გავლენა მოახდინა. მათ უნდა ეპასუხათ იმ პირობებში, როდესაც გეგმიური ეკონომიკა ვეღარ იზრდებოდა, შემოსავლის ძირითად წყაროზე, ნავთობზე, კი მსოფლიო ფასები ეცემოდა. შეერთებული შტატები არ ზოგავდა რესურსებს მთელს მსოფლიოში როგორც დემოკრატიული, ისე რადიკალური თუ ფუნდამენტალისტური ანტისაბჭოთა ძალების მხარდასაჭერად. რეალიზმის მიმდევარი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სწორედ ამან გამოიწვია სსრკ-ს დაბრუნება „განმუხტვის" მოდალობაში. იგი ევროპაში საშუალორადიუსიანი რაკეტების შემცირების შესახებ 1987 წლის შეთანხმებით დაიწყო და 1989 წლის ნოემბერში ბერლინის კედლის დანგრევით გაგრძელდა. საბოლოოდ კი ამას მოჰყვა „წითელი იმპერიის" დასასრული. მოვლენათა განვითარების ასეთი ხედვა დომინანტურია საქართველოს საექსპერტო საზოგადოებაშიც.[155]

მაგრამ "ცივი ომის" დასრულების ამგვარი ახსნა ტოვებს კითხვებს: განა არ შეეძლო საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას, რეიგანის ხისტი მიდგომების საპასუხოდ

[154] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 62;

[155] რატი თვალავაძე, "რეიგანის ტრიუმფი", Politicalreviewer (06.02.2017), https://politicalreviewer.wordpress.com/2017/02/06/reagan-foreign-policy-triumph (01.02.2021);

სამხედრო ძალით დახმარებოდა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ რეჟიმებს, პარალელურად კი, შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაში, მიემართა მესამე მსოფლიო ომის შანტაჟისათვის და ასე გადაერჩინა, გარკვეული ვადით მაინც, „ბრეჟნევის დოქტრინა“ ვარშავის ბლოკის წევრების სუვერენიტეტის შეზღუდულობის შესახებ? სრულიად ნათელი იყო, რომ სსრკ-ს ეკონომიკა პრობლემებს აწყდებოდა, მაგრამ ვინ იყო იმის ზუსტი მცოდნე საბჭოთა ხელმძღვანელობასა თუ მსოფლიო საექსპერტო საზოგადოებაში, რამდენი ხანი შეძლებდა კიდევ იგი ელემენტარულ ფუნქციონირებას? რატომ უპასუხა მიხეილ გორბაჩოვის ახალმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ გამოწვევებს სრული და უპირობო დათმობებით? - მაგალითად, გერმანიის მოულოდნელი გაერთიანება დასავლეთ გერმანიის სრული დომინირებით ნატო-ს ზოგიერთ წევრსაც კი აფიქრებდა - ნუთუ არ შეეძლო სსრკ-ს, ესარგებლა აზრთა სხვადასხვაობით, რათა ევროპაში პოზიციები ასე ერთიანად არ დაეთმო? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსგავსი რადიკალური ცალმხრივი დათმობების მიმართ ეჭვს გამოთქვამდა დასავლეთის რეალპოლიტიკური საექსპერტო სამყაროც, რადგან რეალიზმის სკოლის მიმდევრებს ასეთი სცენარი გლობალური სტაბილურობისათვის სარისკოდ მიაჩნდათ. თვით ამერიკის ადმინისტრაციაც კი ფრთხილად უდგებოდა გლობალური სტაბილურობის თემას და განსაკუთრებით აღელვებდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში საბჭოთა ბირთვული არსენალის კონტროლის საკითხი - რეიგანის შემდგომ ხელისუფლებაში მოსული პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მთლიანად მხარს უჭერდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან ევროპიდან საბჭოთა არმიის გასვლას, მაგრამ ფრთხილად და სკეპტიკურად უდგებოდა თავად საბჭოთა კავშირის დანგრევის თემას.

რობერტ ჰერმანი “ცივი ომის” დასრულების უფრო ადექვატურ ახსნას კონსტრუქტივისტულ მიდგომაში ხედავს და საბჭოთა ხელმძღვანელობის კოლექტიური იდენტობის ცვლილებას უკავშირებს. ძნელია არ დაეთანხმო, რომ მიხაელ გორბაჩოვის „ახალი აზროვნების“ დეკლარირებული კურსის გაგებას სჭირდება როგორც მატერიალურ (რეალიზმი), ისე იდეაციურ (კონსტრუქტივიზმი) სტრუქტურებსა და მათ ინტერაქციაზე ფოკუსირება; რომ მნიშვნელოვანი ფაქტორი

იყო პროდასავლურ საბჭოთა ექსპერტთა ის ქსელი, რომელიც 1970-იანი წლებიდან აქტიურობდა სსრკ-ს საგარეო პოლიტიკაში და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროპისა და ამერიკის მემარცხენე ლიბერალურ წრეებთან.[156] ჰერმანი მეტი ნდობით ეკიდება საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალურ, განსაკუთრებით კი ნეოლიბერალურ-ინსტიტუციონალისტურ პარადიგმას, რომლის თანახმად, საერთაშორისო რეჟიმები ხელს უწყობს ქცევის, ნორმების სწავლას და ასკვნის, რომ საბჭოთა რეფორმატორი ექსპერტების გავლით ნელნელა დამკვიდრებული „ახალი აზროვნების“ კონცეფტები 1970-იანი წლების détente-ს რეგულატორული პრინციპებიდან მოდიოდა.[157] ავტორი აღნიშნავს, რომ გარღვევის ტოლფასი იყო აშშ-კანადის საბჭოთა ინსტიტუტის დირექტორის, გიორგი არბატოვის წევრობა განიარაღების საკითხებზე მომუშავე შვედი პოლიტიკოსის, ულოფ პალმეს დამოუკიდებელ კომისიაში. იყო სხვა აკადემიური კონტაქტებიც, რომელთა შედეგად კომუნისტურ ელიტასთან დაახლოვებული და გავლენიანი ინტელექტუალური წრეები ივიწყებდნენ სამყაროს ბოლშივიკურ აღქმას, იწყებდნენ დასავლეთთან თანაარსებობის უკეთეს ფორმებზე ფიქრს და ამ ფიქრების აგიტაციას. ზოგი მათგანი იდეალისტად და სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების მიმდევარად ყალიბდებოდა, ზოგი რეალპოლიტიკით იყო გატაცებული. გორბაჩოვი სწორედ მათი ერთერთი პარტნიორი იყო პოლიტბიუროში.[158] თუმცა, ახსნის ამ ნეოლიბერალურ-ინსტიტუციონალისტურ ხაზს, ჰერმანი აღარ ავითარებს და „ახალი აზროვნების“ სიღრმეები უფრო რუსულ-საბჭოთა იდენტობის ცვლის ადგილობრივ პროდუქტად მიაჩნია.

ჩემი აზრით, “ცივი ომის” დასრულების ფორმები, გამომდინარე ამ მოვლენის კომპლექსურობიდან და გლობალური მნიშვნელობიდან, ვერ აიხსნება ერთი

[156] Robert G. Herman, “Identity, Norms, and National Security: The Soviet Foreign Policy Revolution and the End of the Cold War”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 273-275;
[157] Robert G. Herman, “Identity, Norms, and National Security: The Soviet Foreign Policy Revolution and the End of the Cold War”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 280-281;
[158] Robert G. Herman, “Identity, Norms, and National Security: The Soviet Foreign Policy Revolution and the End of the Cold War”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 292-296;

რომელიმე თეორიით და ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის, სოციალური კონსტრუქტივიზმის, ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმისა და სტრუქტურული რეალიზმის სიმბიოზს მოითხოვს.

სტრუქტურული რეალიზმის სკოლის მიმდევრების გადმოსახედიდან „ცივი ომის“ დასრულების მიზეზები ზემოთ უკვე ვახსენეთ და, მიმაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არგუმენტები უდავოდ ვალიდური, ლოგიკური, თუმცა კი, მთლიანი პროცესის ასახსნელად - არასაკმარისია.

ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით, ყოველთვის არა, მაგრამ საკმაოდ ხშირად, ინსტიტუტები, საერთაშორისო რეჟიმები მართლაც უწყობენ ხელს კონფლიქტების რეგულირებას, ინფორმაციის ნაკლებობით გამოწვეული მოულოდნელობების თავიდან აცილებას, ცივილიზებულ, პროცედურებზე დაყრდნობილ თანაარსებობას და კოოპერაციას ეგოისტურად განწყობილ სახელმწიფოთა შორის.[159] ცხადია, რომ წინა თავში ნახსენები ნატო-ს „ჰარმელის ანგარიშის“ მიღებისა და მის ნიადაგზე განვითარებული აღმოსავლეთ-დასავლეთის მოლაპარაკებები იყო სწორედ ის ინსტიტუციური, რეჟიმული ჩარჩო, რომელიც აჩვენებდა და ასწავლიდა რაციონალურად მოაზროვნე საბჭოელებს კლასობრივი სიძულვილის დავიწყების შესაძლებლობას, უნდობლობის შესუსტების გზებს, ნაკლებხიფათიანი საერთაშორისო ურთიერთობების პლიუსებს. გიორგი არბატოვი თუ სხვები, როგორც ჰერმანი ეძახის საბჭოთა „liberal mezdunarodniks“, ნატო-ს მიერ ინიცირებული ამ დიალოგისა და ინსტიტუტების პროდუქტები იყვნენ.

ამ პროცესის ერთერთი წარმატებული შედეგი იყო 1975 წლის ჰელსინკის სამიტი და ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების მუდმივმოქმედი კონფერენციის დაარსება, რომლის აქტიური მონაწილეც საბჭოთა კავშირი გახდა. მის ფარგლებში იქნა მიღწეული სსრკ-ს მიერ სახელმწიფოთა საზღვრების ურღვეობისა და ალიანსებში თავისუფლად გაერთიანების უფლების აღიარება. ჰელსინკის აქტის

[159] Robert Keohane, and Lisa Martin, “The Promise of Institutionalist Theory”, In *Theories of War and Peace* (Cambridge: The Mit Press, 1998), 384-394;

შემდეგ გაიშალა სსრკ-ში დისიდენტური მოძრაობა და დაიწყო ებრაული წარმოშობის საბჭოთა მოქალაქეების ისრაელში დაბრუნების პროცესი. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ძალაში რჩებოდა საბჭოთა რეპრესიული კანონმდებლობა და პრაქტიკა, ვარშავის ბლოკის წევრთა შემზღუდავი „ბრეჟნევის დოქტრინა“. დამატებით, 1979 წელმა და ავღანურმა აგრესიამ ახალი დაძაბულობა მოიტანა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. მაგრამ „ჰარმელის ანგარიშის“ ლოგიკა მაინც იძლეოდა იმ შედეგს, რომელიც ჰერმანს აქვს აღნიშნული და რომლის თეორიული დასაბუთებაც ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმია.

იგივე შეიძლება ითქვას ენდრიუ მორავჩიკის ლიბერალურ ინტერგოვერნმენტალიზმთან დაკავშირებით. სპეციფიკურად ევროკავშირის თეორიული განმარტებისათვის შექმნილი, ისიც ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოთა ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულებებისას, საერთაშორისო ინსტიტუტები აძლიერებენ ვალდებულებათა სანდოობას.[160] თეორია ხსნის, რომ ევროპას აერთიანებს არა იმდენად ზეეროვნული ბიუროკრატია, რამდენადაც კონსენსუსის ძიება, სადაც მთავარია ტრანსაქციის დაბალი ფასი და მხარეთა კარგი ინფორმირებულობა. ამ ყოველივეს უზრუნველყოფს პროცედურები. მხარეთა შორის კონსენსუსის პოვნა უფრო ადვილია, თუ განსახილველ საკითხებს მაღალი ლეგიტიმიზმი და სახელმწიფოთა საშინაო ნორმებთან დადებითი ბმა აქვს. ევროკავშირის შემთხვევაში, ასეთ საკითხებად განხილულია ევროპარლამენტარიზმი, ადამიანის უფლებების დაცვა, აღმოსავლეთით გაფართოება.[161] რა თქმა უნდა, საბჭოთა ექსპერტებისა თუ მოხელეების ნატო-სთან ურთიერთობა სხვა კონტექსტში ხორციელდებოდა და, საერთოდ, მაშინ მორავჩიკის თეორია არ არსებობდა - მაგრამ, აანალიზებს რა ევროპული პოლიტიკის თავისებურებებს და თანდათანობით ტრანსფორმაციას, მორავჩიკის თეორია კარგად გვიჩვენებს, თუ რა პრაქტიკას და გავლენებს ეცნობოდნენ საბჭოელები საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობისას; როგორ სცდებოდა, არ

[160] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, “Liberal Intergovernmentalism”, In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019), 66;

[161] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, “Liberal Intergovernmentalism”, In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019), 82-83;

შეესაბამებოდა დასავლური დიპლომატიის ფორმები იმას, რასაც ორთოდოქსული მარქსიზმის საბჭოური ვარიანტი ქადაგებდა და როგორ ცვლიდა ეს თანდათანობით საბჭოთა ელიტას.

ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის თანახმად, კოოპერატიული, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები დემოკრატიულ ქვეყნებს შორისაა შესაძლებელი, რადგან კანონის უზენაესობა და პროცედურების პატივისცემა სწორედ დემოკრატიების შიდა ღირებულებებია. სსრკ ნამდვილად არ იყო ასეთი სუბიექტი. მაგრამ აქ საუბარი იმაზეა, რომ „ჰარმელის ანგარიშის“ პრაქტიკაში გადმოტანილ სულისკვეთებას შეჰქონდა გზარი საბჭოურ-ბოლშევიკურ იდენტობაში, რასაც ზურგს უმაგრებდა სსრკ-ს პრაგმატული ეკონომიკური და უსაფრთხოებითი ინტერესი.

რაც შეეხება სოციალურ კონსტრუქტივიზმს, ამ თეორიის ამხსნელი ძალის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში იდეები, ნორმები, ღირებულებები უმნიშვნელოვანეს ცვლადებს წარმოადგენს და ხშირად შეუძლია ძალთა ბალანსის რაციონალური კალკულაციის შეცვლა. კონსტრუქტივიზმის თეორიულ საფუძვლებზე დგას “ცივი ომის” დასრულების ჰერმანისეული ნარატივი, რომელიც მიიჩნევს, რომ, საბოლოო ჯამში, მიხაილ გორბაჩოვის წრემ ნელნელა შეიძინა ახალი კოლექტიური იდენტობა, რის ფარგლებშიც სსრკ აღიქმებოდა დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირების დასრულების ინიციატორად, სამყაროსათვის რაღაც ახალის შემთავაზებლად და ამით, ძალიან უცნაური გზით, ლენინურ სათავეებთან დამბრუნებლად. აქ არ განვიხილავთ, რა კავშირი აქვს გორბაჩოვის „ახალ აზროვნებას“ ლენინიზმთან. კონსტრუქტივიზმში მთავარი ისაა, რომ კოლექტიური იდენტობა, ანუ კოლექტიური მიზანი, კონსტრუირებადია და არა იმდენად რეალობაზე, რამდენადაც რწმენებზე და აღქმებზეა დამოკიდებული. 1987-1988 წლებიდან რეფორმისტ ექსპერტთა ძალისხმევა, დასავლეთის პოლიტიკის გავლენა და იმპერიული გადაღლილობა (ეს უკანასკნელი, ნაწილობრივ, უკვე რეალიზმის არგუმენტებიდანაა - დ.ბ.) გახდა საფუძველი და მიზეზი, რის გამოც გორბაჩოვი დათანხმდა საშუალორადიუსიანი რაკეტების განადგურებაზე და ნატო-ს ტრიბუნიდან ცალმხრივად გამოაცხადა ევროპაში სამხედრო ძალების რადიკალური

შემცირების შესახებ. ამ ჟესტით სსრკ კარგავდა ევროპაში შემტევ პოზიციას და მისი სამხედრო მოდალობა სრულიად თავდაცვითი ხდებოდა. ამ ყველაფრის დამატებით, 1989 წლის ოქტომბერში, ჰელსინკიში ვიზიტისას მან ფაქტობრივად „ბრეჟნევის დოქტრინის“ სიკვდილი გამოაცხადა, რითაც ახალი მუხტი და ენერგია შესძინა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიულ ძალებს. გორბაჩოვმა უარი თქვა საბჭოთა კავშირის ევროპელი მოკავშირეების სამხედრო ძალის გამოყენებით დაცვაზე, რასაც მოყვა კიდეც ერიხ ჰონეკერის მსგავსი ძველი კომუნისტების დაცემა და ბერლინის კედლის ნგრევა, რომელმაც სიმბოლური წერტილი დაუსვა ათწლეულების მანძილზე მიმდინარე „ცივ ომს“.

ჰერმანის აზრით, მაშინდელი საბჭოთა ელიტის მხრიდან, რა თქმა უნდა, ეს არ იყო უშუალოდ სსრკ-ს დანგრევის, ან მსოფლიოზე გავლენის დაკარგვის სურვილი. გორბაჩოვს მხოლოდ ამ გავლენის მექანიზმთა შეცვლა უნდოდა: 1989 წლიდან იგი ე.წ. „პოზიტიური მშვიდობის“ იდეათა საფუძველზე დაფუძნებული ერთიანი ევროპის შესახებ საუბრობდა ატლანტიკიდან ურალამდე. ამ ერთიანი ევროპული სისტემის შექმნის მედროშე სწორედ საბჭოთა კავშირი უნდა ყოფილიყო.[162] ანუ, პარადოქსალურად, თავისი ახალი იდენტობისა და ცვლილებების ძიების ფარგლებში, გორბაჩოვის გუნდი უფრო რადიკალური ინიციატივებით გამოდიოდა, ვიდრე დასავლეთი. რაც შეეხება ნატო-ს, ალიანსი ამ მოულოდნელ განვითარებას ისეთ კონკრეტულ და პრაგმატულ ხელშეკრულებებში თარგმნიდა, როგორიც იყო, მაგალითად, ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ (ეჩშძ ხელშეკრულება).[163] არავინ იცოდა, სადამდე შეიძლებოდა მისულიყო

[162] Robert G. Herman, “Identity, Norms, and National Security: The Soviet Foreign Policy Revolution and the End of the Cold War”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 302-311;

[163] ამ ხელშეკრულებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა არა მხოლოდ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებაში, შეიარაღების ამ კლასში ბალანსის დამყარებასა და ვითარების განმუხტვაში, არამედ გახდა მთავარი ინსტრუმენტიც მაშინდელი ქართული დიპლომატიისთვის, ამერიკელთა დახმარებით, მომხდარიყო რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. სწორედ ადაპტირებული ეჩშძ ხელშეკრულების პაკეტის ნაწილად იქნა მიღებული საქართველო-რუსეთის ერთობლივი განცხადება საქართველოდან რუსული ბაზების გასვლის შესახებ სტამბოლის ეუთო-ს სამიტზე 1999 წელს. როგორც საგარეო საქმეთა

საბჭოთა იდენტობის ტრანსფორმაცია. ნატო-ს ამოცანა ვერ იქნებოდა მხოლოდ იდეალური ერთიანი ევროპის ხილვაზე პოლიტიკური საუბარი, ალიანსი მზად უნდა ყოფილიყო შესაძლო ახალი კონფლიქტებისა თუ კრიზისებისათვის. მით უმეტეს, რომ საეჭვო, წინააღმდეგობრივ, ან კრიზისულ ელემენტებს საბჭოთა იდენტობის რეკონსტრუქცია თავიდანვე შეიცავდა. უკვე 1990 წელს გორბაჩოვს პოლიტბიუროში აუმხედრდნენ, რასაც მისი საგარეო საქმეთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა. გორბაჩოვის ოპონენტები აღმოჩნდნენ არა მხოლოდ ორთოდოქსი კომუნისტები, არამედ ზომიერი რეფორმატორების ის ნაწილიც, რომელთაც არ სწამდათ კომუნისტური იდეოლოგიის ნანგრევებზე ახალი იდეალებით გაერთიანებული საბჭოთა კავშირის აღმოცენების პერსპექტივის.

თავად გორბაჩოვის ხედვებიც არასოდეს იყო ბოლომდე მკაფიო და უცვლელი. ჰერმანი საუბრობს იმაზე, რომ ფორმით საბჭოთა, არსით კი რუსული კოლექტიური იდენტობის ფორმირების იმჟამინდელ პროცესებში, მუდმივად იჩენდა თავს საუკუნოვანი დავა მედასავლეთე და სლავოფილ ინტელექტუალურ წრეებს შორის. ამანვე იქონია გავლენა ნატო-ს მომავალი პარტნიორის, უკვე დამოუკიდებელი რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ხედვებსა და პოლიტიკაზე. "ცივი ომის" დასრულებას მალევე მოყვა რუსული წყენები, რადგან პროცესები ისე არ განვითარდა, როგორც ეს მიხეილ გორბაჩოვს, ან შემდეგ ბორის ელცინს წარმოედგინათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვლევის საგანი ნატო-ს იდენტობაა და რუსული თემა მხოლოდ ფონურია იმასთან შედარებით, რასაც ახალ ვითარებაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პროაქტიური ქმედებები თუ რეაგირებები წარმოადგენდა, ამ წყენებსა და რუსეთის პოზიციას კიდევ შევეხებით მომდევნო თავებში. აქ კი, საბჭოთა/რუსულ კოლაფსსა და ტრანსფორმაციაზე მსჯელობაში, დასკვნის სახით დავამატებ მხოლოდ იმას, რომ იდეურად და პოლიტიკის ფორმულირების დონეზე, გორბაჩოვის „ახალი აზროვნება" ეყრდნობოდა არა მხოლოდ რუსი ლიბერალი ექსპერტების ნააზრევს, ან მისი გუნდური იდენტობის

სამინისტროს თანამშრომელი, მონაწილეობას ვიღებდი ამ საკითხზე მოლაპარაკებების მთელს პროცესში, დაწყებული 1997 წლის შემოდგომიდან და, როგორც მომლაპარაკებელი ჯგუფის წევრი, ვესწრებოდი სტამბოლში აღნიშნული განცხადების მიღებასაც.

შიდა ტრანსფორმაციას (აღსანიშნავია, რომ რობერტ ჰერმანი არ უარყოფს დასავლური იდეების გავლენას საბჭოთა ელიტაზე, მაგრამ იდენტობის ამ ტრანსფორმაციას essentially homegrown-ად მიიჩნევს),[164] არამედ ნატო-ს კოლექტიური დიპლომატიის მცდელობებსაც. ცხადია, როგორც ამას აღნიშნავენ რეალიზმის სკოლის წარმომადგენლები, დასავლურ დიპლომატიას ზურგს უმაგრებდა ამერიკული სამხედრო პროგრამები, რომელთა ინტენსიფიკაცია რეიგანის მიერ განხორციელდა. მაგრამ, რომ არა „ჰარმელის ანგარიშის“ სულისკვეთება, არ არის გამორიცხული, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო.

ამ მოსაზრებას ადასტურებს შეერთებულ შტატებსა და სსრკ-ს შორის მიმდინარე ინტენსიური კომუნიკაცია გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რაშიც ნატო-ს სხვა წევრებსაც შექონდათ წვლილი. ეს ურთიერთობა, როგორც საჯარო დიპლომატიის, შეტყობინებათა გაცვლის, ისე არსებითი მოლაპარაკებების დონეზე, გამოირჩეოდა სიფრთხილისა და მომთხოვნელობის ტრადიციული ნაზავით. თავდაპირველად, ნატო ეჭვით ეკიდებოდა საბჭოთა წინადადებებს მასობრივ ბირთვულ განიარაღებაზე, რადგან ყოველივე აღიქმებოდა სტანდარტული საბჭოთა პროპაგანდის ნაწილად, რომლის უკან არ იდგა არანაირი კონკრეტული უსაფრთხოების გარანტიები ან ვერიფიკაციის მექანიზმები და რომლის პარალელურად, მიმდინარეობდა საბჭოთა აგრესია ავღანეთში და კუბის არმიის მოქმედება ანგოლაში. საბჭოთა კავშირი ასევე განაგრძობდა ანტიამერიკული ძალების შეიარაღებულ მხარდაჭერას ცენტრალურ ამერიკაში.

დასავლური ეჭვების, სიფრთხილის და ამავე დროს - პრინციპულობისა და მოლაპარაკებებისთვის მზადყოფნის ნაზავი კარგად ჩანდა ისეთ ისტორიულ საჯარო მოვლენაში, როგორიც იყო რონალდ რეიგანის ვიზიტი დასავლეთ ბერლინში 1987 წლის ივნისში.

---

[164] Robert G. Herman, “Identity, Norms, and National Security: The Soviet Foreign Policy Revolution and the End of the Cold War”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 310;

ამ დროს საბჭოთა კავშირში უკვე დაწყებული იყო ცვლილებები, მაგრამ "ცივი ომის" დისპოზიცია ფუნდამენტურად არ გახლდათ შეცვლილი. საბჭოთა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) პრესაში, ეს ვიზიტი და მთლიანად პრეზიდენტ რეიგანის პოლიტიკა პროვოკაციულად ცხადდებოდა. თავის მხრივ, ნერვიულობდნენ პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციაშიც - აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო დეპარტამენტში ბევრს მიაჩნდა, რომ არ უნდა დაზარალებულიყო რეიგანის მხრიდან გორბაჩოვთან პიროვნულ დონეზე დამყარებული გაუმჯობესებული კომუნიკაცია. კერძოდ, თვლიდნენ ისინი, რეიგანს არ უნდა ეთქვა სიტყვები ბერლინის კედლის დანგრევაზე (რომლებიც შემდგომ ისტორიულად იქცა - დ.ბ.), რადგან კედელი კიდევ ათწლეულების მანძილზე არსად გაქრებოდა, პრეზიდენტი და მისი ქვეყანა კი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.[165]

თუმცა, პრეზიდენტმა რეიგანმა, რომელსაც გვერდით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი, ჰელმუტ კოლი ედგა, მაინც თქვა ის, რისი თქმაც თავიდანვე სურდა: „ ... ჩვენ მივესალმებით ცვლილებას და სიღიავეს ... არის ერთი ნიშანი, რაც საბჭოელებმა შეიძლება გვიჩვენონ და რომელიც შეუცდომელი იქნება, რომელიც დრამატულად წაწევს წინ მშვიდობისა და თავისუფლების მიზანს. გენერალურო მდივანო გორბაჩოვ, თუ შენ ეძებ მშვიდობას, კეთილდღეობას საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისათვის, თუ შენ ცდილობ ლიბერალიზაციას, მოდი აქ ამ კარებთან (საუბარია ბრანდებურგის ისტორიულ კარიბჭეზე, რომელიც ბერლინის გამყოფი კედელით იყო გადაკეტილი - დ.ბ.)! ბატონო გორბაჩოვ, გააღე ეს კარები! ბატონო გორბაჩოვ, დაანგრიე ეს კედელი!"[166]

---

[165] Anthony R. Dollan, "Four Little Words", WSJ, Opinion (08.11.2009), https://www.wsj.com/articles/SB10001424052748704795604574522163362062796 (02.09.2021);

[166] Remarks on East-West Relations at the Brandenburg Gate (West Berlin, 12 June, 1987), Reagan Library, US National Archives, https://web.archive.org/web/20170122092404/https://reaganlibrary.archives.gov/archives/speeches/1987/061287d.htm (02.09.2021);

პოლიტიკური ლიდერის საჯარო სიტყვას ხშირად ქონია გავლენა ისტორიული პროცესების მიმდინარეობაზე და ბრანდებურგის კარიბჭესთან წარმოთქმული პრეზიდენტ რეიგანის ეს ფრაზა სამართლიანად ითვლება ერთერთ ასეთ მაგალითად. მიუხედავად იმისა, რომ 1986 წელს რეიკიავიკში პირდაპირი შეხვედრისას გორბაჩოვის და რეიგანის გუნდებმა ვერ გამონახეს საერთო ენა ბირთვული განიარაღების სფეროში. სულ ერთ წელიწადში, ბერლინის ზემოთაღწერილი ამბების შემდეგ, რეიგანისა და გორბაჩოვის პიროვნული ურთიერთობები უაღრესად პროდუქტიული გახდა: 1987 წლის 6 დეკემბერს ორმა ლიდერმა ხელი მოაწერა სახმელეთო ბაზირების მოკლე და საშუალო რადიუსის ბირთვული რაკეტების განადგურების ხელშეკრულებას, რაც, პირველ რიგში, სწორედ ნატო-ს ევროპელი წევრებისათვის იყო აქტუალური. ამ მოლაპარაკებების ორგანიზებაში, რომლებიც 1983 წლიდან იყო შეწყვეტილი და რეიკიავიკის შეხვედრით აღდგა, ინსტრუმენტული იყო ბრიტანეთის პრემიერის, მარგარეტ ტეტჩერის როლი. 1989 წლის შემოდგომაზე კი ბერლინის კედელი დაინგრა და ეს მოვლენა "ცივი ომის" დასრულების სიმბოლოდ იქცა - ნათელი გახდა, რომ ევროპაში დაძაბულობამ უპრეცედენტოდ იკლო და უსაფრთხოების სურათი მთლიანად შეიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ „ცივ ომში" გამარჯვება და ბლოკური დაპირისპირების თავის სასარგებლოდ დასრულება იმთავითვე იგულისხმებოდა ნატო-ს მიზნებში, პროცესის დროში ასეთი ფორსირების ფონზე, ალიანსს რამდენიმე თვე დასჭირდა სერიოზული კოლექტიური და ორგანიზებული პასუხისათვის, რომელიც 1990 წელს ნატო-ს ლონდონის სამიტზე განხორციელდა. ეს პაუზა ბუნებრივიც იყო - ევროპული უსაფრთხოების არნახულად შეცვლილი ლანდშაფტი სწორედ ალიანსის სამიტს უნდა შეეფასებინა. სიმბოლურია, რომ ეს იყო მეათე სამიტი ნატო-ს დაარსების დღიდან.

1990 წლის ივლისში ლონდონში გამართულ ამ შეკრებაზე მსჯელობა ბერლინის კედლის დანგრევის შედეგად შექმნილ პოლიტიკურ და უსაფრთხოების სურათზე, სსრკ-სთან და ცენტრალური/აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ახალი ურთიერთობების ფორმირებაზე მიმდინარეობდა. ნატო-ს იმჟამინდელმა

გენერალურმა მდივანმა, მანფრედ ვერნერმა, გახსნით სიტყვაში აღნიშნა, რომ „ ... "ცივი ომი" ისტორიას ეკუთვნის, ჩვენი ალიანსი კონფრონტაციიდან კოოპერაციისაკენ მიდის".[167] როგორც ლონდონის სამიტის დეკლასიფიცირებული დოკუმენტებიდან ჩანს, აშშ-ს ახალი პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში, 21-ე საუკუნის ევროპისათვის ტრანსფორმირებული ალიანსის მშენებლობის აუცილებლობაზე საუბრობდა, ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი, მარგარეტ ტეტჩერი ხაზს უსვამდა, რომ ნატო-ს სიგნალი საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს მიმართ კვლავ მტკიცე ერთიანი ნება და თავდაცვა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამასთან ერთად - მეგობრობის ხელის გაწვდენა აღმოსავლეთ ევროპისა და სსრკ-სთვის. საფრანგეთის პრეზიდენტის, ფრანსუა მიტერანის სიტყვაში მთავარი აქცენტი შეეხებოდა სსრკ-ს ინტერესთა გათვალისწინების აუცილებლობას.[168]

არსებითად, ეს დამოკიდებულებები აჩვენებდა „ჰარმელის ანგარიშის" კიდევ ერთხელ განახლებულ სულისკვეთებას. ნატო-ს არ სჭირდებოდა რაიმე ახალის გამოგონება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისაგან წამოსულ უპრეცედენტო იმპულსებზე რეაგირებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული ბლოკური საფრთხე ქრებოდა და ანალიტიკოსთა ნაწილი თავად ნატო-ს არსებობის მიზანშეწონილობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა, სამიტში მონაწილე პოლიტიკურ ლიდერთაგან არავის აეჭვებდა კოლექტიური თავდაცვის უნარისა და სამხედრო ალიანსის შენარჩუნების აუცილებლობა. ამავე დროს, სწორედ ტრადიციული საფრთხის გაქრობამ კიდევ უფრო გამოკვეთა და წინა პლანზე გადმოწია ნატო-ს არსებობაში ყოველთვის ჩადებული მეორე მთავარი სტრატეგიული ღერძი - თანამშრომლობა საერთო ღირებულებების სივრცის გასაფართოვებლად. შეიძლება ითქვას, რომ „ჰარმელის ანგარიშის" მიდგომები ლონდონის სამიტზე მეზობელ სახელმწიფოებთან კოოპერატიული უსაფრთხოების ახალი სისტემის მშენებლობაში აისახა. თავად კოოპერატიული უსაფრთხოების ტერმინიც 1990-იანი წლების

[167] 1990 Summit: A Turning Point in "East-West" Relations (19.12.2014), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_116133.htm?selectedLocale=en (12.10.2021);

[168] 1990 Summit: A Turning Point in "East-West" Relations (19.12.2014), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_116133.htm?selectedLocale=en (12.10.2021);

პირმშოა და მის პირველ აგურად შეიძლება 1991 წელს შექმნილი ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC) მივიჩნიოთ. მუდმივი დიალოგის ეს პლატფორმა, ნატო-ს წევრებთან ერთად, სსრკ-მ და კიდევ თერმეტმა სახელმწიფომ დააარსა. ეს იყო "ცივი ომის" დროიდან გადმოყოლილი პრობლემების თაობაზე მრავალეროვნული კონსულტაციების, კოოპერაციის, საბოლოოდ კი - ნდობის მშენებლობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.[169]

ლონდონის სამიტზე გაჟღერებული მიდგომები აისახა 1991 წლის ნოემბერში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ მიღებულ ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში. ეს დოკუმენტი ერთგვარი საცავია ყველა იმ პრიორიტეტის, იდეის თუ განზრახვისა, რომლებმაც განაპირობა ევროატლანტიკური პოლიტიკა მომდევნო უახლოესი წლების მანძილზე. დოკუმენტის ტექსტი იწყება 1989 წლიდან შეცვლილი ვითარების შეფასებით და გამოყოფილია: საბჭოთა კავშირის ევროპელ სატელიტთა მიერ სუვერენიტეტის სრულად დაბრუნება; უშუალოდ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე რადიკალური ცვლილებები; საბჭოთა ჯარების ჩეხეთიდან, უნგრეთიდან გაყვანის დასრულება და პოლონეთიდან და გდრ-დან ჯერ კიდევ მიმდინარე გასვლის პროცესი.

კონცენფიის პირველ მუხლში აგრეთვე ვკითხულობთ: „ ... ყველა ქვეყანამ, რომელიც უწინ იყო ნატო-ს მოწინააღმდეგე, მოახდინა ვარშავის პაქტის დაშლა და უარი თქვა დასავლეთთან იდეოლოგიურ მტრობაზე. მათ, სხვადასხვა ხარისხით, დაიწყეს იმ პოლიტიკური კურსის გატარება, რომელიც მიმართულია პლურალისტული დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და საბაზრო ეკონომიკისკენ. ამრიგად, ევროპის პოლიტიკური გაყოფა, რომელიც წარმოადგენდა „ცივი ომის" დროს სამხედრო დაპირისპირების მიზეზს, გადალახულია". [170]

---

[169] 1990 Summit: A Turning Point in "East-West" Relations (19.12.2014), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_116133.htm?selectedLocale=en (12.10.2021);

[170] The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991),

ნიშანდობლივია, რომ ამგვარ კონცეფტუალურ, პოლიტიკურ და სამხედრო შეფასებაში, რომელიც ნატო-ს ხელმძღვანელობისა და მისი წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური ლიდერებისგან მოდიოდა, არაფერია ისეთი, რაც ალიანსის ფუნქციონირების რეალისტურ/ნეორეალისტური თეორიებით ახსნის მსურველთ არგუმენტად გამოადგებოდა - პირიქით, დოკუმენტი სრულიად აშკარად განსაზღვრავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ევროპის პოლიტიკურ გაყოფას, იდეოლოგიურ მტრობას და სწორედ აქედან გამომდინარე სამხედრო დაპირისპირებას შორის. შესაბამისად, ალიანსისათვის მთავარი იყო არა ეროვნული კონკურენცია სახელმწიფოებს შორის, არამედ საერთაშორისო და შიდაეროვნული იდეოლოგიურ-ინსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც ევროპაში თანამშრომლობისა და მშვიდობის ნიადაგი უნდა გამხდარიყო. ეს კი, სწორედაც, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური და კონსტრუქტივისტული ახსნების შესაბამისია.

კონცეფცია საგანგებოდ აღნიშნავს დასავლეთ ევროპის სიახლეებსაც, რაც გაერთიანებული გერმანიის ალიანსში დარჩენას და ერთიანი ევროპის უსაფრთხოების იდენტობის მშენებლობას უკავშირდება. ხაზგასმულია ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების უკვე მიღწეული შეთანხმებების (მაგალითად INF 1987 და CFE 1990) მნიშვნელობა და ამ მიმართულებით ახალი ინიციატივების შემუშავების აუცილებლობა.[171]

ვფიქრობ, ჩემი კვლევის ჰიპოთეზისათვის, დაარსებიდან დღემდე ნატო-ს არსის უცვლელობის შესახებ, განსაკუთრებით საყურადღებოა კონცეფციის მეოთხე და მეხუთე მუხლები, სადაც ხაზგასმით აღინიშნება ნატო-ს ინტერესი 1975 წელს დაარსებული „ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის თათბირის“ მიმართ

NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021);

[171] The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021), მუხლი 2-3;

და 1967 წლის „ჰარმელის ანგარიშის“ მნიშვნელობა, რომელმაც უზრუნველყო კონცეფტუალური ჩარჩო ნატო-ს სტრატეგიაში შეკავებისა და ოპონენტებთან ურთიერთობაში დიალოგის/დათბობის პროცესისათვის. კონცეფციის მე-5 მუხლის ჩანაწერი - „ ... ევროპაში მომხდარმა ისტორიულმა ცვლილებებმა, რომლებმაც მიგვიყვანა „ჰარმელის ანგარიშის“ რიგი ამოცანების შესრულებამდე, მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესა მოკავშირეთა ზოგადი უსაფრთხოება“[172] - ზუსტად ეხმიანება ნატო-ს მკვლევარის, სტენლი სლოუნის ანალიზს, რომელიც „ჰარმელის ანგარიშის“ ახალ ვერსიას ხედავს როგორც ლონდონის 1990 წლის დეკლარაციაში, ისე 1991 წლის კონცეფციაში. სლოუნის მოსაზრებით, ევროპის განვითარებადი კოოპერატიული უსაფრთხოების სისტემისათვის საკვანძო მნიშვნელობის იყო 90-იან წლებში განვითარებული მრავალდონიანი თანამშრომლობისა და შეთანხმებების მთელი სერია, რომელიც „ჰარმელის ანგარიშის“ სულისკვეთებას მისდევდა.[173]

კონცეფიის ის ნაწილი, რომელიც ახალ ვითარებაში აღმოჩენილი ალიანსის ფუნდამენტურ ამოცანებს ეხება, ნათლად მეტყველებს, რომ წევრი ქვეყნების ლიდერებისათვის ნატო არ არის მხოლოდ თავდაცვითი ორგანიზაცია. დოკუმენტში საუბარია უსაფრთხოების პოლიტიკაზე და არა მხოლოდ თავდაცვაზე, რომელიც უკვე უსაფრთხოების ნაწილად (თან, შეიძლება ითქვას, არც თუ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად - დ.ბ.) აღიქმება. კონცეფციის მე-19 მუხლის თანახმად, საშუალებები, რომლითაც ალიანსი ახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისათვის აუცილებელ უსაფრთხოების პოლიტიკას, გულისხმობს: ომის პრევენციისა და ეფექტური თავდაცვისათვის საჭირო სამხედრო შესაძლებლობების შენარჩუნებას; საერთო უნარებს წევრების უსაფრთხოებაზე მოქმედი კრიზისების მართვისათვის; პოლიტიკურ მცდელობებს, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს დიალოგს სხვა ერებთან და ევროპული უსაფრთხოებისათვის კოოპერატიული მიდგომის აქტიურ

[172] The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021);

[173] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 96-97;

ძიებას.[174] დოკუმენტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს ალიანსის მისიის შესასრულებლად საჭირო ამოცანათა იერარქიულ ჩამონათვალს - სია იწყება ევროპაში სტაბილურობის გარემოს შექმნის ხელშეწყობით, რისთვისაც მთავარი დემოკრატიული ინსტიტუტების ზრდა და უთანხმოებების მშვიდობიანი გადაწყვეტაა. იერარქიაში შემდეგი ნატო-ს წესდების მე-4 მუხლი, ანუ ალიანსის წევრთა კონსულტაციებია; და მხოლოდ რიგით მესამე ამოცანაა ყოველგვარი აგრესიის შეკავება და მისგან წევრთა დაცვა.[175]

მიუხედავად იმისა, რომ კონცეფციის მესამე ნაწილი - უსაფრთხოებისადმი ფართო მიდგომა - საგანგებო ქვეთავად გამოყოფს კოლექტიურ თავდაცვას და ცალკეა მოცემული „გაიდლაინები თავდაცვისათვის“, ისიც იწყება მსჯელობით მშვიდობის დაცვაზე, დიალოგსა და კოოპერაციაზე. დოკუმენტის მეოთხე, უშუალოდ თავდაცვისადმი მიძღვნილი ნაწილი, სამხედრო ძალების მისიების ჩამონათვალში უპირველეს ამოცანად წევრების უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას ასახელებს, მაგრამ იქვე, მე-40 მუხლში, ხაზი აქვს გასმული, რომ „ ... „ამ როლმა მხედველობაში უნდა მიიღოს ახალი სტრატეგიული გარემო, რომელშიც ერთმა მასობრივმა და გლობალურმა საფრთხემ ადგილი მრავალფეროვან და მრავალმიმართულებიან რისკებს დაუთმო. ალიანსის ძალებს აქვთ განსხვავებული ფუნქციები მშვიდობის, რისკის და ომის დროს“.[176]

თავდაცვითი ომის ფუნქცია, რაც ნატო-ს ძალებს ტრადიციულად ჰქონდათ, დოკუმენტის 42-ე მუხლში შეივსო შემდეგი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანით:

---

[174] The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021), მუხლი 19;

[175] The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021), მუხლი 20;

[176] The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021), მუხლი 40;

„ ... ალიანსის სამხედრო ძალებს შეუძლია შეავსოს და გააძლიეროს პოლიტიკური ქმედებები უსაფრთხოების ფართო გაგების ფარგლებში და, შესაბამისად, წვლილი შეიტანოს ასეთი კრიზისების მართვასა და მშვიდობიან გადაწყვეტაში“.[177] ეს იყო ტრადიციული, საუკუნოვანი სტრატეგიული კონსტრუქტის - „ომი, როგორც პოლიტიკის გაგრძელება“[178] - მთლიანად ცვლა თუ არა, არსებითი რეინტერპრეტაცია მაინც. სამხედრო ძალა აღიქმებოდა არა მარტო და არა იმდენად ეროვნულ პოლიტიკურ ინტერესთა განმახორციელებელ მანქანად, რამდენადაც საერთაშორისო მშვიდობის ხელშემწყობად და დამცველად. სწორედ მაშინ იწყებოდა ის ცივილიზაციური ცვლილება, რომელსაც კარგად ასახავს ალბრეხტ შნაბელისა და ჰანს-გეორგ ერჰარტის ნაშრომი: მე-20 საუკუნის მიწურულის სამხედრო, სამშობლოს ინტერესების დამცველის პარალელურად, დიპლომატად, სოციალურ მუშაკად, მულტიეროვნული ძალების მონაწილედ თუ მშვიდობის დამცველად იქცეოდა.[179] აღნიშნულის დამატებით, 1991 წლის სტრატეგიული კონცეფციის ბოლო ნაწილში განსაზღვრული იყო, რომ მოკავშირეთა სამხედრო ძალებს უნდა ჰქონოდათ მშვიდობის, კრიზისის მენეჯმენტის და ომის შესაფერისი ფუნქციების შესრულების უნარი. ამიერიდან აქცენტი მულტინაციონალური სამხედრო დაჯგუფებების ფორმირებაზე კეთდებოდა.[180]

“ცივი ომის” შემდგომ მიღებულ ამ პირველ სტრატეგიულ კონცეფციაში არის ქვეთავი „თანამშრომლობა“. იგი სულ ერთი მუხლისაგან შედგება, მაგრამ მნიშვნელოვანია

---

[177] The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021), მუხლი 20;

[178] მე-19 საუკუნის სტრატეგის და სამხედრო ექსპერტის, კარლ ფონ კლაუზევიცის ცნობილი დიქტუმია: „ომი პოლიტიკის გაგრძელებაა სხვა საშუალებებით“, Carl Von Clauzevits, *On War*, Edited and translated by Michael Howard and Peter Paret (Princeton: Princeton University Press, 1989);

[179] Albrecht Schnabel and Hans-Georg Ehrhart, “Post-Conflict Societies and Military: Challenges and Problems of Security Sector Reform”, In *Security Sector Reform and Post-Conflict Peace-Building* (New York: United Nations University Press, 2005), 3;

[180] The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021), მუხლი 47, 53;

როგორც ნატო-ს წევრთა პრიორიტეტების, მიდგომების თუ მსოფლმხედველობის, ისე უსაფრთხოების პოლიტიკის ახალი, გაფართოებული გაგებისათვის. ამ ქვეთავის 29-ე მუხლი უშუალოდ გამოხატავს „ჰარმელის ანგარიშის“ ახალ სიცოცხლეს: „ ... ალიანსის წევრების ამოცანაა, განავითაროონ ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის უფრო ყოვლისმომცველი და პროდუქტიული ფორმები ევროპული უსაფრთხოების ყველა შესაბამის სფეროში, იმ მიზნით, რომ მოხდეს კრიზისების პრევენცია, ან, კრიზისის დადგომის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნას მისი სწრაფი გადაწყვეტა. კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად ალიანსის წევრებსა და სხვა ერებს შორის ასეთი თანამშრომლობა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ერთიანი და თავისუფალი ევროპის გზაზე წარსული განსხვავებების გადასალახად“.[181]

არსებითად, ეს ფრაზები კოოპერატიული უსაფრთხოების მოდელის განმსაზღვრელია - კონცეფციის, რომელიც დასავლეთის აკადემიურ და დიპლომატიურ წრეებში პოპულარული 1990-იან წლებში გახდა. ამ კონცეფციაზე საუბრობდა სტენლი სლოუნი არაერთხელ ციტირებულ კვლევაში. წარმოდგენილი ნაშრომის მიზნებისთვის საინტერესოა კოოპერატიული უსაფრთხოების ანალიზი, რომელიც რიჩარდ კოენს ეკუთვნის. კოენი ციტირებს ავტრალიის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრის 1994 წლის სტატიას, რომლის თანახმადაც, კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკა გულისხმობს კონსულტაციას კონფრონტაციის წილ, დარწმუნებას შეკავების წილ, ტრანსპარენტულობას გასაიდუმლოებისა და პრევენციას კორექციის წილ.[182] კოენი მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის პოლიტიკა, არსებითად კი, სტრატეგიული სისტემა, ლიბერალური დემოკრატიების ირგვლივ ფორმირდება. მასში შემავალი ქვეყნების უსაფრთხოების ამოცანები ოთხი

[181] The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021), მუხლი 29;

[182] Richard Cohen, "From Individual Security to International Stability", In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001): 4;

ურთიერთგამაძლიერებელი წრით არიან დაკავშირებულნი.[183] ესენია: ინდივიდუალური უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება, კოლექტიური თავდაცვა და სტაბილურობის ხელშეწყობა.

კოენის აზრით, კოოპერატიული უსაფრთხოების სისტემის წევრობა მხოლოდ ლიბერალურ პრინციპებზე დაყრდნობილ, დემოკრატიულ სახელმწიფოს შეუძლია. სხვაგვარად, იგი ვერ და არ იქნება ინდივიდუალური, ანუ ჰუმანიტარული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი. უსაფრთხოების პოლიტიკის ზემოთაღწერილ ოთხივე წრეს კოენისთვის მხოლოდ ნატო განასახიერებს. განსხვავებით ერთა ლიგის, გაერო-სა თუ ეუთო-საგან, რომელიც თავისი წევრების უსაფრთხოებაზე ზრუნავდა თუ ზრუნავს, კოოპერატიული უსაფრთხოება ორიენტირებულია შედეგის სისტემის ფარგლებს გარეთ პროექციაზეც - სტაბილურობის, თანამშრომლობის გავრცელებაზე იმათ შორის, ვინც ჯერ არ არიან კოოპერატიული უსაფრთხოების ამ სისტემის სრულფასოვანი წევრები.[184]

მაგრამ, თუ კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკა გულისხმობს იგივე მიდგომებს იმათ მიმართ, ვინც ჯერ კიდევ სისტემის გარეთაა, შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ სტაბილურობის სარტყელის სულ უფრო ფართოდ გავრცელება პირდაპირ კავშირშია კოოპერატიული უსაფრთხოების სისტემის წევრთა ღირებულებების გავრცელებასთანაც: სხვაგვარად შეუძლებელია სტაბილურობის ფუნდამენტური საფუძვლების - კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიული თავისუფლებების - უზრუნველყოფა. თუ უფრო ფართოდ შევხედავთ ნატო-ს ლონდონის სამიტის ოფიციალურ დოკუმენტების ჩანაწერებს და კოენის ლოგიკას გავყვებით, კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკა განუყოფელი ხდება კოოპერატიული უსაფრთხოების სისტემაში გაწევრიანებისაგან, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი მეორის მიღწევისაკენაა მიდრეკილი. სწორედ ამას

[183] Richard Cohen, "From Individual Security to International Stability", In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001): 10;

[184] Richard Cohen, "From Individual Security to International Stability", In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001): 6-17;

ემსახურებოდა პრაქტიკაში ალიანსის პოლიტიკა აღმოსავლეთის სამეზობლოსადმი, რაც დღემდე გამოიხატება ნატო-ს „ღია კარის“ პრინციპში. ამავე დროს, ბუნებრივია, კოენის თანახმად, ამ კარში შესვლას დემოკრატიულობის მხრივ გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილება სჭირდება.

4.2. ალიანსის ხედვა და მოქმედება “ცივი ომის” დასრულების შემდეგ - კოოპერატიული უსაფრთხოება და კრიზისის მენეჯმენტი:

ნატო-ს სტრატეგიული დოკუმენტების ერთ-ერთ მიზანს უსაფრთხოების გარემოს ნეგატიურ ასპექტთა იდენტიფიცირება წარმოადგენს. გამონაკლისი არ იყო არც 1991 წლის კონცეფცია. განსხვავებით წინა დოკუმენტებისგან, ამჯერად ჩამონათვალში განიხილება არა არსებული საფრთხეები, არამედ მხოლოდ გამოწვევები და რისკები. შესაბამის ქვეთავში აღინიშნება, რომ ნატო-ზე ფართომასშტაბიანი თავდასხმის საფრთხე აღარ არსებობს და ამდენად, ეს პრობლემა აღარაა სტრატეგიის ფოკუსში. მაგრამ, რჩება რისკები, რომლებმაც შესაძლოა პრობლემა შეუქმნას ალიანსის წევრებს. ეს რისკებია არასტაბილურობა, ეთნიკური შუღლი და ტერიტორიული დისპუტები. აღინიშნება ისიც, რომ საბჭოთა კავშირში შექმნილი სირთულეები არ უნდა იყოს აღქმული იმის გაუთვალისწინებლად, რომ საბჭოთა სამხედრო ძალები აღემატება ნებისმიერი ევროპული ქვეყნის ანალოგს. საუბარია არასტაბილურობაზე ალიანსის სამხრეთის ფლანგზეც და უფრო ზოგადად, მასობრივი იარაღის გავრცელებასა და ტერორიზმზე მსოფლიოში.[185]

სწორედ ამ რისკებზე პასუხი იყო პოლიტიკა, რომელსაც შესაბამისი სამხედრო ოპერაციები უმაგრებდა ზურგს და რომელიც შეიძლება განვიხილოთ კოოპერატიული უსაფრთხოების, მშვიდობის უზრუნველყოფის, დიალოგის, კრიზისის მენეჯმენტის და, როგორც რიჩარდ კოენი აღნიშნავდა, კრიზისზე პასუხის (crisis response) ფარგლებში (რის მაგალითებადაც კოენი განიხილავს ბოსნიისა და კოსოვოს

[185] The Alliance’s New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021), მუხლი 7-14;

ოპერაციებს).[186] ეს ლექსიკა და შესაბამისი ინსტრუმენტები არ იყო საგანგებოდ ალიანსის მიერ გამოგონილი, ნატო ამ შემთხვევაში საუბრობდა და მოქმედებდა საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლების, აგრეთვე მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევების დისციპლინათა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების ენაზე. ამ უკანასკნელთ საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტული მიმდინარეობა ე.წ. „ეპისტემურ თემად“ (epistemic community) განიხილავს და მსოფლიო უსაფრთხოების პოლიტიკის კულტურულ-ინსტიტუციონალური ჩარჩოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს.[187] ამ ჩარჩოში სხვაც ბევრი მოიაზრება - აქ არიან რეალისტი თუ ნეორეალისტი მკვლევარები, ნეომარქსიზმის მომხრეები და, ასე განსაჯეთ, ფუნდამენტალიზმის თუ ტრადიციონალიზმის მიმდევრებიც კი.

ამავე კულტურულ-ინსტიტუციონალური ჩარჩოს ინსტიტუციური ნაწილია ლიბერალების მიერ განსაკუთრებულად ხაზგასმული საერთაშორისო სამართალი, ორგანიზაციები თუ რეჟიმები. მთლიანად ნატო-ს, ისევე როგორც მისი ხელმძღვანელობის ლექსიკა და ლოგიკა, სწორედ ლიბერალი თეორეტიკოსების და კონფლიქტების მოგვარების ექსპერტების მსოფლმხედველობას მისდევდა. ამავე მსოფლმხედველობაზე შენდებოდა ევროპის თანამეგობრობაც, რომელიც, სტენლი სლოუნის ენით რომ ვთქვათ, ნატო-სთან ერთად თანდათან ყალიბდებოდა ტრანსატლანტიკური გარიგების მეორე საყრდენად.

ასე მაგალითად, 1992-1996 წლებში გაერო-ს გენერალური მდივანი, ბუტროს ბუტროს გალი, თავის ცნობილ ნაშრომში „Agenda for Peacce” ხსნიდა, რომ კონფლიქტების გადაწყვეტის მექანიზმებია პრევენციული დიპლომატია, მშვიდობის დამყარება,

[186] Richard Cohen, “From Individual Security to International Stability”, In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001): 17;

[187] Ronald L. Jepperson, Alexander Wendt, and Peter J. Katzenstein, “Norms, Identity, and Culture in National Security”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996), 34, 48;

მშვიდობის დაცვა და პოსტ-კონფლიქტური მშვიდობის მშენებლობა.[188] არსებითად, იმავე ლოგიკას მისდევს ნატო-ს მკვლევარი რიჩარდ კოენი - მისი აზრით, კრიზისზე პასუხის ოპერაციები (Crisis Rersponse Operations) კონფლიქტის პრევენციის (აქტიური დიპლომატია, ძალთა პრევენციული განლაგება) შემდგომ ეტაპზე გადასადგმელ ნაბიჯს წარმოადგენდა და ნატო-სთვის იყო კრიზისის მენეჯმენტის ნაწილი, რომელმაც 1999 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში ნატო-ს ფუნდამენტური ამოცანების რიგში გადაინაცვლა.[189]

ნატო-ს ერთერთი უმთავრესი კონკრეტული ამოცანა იყო ამ ცოდნის, სამყაროსადმი ამგვარი დამოკიდებულების ჯერ საბჭოთა კავშირისათვის, შემდეგ კი პოსტ-საბჭოთა სივრცის სუბიექტთათვის გადაცემა - მხოლოდ ასე შეიძლებოდა აგებულიყო ევროპაში ზემოთნახსენები კოოპერატიული უსაფრთხოების სისტემა. ასეთი თანამშრომლობის პირობებს ქმნიდა "ცივი ომის" დასრულება და პარიზის ქარტიის მიღება ყოფილი მეტოქეების მიერ. მაგრამ, როგორც მალე გაირკვა, ნატო-ს წევრთა და სსრკ-ს მემკვიდრე რუსეთის ფედერაციის მოლოდინები საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

1990 წლის ნოემბერში მიღებული პარიზის ქარტია "ახალი ევროპისათვის", მომავალში ეუთო-დ გარდაქმნილი ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ერთერთ ფუძემდებლურ დოკუმენტად ითვლება. მან გააგრძელა და გააღრმავა ჰელსინკის ფინალური აქტის სულისკვეთება და ძირითადი დებულებები. რამდენადაც ნატო-ს წევრები არასოდეს აღიქვამდნენ თავს სხვა საერთაშორისო ფორმატებისაგან მოწყვეტილად, ხოლო ალიანსი ამ მოვლენათა ეპიცენტრში იდგა, კვლევის ამოცანებისთვის უპრიანია პარიზის ქარტიის მთავარი დებულებების გახსენება.

---

[188] Albrecht Schnabel and Hans-Georg Ehrhart, "Post-Conflict Societies and Military: Challenges and Problems of Security Sector Reform", In *Security Sector Reform and Post-Conflict Peace-Building* (New York: United Nations University Press, 2005), 2;

[189] Richard Cohen, "From Individual Security to International Stability", In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001): 17;

ქარტიის მთავარი არსი კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების უპირობო და სრული მხარდაჭერაა. ამ დოკუმენტის მიღება სსრკ-ს მხრიდან იმის დადასტურებაა, რომ „ცივ ომში“ საბჭოთა კავშირმა უკან დაიხია არა მხოლოდ სამხედრო, ეკონომიკური ან სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ იდეოლოგიურადაც. აღნიშნულის სადემონსტრაციოდ ქარტიაში არსებული ეს ფრაზაც საკმარისია: „ ... ინდივიდის თავისუფალი ნება, რომელიც ხორციელდება დემოკრატიის პირობებში და დაცულია კანონის უზენაესობით, ქმნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებელ ბაზისს. ჩვენ ხელს შევუწყობთ ეკონომიკურ აქტივობას, რომელიც პატივს სცემს და ამყარებს ადამიანურ ღირსებას“.[190] აღნიშნული მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადასტურებს როგორც წარმოდგენილ კვლევაში განხილულ ჰიპოთეზას ნატო-ს ღირებულებითი ბუნების შესახებ, ასევე კონკრეტულად სოციალური კონსტრუქტივიზმის ამხსნელ ძალას სსრკ-ს დაშლის პროცესთან და კოოპერატიული უსაფრთხოების სისტემის შექმნასთან მიმართებაში.

ქარტიის პარალელურად, ევროპული ერთიანობისა და უსაფრთხოების საფუძვლების განმტკიცების ნაწილი გახდა უკვე ნახსენები ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ (ეჩშძ ხელშეკრულება). მისი ხელმოწერაც პარიზში, 1990 წლის ნოემბერში შედგა. ფორუმი, რომელმაც იგი მოამზადა, ნატო-ს ინიციატივით, ალიანსისა და ვარშავის ბლოკის წევრთაგან შედგებოდა.

პარიზის ქარტიაც და ეჩშძ ხელშეკრულებაც თავისი შინაარსითა და სულისკვეთებით სრულად შეესაბამებოდა ნატო-ს 1990 წლის ივლისის ლონდონის დეკლარაციას და მისი პრინციპების პრაქტიკულ რეალიზებას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, ხელმოწერის ეტაპზე, ორივე დოკუმენტი ასევე ზოგადად ემთხვეოდა და პასუხობდა როგორც გორბაჩოვის, ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ხელმძღვანელობის მოსწრაფებებს. მაგრამ თანდათანობით, ამ მისწრაფებებმა ერთმანეთისაგან განსხვავებული დინამიკა შეიძინა.

[190] Charter of Paris for a New Europe, (Paris, 19-21 November 1990), OSCE E-Library, https://www.osce.org/files/f/documents/0/6/39516.pdf (08.05.2021);

კვლევის მომდევნო პარაგრაფები დაეთმობა იმის ჩვენებას, თუ რას წარმოადგენდა ნატო-ს ქმედებები: ა) კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის, და ბ) კრიზისის მენეჯმენტის/კრიზისზე პასუხის თვალსაზრისით. ცალკე ანალიზი ესაჭიროება რუსეთის რეაქციების თანდათანობით ცვლილებას, რამაც საქმე 21-ე საუკუნის რუსულ რევიზიონისტულ ქმედებებამდე და, შესაბამისად, ნატო-ს ხელახალ ტრანსფორმაციამდე მიიყვანა. თუმცა ამ საკითხს ცალკე თავი ეძღვნება.

კვლევის ამ ნაწილში განვიხილავთ ნატო-ს პოლიტიკას ევროპის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში, ხოლო სხვა რეგიონები, იქნება ეს ახლო აღმოსავლეთი თუ ცენტრალური აზია, წარმოდგენილ ანალიზში მხოლოდ ფონური დატვირთვის მატარებელია. აღნიშნულს სამი მიზეზი აქვს:

1. ექსპერტულ და პოლიტიკურ წრეებში თანდათან მატულობდა მსჯელობები ნატო-ს გლობალურ მისიაზე - მაგალითად, რებეკა მური ამტკიცებს, რომ ევროპის ერთიანობა ისევ რელევანტურია, მაგრამ გლობალიზებულ სამყაროში უსაფრთხოება აღარაა რეგიონული და ნატო-მ ევროპის მიღმა არსებულ პირობებსაც უნდა მიხედოს.[191] მიუხედავად ამისა, „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ პერიოდში ნატო-ს მთავარი ამოცანა გახდა „ევროპა ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი“ (ალიანსის ამ ახალი მისიის შესახებ აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ჯერ კიდევ 1989 წლის მაისში, ნატო-ს მე-40 სამიტზე, ბერლინის კედლის დანგრევამდე რამოდენიმე თვით ადრე განაცხადა).[192] შესაბამისად, პირველ ეტაპზე ალიანსის ინტერესის მთავარი არეალი იყო ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა, სადაც მიმდინარეობდა ვარშავის ბლოკის ყოფილი სახელმწიფოების ტრანსფორმაცია შეზღუდული სუვერენიტეტის მქონე საბჭოთა სატელიტებიდან სრულფასოვან ევროპულ დემოკრატიებამდე. ამ მისიის წარმატებით დასრულების პარალელურად, აქცენტმა გადაინაცვლა

[191] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 96;
[192] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 1;

ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთზე, სადაც მთავარი თემა გახდა ბალკანეთში არსებული კრიზისების მენეჯმენტი და რეგიონის შემდგომი დემოკრატიული ტრანსფორმაცია;

2. ევროპული ამოცანის მნიშვნელობიდან და მისი წარმატებისთვის აუცილებელი რესურსებიდან გამომდინარე, მოკავშირეები კვლავიდებურად მხარს უჭერდნენ ალიანსის დამფუძნებელი ქარტიის მე-7 და მე-10 მუხლებში ჩადებულ გეოგრაფიულ შეზღუდვებს, რომლის თანახმადაც ნატო-ს ოპერირების ძირითადი არეალი ჩრდილოეთ ატალანტიკის ზონა და ევროპაა; ხოლო ნატო მზადაა, გაუღოს კარი *ევროპულ* (ხაზი ჩემია - დ.ბ.) სახელმწიფოს, თუკი იგი ასე მოისურვებს და მზადაა ქარტიის პრინციპთა განსამტკიცებლად.
3. საქართველო, რომელსაც, როგორც ნატო-ს კოოპერატიული პოლიტიკისა და კრიზისის მენეჯმენტის ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო ქეისს, ნაშრომის დასკვნით ნაწილში განვიხილავ, სწორედაც რომ ალიანსის ტრადიციული სამოქმედო ზონის ფარგლებში, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორში მდებარეობს და „ერთიანი და თავისუფალი ევროპის“ იდეის შემადგენელი ნაწილია. ამის შესახებ ნატო-ს წევრთა შორის აზრთა ერთიანობის საუკეთესო დადასტურებაა 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც საქართველო, უკრაინასთან ერთად, გახდება ნატო-ს წევრი.

აღნიშნული არ ამცირებს ავღანეთში ნატო-ს მოქმედებების მნიშვნელობას და შემდგომ თავში ამ მისიასაც შევეხები. მაგრამ იგი მე ტერორიზმის სახეცვლილ, გლობალიზებულ ბუნებაზე და ალიანსზე თავდასხმის იძულებით პასუხად უფრო მესახება, ვიდრე ნატო-ს თავდაპირველი მიზნებისა თუ მისიების გაფართოებად.

4.3. ნატო-ს კოოპერატიული პოლიტიკა პრაქტიკაში:

თავისთავად, ყველა ზემოთნახსენები განცხადება თუ დოკუმენტი ევროატლანტიკური უსაფრთხოების პოლიტიკის კოოპერატიული ბუნების

გამოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ამ პოლიტიკის საფუძველი იყო როგორც მრავალგზის ნახსენები „ჰარმელის ანგარიში“, ისე თავად 1949 წლის დამფუძნებელი ქარტიის პრეამბულა და პირველი მუხლი, რომლის თანახმადაც: „ ... მხარეები იღებენ ვალდებულებას, გაერო-ს წესდების შესაბამისად, გადაჭრან ყველა საერთაშორისო დისპუტი, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდნენ ჩართულნი, მშვიდობიანი საშუალებებით და იმდაგვარად, რომ საერთაშორისო მშვიდობა, უსაფრთხოება და სამართლიანობა არ აღმოჩნდეს ხიფათის ქვეშ; საერთაშორისო ურთიერთობებში შეიკავონ თავი ძალის მუქარისა თუ გამოყენებისაგან ნებისმიერი ფორმით, რომელიც არ იქნება შესაბამისობაში გაერო-ს მიზნებთან“.[193]

“ცივი ომის” პერიოდშიც კი დიალოგი და პრობლემების გადაწყვეტის მშვიდობიანი გზების ძიება ნატო-სთვის არასდროს არ იყო ლიტონი სიტყვები, თუმცა, ცხადია, პოლიტიკური დეკლარაციები ზუსტად და სქოლასტიკურად არასოდეს ითარგმნება პრაქტიკული უსაფრთხოების პოლიტიკაში. “ცივი ომის” დასრულებას კი მოყვა ისეთი ინსტიტუტების თუ რეჟიმების შექმნა, როგორიც იყო არჩევნების ოფისი (ODHIR-ის წინამორბედი) ვარშავაში; ეუთო-ს სამდივნო; ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი გაერთიანებული საკონსულტაციო ჯგუფი ვენაში და ლიმიტებს მიღმა დარჩენილი შეიარაღების განადგურების ვერიფიკაციის უპრეცედენტო მექანიზმები. ეს ყოველივე ხდებოდა ეუთო-ს ეგიდით, რომელიც თათბირიდან მალე თავად გადაიქცა ორგანიზაციად. მაგრამ ცხადი იყო, რომ ამ ინსტიტუტთა ფორმები, შეარაღებაზე კონტროლისა თუ დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საერთოევროპული რეჟიმები ასეთი არ იქნებოდა, რომ არა ნატო-ს წევრთა ნება და მონდომება.

კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის განმახორციელებელი ერთერთი მთავარი ინსტიტუტი, რაც უშუალოდ ნატო-სთან 1991 წლის მიწურულს, ვარშავის ბლოკის დაშლის შემდეგ შეიქმნა, იყო NACC - ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო. ნატო-სთან ერთად, მისი დამფუძნებელი წევრი გახდა

[193] The North Atlantic Treaty (Washington, 04 April 1949), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm (18.09.2020);

რუსეთის ფედერაციაც, რომელსაც ახალი გამოცხადებული ჰქონდა დამოუკიდებლობა. ეს იყო ევროპული უსაფრთხოების საკითხებზე აღმოსავლეთ-დასავლეთის მუდმივი პოლიტიკური დიალოგის ფორუმი.[194] 1992 წელს ამ საბჭოს შეუერთდნენ საქართველო და აზერბაიჯანი, მოგვიანებით კი ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოებიც.

ეს იყო უცნაური პერიოდი, როდესაც მსჯელობა ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც ნატო-ს არსებობის გაგრძელების მიზანშეწონილობაზე, ისე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მზარდ სურვილზე, გამხდარიყვნენ ალიანსის წევრები. 1992 წელს, ამერიკელებმა პირველად განაცხადეს იმის შესახებ, რომ რიგი ყოფილი მეტოქეებისა ნატო-ში გაწევრიანებას ითხოვდა.[195] მთელი სისრულით და ღიად კი ეს პროცესი უკვე პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის დროს, 1993 წლის იანვრიდან დაიწყო. ბილ კლინტონი მიიჩნევდა, რომ შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიზანი დემოკრატიის ზონის გაზრდა იყო, რასაც კარგად უზრუნველყოფდა ნატო-ს გაფართოება. იგივე მიდგომას იზიარებდნენ ჩეხეთისა და პოლონეთის ახალი პრეზიდენტები, ვაცლავ ჰაველი და ლეხ ვალენსა. თუმცა, იყვნენ აშშ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ისეთნიც, ვინც ფრთხილობდა და რუსეთის დემოკრატიზაციაზე ფოკუსირებას არჩევდა.[196]

ის, თუ რატომ იყო ნატო-ს გაფართოება იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი „ერთიანი და თავისუფალი ევროპის“ შექმნისა და დემოკრატიის ზონის მეტად გაზრდის გზაზე, 1997 წელს ძალიან ნათლად ჩამოაყალიბა ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა, თავის არგუმენტებში ჩეხეთის ნატო-ში გაწევრიანების სასარგებლოდ: „ნატო-მ სასწრაფოდ უნდა შეახსენოს საკუთარ თავს, რომ პირველ რიგში და უმთავრესად, ის არის დემოკრატიის ინსტრუმენტი, შექმნილი საერთო პოლიტიკური და სულიერი ღირებულებების დასაცავად. ის საკუთარ თავს უნდა ხედავდეს არა როგორც

[194] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 100;
[195] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 101;
[196] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 101-103;

ქვეყნების კავშირს რომელიმე მეტად თუ ნაკლებად გარკვეული მტრის წინააღმდეგ, არამედ როგორც ევრო-ამერიკული ცივილიზაციის გარანტორს“.[197]

საინტერესოა, რომ იმ პერიოდში ნატო-ში რუსეთის გაწევრიანებაზეც კი მიდიოდა მსჯელობა. ზოგიერთი ცნობით, ამაზე ჯერ კიდევ მიხეილ გორბაჩოვი საუბრობდა კულუარებში, რუსეთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი კი ნატო-ს წევრობას რუსეთის გრძელვადიან პოლიტიკურ მიზნად მოიხსენიებდა.[198] მაგრამ, ბუნებრივია, ეს სურვილები ვერანაირად ვერ რეალიზდებოდა იმ ქვეყნის მხრიდან, რომელშიც რევანშისტული და ანტიდასავლური განწყობები საკმაოდ ძლიერი იყო და რომელსაც, მიუხედავად დემოკრატიზაციისაკენ გადადგმული არაერთი სერიოზული ნაბიჯისა, ჰქონდა როგორც შიდა, ასე გარე კონფლიქტები. ამდენად, აღნიშნული საკითხი დარჩა მხოლოდ კულუარულ თემად არ გამხდარა სერიოზული განხილვის საგანი არც რუსეთის ხელისუფლების და არც ნატო-ს ხელმძღვანელობის მხრიდან.

თუმცა, მიუხედავად ამ ყველაფრისა, როგორც ჩანს, რუსულ პოლიტიკური ელიტაში ნატო-ში გაწევრიანების თემაზე მსჯელობა გრძელდებოდა პრეზიდენტ პუტინის არჩევის შემდეგაც კი. ამის დასტურია 2021 წლის ნოემბრში გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ნატო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, ჯორჯ რობერტსონმა დაადასტურა, რომ პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის დროს, ამ უკანასკნელის პრეზიდენტად პირველად არჩევის შემდეგ მოკლე ვადაში, პუტინმა შესთავაზა მას, დაეპატიჟათ რუსეთი ალიანსში, როგორც „თანაბარი პარტნიორი“.[199] ცხადია, ბუნდოვანია, რას გულისხმობდა პრეზიდენტი პუტინი „თანაბარ პარტნიორობაში“ და ხომ არ სურდა მას რეალურად რუსეთის გაწევრიანება გამოეყენებინა ალიანსის

[197] Vaclav Havel, “NATO’s Quality of Life,” New York Times (13.05.1997), https://www.nytimes.com/1997/05/13/opinion/nato-s-quality-of-life.html (15.03.2020);
[198] Симон Сараджян, “А если? Могло ли членство России в НАТО и ЕС изменить противостояние запада с Китаем”, Россия в глобальной политике (08.05.2020), https://globalaffairs.ru/articles/a-vdrug-rossiya-v-nato-i-es (01.09.2020);
[199] “Ex-NATO Head Says Putin Wanted to Join Alliance Early on in His Rule”, The Guardian (04 November 2021), https://www.theguardian.com/world/2021/nov/04/ex-nato-head-says-putin-wanted-to-join-alliance-early-on-in-his-rule (13.11.2021);

გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლებისა და მისი ფუნქციონირების დაბლოკვისათვის, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, აღნიშნული ინფორმაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად შეიცვალა სტრატეგიული ხედვა და მიდგომები რუსეთში 2000 წელს ვლადიმერ პუტინის პირველად არჩევის შემდეგ - ამ საკითხს ისევ დავუბრუნდებით ნაშრომის შემდეგ ნაწილში, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევის განხილვის დროს.

რაც შეეხება ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, ლოგიკურად ჩანს ნატო-ს წევრების გადაწყვეტილება, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დალოდებოდნენ ამ ქვეყნების დემოკრატიულ რეფორმირებას. მიუხედავად "ცივი ომის" დასრულებისა, პოლონელების, ჩეხების თუ უნგრელების დემოკრატიულობა, მათი სახელმწიფო ინსტიტუტების მდგომარეობა, ისევე, როგორც სამხედროთა კულტურა და სტრუქტურა კითხვის ნიშნებს აღძრავდა. მთავარი და მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ ამ ლოდინისა და რეფორმირების პროცესში ნატო არ რჩებოდა ნეიტრალურ მაყურებლად - შეიქმნა ნატო-ს კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის ახალი მექანიზმი, „პარტნიორობა მშვიდობისათვის" (PFP). ზოგი ასპირანტი ქვეყნისთვის ეს მექანიზმი ალიანსის წევრობისათვის მოსამზადებელ სკოლად აღიქმებოდა, სხვებისათვის - თავისთავად ღირებულებად. თუმცა, იყვნენ სულსწრაფი და სკეპტიკოსი ექსპერტებიც, რომელთათვისაც PFP მხოლოდ გაწევრიანების დროში გასაწელად მოგონილი მექანიზმი გახლდათ და იშიფრებოდა, როგორც „პარტნიორობა ვადის გადადებისთვის" (Partnership for Postponement).[200]

რეალურად, „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ემსახურებოდა კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვას მთელი ევროპის მასშტაბით, მათ შორის, პოსტ-საბჭოთა სივრცის ფარგლებშიც. სტენლი სლოუნის აზრით, იგი იყო კომპრომისი ნატო-ს წევრობასა და არაწევრობას შორის, რომელსაც მხარი უნდა დაეჭირა უსაფრთხოების ეროვნულ სისტემათა ჰარმონიზაციისათვის და

[200] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 104;

დახმარებოდა მშვიდობის დაცვას რეგიონში.[201] რაც მთავარია, ამ პარტნიორობას ხელი უნდა შეეწყო ნდობის მშენებლობისათვის ნატო-ს წევრებს, ყოფილი ვარშავის ბლოკის ქვეყნებს და სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებს შორის. ამის მიღწევის ერთადერთი გზა კი იყო ამ ქვეყნებისთვის დემოკრატიზაციის პროცესში ნატო-ს დახმარება. სწორედ ამიტომ, ალიანსის შტაბ-ბინის, მისი საპარლამენტო ასამბლეის და რიგი სასწავლო-საწვრთნელი დაწესებულებების ერთერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია გახდა ყოფილ მეტოქეთა დარწმუნება შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზაციასა და მათზე დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის დამკვიდრებაში.

90-იან წლებში ნატო-ს წევრებმა არაერთი სასწავლო დაწესებულების კარი გახსნეს აღმოსავლეთ ევროპელი და ყოფილი საბჭოთა სამხედროების, საჯარო მოხელეების, პოლიტიკოსებისა თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთვის. უსაფრთხოების პოლიტიკის დასავლურ თავისებურებათა და მიდგომათა ასახსნელად, ნდობის გასაღრმავებლად ინტენსიურად მუშაობდა ნატო-ს შტაბ-ბინის საინფორმაციო ოფისი ბრიუსელში. იგი ავსებდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ფორმატს, რომელიც უმაღლესი სათათბირო ორგანო იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის დიალოგში. მოგვიანებით, 1997 წელს, საბჭო ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოდ (EAPC) გადაკეთდა,[202] ხოლო საინფორმაციო ოფისის ფუნქციები საჯარო პოლიტიკის განყოფილებამ გადაიბარა. საერთოდ, ნატო-ს სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურები, როგორც ეს კომპლექსურ ბიუროკრატიულ ინსტიტუტებს ჩვევია, მუდმივად განიცდიდნენ ცვლილებებს.

ნატო-ს კოოპერატიულ უსაფრთხოების პოლიტიკისა და კულტურის გავრცელებას, ისევე, როგორც კონკრეტულად „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროექტების განხორციელებას, ხშირად ემსახურებოდა არა მხოლოდ უშუალოდ ნატო-ს

[201] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 103;
[202] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 104;

აკადემიური სტრუქტურები, როგორიც, მაგალითად, ნატო-ს თავდაცვის კოლეჯია, არამედ ეროვნული მთავრობების მიერ ამ მიზნით შერჩეული ინსტიტუტები, პროგრამები თუ პროექტები. გერმანიის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთის, ნიდერლანდების, განსაკუთრებით კი შეერთებული შტატების თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკისათვის გამოყოფილ ბიუჯეტებში მნიშვნელოვანი თანხები იყო გამიზნული ყოფილი სოციალისტური ბანაკის წარმომადგენელთა ტრეინინგისა და განათლებისათვის. რეგულარულ ხასიათს იღებდა ერთობლივი სამხედრო წვრთნები. იმ პერიოდის პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საშუალო რანგის ოფიცრებიდან და დიპლომატებიდან არაერთს მიეცა გარმიშ-პარტენკირხენში, ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების კვლევების ცენტრში სწავლის შესაძლებლობა.[203] ცენტრის ყველაზე ხანგრძლივი, ე.წ. აღმასრულებელი კურსი, თვეების განმავლობაში გრძელდებოდა და მსმენელებს საშუალებას აძლევდა, გაეგოთ, თუ რა არის უსაფრთხოება დემოკრატიული ქვეყნებისათვის, რა მექანიზმები არსებობს და რისთვისაა საჭირო დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე, როგორი უნდა იყოს ტერორიზმის დეფინიცია და ა.შ. ამ კურსებში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებიც.

„პარტიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის დაწყებიდან საკმაოდ მალე, მის მონაწილე ქვეყნებს მიეცათ ნატო-ს შტაბ-ბინაში სამხედრო წარმომადგენლობების გახსნის შესაძლებლობა. ასევე მოკლე ხანში დაიწყო ყოფილი ვარშავის ბლოკის წევრებისა და საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო უწყებების ჩართვა ალიანსის „დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში“ (PARP). ნატო-ს კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ყოფილი მეტოქეების სამხედრო ძალების თავსებადობის მიღწევას, რასაც სპეციფიკური ცოდნა და გამოცდილება სჭირდებოდა. PARP-ი ემსახურებოდა ამ ამოცანას, თუმცა სრულფასოვანი თავსებადობა შეიარაღების უნივერსალიზაციასაც ითხოვს, რაც არც

[203] როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის თანაშრომელს, თავადაც მქონდა საშუალება, მესწავლა ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების კვლევების ცენტრში, 1997 წლის გაზაფხულზე, ისევე, როგორც ნატო-ს თავდაცვის კოლეჯში, სადაც 2001 წელს გავიარე ოფიცრებისა და დიპლომატების მაღალი დონის სასწავლო კურსი.

თუ ადვილი მისაღწევი იყო და ფინანსებთან ერთად, საბოლოო ნდობის გარემოს ითხოვდა.

მთელი ამ მოსამზადებელი სამუშაოს ფონზე, 1999 წელს დაიწყო ნატო-ს გაფართოება. მანამდე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთის მხრივ, ალიანსი ტოტალიტარული სისტემიდან გამომავალი სახელწიფოების ტრანსფორმაციაში იყო ჩართული, მეორეს მხრივ - ახლადშექმნილ ევროპის კავშირთან ფუნქციათა გაყოფის მტკივნეულ პროცესსა და საკუთარი სამხედრო სტრუქტურის რეფორმირებაში, მესამეს მხრივ კი - კრიზისების მენეჯმენტში. ამ უკანასკნელ საკითხს შემდეგ ქვეთავში განვიხილავ, რამდენადაც მისი კონკრეტული გამოვლენები სპეციფიკური პოლიტიკური თუ გეოპოლიტიკური გარემოებებით იყო ნაკარნახევი. რაც შეეხება ალიანსის გაფართოებას, რეფორმირებას და ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების ევროპული იდენტობის ფორმირებას, ეს თემები საკმაოდ ურთიერთგადაჯაჭვული აღმოჩნდა და ყოველი მათგანი თავად ნატო-ს არსის სიცოცხლისუნარიანობას ეხებოდა.

გაფართოება უდაოდ იყო ალიანსისათვის ახალი ენერგიის მიმნიჭებელი, თუმცა, მისი განხორციელება არ ყოფილა უმტკივნეულო, რადგან შეერთებულ შტატებშიც კი გაფართოებას ჰყავდა გავლენიანი ოპონენტები, ხოლო თავად პრეზიდენტი კლინტონი ამ დროს შიდაპოლიტიკური სკანდალის შუაგულში აღმოჩნდა.[204] მიუხედავად წინააღმდეგობებისა, რაც მნიშვნელოვანწილად, რეალიზმის სკოლის მოძღვრებიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის განაწყენების შიშით იყო განპირობებული, აშშ კონგრესის რესპუბლიკურმა უმრავლესობამ, ისევე, როგორც ევროპული პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში მოქცეული გაერთიანებული გერმანიის პოზიციამ, გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ სამი ცენტრალურ-ევროპელი წევრი - პოლონეთ, ჩეხეთი და უნგრეთი - ალიანსში მიიპატიჟეს.

[204] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 107-114;

გაფართოების ოპონენტების მოსაზრებების საპირისპიროდ, რუსულ წყენებსა და რევიზიონიზმს არც ნატო-ს პირველი და არც შემდეგი გაფართოვებების დროს რაიმე საგანგაშო ნიშნულისათვის არ მიუღწევია. ასევე შეურიგდა რუსეთი ე.წ. Big Bang-ს, როგორადაც 2002-2004 წლების მანძილზე მიმდინარე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კიდევ შვიდი სახელმწიფოს გაწევრიანება მოინათლა (ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკია და ბალტიის სამი პოსტ-საბჭოური რესპუბლიკა) და რომლის დროსაც, გადალახული იქნა რუსეთის მიერ დეკლარირებული „წითელი ხაზი“ ყოფილ საბჭოთა სივრცეში ალიანსის გაფართოებისა და მისი ინფრასტრუქტურის განლაგების დაუშვებლობის შესახებ.

პირველის მსგავსად, გაფართოების შემდგომი ტალღებიც, პირველ რიგში, ისევ ამერიკულ-გერმანულ კონსენსუსს უკავშირდებოდა. თუმცა, პროცესის სტრუქტურა და დინამიკა იმგვარად შეიცვალა, რომ, დაწყებული 1999 წლიდან, „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ რეალურად დაცილდა გაფართოება/გაწევრიანების სფეროს და საბოლოოდ ჩამოყალიბდა თანამშრომლობისა და რეფორმების თვითკმარ მექანიზმად. მასში მონაწილეობა აღარ ასოცირდებოდა ალიანსში ინტეგრაციის პერსპექტივასთან. საამისოდ შეიქმნა ახალი მექანიზმი, რომლის გამოყენებაც ახალი წევრის მიღების შესახებ პოზიტიურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას უნდა მოჰყოლოდა. ეს იყო ე.წ. MAP - გაწევრიანების სამოქმედო გეგმა. იგი გულისხმობდა კანდიდატი ქვეყნის წინასწარ მომზადებას როგორც უსაფრთხოების სექტორის, ისე ზოგადი დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით.

გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მონაწილისათვის უნდა შემდგარიყო მომზადების ყოველწლიური პროგრამა, რომლის პარამეტრები და შესრულების ხარისხი განიხილებოდა 19+1 ფორმატში, ნატო-ს წევრებისა და თავად კანდიდატის მონაწილეობით. საინტერესოა, რომ სახელმძღვანელო დოკუმენტში, რომელიც 1999 წლის აპრილში, ვაშინგტონის სამიტზე იქნა მიღებული, ხაზგასმული იყო კანდიდატი ქვეყნის მიერ გაწევრიანებამდე საერთაშორისო, ეთნიკური თუ ტერიტორიული დავების მშვიდობიანად, ეუთო-ს პრინციპებზე დაყრდნობით

გადაწყვეტის მოთხოვნა.[205] შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი მოთხოვნა ევროპის კონტინენტზე კოოპერატიული უსაფრთხოების, კრიზისის მენეჯმენტისა თუ პრევენციის ნაწილს წარმოადგენდა. გაწევრიანების სამოქმედო გეგმის გამოყენებით მიმდინარე ნატო-ს გაფართოების შემდგომი ტალღები შედარებით მოკრძალებული და ნაკლებად ხმაურიანი იყო, მთელი პროცესი წინასწარ გახლდათ შეთანხმებული და მხოლოდ თავად კანდიდატთა მზადყოფნას ელოდა. ეს ტალღები 2009 (ალბანეთი და ხორვატია), 2017 (მონტენეგრო) და 2020 (ჩრდილოეთ მაკედონია) წლებში განხორციელდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნატო-ს გაფართოება არ არის მხოლოდ „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ დაწყებული პროცესი. ალიანსის გაფართოებები ყოფილა “ცივი ომის” დროსაც (მაგალითად, 1952 წელი - თურქეთი და საბერძნეთი, 1955 წელი - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1982 წელი - ესპანეთი). როგორც მაშინ, ისე ახლა, გაფართოება ერთიანი და თავისუფალი ევროპის იდეის და ნატო-ს კოოპერატიული პოლიტიკის განხორციელების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. რა თქმა უნდა, პროცესს ჰქონდა გეოპოლიტიკური და პოლიტიკური ქვეტექსტები - რეალპოლიტიკა, ანუ ქვეყნების სამხედრო-სტრატეგიული ინტერესი და მიზნის მიღწევის რეალისტურობა უცილობლად თამაშობდა თავის როლს. მაგრამ, ვფიქრობ, „ცივი ომის“ პერიოდშიც კი, ერთერთი ფაქტორი მაინც იყო ამ ქვეყანათა მზაობა, მიეღოთ ალიანსის პრინციპები, გაეზიარებინათ უსაფრთხოების პოლიტიკის კოოპერატიული მოდალობა და გაეზარდათ ევროპაში დემოკრატიული ღირებულებებით მოცული ზონა.

ნატო-ს წევრობის მსურველთაგან ჯერაც ალიანსის გარეთ რჩება საქართველო და უკრაინა. განსხვავებით 1999 წლის შემდგომ გაწევრიანებულ სახელმწიფოებისაგან,

[205] Membership Action Plan, Approved by Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (24.04.1999), Press Release NAC-S (99) 066, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27444.htm (10.09.2021);

მათ ჯერ არ მიუღიათ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა.[206] თუმცა ნატო-ს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის შემდეგ, რომელზედაც დეკლარირებული იქნა ამ ქვეყანათა გარდაუვალი გაწევრიანება ალიანსში, უკრაინის და საქართველოს ურთიერთობები ნატო-სთან ახალი ინსტიტუციონალურ ჩარჩოში მოექცა და უფრო აქტიური გახდა ე.წ. IPAP-ისა (Individual Partnership Action Plan) და ANP-ის (Annual National Program), ანუ პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმისა და ყოველწლიური

[206] სამწუხაროდ, ნატო-ს ბუქარესტის სამიტის წინ ვერ მოხერხდა აშშ-სა და გერმანიის ერთიანი პოზიციის შეთანხმება, რაც გახდა კიდეც მთავარი დაბრკოლება საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მისანიჭებლად. სწორედ ეს საკითხი იყო ერთერთი მთავარი თემა 2008 წლის 19 მარტის შეხვედრაზე თეთრ სახლში, პრეზიდენტ ბუშსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის საუბრისას. როგორც ამ შეხვედრის მონაწილეს, არ შემიძლია დისკუსიის ყველა დეტალის გამხელა, მაგრამ გავიხსენებ პრეზიდენტ ბუშის მიერ ნათქვამ ერთ ფრაზას: „... იმუშავეთ სხვა მოკავშირეებთან, გაგრძელეთ აღმოსავლეთ ევროპელებთან აქტიურად მუშაობა, მათი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. რაც შეეხება გერმანიას, ეს პრობლემა მე დამითმეთ, მე მოვაგვარებ მას, მე ვიცი, როგორც უნდა ვიმუშავო კაცლერ მერკელთან“. ამის შემდეგ, მან ხუმრობით დააყოლა: „... მე ტეხასელი ვარ, ჩვენ გვიყვარს დუელი, მე მიმიშვით ბარიერთან ანგელასთან ერთად“. ის, რომ ამერიკელები მართლაც ძალიან აქტიურად მუშაობდნენ გერმანულ მხარესთან საქართველოს გაწევრიანების საკითხზე, კიდევ ერთხელ დადასტურდა 2008 წლის 25 აპრილს, როდესაც ბერლინში ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით მიმიწვია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა. ოფიციალური შეხვედრის შემდეგ, მან მთხოვა ცალკე გაგვესაუბრა და სწორედ იქ მითხრა მისი მთავარი მესიჯი: ამერიკელები ძალიან აქტიურად ცდილობენ გერმანიის დარწმუნებას, რომ მხარი დაგიჭიროთ ნატო-ში გაწევრიანებაში, მაგრამ გერმანია მზად არ არის ამისთვის. ვითარება რთულია და საქართველო შეიძლება გახდეს განხეთქილების მიზეზი ნატო-ს ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს შორის. ასეთი განხეთქილება ყველასთვის ცუდია და ამიტომ, იქნებ საქართველომ უთხრას ამერიკელ მეგობრებს, რომ შეამსუბუქონ წნეხი, იფიქრონ კომპრომისულ, შუალედურ ფორმულირებებზე და არა გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მოცემაზე. ამ შემოთავაზებაზე, ცხადია, ჩემი პასუხი იყო, რომ განხეთქილების ასაცილებლად გამოსავალი არა ამერიკელების, არამედ სწორედ თავად გერმანიის პოზიციის შეცვლა იყო, მითუმეტეს, რომ ამერიკელებს ამ პროცესში ძალიან აქტიურად უჭერდნენ მხარს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც. ასე რომ, გერმანიის ინტერესში უნდა ყოფილიყო, აეცილებინა კონფლიქტი არა მხოლოდ ამერიკელ მოკავშირეებთან, არამედ საკუთარ ევროპელ მეზობლებთანაც. სამწუხაროდ, გერმანიის პოზიცია ბოლომდე უცვლელი დარჩა და საბოლოოდ, ბუქარესტის სამიტზე საქართველომ მიიღო არა გაწევრიანების გეგმა, არამედ გაწევრიანების პირობა - პოლიტიკური კონსენსუსის უცნაური, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი, რომელიც დილით, სამიტის შედეგების ოფიციალურად გასაჯაროებამდე სულ ცოტა ხნით ადრე შეთანხმდა პირადად პრეზიდენტებს ბუშს, კაჩინსკის, ბასესკუს და კანცლერ მერკელს შორის, მას შემდეგ, რაც დელეგაციების მთელი ღამის მუშაობას შედეგი ვერ მოყვა.

ეროვნული პროგრამების ფარგლებში, ეგრეთვე ე.წ. „ინტენსიური დიალოგის“ მეშვეობით. ბალკანეთის რეგიონში ნატო-ს სპეციალური ურთიერთობების მექანიზმები აქვს სერბეთთან, რომელიც არ ისწრაფვის წევრობისაკენ. ამ ქვეყანამ პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა 2015 წელს მიიღო.[207] თუმცა, მთელი ეს სპეციფიკა, რომელიც უკრაინასა და საქართველოს ჯერაც არ აძლევს წევრობის მკაფიო მექანიზმს, ნაწილობრივ ნატო-სეული კრიზისების მენეჯმენტის, უფრო კი ჰიბრიდული საფრთხეების თემაა. იგი დასტურია ნატო-ს ამჟამინდელი შესაძლებლობების ლიმიტების და დისერტაციის შემდგომ ნაწილებში იქნება განხილული.

ერთიანი და თავისუფალი ევროპის შექმნის კოოპერატიული ლოგიკა ქმნიდა იმ არცთუ მარტივი პროცესის საფუძველსაც, რომელიც ნატო-სა და ევროპის კავშირის ურთიერთობას ეხებოდა. ეს ურთიერთობა კომპლექსურია, უამრავი ნიუანსით დატვირთული და, ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარიც, რადგან ნატო-ს და ევროპის კავშირის წევრთა უმეტესობა ერთი და იგივე ქვეყნებია. სტენლი სლოუნის ანალიზით, მათი განსხვავება მაინც იქიდან მომდინარეობს, რომ შეერთებული შტატები არ არის ევროპის კავშირის წევრი და, შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ევროპის კავშირის ფორმირებით, ნატო-ს წევრები „ძველი ევროპიდან“ ერთგვარად სცილდებოდნენ ამერიკას. არსებითად, სლოუნს შეიძლება დავეთანხმოთ იმაში, რომ ნატო-ევროკავშირის ტანდემი ისევ ტრანსატლანტიკური გარიგება/ვაჭრობის (bagrain) ფარგლებშია გასააზრებელი.

ამ წყვილს შიდა უთანხმოებები ადრეც ჰქონია. სლოუნის აზრით, ტრანსატლანტიკურ გარიგებას “ცივი ომის”დროსაც ესაჭიროებოდა ევროპელ წევრთა მხრიდან მეტი პასუხისმგებლობა და ლიდერობა. საამისოდ, არსებობდა კიდეც ჯერ კიდევ ნატო-ს დაარსებამდე შექმნილი თავდაცვითი მექანიზმი, WEU, დასავლეთ ევროპული კავშირი, რომელიც ნატო-ს შექმნის და ევროპული თანამეგობრობის თანდათანობითი ზრდის პირობებში არსებითად უფუნქციო იყო. ერთის მხრივ,

[207] Relations with Serbia (06.04.2021), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50100.htm (10.09.2021);

ამერიკელები მხარს უჭერდნენ ევროპელების მხრიდან უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულებას, მაგრამ, ამავე დროს, სლოუნის აზრით, ამერიკული დამოკიდებულება მოსჩანდა, როგორც „კი, მაგრამ“ (yes, but).[208] სწორედ ასეთი მიდგომაა ასახული ნატო-ს 1991 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში. დოკუმენტის 21-ე მუხლში აღინიშნებოდა, რომ ევროპულ გაერთიანებას, დასავლეთ ევროპის კავშირს და ეუთო-ს გააჩნიათ თავიანთი მნიშვნელოვანი როლი უსაფრთხოების ამოცანათა გადაჭრაში; რომ უსაფრთხოებასა და თავდაცვაში ევროპული იდენტობის შექმნა ხაზს გაუსვამს ევროპელთა მზაობას საკუთარი უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებლობის გაზრდაზე. „თუმცა (ხაზი ჩემია - დ.ბ.) - აღინიშნებოდა იქვე - ალიანსის წევრობის უნარების ფარგლები აძლევს ნატო-ს უნიკალურ პოზიციას ოთხივე ძირეული უსაფრთხოებითი ამოცანის შესასრულებლად“.[209] ამ ძირეულ უსაფრთხოებით ამოცანებში იგულისხმებოდა ევროპაში სტაბილური უსაფრთხოებითი გარემოს უზრუნველყოფა; წევრთა სასიცოცხლო ინტერესებზე საკონსულტაციო ფორუმის ორგანიზება; წევრთა ტერიტორიის დაცვა აგრესიისაგან და სტრატეგიული ბალანსის უზრუნველყოფა ევროპაში.

ნატო-ს ამერიკელი წევრები უპრობლემოდ იღებდნენ ევროპული უსაფრთხოების იდენტობის განვითარების საჭიროებას, მაგრამ მათ აეჭვებდათ ევროპის კავშირის მხრიდან საკუთარი თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმულირებისაკენ და, შემდგომში, შესაბამისი ინსტიტუტების მშენებლობისაკენ გადადგმული ნაბიჯები. ალიანსის 1991 წლის კონცეფციაში ზრდილობიანად გამოყენებული სიტყვა “However” – „თუმცა“ - კიდევ წლები გასდევდა ნატო-ევროკავშირის დიალოგს, რაც ალიანსის შიგნითაც ტრანსატლანტიკურ კამათს იწვევდა.

გარკვეულწილად, შეერთებული შტატების ამგვარ პოზიციაზე პასუხი იყო ევროპელთა მხრიდან ევროპულ და ევროატლანტიკურ უსაფრთხოების იდენტობებს

[208] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 213-214;

[209] The Alliance’s New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021);

შორის ბალანსისა და ურთიერთშემავსებლობის ძიების მცდელობა: 1992 წელს დასავლეთ ევროპული კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო ე.წ. პიტერსბერგის (სასტუმრო გერმანიაში, ბონთან ახლოს - დ.ბ.) დეკლარაცია, რომლითაც განისაზღვრა, რომ ეს ორგანიზაცია, როგორც ახლადშექმნილი ევროპის კავშირის თავდაცვითი კომპონენტი, მიესალმება ევროპის კავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარების იდეას; განახორციელებს ჰუმანიტარულ, მშვიდობის დამცავ, კრიზისების მენეჯმენტისა და მშვიდობის დამყარების საბრძოლო მისიებს; საამისოდ გამოყენებული იქნება წევრების სამხედრო ძალები იმ ძალების ჩათვლით, რომლებიც ნატო-ს მისიებში მონაწილეობენ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში - ნატო-სთან კონსულტაციის შემდეგ.[210] დასავლეთ ევროპული კავშირი ხედავდა ევროპის კავშირის ფუნქციას კონვენციური ომისაგან განსხვავებულ, მშვიდობის დაცვა/დამყარებაზე ორიენტირებული ამოცანების შესრულებაში.

ევროპის თანამეგობრობიდან ევროპის კავშირისაკენ სვლას, რაც მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებაში აისახა, გარდაუვლად მოსდევდა ზეეროვნული ინსტიტუტების მშენებლობა. ამან ევროპის კავშირი საერთაშორისო ორგანიზაციის, კონფედერაციის და ფედერაციის უნიკალურ ნაზავად აქცია. მას დღემდე ახასიათებენ, როგორც ნორმატიულ, სამოქალაქო თუ ეკონომიკურ ძალას, მაგრამ დამფუძნებელი ხელშეკრულება ასევე ხაზს უსვამდა, რომ კავშირის წევრებს, საჭიროების შემთხვევაში, ერთიანი პოზიცია ექნებოდათ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში და საერთაშორისო ორგანიზაციებში სწორედ ამ პოზიციით იხელმძღვანელებდნენ. მაასტრიხტს მალე მოჰყვა ფრანგულ-გერმანული კორპუსის შექმნის იდეა. 1998 წელს უკვე ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ტონი ბლერი და საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაქი თანხმდებიან სენ-მალოში, რომ ევროპის კავშირის „ერთიან ევროპულ უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკას“ თავისი სამხედრო მექანიზმები სჭირდება, რათა მან ნატო-საგან დამოუკიდებლადაც შეძლოს

[210] Petersberg Declaration made by the WEU Council of Ministers (Bonn, 19 June, 1992), Western European Union, https://www.cvce.eu/en/obj/petersberg_declaration_made_by_the_weu_council_of_ministers_bonn_19_june_1992-en-16938094-bb79-41ff-951c-f6c7aae8a97a.html (10.09.2021);

მოქმედება. სენ-მალოს დეკლარაცია ევროპის კავშირის დანარჩენმა წევრებმაც გაიზიარეს.

მზარდ ევროპულ ამბიციებზე პასუხად, შეერთებული შტატების თავდაპირველი კონტრ-წინადადება იყო ნატო-ს ფარგლებში დამატებითი შტაბ-ბინის შექმნა, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, დასავლეთ ევროპული კავშირის ეგიდით იმოქმედებდა. სენ-მალოს დეკლარაციას კი მოყვა აშშ სახელმწიფო მდივნის ცნობილი სამი „დ“-ს ფორმულა: გააკეთეთ, რაც გინდათ, მაგრამ „Do not Decouple, Do not Duplicate, Do not Discriminate“ („ნუ გავიყრებით, ნუ დუბლირებთ, ნუ იქნება დისკრიმინაცია“).[211] ამერიკელები მიუთითებდნენ, რომ ევროპული სამხედრო იდენტობის მშენებლობის პროცესში იმ ქვეყნებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, რომლებიც ევროპის კონტინენტზე მდებარეობდნენ, ნატო-ს წევრები იყვნენ, მაგრამ ევროპის კავშირში არ შედიოდნენ. ასეთი იყო ნორვეგია და თურქეთი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად ეჭვიანიანად რეაგირებდა ევროპის კავშირის სამხედრო დაგეგმარებით გეგმებთან მიმართებაში.

ევროპულ გეგმებთან დაკავშირებულ პრობლემებს და ტრანსატლანტიკურ ურთიერთეჭვიანობას ამძაფრებდა ისიც, რომ ევროპის კავშირს სურდა, მაგრამ არ იყო მზად ბალკანეთში განვითარებულ კრიზისზე ოპერატიული რეაგირებისათვის. არათუ ბოსნიაში მიმდინარე ეთნიკურ ომზე, არამედ 1997 წელს ალბანეთის სახელმწიფოს ჩამოშლაზეც კი ვერ მოხერხდა ევროპის კავშირის სამხედრო პასუხის ორგანიზება. ალბანურ გამოწვევაზე მხოლოდ იტალიის ეროვნულმა სარდლობამ იმოქმედა დროებითი კოალიციის სათავეში.[212] ბალკანეთის კრიზისი დეტალურად კვლევის შემდეგ ქვეთავში იქნება განხილული.

შემდგომი ვითარება კიდევ უფრო დაძაბა უმცროსი ჯორჯ ბუშის გაპრეზიდენტებამ და მისმა უნილატერალიზმმა, რასაც ერაყის კრიზისის ირგვლივ ევრო-ამერიკული

[211] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 217-223;
[212] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 219;

უთანხმოებები მოჰყვა. მაგრამ კონსულტაციები, რომელიც იმთავითვე ნატო-ს modus operandi იყო, არასოდეს შეწყვეტილა. საყურადღებოა, რომ კომპრომისები სწორედაც რომ ყველაზე დაძაბული ერაყული უთანხმოების დროს იქნა მიღწეული - 2002 წლის მიწურულს, როდესაც აშშ-ს ხელისუფლების რიტორიკა სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ მკაფიოდ საომარი ხდებოდა, ევროპელ მოკავშირეთა ნაწილი კი სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგი იყო, ბერლინში შედგა ნატო-ევროკავშირის შეთანხმება, ე.წ. Berlin Plus, რომელიც გულისხმობდა ნატო-ს საშუალებების გადაცემას ევროკავშირის კრიზისების მენეჯმენტის ოპერაციებისათვის. ევროპის კავშირში შეიქმნა სამხედრო დაგეგმვის უჯრედი, ევროკორპუსის სარდლობა და 2004 წელს ევროპის კავშირმა ნატო-საგან ბოსნიის ოპერაცია გადაიბარა.[213] იმავე წელს, ევროკორპუსის[214] მეთაურ გენერალ ჟან ლუი პის ექვსი თვით ნატო-ს მისიის ISAF-ის ხელმძღვანელობა გადაეცა.

ზემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ "ცივი ომის" დასრულებით გამოწვეული სტაბილურობისა და თანამშრომლობის ზონის გაფართოების მიუხედავად, 90-იან წლების ევროპაში თუ ახლო აღმოსავლეთში გაჩენილი ცხელი წერტილების ფონზე, ნატო-ს საყრდენს - ტრანსატლანტიკურ ერთობას - უთანხმოებათა სერია არყევდა. ცნობილმა ამერიკელმა პუბლიცისტმა, რობერტ კაგანმა, თავის „სამოთხესა და ძალაში", ეს ვითარება ჩვეული მწვავე ფორმით შეაფასა: „ევროპა კანონების, კოოპერაციის, მოლაპარაკებების სამყაროში გადადის, ამერიკა კი რჩება ისტორიაში, სადაც თავდაცვა და ლიბერალური წესრიგის გავრცელება ძალის ფლობა-გამოყენებაზეა დამოკიდებული".[215]

---

[213] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 232;

[214] ევროკორპუსი ფრანგულ-გერმანული ბრიგადის ბაზაზე შეიქმნა, თუმცა, კრიზისის შემთხვევებში, მონაწილე ქვეყნების ხარჯზე მისი ზომა შეიძლება 60 000 კაცამდე გაიზარდოს. ესაა დამოუკიდებელი სტრუქტურა,რომელიც კონკრეტული ქვეყნების ურთიერთშეთანხმებით მოქმედებს და რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ევროპის კავშირის, ისე ნატო-ს საჭიროებებისათვის.

[215] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 3-4;

მიუხედავად ამისა, როგორც ევროატლანტიკურმა ერთობამ, ისე ნატო-ს მისიამ და სულისკვეთებამ ამ გამოცდასაც გაუძლო. ალიანსის ასეთი სიმყარის საფუძველი გახდა ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმისა და კონსტრუქტივიზმის თეორიების მიერ საერთაშორისო ურთიერთობებში პრიორიტეტიზებული ისეთი ცვლადები, როგორიც მულტილატერალური ინსტიტუტები და საერთო ნორმებია. დემოკრატია, კანონის უზენაესობა, დიალოგი და თანამშრომლობა, რომელიც ასე ბუნებრივი იყო შეერთებული შტატებისთვის, ამავდროულად ალიანსის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ამიტომ, როგორ მიუღებლადაც არ უნდა წარმოჩენილიყვნენ ევროპელთა თვალში პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციაში მყოფი ნეოკონსერვატორები, ატლანტიკის ორივე მხარეს მყოფ ლიდერთა საერთო ღირებულებები უბიძგებდა მათ თანამშრომლობისა და კომპრომისებისკენ, ხოლო ნატო, როგორც საერთაშორისო რეჟიმი, ამცირებდა შესაძლო შეცდომების ალბათობას და ზრდიდა პროგნოზირებადი განვითარების შანსებს.

თუმცა, ამ მოსაზრებას მაინც დავამატებდი არგუმენტს რეალიზმის სკოლიდანაც: როდესაც 2003 წელს ამერიკელები და მათი უპირობო მომხრენი ერაყში შევიდნენ, ოპერაციით უკმაყოფილო გერმანია, საფრანგეთი, ბელგია და ლუქსემბურგი ხელახლა ალაპარაკდნენ ნატო-საგან სრულად ავტონომიური სამხედრო ძალების შექმნის აუცილებლობაზე. მაგრამ ნიდერლანდების იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, იაპ დე ჰოოპ სხეფერმა, რომელიც ცოტა ხანში ნატო-ს გენერალური მდივანი გახდა, განაცხადა, რომ მისი ქვეყნის უსაფრთხოებას გერმანია, საფრანგეთი და ბელგია ვერ მიხედავდა.[216] ამ არგუმენტმა, რომლის შესახებაც ბევრი ევროპული ქვეყნის ლიდერი ფიქრობდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნატო-ს ერთიანობის შენარჩუნებაში. ამერიკული ძალა ევროპელებისათვის ფაქტორი იყო. თუმცა, რომ არა ღირებულებათა თანხვედრა (ისევ კონსტრუქტივისტული არგუმენტი - დ.ბ.), ამ მატერიალურ შესაძლებლობებს, ალბათ, სხვა ფასი ექნებოდა.

[216] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 230-231;

აღსანიშნავია ისიც, რომ პრაქტიკაში, ევროპული სამხედრო იდენტობის თანდათანობითი ავტონომიური განვითარების პარალელურად, თვალში საცემი ხდებოდა ნატო-სა და ევროპის კავშირის ერთგვარი ფუნქციური გაყოფა. ეს გაყოფა ყველაზე მკაფიოდ საზღვრებს გარეთ განხორციელებულ მისიებში ჩნდებოდა და ამ ორ ორგანიზაციას შორის ფუნქციების განაწილება, როგორც წესი, შემდეგ ფორმას იღებდა: უშუალოდ სამხედრო ოპერაციების გარდა, ნატო ფოკუსირდებოდა უსაფრთხოების სექტორის რეფორმაზე, თავდაცვისუნარიანობის ზრდაზე, კონტრ-ტერორიზმზე, მასობრივი განადგურების საშუალებებზე; ევროპის კავშირი კი მეტ ყურადღებას უთმობდა მმართველობის რეფორმას და მართვის უნარების მშენებლობას, განსაკუთრებით, კანონის უზენაესობის მისიებსა და საპოლიციო წვრთნებს.[217]

ზემოთ განხილულმა ფაქტორებმა, 1990-ანი წლების ახალმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ და საფრთხეთა ბუნების ცვლამ ნატო-ს ამოცანათა ტრანსფორმირება გამოიწვია. მაგრამ, განსხვავებით ყოფილი სოციალისტური ბლოკისგან, ალიანსისათვის ეს არ აღმოჩნდა გადაულახავი და ინსტიტუციური ნგრევის ტოლფასი ბარიერი, რადგან ალიანსი არასოდეს იყო ვარშავის ბლოკის მსგავსად ცენტრალიზებული - კონსულტაციებისა და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების მყარად განვითარებულმა პრაქტიკამ, გადაწყვეტილების მიღების კონსენსუსზე დამყარებულმა სტილმა, ინფორმაციის გაცვლამ, ერთობლივმა წვრთნებმა და სამხედრო ძალთა მრავალეროვნულმა დაგეგმარებამ შესაძლებელი გახადა ნატო-ს მთავარი სტრუქტურების - სამხედრო სარდლობის, დაგეგმვის მექანიზმებისა და უშუალოდ სამხედრო ძალების - ეფექტური რეფორმირება.[218]

---

[217] Sunan Ulgen and Can Kasapoglu, "A Threat-based strategy for NATO's Southern Flank", Carnegie Europe, Carnegie Endowment for International Peace (10.06.2016), https://carnegieeurope.eu/2016/06/10/threat-based-strategy-for-nato-s-southern-flank-pub-63785 (13.09.2020): 17;

[218] Mark Webber, "Thinking NATO through Theoretically", *paper presented to the ECPR Joint Sessions (Lisbon, 14-19 April 2009), Workshop 24: 'Theorizing NATO'*, https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/e004327f-8597-4408-b51a-2e8fabdbeb21.pdf/ (20.03.2021);

“ცივი ომის” შესაფერისი ბოლო მასშტაბური წვრთნები ნატო-მ 1987 წელს ჩაატარა. წვრთნებში 31 ათასი ამერიკელი და 20 ათასი ფრანგი ჯარისკაცი მონაწილეობდა.[219] ამ დროისათვის, ნატო-ს ერთიან სამხედრო შტაბს ექვემდებარებოდა ევროპაში უმაღლესი სამოკავშირეო სარდალი (SACEUR) და ატლანტიკაზე უმაღლესი სამოკავშირეო სარდალი (SACLANT), თავის დაქვემდებარებაში მყოფი რეგიონალური სარდლობებით. სულ რაღაც სამიოდ წელიწადში დაიწყო ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის თანდათანობითი გარდაქმნა. ზემოთ ნახსენებ უმაღლეს სარდლობებს ნელნელა ფუნქციები შეეცვალა და 2003 წლისათვის, ევროპულ სარდლობას ეწოდა Allied Command Operations, ხოლო ატლანტიკური სარდლობა ჩანაცვლდა Allied Command Transformation-ით. 2002 წელს ევროპაში ჩატარდა ბოლო წვრთნები კოლექტიური თავდაცვის სფეროში (შემდეგი წვრთნები გაიმართა 2013 წელს, უკვე რუსული ჰიბრიდული საფრთხეებით შექმნილი ფონის გამო - დ.ბ.). მთავარი აქცენტი გადატანილ იქნა ნატო-ს რეაგირების ძალების (NATO Response Force) ფორმირებაზე.[220] ამ ძალების შექმნა, რომელიც ნატო-ს ტრანსფორმაციის ერთერთ მთავარ მამოძრავებელად გამოცხადდა, 2002 წელს პრაღის სამიტზე გადაწყდა. მის ამოცანად დასახულ იქნა როგორც კოლექტიური თავდაცვა, ასევე ნებისმიერი ტიპისა და ინტენსივობის კრიზისებზე რეაგირება.[221]

“ცივი ომის” ეპოქისაგან განსხვავებით, როდესაც, არსებითად, ალიანსის ძირითადი ფუნქცია პრაქტიკაში საბჭოთა საფრთხის შეკავებით იყო შემოფარგლული, 1990 წლიდან უახლოეს დრომდე ნატო-ს უკვე 40-ზე მეტი ოპერაცია და მისია აქვს განხორციელებული.[222] ტრადიციულ კონვეციურ ომს, რომელიც ქარტიის მე-5 მუხლს დაეყრდნობოდა, 2001 წლამდე არც ერთი მათგანი არ წარმოადგენდა და, შესაბამისად, კოლექტიური თავდაცვის მოდალობის ამოქმედებაზე საუბარიც არ იყო.

[219] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 70;
[220] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 85;
[221] NATO Response Force (20.09.2021), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_49755.htm (11.10.2021);
[222] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 1;

თავისი შინაარსითა და ფორმით მრავალფეროვანი ეს ოპერაციები კრიზისების მენეჯმენტის ხასიათს ატარებს, ანუ ნატო-ს ახალი მისიის აქტუალურობის პრაქტიკულ დადასტურებას წარმოადგენს.

თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და ახალი გამოწვევების გაჩენა არ წარმოადგენს ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენების ჯაჭვს. სახელმწიფოთა თანაცხოვრება უფრო განგრძობადი დიალექტიკაა, ვიდრე იზოლირებულ სიახლეთა რიგი. ნატო-ს ისტორია ამ აზრის დადასტურებაა და, როგორც „ჰარმელის ანგარიში“ აღმოჩნდა 25 წლის შემდეგ განვითარებული კოოპერატიული უსაფრთხოების წინამორბედი, სწორედ ასევე, ალიანსისათვის „ცივი ომის“ პერიოდშიც არ ყოფილა სრულად უცხო კრიზისების მართვისა და სრულმასშტაბიან ომზე უფრო მცირე გამოცდებისათვის მზადება. ამ საკითხს ეძღვნება ნაშრომის შემდეგი ქვეთავი.

4.4. კრიზისების მენეჯმენტი პრაქტიკაში:

სამხედრო ძალის გამოყენებით კრიზისების მართვის ნატო-ს კონცეფციის განვითარებაზე მსჯელობა ისევ “ცივი ომის” ეპოქაში გვაბრუნებს. ასეთი ამოცანებისათვის არსებითია ოპერაციების ხასიათის სწორად გაგება და, მართალია, მეოცე საუკუნის 50-60-იანი წლების დოკუმენტებში ყოველივე იმას, რისთვისაც ნატო ფართომასშტაბიანი თავდაცვის პარალელურად ემზადებოდა, არ ერქვა კრიზისის მენეჯმენტი ან მშვიდობისაკენ იძულება, მაგრამ მსგავსება აშკარად თვალშისაცემია. ნაშრომის მეორე თავში განხილული იყო, რომ “ცივი ომის” განვითარების კვალობაზე, როგორც შეერთებული შტატები, ისე მთლიანად ნატო სტრატეგიულ საფრთხედ აღიქვამდა არა მხოლოდ სსრკ-სთან სრულმასშტაბიანი ბირთვული კონფლიქტის შესაძლებლობას, არამედ საბჭოთა ძირგამომთხრელ საქმიანობას და ადგილობრივი ანტისისტემური ძალების დახმარებით მთავრობათა დამხობის მცდელობებს როგორც გლობალური მასშტაბით, ისე კონკრეტულად ევროპაში.

სწორედ ამ ტიპის რისკების გათვალისწინებამ და იმ საფრთხემ, რომ ვარშავის ბლოკისაგან მოსალოდნელი იყო არა მხოლოდ ფართომასშტაბიანი ომის დაწყება, არამედ მტრული ლოკალური აქციები, აუცილებელი გახადა ნატო-ს მხრიდან არაბირთვული ოპერაციების დაგეგმვა. პირველად, მსგავსი აუცილებლობა დაფიქსირდა ნატო-ს 1957 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში. იგი ებმოდა მასობრივი შურისძიების თეზისს, მაგრამ ერთგვარი წინამორბედიც იყო 1967 წლის „მოქნილი პასუხის“ სტრატეგიისა.[223] მას შემდეგ, რაც 1958 წლის დეკემბერში სსრკ გენერალურმა მდივანმა ნიკიტა ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ თუ ალიანსი არ განახორციელებდა დასავლეთ ბერლინის დემილიტარიზაციას, იგი ამ ქალაქის სტატუსის შეცვლაზე იზრუნებდა, თვალსაჩინო გახდა, რამდენად მნიშვნელოვანი და გარდაუვალი იყო საბჭოთა ლიმიტირებული ოპერაციების საწინააღმდეგო ნაბიჯების დაგეგმვა.[224] ასეთ ვითარებებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლას; განვითარდა მჭიდრო ინტერაქცია ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსა და ევროპაში უმაღლეს სარდლობას შორის, რამაც კრიზისის მოგვარების პროცესში სამხედრო-პოლიტიკური კოოპერაციის პრეცედენტი შექმნა.[225] ვფიქრობ, ყველა ეს ნაბიჯი მიუთითებს არამხოლოდ კრიზისების მართვის ”ცივი ომის” შემდგომი ეტაპის პრაქტიკის, არამედ ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავების სტრატეგიის ფესვებზეც. თუმცა, ზუსტი ანალოგიების ძიება შეცდომაში შეყვანის, მოვლენათა თუ გამოწვევათა თავისებურებების იგნორირების რისკის მატარებელია. რა თქმა უნდა, 1989-90 წლების შემდგომი ვითარება რეგიონალური უსაფრთხოების ახალ სურათს ქმნიდა და ნატო-ს განახლებას ითხოვდა, რაც განხორციელდა კიდეც ალიანსის სტრუქტურული ტრანსფორმაციის დაწყებით.

1990-იან წლებში წევრი სახელმწიფოების მიერ ნატო-სათვის გამოყოფილ ძალთა და უშუალოდ ალიანსის შტაბების მოქმედების ფოკუსი გახდა ბალკანეთი. აქ “ცივი

[223] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 33-34;
[224] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 34;
[225] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 36, 39;

ომის" დასრულებისთანავე განვითარებული მოვლენები იუგოსლავიის მტკივნეული დაშლით აღინიშნა. მაგრამ, იუგოსლავია არ გახლდათ ერთადერთი ცხელი წერტილი - გარკვეულ რისკებს ადგილი ჰქონდა ბულგარეთში, უნგრეთისა და რუმინეთის ურთიერთობებში. კიდევ უფრო აღმოსავლეთით, დაწყებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლა. დადგა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ხანა - რუსული პოსტ-იმპერიული ტკივილების და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების აღორძინებული ნაციონალიზმების სიმბიოზი ქმნიდა ცხელ წერტილებს მოლდოვადან შუა აზიამდე. განსაკუთრებით კონფლიქტური ვითარება იყო კავკასიაში. მშვიდობას ძალზე მყიფე ხასიათი ჰქონდა ბალტიის ქვეყნებშიც.

ყოველივე ეს, განსაკუთრებით კი იუგოსლავიის სიახლოვე და იქ განვითარებული პროცესების სიმწვავე, აშფოთებდა ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, კერძოდ ჩეხოსლოვაკეთს. ყოფილი დისიდენტი, ჩეხოსლოვაკეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, უკვე 1991 წელს ითხოვდა ნატო-ში გაწევრიანებას არა იმდენად რუსული იმპერიალიზმის აღორძინების, რამდენადაც იუგოსლავიური მოვლენების ფონზე არასტაბილურობის გაფართოების შიშით.[226] საბედნიეროდ და ჰაველის უშუალო დამსახურებით, ჩეხები და სლოვაკები მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ ჰაველს ეს არ სურდა, მაგრამ ვითარების დაძაბვას გადადგომა არჩია.

"ცივი ომის" დასრულების, ისევე როგორც ყოფილ სოციალისტურ ბლოკში დაწყებული ეთნოკონფლიქტების თუ ცენტრი-პერიფერიის სისხლიანი დაპირისპირების საწყის თარიღებზე შეიძლება სხვადასხვა აზრი არსებობდეს. საბჭოთა კავშირში ეს პროცესები პარალელურად მიმდინარეობდა ყარაბაღში, საქართველოში, მოლდოვაში, ბალტიის ქვეყნებში, სადაც კონფლიქტების ესკალაცია უკვე 1988-1991 წლების დიაპაზონში მოხდა; რაც შეეხება "ცივი ომის" დასრულების დასაწყისს, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ სტრატეგიულად, იგი უკვე 1987 წელს დასრულდა. სიმბოლური თვალსაზრისით, რასაც პოლიტიკაში განსაკუთრებული

[226] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 22;

მნიშვნელობა აქვს, "ცივი ომის" დასრულების თარიღის დასადგენად არსებითია საბჭოთა ჯარების გასვლა ავღანეთიდან (შესაბამისი შეთანხმება აშშ-სა და პაკისტანთან 1988 წლის აპრილში იქნა მიღებული, პროცესი კი 1989 წლის თებერვალში დასრულდა) და ბერლინის კედლის ნგრევის დასაწყისი (1989 წლის 9 ნოემბერი). მაგრამ, რაც არ უნდა ჩაითვალოს „ცივი ომის" დასრულების თარიღად, 1991 წლიდან, ანუ ამ მომენტიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ განვითარებული ევროპული კონფლიქტები, ნებსით თუ უნებლიედ, უკვე ნატო-ს პასუხისმგებლობა ხდებოდა.[227] სწორედ ამის გამოძახილი იყო ნატო-ს სტრატეგიულ დოკუმენტებში კრიზისების მენეჯმენტზე ხაზგასმის ზრდა. პრაქტიკაში, ნატო-ს და მის წევრთა ხელთ იყო პრევენციული და მაიძულებელი (coersive) დიპლომატია და სამხედრო ძალა, რომელსაც როგორც მშვიდობის დაცვის, ისე მშვიდობის იძულების (peace inforcement) როლის შესრულება შეეძლო.

რიგ შემთხვევებში, ეს ძალა საჭირო არ გახდა და პრობლემები ამოიწურა დიპლომატიის დახმარებით: ამის მაგალითია უნგრეთი, რომლის ხელისუფლებასაც აშფოთებდა როგორც იუგოსლავიაში განვითარებული მოვლენები, ისე რუსეთის შესაძლო რევიზიონიზმი ცენტრალური ევროპის მიმართ.[228] შესაბამისად, ნელნელა, მაგრამ მიზანმიმართულად, უნგრეთის პოლიტიკური კლასის ძირითადი ნაწილი შეთანხმდა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია მხოლოდ ნატო-ს წევრობა შეიძლებოდა ყოფილიყო. რაც შეეხება ნატო-ს როლს უნგრეთთან მიმართებით კონფლიქტების პრევენციის დიპლომატიურ ძალისხმევაში, 1995 წელს გამოქვეყნდა ნატო-ს დაკვეთით შესრულებული კვლევა ალიანსის გაფართოების თაობაზე. მასში აღინიშნებოდა, რომ: „ ... სახელმწიფოებმა, რომელთაც აქვთ ეთნიკური დისპუტები ან საგარეო-ტერიტორიული დისპუტები ირედენტისტული პრეტენზიების ჩათვლით ... უნდა გადაწყვიტონ ეს უთანხმოებები ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად. ასეთი დისპუტების გადაწყვეტა იქნება ფაქტორი იმის განსასაზღვრად, მოწვეულ იქნას თუ

[227] Diego A. Ruiz Palmer, "A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019", NDC Research Paper N3 (June 2019): 70;

[228] László Valki, "Hungary's Road to NATO", The New Hungarian Quarterly 40 (154) (June 1999), https://www.researchgate.net/publication/298817383_Hungary's_road_to_NATO (10.03.2020): 3-19;

არა სახელმწიფო ალიანსის წევრად“.[229] ეს ტექსტი გახდა მიზეზი იმისა, რომ უნგრეთის მთავრობამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია სლოვაკეთთან და რუმინეთთან ე.წ. საბაზო ხელშეკრულებების გაფორმებისათვის. სლოვაკეთსა და რუმინეთში მნიშვნელოვანი უნგრული უმცირესობების არსებობიდან და ამ სამეზობლოს რთული ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, უნგრეთისა და მისი მეზობლების მთავრობებს სწორედაც რომ ნატო-ს კვლევაში აღნიშნული დისპუტების მსგავსი უთანხმოება ჰქონდათ. შესაბამისად, 1995-96 წლებში გაფორმდა საბაზო ხელშეკრულებები, რომლებშიც ხაზგასმული იყო საზღვრების ურღვევობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის უმთავრესი პრინციპები. ვფიქრობ, სადავო არაა, რომ ამ ქვეყნების მხრიდან ნატო-ს წევრობის ინტერესის არქონის, ან ალიანსის მხრიდან ზემოთაღნიშნული პირდაპირი მოთხოვნების არარსებობის შემთხვევაში, ეს პროცესი, როგორც მინიმუმ, დროში გაიწელებოდა. აღნიშნულმა ხელშეკრულებებმა ასევე შეუწყო ხელი ალიანსში თავად სლოვაკეთისა და რუმინეთის გაწევრიანებას “ცივი ომის” შემდგომი გაფართოების მეორე ტალღის დროს.

მაგრამ, თუ რომელიმე კონფლიქტმა შეუქმნა განსაკუთრებული პრობლემა ევროპის უსაფრთხოებას 1990-იან წლებში, ეს უდავოდ იყო იუგოსლავიის დაშლასთან დაკავშირებული დრამატული მოვლენები. 1990 წელს იუგოსლავიის ერთიანმა კომუნისტურმა პარტიამ არსებობა შეწყვიტა. ერთ წელიწადში ამას ჯერ ხორვატიისა და სლოვენიის, შემდეგ კი ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დეკლარაციები მოჰყვა. იუგოსლავია მხოლოდ სერბეთისა და მონტენეგროს ფარგლებში შენარჩუნდა კიდევ გარკვეული ხანი. ჩეხოსლოვაკეთისაგან განსხვავებით, იუგოსლავიის დაშლას თავიდანვე ახლდა სამხედრო კონფლიქტი და დაპირისპირება. საერთაშორისო თანამეგობრობისათვის შოკის ეფექტი ჰქონდა ხორვატიის სანაპიროზე მდებარე ქალაქ-მუზეუმის, დუბროვნიკის დაბომბვას იუგოსლავიის არმიის მხრიდან. სისხლი იღვრებოდა სერბული მოსახლეობის მქონე ანკლავებში ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში.

[229] László Valki, “Hungary’s Road to NATO”, The New Hungarian Quarterly 40 (154) (June 1999), https://www.researchgate.net/publication/298817383_Hungary's_road_to_NATO (10.03.2020): 3-19;

დიდი ხნისა და დაუძლეველ პრობლემად რჩებოდა დაძაბულობა კოსოვოს სერბულ ავტონომიაში. არაფრის გამორიცხვა არ შეიძლებოდა უნგრული უმცირესობის მქონე, ასევე სერბულ ვოევოდინაში, რომლის ბედი, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით აშფოთებდა უნგრეთს.

თავდაპირველად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თავს იკავებდა ყოფილი იუგოსლავიის საქმეებში ჩარევისაგან. ძალიან ცოტა დრო იყო გასული ნატო-ს ტრანსფორმაციის დაწყებიდან და თან თემატურად, პრობლემა გაერო-ს ეხებოდა. გარდა ამისა, ნატო-სა და ახლად დაფუძნებული ევროპის კავშირის კულუარებში ფიქრობდნენ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის კრიზისი სწორედაც რომ ევროპული უსაფრთხოებითი იდენტობის გამოცდის საშუალება უნდა ყოფილიყო. ცხადია, ეს არ ნიშნავდა, რომ ნატო ბოლომდე გვერდით გადგომას აპირებდა - მსგავსი ნაბიჯი პარიზის ქარტიისა და ალიანსის 1991 წლის სტრატეგიული კონცეფციის იგნორირება იქნებოდა. ომის დაწყებიდან, ანუ 1992 წლიდან, ნატო გაერო-ს ეგიდით ჩაერთო კრიზისის მენეჯმენტში და სწორედ გაერო-ს მიერ დაწესებული იარაღის ემბარგოს უზრუნველყოფით დაკავდა.[230] მაგრამ ნელნელა იკვეთებოდა აშშ/ნატო-სა და ევროპელთა მნიშვნელოვანი ნაწილის/ევროპის კავშირის დამოკიდებულებათა განსხვავება იუგოსლავური კონფლიქტის მიმართ. პირველნი პრობლემის სათავეს სერბულ აგრესიულობაში ხედავდნენ, მეორენი კი მოვლენებს სამოქალაქო ომად აფასებდნენ; პირველებს სერბეთის მეტოქეთა დახმარება სურდათ, მეორეებს კი - შუამავლობა.[231]

ამ ვითარებაში, საინტერესო იყო გერმანიის პოზიცია. მან პირველმა აღიარა ხორვატიის და სლოვენიის დამოუკიდებლობა. ეს მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ევროპული თანამეგობრობა მხარეებს შორის შუამავლობას ცდილობდა, ამ მიზნით ხორვატიას და სლოვენიას დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების დროებით შეჩერებას სთხოვდა და სამხედრო კონფლიქტიც მხოლოდ საწყის ეტაპზე იყო.

[230] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 152-153;
[231] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 152-153;

ვფიქრობ, ესეც აჩვენებდა ევროპის მოუმზადებლობას და შიდა ევროპულ უთანხმოებას გასატარებელი პოლიტიკის თაობაზე. შესაძლოა, იგივე იყო ნატო-ს თავდაპირველი პასიურობის მიზეზიც. რებეკა მურის აზრით, ფაქტი, რომ ბალკანური კრიზისის დარეგულირება აშშ-მ თავდაპირველად ევროპელებს მიანდო, კატასტროფის ერთერთი უმთავრესი მიზეზთაგანი გახდა.[232]

უფრო პოზიტიურნი არიან თავის შეფასებებში ნატო-ს ბალკანური მოქმედებების თაობაზე სტენლი სლოუნი და დიეგო რუიზ პალმერი. პირველი აქცენტს მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე აკეთებს და აღნიშნავს, რომ ბალკანეთში, კერძოდ ბოსნია-ჰერცეგოვინაში ევროპის ახალი უსაფრთხოებითი არქიტექტურა ეფექტურად წარმოჩინდა: ეუთო ამ მულტიეთნიკურ რესპუბლიკაში არჩევნების ჩატარებაზე ზრუნავდა, ნატო კი უსაფრთხოებას იცავდა.[233]

დიეგო რუიზ პალმერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ნატო თავიდანვე იყო ჩართული ბოსნია-ჰერცეგოვინაში განვითარებულ მოვლენებში, სადაც 1992 წლიდან გაერო-სთან ერთობლივ ოპერაციებს ატარებდა. იგი ეხმარებოდა დასავლეთ ევროპის კავშირსაც ადრიატიკის ზღვის კონტროლში.[234] პალმერი თვლის, რომ სრებრენიცას ტრაგედიის შემდეგ[235] სწორედ ნატო-ს სამხედრო ძალების მოქმედებამ აიძულა მხარეები ე,წ, დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებაზე წასულიყვნენ.[236] ბუნებრივია, ეს ყოველივე არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ 1991-1994 წლებში ნატო-ს მოქმედება

---

[232] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 21;

[233] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 96-97;

[234] Diego A. Ruiz Palmer, "A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019", NDC Research Paper N3 (June 2019): 75;

[235] ქალაქი ბოსნია-ჰერცეგოვინაში, რომელიც, კონფლიქტის განვითარების კვალობაზე, დაცულ ზონად იყო გამოცხადებული. მიუხედავად გაერო-ს ცისფერჩაფხუტიანი მშვიდობის დამცველების იქ ყოფნისა, 1995 წლის ივლისში ბოსნიის სერბთა ე.წ. რესპუბლიკა „სერბსკას" არმიამ, რომელსაც რადკო მლადიჩი მეთაურობდა, აგრეთვე უშუალოდ სერბეთის სპეცსამსახურების მოქმედმა თუ ყოფილმა მოსამსახურეებმა ჩაიდინეს ბოსნიელ მუსულმანთა მასობრივი მკვლელობა. ეს მოვლენები სრებრენიცას გენოციდის სახელითაა ცნობილი.

[236] Diego A. Ruiz Palmer, "A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019", NDC Research Paper N3 (June 2019): 77;

კონფლიქტის ზონაში არ იყო საკმარისი გადამწყვეტი ეფექტის მოსატანად. მაგრამ 1995 წლის ზაფხულიდან, ანუ სრებრენიცას ტრაგედიის შემდეგ, ვითარება შეიცვალა. ნატო და გაერო შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან მშვიდობისკენ იძულებაში სწორედ ნატო ითამაშებდა გადამწყვეტ როლს.

წინამდებარე ნაშრომის მიზნიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ შევუდგები უშუალოდ ბოსნიის კონფლიქტის ანალიზს, მასში როგორც ადგილობრივი შეიარაღებული ფორმირებების, ასევე ხორვატიისა და, განსაკუთრებით, სერბეთის მონაწილეობის კონკრეტული დეტალების აღწერას. სავსებით საკმარისია იმის თქმა, რომ 1992-1995 წლებში ბოსნიაში მიმდინარეობდა ეთნიკური ომი, რასაც ერთვოდა სამხედრო დაპირისპირება ხორვატიასა და სერბეთს შორის. მთავარი, ამ შემთხვევაში, ნატო-ს როლის ჩვენებაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ალიანსისათვის ძირითადი სამიზნე სწორედ სერბების ადგილობრივი თუ ბელგრადში მყოფი ხელმძღვანელობა იყო.

ნატო-ს მხრიდან საბრძოლო მოქმედებების, ანუ მშვიდობისკენ იძულების ოპერაციის განხორციელება ჯერ კიდევ 1993-1994 წლებში ხდებოდა, როდესაც იგი ეხმარებოდა გაერო-ს მისიას ბოსნია-ჰერცეგოვინას საჰაერო სივრცის კონტროლის განხორციელებაში. 1994 წელს, გაერო-ს თხოვნით, ალიანსს სერბთა პოზიციებიც ჰქონდა დაბომბილი. მაგრამ, ამ მხრივ, 1995 წელი მაინც თვისებრივი სიახლის მომტანი აღმოჩნდა. ამ წლის ზაფხულში დაიწყო სერბული პოზიციების ფართომასშტაბიანი დაბომბვა ნატო-ს ოპერაციის Deliberate Force-ს („გამიზნული ძალა“) ფარგლებში. უკვე შემდგომ ეტაპზე, დეიტონის შეთანხმების შემდეგ, ალიანსმა რეგიონში ე.წ. IFOR-ის („იმპლემენტაციის ძალები“) სახელწოდებით 60 000 მეომრის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო. მოგვიანებით ამ ძალებს SFOR („სტაბილიზაციის ძალები“) ეწოდა.[237] საბოლოოდ, 2004 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინა მაინც გადაიქცა არა მარტო ნატო-ს, გაერო-ს და ეუთო-ს, არამედ ნატო-სა და ევროპის კავშირის თანამშრომლობისა და ფუნქციების განაწილების ასპარეზად: ნატო/ევროპის

[237] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 155-160;

კავშირის უსაფრთხოების მისიებზე ე.წ. Belin Plus 2002 წლის ზემოთნახსენები შეთანხმების ფარგლებში, 2004 წლის მიწურულს ნატო-ს „სტაბილიზაციის ძალები“ ევროპის კავშირის სამხედრო მისიით ჩანაცვლდა. ამ დროისათვის სიტუაცია ბევრად დამშვიდებული იყო და მისიის კონტინგენტი სულ 7000 სამხედრო მოსამსახურისაგან შედგებოდა. ახალი დროშის ქვეშ მოქცეულ მისიაში მონაწილეთა 80% პროცენტი ნატო-ს მისიის პერსონალიდან იყო.[238] ამ ფაქტშიც ჩანდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ნატო-სა და ევროპის კავშირის რეალური განსხვავება/გამიჯვნის პირობითობა.

ბალკანეთში მიმდინარე მშვიდობის იძულებისა თუ კრიზისების მენეჯმენტის ოპერაციებიდან ალიანსისათვის ყველაზე წინააღმდეგობრივი და რეზონანსული კოსოვოს ოპერაცია გამოდგა. როგორც აღმოჩნდა, ბოსნია-ჰერცეგოვინას დამშვიდებით ბალკანური პრობლემატიკა არ ამოწურულა. თან, ეს დამშვიდებაც პირობითი იყო - ბოსნია-ჰერცეგოვინას მმართველობის ძალიან რთული, პოსტ-კონფლიქტური მოდელი წარმოადგენდა იქ არსებული ეთნიკური ტკივილებისა და ნაციონალისტური ინტერესების დაბალანსების მყიფე და ჯერ კიდევ არასტაბილურ მცდელობას. ამ ინტერესებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა სერბული ნაციონალიზმი. როგორც ბოსნიურ ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკა სერბსკაში, ისე თავად სერბეთში კვლავ რჩებოდა ერთგვარი მინი-იმპერიული თუ ირედენტისტული განწყობები. ამ განწყობებს მნიშვნელოვნად განაპირობებდა და ხელს უწყობდა ჯერ სერბეთის, შემდეგ კი (1997 წლიდან) სერბეთისა და მონტენეგროსაგან გარკვეული ხნით შენარჩუნებული იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი.

უდავოა, რომ მილოშევიჩის მიმართ ნატო-ს პოლიტიკურ ელიტას განსაკუთრებით ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა. ყოფილი კომუნისტი და მსოფლმხედველობრივად ეთნონაციონალისტი სერბეთ/იუგოსლავიის პრეზიდენტი სრულ თანადგომას იღებდა რუსეთში ნელნელა მოძლიერებული რევიზიონისტური

[238] Nick Hawton, “EU Troops Prepare for Bosnia Swap”, BBC News (23.10.2004), http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/3944191.stm (15.04.2021);

ძალებისაგან, რომელთა შესახებაც შემდეგ თავში იქნება საუბარი. მაგრამ 1999 წლის ანტისერბული ოპერაციის მთავარი მიზეზი იყო კრიზისი, რომელიც კოსოვოში - ალბანელებით დასახლებულ სერბულ რეგიონში - განვითარდა. საქმე ეხებოდა კიდევ ერთ ეთნონაციონალისტურ კონფლიქტს, რომელშიც ორივე მხრიდან მასობრივად მიმართავდნენ ძალადობას.

საწყის ეტაპზე, დასავლეთს არ ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პრეფერენცია. საქმე იმაშია, რომ კოსოვოს გამათავისუფლებელი არმია (KLA), რომელიც ასპარეზზე 1995-1996 წლებში გამოჩნდა და კოსოვოში ერთერთ მთავარ ანტისერბულ ძალას წარმოადგენდა, დასავლელი დიპლომატებისათვის საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ტერორისტულ ორგანიზაციად აღიქმებოდა. ამავე დროს, კოსოვოს დამოუკიდებლობის იდეა აშინებდა მთელ რიგ ევროპულ სახელმწიფოებს, რომლებიც პრობლემას საკუთარი სეპარატისტული რეგიონების სამომავლო პერსპექტივის ჭრილიდან უყურებდნენ. ამ ფაქტორებს იყენებდა სერბეთის მთავრობა და აწყობდა შეიარაღებულ რეიდებს თითქოსდა კოსოვოს გამათავისუფლებელი არმიის ექსტრემისტი მებრძოლების წინააღმდეგ. მაგრამ ეს რეიდები იმდაგვარად იყო ორგანიზებული, რომ მისი მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობა, ქალები და ბავშვები ხდებოდნენ. 1998-1999 წლებში, მილოშევიჩის პასუხისმგებლობით კოსოვოში ჩატარებულმა სამხედრო-საპოლიციო მოქმედებებმა ასეულ ათასობით დევნილი ალბანელის ნაკადი გააჩინა, რამაც კოსოველ ალბანელებში სერბეთის მთავრობის სიძულვილი და კოსოვოს გამათავისუფლებელი არმიის პოპულარობა მხოლოდ გაზარდა. როდესაც ადამიანის უფლებების მასიური დარღვევისა და დევნილთა რაოდენობის გაზრდის, ისევე როგორც ვითარების კიდევ უფრო გაუარესების საფრთხეები რეალური გახდა, სიტუაციის კრიზისულობამ რეგიონული მასშტაბი შეიძინა. ამ ფაქტმა დასავლეთს, კერძოდ კი ნატო-ს, საბოლოო არჩევანი გააკეთებინა კოსოვოს გამათავისუფლებელ არმიასა და მილოშევიჩს შორის.[239]

[239] Nened Sebak, “The KLA – terrorists or Freedom Fighters?” BBC News (28.06.1998), http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/121818.stm (15.09.2020);

განსხვავებით ბოსნიაში მოქმედებებისაგან, ნატო-ს სერბულ/კოსოვური ოპერაცია არ იყო სანქცირებული გაერო-ს მიერ. ოპერაცია „სამოკავშირეო ძალა“ (Operation Allied Force), რომელიც 1999 წლის აპრილში დაიწყო, სერბეთის სტრატეგიული ობიექტების 78 დღიან დაბომბვაში გამოიხატა. ეს იყო რეაქცია მილოშევიჩის ქცევაზე ნატო-ს მიერ რამბუიეში ორგანიზებულ მოლაპარაკებებზე. ნატო ითხოვდა, რომ იუგოსლავიის ფარგლებში დარჩენილ კოსოვოში აღდგენილიყო ფართო ავტონომია, რომლის გარანტორად ალიანსის მშვიდობისმყოფელები იქნებოდნენ. ბელგრადი თანხმდებოდა მოთხოვნების პირველ ნაწილს, მაგრამ უარყოფდა მეორეს.

სერბეთის დედაქალაქსა და მთელს ქვეყანაში ნატო-ს მასირებული დაბომბვების შედეგად, ივნისში მილოშევიჩი დათანხმდა კოსოვოში ნატო-ს ძალების შესვლაზე. ამ ნაბიჯის გადადგმაში მას ფინეთის მაშინდელი პრეზიდენტის მარტი ახტისაარის და რუსეთის ფედერაციის პრემიერ მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის შუამავლობაც დაეხმარა.[240] ნატო-ს სარდლობის ქვეშ მყოფი და უკვე გაერო-ს მანდატით მოქმედი „კოსოვოს ძალები“ (KFOR), 30 000 კაცის შემადგენლობით, მზად იყო სახმელეთო სამხედრო მოქმედებებისათვისაც, მაგრამ ეს საჭირო აღარ აღმოჩნდა და ამ ახალ ოპერაციას მხოლოდ მშვიდობის დაცვის ფუნქციები დაეკისრა. შექმნილ ვითარებას მალე სერბული ხავერდოვანი რევოლუცია და მილოშევიჩის მმართველობის დასასრული მოჰყვა.

რა თქმა უნდა, ამ კონფლიქტში ალიანსის ქცევა არ ყოფილა იდეალური. ამერიკული რენდ კორპორაციის სათანადო ანგარიშში აღინიშნება, რომ: “ … ალიანსის მგეგმავები მძიმედ შეცდნენ, როდესაც კამპანიის საწყის ეტაპზევე ვერ გააცნობიერეს კოსოვოს ფუნდამენტური ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა სერბებისათვის“.[241] შესაბამისად, ოპერაცია იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე ალიანსი ელოდა. ვითარებას ართულებდა ნატო-ს მოკავშირეებს შორის არსებული აზრთა

[240] László Valki, “Hungary’s Road to NATO”, The New Hungarian Quarterly 40 (154) (June 1999), https://www.researchgate.net/publication/298817383_Hungary's_road_to_NATO (10.03.2020): 3-19;

[241] Benjamin S. Lambeth, “Operation Allied Force, Lossons for the Future”, Research Brief, RAND Corporation (2001), https://www.rand.org/pubs/research_briefs/RB75.html (15.09.2021);

სხვადასხვაობა ოპერაციაში გამოსაყენებელი მისაღები ძალის, ისევე როგორც თავად ამ ოპერაციის საბოლოო პოლიტიკური მიზნის შესახებ. უაღრესად პრობლემური იყო ოპერაციის გაერო-ს მანდატის არარსებობაც, რაც რუსული წინააღმდეგობიდან მომდინარეობდა.[242] რებეკა მურის შეფასებით, კოსოვოს შემთხვევაში, ნატო-ს რადიკალიზმი ბოსნიაში დაგვიანებული მოქმედებით გამოწვეული სირცხვილისგანაც მოდიოდა.[243] მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ სირთულისა, კოსოვოს ოპერაციამ საერთოევროპული უსაფრთხოების სისტემის შემდგომი განვითარება მოიტანა.

კოსოვოს ოპერაცია, გარკვეულწილად, იყო შედეგი იმ სიახლეებისა, რომლებიც განაპირობა უსაფრთხოების პოლიტიკის არსებით პრინციპთა რევიზიამ: „ცივი ომის“ დასრულებამ მინიმუმამდე შეამცირა მოკავშირეთა წინააღმდეგ მტრული სახელმწიფოს ტერიტორიული აგრესიის საფრთხე და წინა პლანზე გამოვიდა ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების, ტერიტორიული დავების, ავტოკრატიული რეჟიმების და ადამიანის უფლებების დარღვევების, სახელმწიფოთა რღვევის შედეგად წარმოშობილი პრობლემები.[244] რებეკა მურის თანახმად, ამ რევიზიისა და ნატო-ს თანმდევი მორიგი ტრანსფორმაციის პროცესში დემოკრატიული ღირებულებების დაცვისა და გავრცელების ამოცანის მნიშვნელობა ალიანსისთვის არათუ არ შემცირებულა, არამედ პირიქით, გაიზარდა კიდეც - როგორც ფუნქციონალურად, ასევე გეოგრაფიულადაც.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიისა და ინდივიდუალური თავისუფლებების დაცვა ყოველთვის იყო ნატო-ს ამოცანა, რებეკა მური მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების ახალმა გარემომ ეს ამოცანა ალიანსის მთავარ მისიად აქცია: „ის ფაქტი, რომ რეგიონული კონფლიქტების დიდი უმრავლესობა პირდაპირ წარმოიშვა ინდივიდებისა და უმცირესობების უფლებათა უხეში დარღვევების გამო, პირდაპირ

[242] რუსეთის ფედერაციისათვის მილოშევიჩის იუგოსლავია ევროპაში ერთადერთ შემორჩენილ მოკავშირედ აღიქმებოდა;
[243] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 49;
[244] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 42;

კავშირს ამყარებს ინდივიდის უფლებებსა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას შორის, რამაც ბიძგი მისცა „ჰუმანიტარული უსაფრთხოების“ პრინციპულად ახალი კონცეფციის აღმავლობას“.[245] სულ უფრო მეტად მკვიდრდებოდა აზრი, რომ გლობალიზაციის ეპოქაში, უსაფრთხოება ვეღარ იქნება ორიენტირებული მხოლოდ სახელმწიფო ტერიტორიების დაცვაზე. ახალ გარემოში უსაფრთხოება უნდა იქნას გაგებული, როგორც სახელმწიფოსა და ინდივიდის დაცვის ერთობლივი კონცეფცია, მათ შორის - საკუთარი მთავრობისგან ინდივიდის დაცვის კუთხითაც. რებეკა მურის თანახმად, „ყველა სახელმწიფო არ იცავს საკუთარი მოქალაქეების უფლებებს და ასეთი ქვეყნები სულ უფრო მეტად განიხილება, როგორც არასტაბილურობისა და საფრთხის წყარო. შესაბამისად, მათ მიმართ სულ უფრო ნაკლებად მოქმედებს შიდა სუვერენიტეტის ტრადიციული პრეზუმფცია“.[246]

უსაფრთხოების კონცეფციის ასეთი ცვლილების გამო, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კონცეფციები, რომლებიც ადრე განიხილებოდა, როგორც მხოლოდ „დასავლური“ იდეები, 1990-იანი წლების ბოლოდან თანდათან დამკვიდრდა, როგორც ქცევის ნორმები პასუხისმგებლობის მქონე ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. როგორც თომას რისსე-კაპენი აღნიშნავს, „სახელმწიფოებს, რომელთაც უნდათ, რომ გახდნენ საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული და პატივსაცემი წევრები, სულ უფრო მეტად უწევთ იმის გააზრება, რომ მათ უნდა დაიცვან ადამიანის უფლებათა და სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდთან ქცევის მინიმალური სტანდარტები... დიქტატორებს აღარ შეუძლიათ ამოეფარონ „შიდა საქმეებში ჩაურევლობის“ პრინციპს, როდესაც საქმე გვაქვს ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევასთან. ეს არის საერთაშორისო უსაფრთხოების ფუნდამენტური ცვლილება“.[247] რებეკა მური ასევე იშველიებს კანადის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ლოიდ აქსუორსის ციტატას, რომ: „ჰუმანიტარული უსაფრთხოების კონცეფცია ქმნის ახალ საზომს

[245] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 42;

[246] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 43;

[247] Thomas Risse-Kappen, *The Third Force: The Rise of Transnational Civil Society* (Tokyo: Japan Center for International Exchange; Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace, 2000): 178;

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის წარმატების ან წარუმატებლობის შეფასებისთვის - რამდენად იცავს ეს პოლიტიკა სამოქალაქო მოსახლეობას სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული აგრესიის და სამოქალაქო, განსაკუთრებით კი ეთნიკური კონფლიქტისგან? ...კოსოვო არის ჰუმანიტარული უსაფრთხოების კონცეფციის მოქმედების კონკრეტული მაგალითი".[248]

ვინაიდან ინდივიდის უფლებები ყველაზე უკეთ გარანტირებული და დაცულია ლიბერალურ დემოკრატიებში, უსაფრთხოების დაკავშირება ადამიანის უფლებებთან გარდაუვლად ნიშნავს, რომ ლიბერალური დემოკრატიების გავრცელება არის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებისა და მშვიდობის დამყარების პირდაპირი პირობა. ეს გახლდათ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ძალზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა ალიანსის ღირებულებითი კომპონენტი.

ამავე ცვლილების რეფლექსია იყო გაერო-ს გენერალური მდივნის, კოფი ანანის თაოსნობით შექმნილი სპეციალური კომისიაც, რომელმაც 2001 წელს შეიმუშავა „დაცვის პასუხისმგებლობის" კონცეფცია („Responsibility to Protect").[249] მოგვიანებით, ეს დოკუმენტი გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციად იქცა და ამრიგად, გაერო-ს წევრთა ხმების უმრავლესობის დახმარებით, მიღებულ იქნა ის, რაც თავის დროზე გაერო-ს უშიშროების საბჭოშივე დაბლოკა რუსულმა ვეტომ. R2P-დ წოდებული ეს ხედვა ევროატლანტიკური უსაფრთხოების ფილოსოფიიდან მომდინარეობს, რადგან აცხადებს, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტი აღარაა დაუსჯელობის გარანტია, თუ მისი ხელისუფლება მოსახლეობის უფლებათა მასობრივ შელახვას ეწევა და გენოციდთან მიახლოვებულ ქმედებებს სჩადის. უკანა რიცხვით, მაგრამ მაინც, R2P გახდა მილოშევიჩის წინააღმდეგ ნატო-ს მოქმედებათა ამხსნელი.

[248] Lloyd Axworthy, "NATO's New Security Vocation", NATO Review, Vol. 47, No. 4 (Winter 1999), https://www.nato.int/docu/rev-pdf/eng/9904-en.pdf (10.09.2020): 9;
[249] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 47;

საინტერესოა, რომ სწორედ ამ რეზოლუციის გამოყენებით შეეცადა 2008 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი რუსეთის საქართველოზე თავდასხმის გამართლებას, რის გამოც რეზოლუციის ერთ-ერთი ავტორის, გარეთ ევანსის მიერ საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული.[250] მთლიანობაში, კოსოვოს საკითხმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთის პოლიტიკის ფორმულირებაში, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებაშიც. გამომდინარე აქედან, მოკლედ შევეხები კოსოვოს ოპერაციის ამ ასპექტსაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი სცილდება საკვლევი თემის ფარგლებს.

პრეზიდენტმა პუტინმა და მთლიანად რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ ჯერ ნატო-ს სამხედრო ოპერაცია და შემდეგ, განსაკუთრებით, კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობა დასავლეთის მხრიდან აღიქვა არა მხოლოდ როგორც რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯი, არამედ როგორც პრეზიდენტ პუტინის დემონსტრატიულად დამცირების მცდელობაც. ამდენად, პრეზიდენტ პუტინისთვის პირადი საკითხი გახდა დასავლეთისთვის ასეთივე დემონსტრატიული პასუხის გაცემა.[251] ვფიქრობ, აღნიშნულმა ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ინტერვენციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში - პუტინის თვალში, საქართველო იყო რეგიონში ამერიკელების ფავორიტი და საქართველოში ინტერვენცია მისთვის იყო სიმეტრიული პასუხი ამერიკელების მხრიდან ბალკანეთში რუსეთის ფავორიტი სერბეთის დაბომბვაზე.[252] ამავე დროს, კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის

---

[250] Gareth Evans, "Russia, Georgia and the Responsibility to Protect", Amsterdam Law Forum, Vol. 1, No. 2, (2009): 25; ციტირებულია სტატიიდან: David Darchiashvili, "Russo-Georgian War of August 2008: Clash of Ideologies and National Projects in the Era of Hybrid Warfare", Sojateadlane (Estonian Journal of Military Studies), Vol. 7 (July 2018), www.ksk.edu.ee/teadus-ja-arendustegevus/publikatsioonid (15.11.2020): 22;

[251] „Путин: у России есть домашние заготовки в ответ на отделение Косово", „Новый День" (14.02.2008), https://newdaynews.ru/policy/164382.html (02.03.2021);

[252] ბევრ დასავლელ პოლიტიკოსსა და ექსპერტს ჩემთან პირად საუბრებში დაფიქსირებული აქვს მოსაზრება, რომ სწორედ კოსოვოს აღიარება და ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის არმინიჭება გახდა ორი გადამწყვეტი ფაქტორი პრეზიდენტ პუტინისთვის საქართველოში შემოჭრის გადაწყვეტილების მიღებაში. ერთის მხრივ, პრეზიდენტ პუტინს ამოძრავებდა კოსოვოსა და სერბეთის გამო დასავლეთისთვის სამაგიეროს გადახდის სურვილი; მეორეს მხრივ, ბუქარესტის სამიტმა მას დაანახა, რომ, თუმცაღა

რეგიონში რუსეთს საშუალებას აძლევდა, ეწარმოებინა სრულმასშტაბიანი დეზინფორმაციული კამპანია კოსოვოსთან ანალოგიის შესახებ. არ დავიწყებია პრეზიდენტ პუტინს კოსოვოს ხსენება არც ყირიმის ანექსიის და იქ ე.წ. რეფერენდუმის გამართვის შემდეგ.[253]

დასავლეთი თავიდანვე აცნობიერებდა საფრთხეს, რომ რუსეთი ეცდებოდა კოსოვოს გამოყენებას მისთვის სასარგებლო პრეცედენტად როგორც უშუალოდ სამეზობლოში, ისე უფრო ფართო რეგიონში არსებულ კონფლიქტებთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ, კოსოვოს მოლაპარაკებებში ჩართული ფინეთისა და გერმანიის ყოფილი პრეზიდენტების, მარტი აჰტისაარისა და რიჰარდ ფონ ვაიცზეკერის ინიციატივით, 2006 წლის შემოდგომაზე „გერმანის მარშალის ფონდში“ (German Marshall Fund) შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის ამოცანა იყო, დახურულ გარემოში, კოსოვოს დამოუკიდებლობის პროცესის პოლიტიკური, დიპლომატიური და სამართლებრივი ასპექტების დამუშავება. საქართველოს პოზიციებისა და არგუმენტების გასაზიარებლად მიწვეული ვიყავი და მონაწილეობას ვიღებდი ჯგუფის რამდენიმე შეკრებაში, სადაც განიხილებოდა სწორედ ის თემა, თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო კოსოვო პრეცენდენტი სხვა კონფლიქტებისთვის და რა არგუმენტები უნდა დაეპირისპირებინა დასავლეთს რუსეთის პოზიციისთვის. ჩემს მიერ საქართველოს შესახებ წარდგენილი ბევრი პოლიტიკური, სამართლებრივი თუ ისტორიული არგუმენტიდან, დასავლელი პარტნიორებისათვის ყველაზე მისაღები, გასაგები და ძლიერი საკითხი აღმოჩნდა სწორედ ადამიანის უფლებების თემა.

უფრო კონკრეტულად, რუსეთის ძირითადი არგუმენტი გახლდათ, რომ თუ, დასავლეთის ლოგიკით, „მცირე“ კოსოვოს ჰქონდა თვითგამორკვევის უფლება

საქართველო შეუქცევადად დაადგა ალიანსში გაწევრიანების გზას, უახლოეს პერსპექტივაში ის დაუცველი იყო სამოქმედო გეგმის არქონის გამო. სწორედ ამან შექმნა რამდენიმეთვიანი შესაძლებლობის ფანჯარა რუსეთისთვის, როდესაც მას შეეძლო განეხორციელებინა აგრესია, ამით ეპასუხა კოსოვოს აღიარებისთვის, თან დაესაჯა საქართველო და ხელი შეეშალა ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის გაგრძელებისთვის;

[253] Bojana Barlovac, “Putin Says Kosovo Precedent Justifies Crimea Secession“, Balkan Insight (18.03.2014), https://balkaninsight.com/2014/03/18/crimea-secession-just-like-kosovo-putin/ (22.06.2021);

„დიდი“ სერბეთისგან, რომელიც მას განადგურებით ემუქრებოდა, ზუსტად ანალოგიურად, „მცირე“ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსაც გააჩნდათ თვითგამორკვევის უფლება „დიდი“ საქართველოსგან, რომელიც მათ ასევე განადგურებით ემუქრება. ამის საპირისპიროდ, ადამიანის უფლებების დაცვის ლოგიკა ამტკიცებს, რომ ჰუმანიტარული ინტერვენციის საფუძველი შეიძლება იყოს არა მოსახლეობის ან ტერიტორიის სიდიდე ან სიმცირე, არამედ მხოლოდ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის აღკვეთა. ამ კუთხით, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში, საფრთხის წინაშე იდგა სწორედ ეთნიკურად ქართული მოსახლეობა, რომლის წინააღმდეგ ჩატარებული ეთნიკური წმენდები დაადასტურა ეუთო-ს რამდენიმე სამიტმა. ამიტომ, ნებისმიერი ჰუმანიტარული ჩარევა ამ ორ რეგიონში შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებების დაცვას და არა მათი ეთნიკური წმენდისა და უფლებების შელახვის დაკანონებას. ანალოგიურად, თვითგამორკვევის უფლება შეიძლება მიეცეს აგრესიის მსხვერპლს (კოსოვო), მაგრამ არა ეთნიკური წმენდის ორგანიზატორებს (აფხაზეთის და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმები), ხოლო ეთნიკური წმენდის მსხვერპლი მოსახლეობის უფლებების აღდგენის გარეშე ვერანაირი დამოუკიდებლობის დეკლარირება, რეფერენდუმი თუ არჩევნები კანონიერი ვერ იქნება.

როგორც კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების და განსაკუთრებით, 2008 წლის რუსული აგრესიის შემდეგ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურმა და დიპლომატიურმა ბრძოლამ დაადასტურა, ჯგუფის მიერ მომზადებული არგუმენტები ეფექტური აღმოჩნდა და ამ არგუმენტებიდან გამომდინარე არაღიარების პოლიტიკამ სრული მხარდაჭერა მოიპოვა მთელს მსოფლიოში, გარდა რამდენიმე მცირე კუნძულოვანი სახელმწიფოსა (რომელთაც არავითარი პოლიტიკური ინტერესი არ გააჩნიათ და მათთვის ეს თემა მხოლოდ ეკონომიკური ან პირადი სარგებლის მიღების შესაძლებლობაა - დ.ბ.) და რუსეთის სამხედრო დახმარებაზე დამოკიდებული დიქტატორული რეჟიმებისა. ამდენად, ჰუმანიტარული უსაფრთხოების კონცეფციამ ამ გამოწვევასაც გაუძლო.

ვფიქრობ, ნაშრომის მიზნებისთვის, გარდა კრიზისების მენეჯმენტის ზემოთ განხილული ოპერაციებისა, ასევე უნდა ვახსენოთ რამდენიმე სხვა შემთხვევაც. კერძოდ, 1990-იან წლებში ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა განახორციელეს თურქეთის დაცვის მისია ერაყის მიერ ოკუპირებული კუვეიტის განთავისუფლების დროს (თუმცა, პრაქტიკულ დონეზე, ამ ამოცანას უშუალოდ აშშ და მისი ცალკეული ნატო-ელი მოკავშირეები ახორციელებდნენ - დ.ბ.); საჰაერო დაზვერვის უზრუნველყოფა ხმელთაშუა ზღვაზე, ლიბიის წინააღმდეგ ნატო-ს სანქციების ამოქმედებისას; 2001-2003 წლებში ნატო ახორციელებდა ალბანელთა ფორმირებების განიარაღებას ჩრდილოეთ მაკედონიაში, სადაც ადგილობრივი თუ კოსოველი ალბანელი რადიკალები შეიარაღებული სეპარატისტული მოძრაობის განვრცობას ცდილობდნენ; ორ ათწლეულზე მეტის განმავლობაში ალიანსი ატარებდა და ატარებს მეკობრეების საწინააღმდეგო, ისევე როგორც ჰუმანიტარულ ოპერაციებს. მნიშვნელოვანი იყო ნატო-ს მონაწილეობა ავღანეთში განხორციელებულ მისიებში, რასაც შემდგომ თავში დავუბრუნდები. აქ კი მინდა დამატებით აღვნიშნო 2011 წლის მისია ლიბიაში, სადაც, კვლავინდებურად გაერო-ს მანდატით, ალიანსი ეხმარებოდა მუამარ კადაფის ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებულებს როგორც ქვეყნის საზღვაო და საჰაერო ბლოკადით, ისე იმ ლიბიურ სამხედრო ნაწილთა დაბომბვით, რომლებიც სამოქალაქო მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდა.[254]

ამ ოპერაციებში ნატო-ს, ან მის ცალკე აღებულ წევრებს ჰქონდათ შეცდომებიც და წარუმატებლობებიც: 1992-1993 წლებში ალიანსს რომ მეტი სისწრაფე და მობილიზაცია გამოეჩინა, შესაძლოა, საქმე სრებრენიცას გენოციდამდე არ მისულიყო; 1997 წელს ალბანეთში მთავრობის ჩამოშლაზე რომ კოლექტიურად და სწრაფად ერეაგირა, არ არის გამორიცხული, მოვლენები კოსოვოში სხვა სცენარით განვითარებულიყო; 1993-1994 წლებში არსებითად მარცხით დამთავრდა გაერო-ს მანდატით აშშ-ს შეიარაღებული ძალების მოქმედება სომალიში; ნატო-ს წევრებმა, არც კოლექტიურად და არც ცალცალკე, ვერ თუ არ აღკვეთეს რუანდის გენოციდი; ალიანსი არც პოსტ-საბჭოთა სივრცეზე განვითარებული დრამატული მოვლენების

[254] Operations and Missions: Past and Present (10.09.2021), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52060.htm (11.10.2021);

რეგულირებით დაკავებულა და არანაირი წვლილი არ შეუტანია იქ ძალიან მწვავედ მიმდინარე კონფლიქტებისა და კრიზისების მოგვარებაში. და მაინც, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, თუ რამ უწყობდა ხელს და იძლეოდა საშუალებას, რომ ევროპა ნელნელა გამთლიანებულიყო და მშვიდობის ზონად ქცეულიყო, ეს სწორედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკა და მისეული კრიზისების მენეჯმენტი გახლდათ.

* * *

მთლიანობაში, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეული იყო ევროატლანტიკური ლიბერალურ-დემოკრატიული წესრიგის განვრცობის ხანა, რომელიც, მიუხედავად 2001 წლის 9 სექტემბერს მატერიალიზებული ახალი გამოწვევისა, კიდევ რამოდენიმე წელი გაგრძელდა. როგორც მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, 1990-იანი წლების ევროპული და ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის ძირითადი მახასიათებლები - დემოკრატიული მშვიდობის განვრცობისა და კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკა, ნატო-ს სამხედრო აგებულების ტრანსფორმირება თუ ნატო-ევროკავშირის ტანდემის ფორმირება - 21-ე საუკუნესაც გასდევდა. ამ საუკუნემ დაუმატა ორი ახალი გამოწვევა - ომი გლობალურ ტერორთან და ჰიბრიდული/არარეგულარული ომის საფრთხეთა მატერიალიზება ტრანსატლანტიკურ სივრცეში. ეს ახალი გამოწვევები შემდეგ თავში იქნება განხილული, მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მანამდე განვითარებული მოვლენები ძირითადად სწორედ ამ თავში აღწერილი სამი თეორიული სკოლის - კონსტრუქტივიზმის, ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის და ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის ამხსნელ ძალას ადასტურებს.

ნატო-ს მკვლევარი, რებეკა მური, ამახვილებდა ყურადღებას, რომ ჩეხი პოლიტიკოსი, დრამატურგი და დისიდენტი, ჩეხოსლოვაკეთის პირველი და უკანასკნელი პოსტ-კომუნისტი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი ნატო-ში დემოკრატიის ინსტრუმენტს და ევრო-ატლანტიკური ცივილიზაციის გარანტიას ხედავდა; ამერიკელი გენერალი უილიამ ო'დომი 1996 წელს კონგრესმენების წინაშე აცხადებდა, რომ ნატო იყო ახალი,

ომის შემდგომი დემოკრატიული ევროპის დამფუძნებლების, რობერტ შუმანისა და ჟან მონეს იდეების მატერიალიზაცია, რადგან მათ სუპრანაციონალური ხელისუფლება და საამისოდ, აშშ-ს ევროპაში ყოფნა სურდათ.[255] სწორედ ასეთ იდეებს ანიჭებს კონსტრუქტივიზმი მატერიალურ ფაქტორებზე არანაკლებ ძალას. როგორც დაფუძნებისას, ისე 1990-იან წლებში, ალიანსი წარმოადგენდა ახალ მსოფლხედველობას და უსაფრთხოების კულტურას, რომელიც აწონასწორებდა მის წევრთა ეროვნულ ეგოიზმს. იგივეს, ოღონდ უფრო რაციონალისტური გადმოსახედიდან, ამტკიცებს ენდრიუ მორავჩიკის ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმი თუ რობერტ კეოჰეინის ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმი: ნატო-ს წევრობა, ან თუნდაც ინტეგრაციის თანდათან განვითარებული ფორმატები - პროცედურებით, კომპრომისების ძიების ხელოვნებით, ინფორმაციის გაცვლით - ძალას მატებდა სუსტს, ამცირებდა სუვერენულ სახელმწიფოთა ტრანსაქციის ფასს. ყოველივე აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამხედრო ძალასთან ერთად, ალიანსის მოქმედებებში, წარმატებასა და მის მიმზიდველობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის წევრთა საერთო ღირებულებითი კომპონენტიც.

[255] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 12-13;

მეოთხე თავი: „უკან, მომავლისკენ?“ - ნატო გლობალური ტერორისა და რუსული ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ

ეს ფრაზა - „უკან, მომავლისკენ“ - ცნობილი რეალისტის, ე.წ. თავდასხმითი რეალიზმის წარმომადგენლის, ჯონ მერშეიმერის სტატიის პერიფრაზირებაა. თუმცა, მას ეს სიტყვები სხვა კონტექსტში და კითხვის ნიშნის გარეშე აქვს გამოყენებული. მერშეიმერიც ნატო-ზე საუბრობს, ოღონდ ალიანსის მზარდ არარელევანტურობაზე - საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლის 1970-იანი წლების სახეცვლილების, სტრუქტურული ნეორეალიზმის გადმოსახედიდან, „ცივი ომი“ ფასდებოდა არა იმდენად როგორც იდეების, პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური მოდელების დაპირისპირება, არამედ როგორც სამყაროს ორპოლუსიანი ბალანსი. კენეტ ვოლცის თუ ჯონ მერშეიმერის თვალთახედვით, ორპოლუსიანობა არ წარმოადგენდა ბალანსის ყველაზე ცუდ ფორმას და უფრო სტაბილური იყო, ვიდრე ტრადიციული მულტიპოლარულობა მე-19 საუკუნესა თუ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. „ცივი ომის“ დასრულების ფონზე, ჯონ მერშეიმერი ამბობდა, რომ მოვა დრო და საზოგადოებამ შესაძლოა მოიგონოს ბოლო 45 წელი არა როგორც „ცივი ომი“, არამედ როგორც ხანგრძლივი მშვიდობა.[256]

რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ რეალიზმის გარდაცვლილ თუ ამჟამად მოღვაწე კორიფეებს საბჭოთა კავშირისადმი რაიმე სიმპათია ჰქონდათ - პირიქით. მაგრამ ამ სკოლის მათემატიზაციამდე დაყვანილი რაციონალური კალკულაციებით, რომელშიც ნორმების, იდეების ადგილი არ რჩებოდა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან სსრკ-ს გასვლა, დასავლეთ ევროპიდან ამერიკის გასვლის, ნატო-ს რელევანტურობის დაკარგვისა და კონფლიქტოგენური მულტიპოლარული ანარქიის საწინდარი იყო. თავის სტატიაში მერშეიმერი წინასწარმეტყველებდა, რომ ზესახელმწიფოთა გასვლა ევროპაში დაძაბულობას შექმნიდა და მას მულტიპოლარულად აქცევდა. ამის მიზეზად მერშეიმერს მიაჩნდა აპრიორული დაშვება, რომ, მიუხედავად ეპოქებისა, იდეოლოგიებისა, სახელმწიფოს შინაგანი მოწყობისა, „ ... ანარქიის პირობებში გადასარჩენად, სახელმწიფოები ცდილობენ სხვა

[256] John Mearsheimer, “Why We Will Soon Miss The Cold War”, The Atlantic Monthly, Vol. 266, No. 2 (August 1990): 35-50;

სახელმწიფოებთან შედარებით ფარდობითი ძალის მაქსიმიზაციას ... ფარდობითი, და არა აბსოლუტური ძალაა, სახელმწიფოთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი“.[257]

„ცივი ომის“ დასრულების ფონზე, ნატო-ს მომავლისადმი სკეფსისი, ან ნატო-ს ფუნქციის გაქრობაზე მსჯელობა რეალისტური ინტელექტუალური ბანაკის ერთერთ მარკერად იქცა. ნეორეალიზმის იდეოლოგი კენეტ ვოლცი, 1993 წელს აცხადებდა, რომ ნატო-ს დღეები არა, მაგრამ წლები დათვლილია.[258] სამი ათეული წლის შემდეგაც კი, იგივე შეხედულებებისაა ჯონ მერშეიმერი - ანალიტიკური ინსტიტუტის, ატლანტიკური საბჭოს მიერ 2020 წლის ივლისში ორგანიზებული დებატების დროს იგი აცხადებდა, რომ აშშ აღარ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ნატო-ს მხარდაჭერით, რადგან ევროპას არანაირი რეგიონალური ჰეგემონი არ ემუქრებოდა.[259]

ხსენებული დებატების ანგარიშში საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის ცნობილი რეპლიკაც მოხვდა - 2019 წლის ნოემბერში მაკრონმა განუცხადა ჟურნალ „ეკონომისტს“, რომ ნატოს ფაქტობრივად „ტვინი გარდაეცვალა“.[260] ეს ნათქვამი იმდროინდელია, როდესაც აშშ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საკმაოდ უკმეხად ესაუბრებოდა თავის ევროპელ მოკავშირეებს ევროპის უსაფრთხოებისათვის მეტი ფინანსების გაღების აუცილებლობაზე. რა თქმა უნდა, პოლიტიკოსთა მსგავსი განცხადებები ნეორეალისტ მკვლევართა წისქვილზე ასხამდა წყალს, მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ: ა) ნატო-ს ლიდერთა მწვავე კამათი „ცივი ომის“ დროსაც ხდებოდა; ბ) ნატო-ს გენერალურ მდივანთან, იენს სტოლტენბერგთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა მაკრონმა განაცხადა, რომ ეს ფრაზა ალიანსის წევრთა

---

[257] John Mearsheimer, “Back to the Future: Instability in Europe after the Cold War”, International Security, Vol. 15, No. 1 (Summer, 1990): 6-7, 12;

[258] Mark Webber, “Thinking NATO through Theoretically”, *paper presented to the ECPR Joint Sessions (Lisbon, 14-19 April 2009), Workshop 24: ‘Theorizing NATO’*, https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/e004327f-8597-4408-b51a-2e8fabdbeb21.pdf/ (20.03.2021): 14;

[259] “Will NATO Still Be Relevant in the Future? Virtual Debate”, Atlantic Council (24 July 2020), https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/will-nato-still-be-relevant-in-the-future (20.05.2021);

[260] “Will NATO Still Be Relevant in the Future? Virtual Debate”, Atlantic Council (24 July 2020), https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/will-nato-still-be-relevant-in-the-future (20.05.2021);

გაღვიძებისაკენ მოწოდება იყო. საბოლოო ჯამში, მას ნატო-ს ევროპელ წევრთა მკაცრი რეაქციაც მოჰყვა, რომელშიც აღინიშნებოდა, რომ ევროპას, დიახაც, ესაჭიროებოდა ტრანსატლანტიკური სამხედრო ალიანსი. ეს თემა პრეზიდენტმა მაკრონმა იმით გააგრძელა, რომ კითხვა დასვა - ქმნის თუ არა რუსეთი საფრთხეს ნატო-სთვის, არის თუ არა რუსეთი მტერი? მაგრამ ამაზე კამათი ხომ საფრანგეთის სპეციფიკა იყო ჯერ კიდევ პრეზიდენტ დე გოლიდან მოყოლებული.[261]

ატლანტიკური საბჭოს ზემოთნახსენებ დებატებში აშშ-ს ყოფილი ელჩი რუსეთში და ნატო-ს გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე ვერშბოუ ამ საკითხზე პასუხობდა, რომ: „ ... ნატო არსებითია რუსული აგრესიის შესაკავებლად, რომელიც რეალური საფრთხეა. იგი ასევე წარმოადგენს მოქმედ კოალიციას მსგავსი შეხედულებების მქონე დემოკრატიებისა, რომლებზე დაყრდნობა აშშ-ს კვლავ შეუძლია, რათა დაცული იქნას გაზიარებული ინტერესი და გავრცელდეს სტაბილურობა ნატო-ს საზღვრებს მიღმა“.[262] ვფიქრობ, ვერშბოუს შეფასება სრულიად ადექვატურია, კარგად აჯამებს დღეს არსებული ვითარებასა და ნატო-ს რელევანტურობას. მსოფლიო მართლაც დადგა ტერორიზმის გლობალური გამოწვევისა და რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების წინაშე. ჩემი შემდგომი ანალიზიც სწორედ ამ ორ პრობლემასთან ნატო-ს გამკლავებას ეხება.

რაც შეეხება მერშეიმერისაგან ნასესხებ ფრაზას „უკან მომავლისკენ“, იგი იმ კონტექსტში მაქვს აღებული, რომ 2014 წლიდან, რუსული ჰიბრიდული საფრთხეების გამო, ალიანსს დასჭირდა ჩვეულებრივი, ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციებისათვის მომზადებისა და დაგეგმვის წარსული პრაქტიკის გახსენება. თუმცა ის პროცესები, რამაც საბოლოოდ ნატო-ს კიდევ ერთი ტრანსფორმაცია, გარკვეულწილად კი თავდაცვის ტრადიციულ ფუნქციასთან დაბრუნება განაპირობა, უფრო ადრე იწყებოდა.

[261]Michael Rose, “France's Macron: I'm not sorry I called NATO brain dead”, Reuters (28.11.2019), https://www.reuters.com/article/us-france-nato-braindead-idUSKBN1Y21JE (18.09.2021);

[262] “Will NATO Still Be Relevant in the Future? Virtual Debate”, Atlantic Council (24 July 2020), https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/will-nato-still-be-relevant-in-the-future (20.05.2021);

5.1. ომი ტერორთან:

გლობალური ტერორისტული ქსელების გააქტიურებას, კერძოდ, ალ-ქაიდას 2001 წლის 11 სექტემბერის უპრეცედენტო თავდასხმას შეერთებულ შტატებზე, უშუალოდ ნატო-ს სტრუქტურის არსებითი ტრანსფორმაცია არ გამოუწვევია. მაგრამ ამ ფაქტმა უზარმაზარი გავლენა მოახდინა როგორც ალიანსზე, ისე ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურასა და პოლიტიკაზე.

ამ დროისათვის, ჯერ კიდევ გრძელდებოდა კრიზისის მენეჯმენტის ოპერაციები ბალკანეთში. ამ ოპერაციებმა და, განსაკუთრებით, სერბეთის დაბომბვამ და კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობამ, საგრძნობლად დაძაბა ნატო-ს ურთიერთობა დასავლეთისაგან თანდათანობით ხელახლა დისტანცირებულ რუსეთის ფედერაციასთან.[263] მაგრამ ალ-ქაიდას მიერ გატაცებული სამოქალაქო თვითმფრინავების შეჯახებამ ნიუ იორკის „ტყუპ“ ცათამბჯენებთან და პენტაგონთან, რასაც მოჰყვა ამერიკის ახალი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მიერ დეკლარირებული „ომი ტერორთან“, ყველაფერი სხვა დაჩრდილა. ამ ბრძოლაში პუტინის რუსეთი აშშ-ს მოკავშირედ იქცა - მიუხედავად გარკვეული უკმაყოფილებისა, არსებითი სირთულე არ გამოუწვევია ამერიკული სამხედრო ბაზების გაჩენას უზბეკეთსა და ტაჯიკეთში; რუსეთს არ გაუპროტესტებია „ტერორთან ომის“ ფარგლებში ამერიკული სამხედროების მიერ საქართველოს შეიარაღებული ძალების „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის“ ინტენსიფიცირებაც.

ასეთ ფონზე, რუსეთიდან რაიმე არსებითი წინააღმდეგობა არც ნატო-ს გაფართოების შესახებ პრაღის 2002 წლის სამიტის გადაწყვეტილებას მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ იგი რუსეთის ფედერაციისათვის საკმაოდ მტკივნეულ თემას, ბალტიის ქვეყნების ალიანსში ინტეგრაციას ეხებოდა. რუსეთის ახალი პრეზიდენტი,

[263] 1999 წლის მარტში, რუსეთის პრემიერ მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა, რომელიც ამერიკული „უნილატერალიზმის“ აქტიურ ოპონენტად იყო ცნობილი, სერბეთის დაბომბვის დაწყების გამო ვაშინგტონში ვიზიტი უკვე ჰაერში, თვითმფრინავში მყოფმა გააუქმა;

ვლადიმირ პუტინი და აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უეცრად მეგობრები გახდნენ. ავღანეთში ამერიკული ჯარების შესვლას და რუსეთის თანადგომას ამ საქმეში კი მოსკოვში მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ანტიჰიტლერულ კოალიციას ადარებდნენ.[264]

კოსოვოს კონფლიქტის თაობაზე მზარდი დასავლურ-აღმოსავლური უთანხმოებების ფონზე, ასეთი სწრაფი რუსულ-ამერიკული დაახლოვება ნატო-ს ევროპელი წევრებისთვის ერთგვარად მოულოდნელი განვითარებაც კი აღმოჩნდა. თუმცა, ამერიკელების გადმოსახედიდან, ამ ფაქტს თავისი ახსნა ჰქონდა: ისლამურ ანტიდასავლურ ფუნდამენტალიზმთან დაკავშირებულ ტერორიზმს 2001 წლის სექტემბრამდე არასოდეს მოუხერხებია ასეთი ძლიერი დარტყმის მიყენება შეერთებული შტატებისათვის. რუსეთს კი ამ ფენომენთან ბრძოლის გარკვეული გამოცდილება ჰქონდა. გარდა ამისა, რუსეთის თანხმობის გარეშე გაძნელდებოდა ავღანეთის ოპერაციის სამხედრო ლოჯისტიკისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზების გახსნა ცენტრალურ აზიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად რუსეთის ტერიტორიის გამოყენებაზე. ასევე მნიშვნელოვანი იყო რუსეთის მხარდაჭერა გაერო-ში, ტერორიზმთან ბრძოლის ოპერაციისათვის საერთაშორისო ლეგიტიმურობის მისანიჭებლად. რაც შეეხება რუსეთის ინტერესს, გარდა ზოგადად ისლამური ტერორიზმის საფრთხის საერთო პრობლემად აღქმისა, ამ თანამშრომლობაში პრეზიდენტი პუტინი ხედავდა ამერიკელების თვალში ჩეჩნეთში ომის რუსული ვერსიისა და ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ქვეყანაში ვითარების მკაცრად გაკონტროლების (მათ შორის, მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლებებისა და რუსეთის ფედერაციის რეგიონების კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის - დ.ბ.) პოლიტიკის ერთგვარად გამართლების შესაძლებლობას. მიმზიდველი იყო პრეზიდენტ პუტინისთვის საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით მეზობელი ქვეყნების საქმეებში ჩარევის და მათი ეროვნული სუვერენიტეტის დარღვევის შესაძლებლობაც, რაც რუსეთმა რამდენჯერმე განახორციელა კიდეც საქართველოში, პანკისის ხეობაში, საავიაციო დაბომბვების გზით.

[264] Angela Stent, "The Impact of September 11 on US-Russian Relations", Brookings (08.09.2021), https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2021/09/08/the-impact-of-september-11-on-us-russian-relations (24.09.2021);

რაც შეეხება ნატო-ს ჩართულობას ტერორიზმთან ბრძოლის საწყის სტადიაზე, მიუხედავად ალიანსის მყისიერი რეაგირებისა და 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევის საპასუხოდ, ისტორიაში პირველად, წესდების მე-5 მუხლის ამოქმედებისა, საწყის ეტაპზე ამერიკელთა იერიში ავღანეთზე ნატო-ს ოპერაცია არ ყოფილა. თუმცა, საფრთხის მასშტაბიდან და მის საპასუხოდ გადადგმული ამერიკული ნაბიჯების მნიშვნელობიდან გამომდინარე, „ტერორთან ომი“ თანდათანობით ნატო-ს საზრუნავიც გახდა.

ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ტერორის საფრთხეზე ჯერ კიდევ ალიანსის 1991 წლის სტრატეგიული კონცეფცია ამახვილებდა ყურადღებას. თუმცა კი, რისკების ჩამონათვალში, მაშინ ტერორიზმს მხოლოდ ევროპული ეთნოკონფლიქტების, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისა და სასიცოცხლო კომუნიკაციების დარღვევის საფრთხის შემდგომ ჰქონდა ადგილი მინიჭებული. 1999 წლის კონცეფციაში უკვე მეტი ხაზგასმა იყო არასახელმწიფო აქტორთა მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ხელში ჩაგდების რისკზე და ტერორიზმის აქტთა განხორციელების საფრთხე, შესაბამის ჩამონათვალში, წინ უსწრებდა სასიცოცხლო საკომუნიკაციო ხაზების დარღვევის პერსპექტივას.[265]

თუმცა, 2001 წლის მოვლენებმა ვითარება მთლიანად შეცვალა და მოკავშირეების მიერ 2006 წელს მიღებული დოკუმენტი, „ყოვლისმომცველი პოლიტიკური გზამკვლევი“ (Comprehensive Political Guidance), უკვე სულ სხვაგვარად აფასებდა ტერორიზმის პრობლემას. მის პირველივე პარაგრაფებში, რომლებიც სტრატეგიული კონტექსტის აღწერას ეძღვნება, აღინიშნება, რომ: „ ... ტერორიზმი, მზარდად გლობალური თავის მასშტაბებში და სასიკვდილო თავისი შედეგებით, აგრეთვე

[265] “The Alliance’s Strategic Concept (1999)”, In *Towards the New Strategic Concept, A Selection of Background Documents*, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120412_Towards_the_new_strategic_concept-eng.pdf (20.09.21): Paragraphs 22-24;

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, სავარაუდოდ, იქნება ალიანსისათვის მთავარი საფრთხეები უახლოესი 10-15 წლის განმავლობაში“.[266]

ამ დოკუმენტში, რომელიც ტერორიზმთან უკვე მიმდინარე გლობალური ომის გამოცდილებას ასახავდა, განმეორებულია „ცივი ომის“ შემდგომი სტრატეგიული განცხადების თეზისი, რომ ფართომასშტაბიანი თავდასხმა ალიანზე სავარაუდო არ არის. მაგრამ, განსხვავებით წინამორბედი სტრატეგიული სახელმძღვანელოებისაგან, იქვე აღნიშნულია, რომ 2001 წელს აშშ-ზე თავდასხმის შემდეგ: „ ... რომლის პასუხადაც, ნატო-მ პირველად აამოქმედა მე-5 მუხლი, მომავალი თავდასხმები შეიძლება მოხდეს ევროატლანტიკური არეალის გარედან და შეიცავდეს არაკონვენციური შეიარაღებული შეტევის ფორმებს. მომავალი თავდასხმები შეიძლება ასევე შეიცავდეს ასიმეტრიული საშუალებების გამოყენების მზარდ რისკს და მასობრივი განადგურების საშუალებათა გამოყენებას. თავდაცვამ ტერორიზმისაგან და ნებისმიერი ადგილიდან მომავალი გამოწვევებისთვის პასუხის გაცემის უნარმა შეიძინა და შეინარჩუნებს გაზრდილ მნიშვნელობას“.[267]

სტრატეგიული გარემოს ასეთი ცვლილება, რასაც გარდაუვლად მოსდევდა ნატო-ს ახალ მისიებში ჩართვა, კონკრეტულ გადაწყვეტილებებთან და ოპერატიულ ქმედებებთან იყო დაკავშირებული. ბალკანეთის პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა ავღანეთი და ახლო აღმოსავლეთი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტს შედეგად მოჰყვა ისტორიაში პირველად, ალიანსის მიერ მე-5 მუხლის, ანუ ალიანსის წევრზე თავდასხმის მთელს ალიანსზე თავდასხმად ცნობის პრინციპის ამოქმედება, ტერორისტული შეტევის

---

[266] “The Comprehensive Political Guidance”, In *Towards the New Strategic Concept, A Selection of Background Documents*, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120412_Towards_the_new_strategic_concept-eng.pdf (20.09.21): Paragraph 2;

[267] “The Comprehensive Political Guidance”, In *Towards the New Strategic Concept, A Selection of Background Documents*, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120412_Towards_the_new_strategic_concept-eng.pdf (20.09.21): Paragraph 5;

ორგანიზატორთა და მფარველთა წინააღმდეგ საერთაშორისო მოქმედებების პირველ ეტაპზე ნატო-ს როლი ცენტრალურისგან ძალიან შორს იყო.

11 სექტემბრის თავდასხმაში მხილებული ტერორისტული ქსელი ალ-ქაიდას და ავღანეთის ფუნდამენტალისტური რეჟიმის, თალიბანის ურთიერთკავშირი საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ჯერ კიდევ 1999 წელს იყო მხილებული. 1999 წლის 15 ოქტომბერს გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია N1267, რომლის თანახმადაც, ორივე რეჟიმის ფინანსირებაზე, მათ წევრთა გადაადგილებაზე და ა.შ. დაწესდა სანქციები.[268] თალიბანური ავღანეთი აღიარებული იყო ალ-ქაიდას ლიდერის, ოსამა ბინ ლადენის თავშესაფარად. შესაბამისად, ნახსენები ტერაქტის შემდეგ, პრეზიდენტმა ბუშმა მიმართა თალიბანის რეჟიმს, გადაეცათ ამერიკელებისთვის ალ-ქაიდას ყველა ლიდერი, რომელიც მათ ტერიტორიაზე იმყოფებოდა. 18 სექტემბერს პრეზიდენტმა ბუშმა ხელი მოაწერა განკარგულებას ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებელთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე. 7 ოქტომბერს ამერიკულმა და ბრიტანულმა ავიაციამ დაიწყო ავღანეთის დაბომბვა. ეს იყო ოპერაცია Enduring Freedom-ის დასაწყისი. კანადამ, გერმანიამ, ავსტრალიამ და საფრანგეთმა მხარდაჭერისათვის მზადყოფნა გამოხატეს.[269]

Enduring Freedom არ ყოფილა ალიანსის ერთობლივი ოპერაცია. იგი ხორციელდებოდა აშშ-ს ხელმძღვანელობით სახელდახელოდ შექმნილი კოალიციის მიერ. ამ კოალიციაში ჩართულნი იყვნენ ავღანეთის ანტი-თალიბანური ძალებიც. ნოემბერში ქაბული დაეცა, გაეროს უშიშროების საბჭომ კი მიიღო რეზოლუცია ახალი ავღანური ადმინისტრაციის შექმნაში წამყვანი როლის გაერო-სათვის გადაცემის შესახებ. შესაბამისად, ამერიკული ქმედებები გაერო-ს მიერ სრულად იქნა მხარდაჭერილი. მაგრამ, სად იყო ამ დროს ნატო?

[268] "The US War in Afghanistan 1999-2021, Timeline", Council on Foreign Relations (2021), https://www.cfr.org/timeline/us-war-afghanistan (25.10.2021);
[269] "The US War in Afghanistan 1999-2021, Timeline", Council on Foreign Relations (2021), https://www.cfr.org/timeline/us-war-afghanistan (25.10.2021);

რებეკა მურის აზრით, პრეზიდენტმა ბუშმა და მისმა ახლო გარემოცვამ, განსაკუთრებით კი აშშ თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა და მისმა გავლენიანმა მოადგილემ, პოლ ვოლფოვიცმა უარი თქვეს ავღანეთში ალიანსის ეგიდით ოპერაციის ჩატარებაზე, რადგან: ა) დიდი იყო ე.წ. „შესაძლებლობების ნაპრალი“ (capacity gap) ამერიკასა და მის მოკავშირეებს შორის; ბ) რაც მთავარია, რამსფელდს და ვოლფოვიცს არ სურდათ, რომ ოპერაციის მოდალობების თუ ამოცანების განსაზღვრაში ვინმე ჩარეულიყო.[270] შესაბამისად, მათ შექმნეს დროებითი კოალიცია, სადაც ამერიკელ სამხედროებსა და პოლიტიკოსებს ერთპიროვნულად ექნებოდათ ყველა გადაწყვეტილების მიღების საშუალება.

საერთოდ, პრეზიდენტ ბუშის პრეზიდენტობის პირველი ვადა აღსანიშნავი იყო ამერიკული უნილატერალიზმის უპრეცედენტო ზრდით, რაშიც უზარმაზარი როლი ითამაშა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა. უნილატერალიზმის ასეთი ხარისხი აჩენდა ეჭვს, რომ ამერიკელებს დაეკარგათ ტრანსატლანტიკური ერთობისა და კოოპერატიულობის, როგორც უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედის, მისი მთავარი ელემენტების განცდა. როგორც წინა თავში ვახსენე, ამ პერიოდს დაემთხვა ევროპის კავშირის უსაფრთხოების ავტონომიური იდენტობის ირგვლივ მიმდინარე ამერიკულ-ევროპულ კამათის ერთერთი მწვავე ფაზა. ამავე პერიოდისაა პრეზიდენტ ბუშის ცნობილი ფრაზა: „პუტინს ჩავხედე თვალებში, დავინახე რომ იგი სანდოა, დავინახე მისი სული“.[271] ეს სიტყვები აღძრავდა კითხვას, ტრადიციული ტრანსატლანტიკური ერთობის ნაცვლად, ხომ არ იყო ბუშის მიერ გაზიარებული ადრეული ეპოქის პუტინის იდეა ტერორიზმთან ბრძოლაში მეორე მსოფლიო ომის ტიპის რუსულ-ამერიკული მეგობრობის აღორძინებაზე?

მზარდი უნილატერალიზმის ფონზე, განსაკუთრებულად პრობლემური ევროპულ-ამერიკული ერთიანობისთვის აღმოჩნდა შეერთებული შტატების გადაწყვეტილება

[270] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 80;
[271] "Flashback: Prezident Bush on Putin's "Soul"", NBC News (27 March 2014), https://www.nbcnews.com/video/flashback-president-bush-on-putins-soul-208352323648 (15.08.2021);

ერაყის მეორე ომის დაგეგმვისა და დაწყების შესახებ. ამ იდეის განვითარება 2001 წელსვე დაიწყო ნეოკონსერვატიულად წოდებულმა რამსფელდ-ვოლფოვიცის ტანდემმა: პენტაგონში შექმნილ სპეციალურ გეგმათა ოფისში, რომელსაც ხუმრობით „კაბალას“ ეძახდნენ, მუშავდებოდა ხედვა, რომ აშშ არ უნდა დარჩენილიყო შემდეგი ტერაქტის პასიური ლოდინის რეჟიმში, სადაც ტერორისტები უკვე მასობრივი განადგურების იარაღსაც გამოიყენებდნენ. ამ მიზნით, პროაქტიულად შემტევი გეგმის ნაწილი ხდებოდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასრულება ერაყში, რამდენადაც „კაბალაში“ ეს რეჟიმი ალ-ქაიდას ერთერთ მთავარ მოკავშირედ განიხილებოდა.[272] საბოლოო ჯამში, ერაყის ომმა ყველაზე დიდი ბზარი გააჩინა ევრო-ამერიკულ ურთიერთობებში. ვისაც იმ პერიოდის საერთაშორისო მედიისათვის უდევნებია თვალი, გაახსენდება, რომ ვაშინგტონში ფრანგული ღვინის ქუჩაში გადაღვრის სცენები იმართებოდა და კარტოფილის ცნობილ ამერიკულ კერძს, French Fries-ს, სახელს Freedom Fries-ზე უცვლიდნენ.[273]

მაგრამ, ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, არც ეს დავა თუ ბზარი არ გადაზრდილა განხეთქილებაში. მოხერხდა ნატო-ს და ევროპის კავშირის უერთიერთგაგების მიღწევა, რამაც უკვე ნახსენები Berlin Plus შეთანხმება მოიტანა. ერაყის ოპერაციის მიზანშეწონილობის ირგვლივ მიმდინარე ცხარე დებატების დროს ნატო არა თუ გადარჩა, არამედ ალიანსში იგივე საფრანგეთის შემდგომი ინტეგრაციაც მოხდა. მოკავშირეებთან ხამგრძლივი დისკუსიების შემდეგ, ამერიკული უნილატერალიზმიც თანდათანობით შეიკვეცა და ნატო-მ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც ავღანეთში, ისე ერაყის ოპერაციაში.

ალიანსის მიერ 2001 წლის სექტემბერში მე-5 მუხლის ამოქმედება ლიტონი სიტყვები არ ყოფილა. მართალია, ავღანეთში ინტერვენცია ნატო-ს არ დაუწყია, მაგრამ ნატო-ს მზაობა ერთობლივი მოქმედებისათვის და დეკლარირება, რომ ალიანსის ერთ

[272] Seymour M. Hersh, “Selective Intelligence: Donald Ramsfeld has his own special sources. Are they reliable?”, Annals of National Security, The New Yorker (May 2003), https://www.newyorker.com/magazine/2003/05/12/selective-intelligence (12.10.2020);
[273] Terry Young, and Peggy Crawford, “Hands Across the Atlantic?”, International Business & Economics Research Journal, Vol. 3, No. 1 (January 2004), https://doi.org/10.19030/iber.v3i1.3657 (16.11.2020): 92;

წევრზე თავდასხმა ყველაზე თავდასხმაა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიგნალი იყო. ნატო-მ მიანიჭა აშშ ავიაციას უპირობო უფლება, გამოეყენებინა მოკავშირეების საჰაერო სივრცე. თავად ალიანსის წევრების ინდივიდუალური ჩართვა აშშ-ს მიერ ორგანიზებულ დროებით კოალიციაში ასევე მიანიშნებდა, რომ არც ევროპა და არც შეერთებული შტატები აღარ განიხილავდნენ ნატო-ს მხოლოდ ევროპის კონტინენტით შემოფარგლულ ორგანიზაციად. ერთი წელიც არ იყო მოვლენებიდან გასული, რაც ნატომ ე.წ. „საპასუხო ძალების“ (Response Force) შექმნა დააანონსა. ამ სამხედრო ძალას სწორედ კონტრ-ტერორისტული მისიებისათვის უნდა დაეჭირა მხარი. როგორც მიქაელ რიუჰლი წერდა, 2011 წლისათვის, ტერორიზმის საფრთხის ზრდის კვალობაზე, ნატო უსაფრთხოების გეოგრაფიული გაგებიდან მის ფუნქციურ გაგებაზე გადადიოდა და ეს ცვლილება იყო უფრო მნიშვნელოვანი ალიანსის სამომავლო რელევანტურობისათვის, ვიდრე ყველა სხვა, რაც მას ისტორიის მანძილზე გაუვლია.[274]

უშუალოდ იმ სამხედრო მოქმედებებიდან, რომელსაც ალიანსი ახორციელებდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის საპასუხოდ, აღსანიშნავია ნატო-ს საჰაერო გაფრთხილებისა და კონტროლის სისტემის (AWACS) ამოქმედება (Operation Eagle Assist) და მონაწილეობა ხმელთაშუა ზღვის ანტიტერორისტულ პატრულირებაში. მოგვიანებით, ეს უკანასკნელი სრულუფლებიან ოპერაციად ჩამოყალიბდა (Operation Active Endeavour) და 2016 წლამდე გაგრძელდა. იყო სხვა ინიციატივებიც.[275] სხვათაშორის, მასში, ისევე როგორც ნატო-ს რიგ სხვა ოპერაციებში, ალიანსის არაწევრი ქვეყნებიც იღებდნენ მონაწილეობას, რაც კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის რეალიზების დადასტურება გახლდათ.

მაგრამ მთავარი, რაც ნატო-ს ავღანურ ანტიტერორისტულ მოქმედებებს უკავშირდება, უდავოდ იყო ISAF-ის მისია. ე.წ. „უსაფრთხოების დახმარების

[274] Michael Rühle, “NATO Ten Years After: Learning the Lessons”, NATO Review (September 2011), https://www.nato.int/docu/review/articles/2011/09/02/nato-ten-years-after-learning-the-lessons/index.html (21.09.2021);

[275] Operation Active Endeavour (27.10.2016), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_7932.htm (11.03.2020);

საერთაშორისო ძალების“ (International Security Assistance Force) იდეა გაერო-ში მომწიფდა. მას უნდა უზრუნველეყო პოსტ-თალიბანური ავღანური ადმინისტრაციის ფორმირება, რისი განხორციელებაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით გადაწყდა. რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო, რომ მთელს ამ პოლიტიკურ პროცესში, მათი განსაკუთრებული ინტერესებიდან, თუ სხვებთან შეუდარებლად დიდი სამხედრო და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გამორჩეულ როლს ისევ ამერიკელები ითამაშებდნენ. მაგრამ ეს მისია ამერიკულ სარდლობაზე დაქვემდებარებული არ ყოფილა და იგი ოქტომბერში დაწყებული სამხედრო ოპერაციის, Enduring Freedom-ის პარალელურად წარიმართა. 2003 წლის აგვისტოდან „უსაფრთხოების დახმარების საერთაშორისო ძალები“ ნატო-მ ჩაიბარა, რადგან გამოჩნდა, რომ აუცილებელი ხდებოდა მთელი ავღანეთის დაფარვა, რისთვისაც სწორად ნატო-ს შესაძლებლობები იყო საჭირო. თანდათანობით, მისიის რამოდენიმე ათასიანი კონტინგენტი 130000 მებრძოლამდე გაიზარდა.[276] მიუხედავად იმისა, რომ თალიბანის მიერ გაგრძელებული პარტიზანული ომის წინააღმდეგ მთავარ დამრტყმელ ძალად მაინც ცალკე მოქმედი ამერიკული კოალიცია რჩებოდა,[277] ISAF-ის მებრძოლებს უხდებოდათ მოქმედება ისეთ ცხელ წერტილებში, როგორიც პუშტუნებით დასახლებული სამხრეთის რეგიონები (ყანდაგარის, ჰელმანდის, ურუზგანის პროვინციები) იყო.[278]

უსაფრთხოების დახმარების საერთაშორისო ძალების მისია არ ყოფილა დაკავებული მხოლოდ სამხედრო ოპერაციებით. იგი პასუხს აგებდა ახალი ავღანური მთავრობის სამხედრო ძალების უნარებისა და შესაძლებლობების ზრდაზე. 2011 წლიდან, სწორედ ეს გახდა მისიის მთავარი ფოკუსი. 2014 წლიდან ISAF-მა სრულად გადააბარა ფუნქცია ავღანეთის შეიარაღებულ ძალებს და 2015 წლიდან გადაკეთდა ბევრად

[276] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 80-82;

[277] Stanley Sloan, *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama* (London: Bloomsbury, 2013): 189-191;

[278] როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, 2010 წლის 14 აპრილს ჩასული ვიყავი ავღანეთში, ქაბულში, სადაც მოვინახულე ISAF-ის ფარგლებში ფრანგულ სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბატალიონის ასეული. ასევე, მქონდა შეხვედრა ISAF-ის მისიის ხელმძღვანელთან, გენერალ სტენლი მაკკრისტალთან;

მოკრძალებულ, არასაბრძოლო „გადამწყვეტი მხარდაჭერის“ (Resulute Support) მისიად, რომელშიც 13-16 ათასი მერძოლი ირიცხებოდა. RSM პასუხს აგებდა ავღანელთა დახმარებაზე სამხედრო ბიუჯეტის დაგეგმვაში, ანგარიშგება-გამჭვირვალეობაში, კანონის უზენაესობის პატივისცემაში, უშუალოდ ავღანელ მებრძოლთა წვრთნა-რეკრუტირებაში.[279]

დღეისათვის დასრულებულია როგორც ISAF/RSM-ი, ისე Operation Enduring Freedom, რჩება კითხვა, რამდენად წარმატებული აღმოჩნდა შეერთებული შტატების, ნატო-სა და მთელი დასავლეთის ძალისხმევა? თალიბები ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, ნატო-ს და აშშ-ს ძალებმა კი ავღანეთი დატოვეს. ავღანური არმია, რომლის მომზადებაშიც მხოლოდ აშშ-მ ასეული მილიონობით დოლარი დახარჯა, ქვეყნის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის სრულიად უუნარო აღმოჩნდა და რამდენიმე დღეში მთლიანად ჩამოიშალა. გარკვეულწილად, ეს მისიის უარყოფით შედეგზე მეტყველებს. საერთაშორისო მედიაში პოპულარული გახდა ავღანური მისიის დასასრულის შედარება ვიეტამის ომის დასასრულთან, რაშიც განსაკუთრებით რუსული თუ ჩინური საინფორმაციო წყაროები აქტიურობდნენ.[280]

ამერიკელთა და მოკავშირეთა მიერ ქაბულის ნაჩქარევად დატოვების, მათ კვალდაკვალ კი თალიბების შემოსვლის კადრები, რომლებმაც მსოფლიო მოიარა, მართლაც დრამატული იყო და ადასტურებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ვიზუალური მხარე, საინფორმაციო კომპონენტი სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს და მედია არა მხოლოდ აშუქებს რეალობას, არამედ, გარკვეულწილად, ქმნის კიდეც მას. მაგრამ მთავარი ამ საკითხში მაინც ისაა, რომ რომ შეერთებულმა შტატებმაც და ნატო-მაც არასწორად გათვალეს ავღანელ პარტნიორთა შესაძლებლობები, უნარები, ღირებულებები და მათ შორის ძალთა ბალანსი. განსხვავებით გავრცელებული კლიშესგან, მიმაჩნია, რომ ევროატლანტიკური ერთობის გაცხადებული მიზანი არ

[279] Resolute Support Mission in Afghanistan, 2015-2021 (13.09.2021), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_113694.htm (22.10.2021);

[280] იხ. მაგალითად, Sun Chenghao, “Afghan Failure could trigger war weariness in US, limiting its future military operations abroad”, Opinion/Viewpoint (2021), Global Times, https://www.globaltimes.cn/page/202108/1232239.shtml (21.08.2021);

ყოფილა „დემოკრატიის ექსპორტი“ ავღანეთში - ასეთად რეალობას რუსული სამხედრო-პოლიტიკური ელიტა ხედავს, რაზეც კიდევ ვისაუბრებ. სინამდვილეში, „დემოკრატიის ექსპორტი“ თუ „დემოკრატიული ჯვაროსნობა“, როგორადაც ხშირად თავად ამერიკელი ანალიტიკოსები აფასებდნენ ბუშის პოლიტიკას, ადგილობრივი ანტითალიბანური ძალების მხარდაჭერის გზით სტაბილურად ფუნქციონირებადი, პროგნოზირებადი და საერთაშორისო რეჟიმების არაპრობლემური წევრი სახელმწიფოს შექმნის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. თუმცა, ფაქტია, რომ ვერც ამერიკელებმა და ვერც დანარჩენმა მოკავშირეებმა ვერ გათვალეს საკუთარი შესაძლებლობები და ვერ შეაფასეს ადექვატურად ავღანეთში სტაბილური დემოკრატიული რეჟიმის ფორმირების პოტენციალი.[281] ვფიქრობ, პასუხისმგებლობის დიდი წილი აქ ავღანურ პოლიტიკურ კლასზეა - დასავლეთი მათ 20 წლის განმავლობაში ეხმარებოდა ფუნქციონირებადი სახელმწიფოს შექმნაში, მაგრამ სახელმწიფოებრივ და დემოკრატიულ ძალებზე უფრო ძლიერი ავღანეთში ტომობრივ-კლანური დაყოფები, ოპიუმის ინდუსტრია, ავღანელი და პაკისტანელი პუშტუნების ალიანსი აღმოჩნდა.

[281] ავღანეთის ოპერაციის ასეთი დასასრული, შესაძლოა, ყოფილიყო ერთერთი ფაქტორი პრეზიდენტ პუტინის გათვლებში, მოეხდინა ვითარების ესკალაცია უკრაინის ირგვლივ. დიდი ალბათობით, რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ავღანეთიდან ამ ფორმით გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაცია იმდენად დაზარალდა როგორც შიდაპოლიტიკურ, ასევე საგარეო ფრონტზე, რომ მას აღარ ექნებოდა პოლიტიკური რესურსი, აქტიური წინააღმდეგობა გაეწია რუსეთის გეგმისთვის, შეჭრილიყო (ან, როგორც მინიმუმ, მკვეთრად დაეძაბა ვითარება და შემდეგ „ევაჭრა“ მდგომარეობის ნორმალიზაციისთვის - დ.ბ.) უკრაინაში. ვფიქრობ, პრეზიდენტმა პუტინმა თავის გათვლებში უმძიმესი შეცდომა დაუშვა - მოლოდინის საპირისპიროდ, პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციამ უაღრესად ეფექტიანად იმოქმედა და ეს შეეხება არა მხოლოდ აშშ-ს მიერ უკრაინის თავდაცვისუნარიანობის გაზრდასა და რუსეთის წინააღმდეგ შესაძლო სანქციების თვისებრივად ახალი პაკეტის შემუშავებას, არამედ - და პირველ რიგში - ევროპელ მოკავშირეებთან სრულ კოორდინაციას, ნატო-ს შიგნით ერთიანი პოზიციების შემუშავებას და დასავლეთის უპრეცედენტო ერთიანობის ჩვენებას. ამ ნაშრომის დასრულების მომენტისთვის უცნობია, როგორ განვითარდება პროცესები უკრაინაში, მაგრამ ვფიქრობ, უკვე ნათელია, რომ პრეზიდენტ პუტინის შეცდომა ძვირად დაუჯდება რუსეთს და რუსეთის ხელისუფლების ამოცანა ახლა არა რაიმეს მოგება და უპირატესობის მიღება, არამედ შექმნილი ვითარებიდან სახის შენარჩუნებით თავის დაღწევაა;

მეორეს მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს ახალ, „ცივი ომის“ შემდგომ პროფილს კოოპერატული უსაფრთხოების პრინციპები განსაზღვრავდა, რაზეც წინა თავში იყო საუბარი, ეს მიდგომა მაინც ევროატლანტიკური უსაფრთხოების არეალსა და მის მოსაზღვრე სახელმწიფოებს უფრო შეეხება, ვიდრე ავღანეთის მსგავს ქვეყნებს. ავღანეთში დასავლეთის უმთავრესი კონკრეტული მისია ტერორისტული საფრთხის აღმოფხვრა იყო. დემოკრატიის მშენებლობა, რომელსაც მივყავართ სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტების ამუშავებამდე, საამისოდ სოლიდური და გრძელვადიანი საფუძველია. მაგრამ ავღანეთმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ეს ხდება მხოლოდ იქ, სადაც ამისთვის ადგილობრივი საზოგადოება და პოლიტიკური კლასია მზად. ავღანეთის შემთხვევაში, დასავლეთის ძალისხმევით, ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, ამოცანა დიდწილად შესრულებულია - ტერორიზმის თავშესაფარი განადგურებულია. ალ-ქაიდა აღარ ფუნქციონირებს, ტერორიზმის ფინანსირების ქსელი დაშლილია, ხოლო ოსამა ბინ-ლადენი ომის მსვლელობისას იქნა ლიკვიდირებული. მაგრამ, ამავე დროს, ვერ მოხდა მყარი, ფუნქციონირებადი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა, რაც გრძელვადიანად იქნებოდა ავღანეთის, როგორც სტაბილური, საერთაშორისო რეჟიმების არაპრობლემური წევრი-სახელმწიფოს ფორმირების პირობა.

მიუხედავად ამისა, ავღანეთში ოცწლიანი ყოფნით ამერიკის და მთელი ალიანსის სამხედრო სექტორებმა შორ მანძილზე მასშტაბური მოქმედების უკონკურენტო პოტენციალი აჩვენა. ავღანეთის საბჭოთა ავანტურა ვერ შეედრება ამ ოპერაციებს თუნდაც იმიტომ, რომ ავღანეთი საბჭოთა კავშირს ესაზღვრებოდა. ის, რომ ნატო-ს მიერ გაწვრთნილი ავღანური არმია თალიბების წინაშე მარტო დარჩენის შემდეგ დაიშალა, არანაირად არ ნიშნავს, რომ ორმხრივი ნების არსებობის და ადგილობრივი საზოგადოების მზადყოფნის შემთხვევაში, ნატო-ს ანალოგიური მისიები სრულიად წარმატებული არ იქნება სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით, ნატო-ს აღმოსავლეთ-ევროპულ პერიფერიაზე.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თავისი მნიშვნელობით და გავლენით ნატო-ს ერთიანობაზე, დამატებით აღნიშვნას იმსახურებს ერაყის მეორე ომი. ტერორიზმის

და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების მთავარ საფრთხეებად ქცევას, ისევე, როგორც მათ ურთიერთკავშირზე აქცენტირებას, ეხმიანებოდა სწორედ ერაყთან დაკავშირებული განხილვები და მოქმედებები. როგორც ითქვა, ავღანეთზე შეტევის გადაწყვეტილების პარალელურად, შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში მწიფდებოდა აზრი, რომ სადამ ჰუსეინის ერაყი, რომელთანაც აშშ-ს სპარსეთის ყურის პირველი ომიდან მოყოლებული მტრობა ჰქონდა, ალ-ქაიდას ტერორისტული ქსელის ბაზა იყო. რამსფელდ/ვოლფოვიცის სადაზვერვო წყაროები და ანალიტიკოსები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ერაყელი დიქტატორი განაგრძობდა აკრძალული მასობრივი განადგურების იარაღის მარაგების ფლობას და ამით არღვევდა საერთაშორისო ვალდებულებებს.

სადამ ჰუსეინი უდავოდ იყო ანტიდემოკრატიული, ანტიამერიკული და აგრესიული ძალა ახლო აღმოსავლეთში, ისრაელის წინააღმდეგ მებრძოლთა ერთერთი მთავარი საყრდენი. მაგრამ რა კონკრეტული მიზეზის გამო უნდოდა მისი დამხობა შეერთებული შტატების ყველაზე გავლენიან ნეოკონსერვატიულ ფრთას - ტერორისტებთან კავშირისა და გაერო-სგან დაფარულად მასობრივი განადგურების იარაღის შენახვის, თუ ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური სურათის შეცვლის? ეს ორი მოტივი შეიძლება თანაარსებობდეს კიდეც, ისევე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტური და ლიბერალური სკოლების არგუმენტები. საბოლოო ჯამში, ბევრი რამ ხშირად განსხვავებული ხედვის კუთხის თუ აღქმების ბრალია, რაც უკვე კონსტრუქტივისტული სკოლის არგუმენტია. ასეა თუ ისე, ერაყში შეჭრა-არშეჭრის საკითხმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროატლანტიკური და ინტრა-ევროპული ურთიერთობების ყველაზე სერიოზული კრიზისი გამოიწვია.[282]

დღეს ამ კრიზისის შედეგები ცნობილია და ამაზე წინა თავშიც ვწერდი - დამდგარი ზიანის მიუხედავად, მთავარია, რომ ნატო-ს ერთიანობა გადარჩა. რაც შეეხება კრიზისის ხარისხის შეფასებას, მიუხედავად იმისა, რომ იგი ამერიკულ ბაზარზე ფრანგული პროდუქტის არაოფიციალურ ბოიკოტამდეც კი მივიდა, არც ეს იყო

[282] Philip H. Gordon, "The Crisis in the Alliance", Report, Brookings (February 2003), https://www.brookings.edu/research/the-crisis-in-the-alliance (22.09.2021);

არნახული სიახლე ევროპისა და შეერთებული შტატების ურთიერთობებში და ეკონომიკური იმპლიკაციების მქონე მწვავე ევრო-ამერიკულ დაპირისპირებას 1956 წელს, სუეცის კრიზისის დროსაც ჰქონდა ადგილი.[283] შესაბამისად, კრიზისის მთავარი გაკვეთილი სწორედ ისაა, რომ, საბოლოო ჯამში, უსაფრთხოების არქიტექტურის მშენებლობისას ლიბერალურ-დემოკრატიული სოლიდარულობა უფრო ძლიერია, ვიდრე განსხვავებები მოკლევადიან პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესებსა და გეოპოლიტიკურ ხედვებში.

თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემა იმაშიც იყო, რომ ნეოკონსერვატორთა ერთგულება კოოპერატიული უსაფრთხოების ნატო-სეული პრინციპისადმი ფუნდამენტურ ეჭვებს აღძრავდა და ამაზე ღირს ცოტა ხნით შეჩერება. ერთის მხრივ, პრეზიდენტ ბუშის მიდგომებში უსაფრთხოების პოლიტიკის მიმართ თითქოს ბევრი არაფერი შეცვლილა: მართალია, აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია ტერორთან ომში ეყრდნობოდა არცთუ დემოკრატიულ რუსეთთან, კიდევ უფრო ავტორიტარულ უზბეკეთთან თუ ტრადიციულად არადემოკრატიულ ახლო აღმოსავლელ მოკავშირეებთან თანამშრომლობას - მაგრამ, ასეთ რეჟიმებთან აშშ ათწლეულების მანძილზე თანამშრომლობდა „ცივი ომის“ დროს და გარდა ამისა, კოოპერატიული უსაფრთხოებაც ითვალისწინებდა და მხარს უჭერდა პარტნიორობას ალიანსის ფარგლებს გარეთ; პრეზიდენტ ბუშს სურდა მეტი პროგნოზირებადობა და დემოკრატია ავღანეთსა თუ ერაყში - მაგრამ, ესეც თანხვედრაში იყო ნატო-ს ტრადიციულ მიდგომასთან ლიბერალური ღირებულებებისა და პრაქტიკების გავრცელების თაობაზე. მაშ რატომ გახდა ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა ასეთი განხეთქილების მიზეზი? ჩემის აზრით, მთავარი, რაც კითხვებს აღძრავდა, იყო პრეზიდენტ ბუშის პოლიტიკის ქვაკუთხედად მიჩნეული ამერიკული უნილატერალიზმი. ეს უნილატერალიზმი გასაგები იყო ავღანეთის შემთხვევაში - 2001 წლის ტერაქტი ახალი მომხდარი იყო და შეერთებულ შტატებს სურდა სწრაფი, ეფექტური პასუხის გაცემა, რისთვისაც იმ დროს ალიანსის შესაძლებლობები მთლად ადეკვატური არ იყო. მაგრამ შეერთებული შტატების შემდგომი ახლო აღმოსავლური

[283] Terry Young, and Peggy Crawford, "Hands Across the Atlantic?", International Business & Economics Research Journal, Vol. 3, No. 1 (January 2004), https://doi.org/10.19030/iber.v3i1.3657 (16.11.2020);

პოლიტიკა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი ერაყის ომთან დაკავშირებით, ამ ომში მოკავშირეთა კოალიციის შექმნის გზა და მთელს პროცესში ამერიკის როლი უკვე განსხვავებული აღმოჩნდა - ერაყში ომის დასრულების შემდეგაც კი, აშშ-ს ადმინისტრაციას ეტყობოდა ერაყის რეკონსტრუქციაში ფაქტობრივი მონოპოლიის დამყარების სურვილი. ბევრი ევროპელის თვალში ეს ყველაფერი ე.წ. „ამერიკული იმპერიის“ იმიჯს ქმნიდა.[284]

საინტერესოა, რომ იმპერია, როგორც მეტაფორა, ამერიკელ ინტელექტუალთა ნაწილს ხიბლავდა. ისინი თავს იქცევდნენ მსჯელობით, რომ შეერთებული შტატები არის „იმპერია თავისუფლებისათვის“ (Empire for Liberty), რომელიც ებრძვის ბოროტების იმპერიებს. ისტორიკოს რიჩარდ იმერმანის თქმით, ეს კონცეფტი ამერიკელი დამფუძნებელი მამების დროინდელია, მას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 20-იანი წლების სახელმწიფო მდივანი ჯონ ქუინსი ადამსი იყენებდა.[285] სწორედ ამ გამოთქმასთან და მისგან დაწყებულ იდეოლოგიურ ტრადიციასთან ასოცირდებოდა ერაყის ომის დროინდელი და ამ ომის ერთ-ერთ არქიტექტორად მიჩნეული ინტელექტუალი სახელმწიფო მოხელე, პოლ ვოლფოვიცი. იმპერიის ამ გაგებაში არა იმდენად უსაფრთხოებისა თუ ეკონომიკური მოტივებით განხორციელებული ტრადიციული დაპყრობა, არამედ იდეისა და კულტურის გავრცელების მისიონერობა იგულისხმება. ვოლფოვიცის რეალურ დამოკიდებულებათა, შეხედულებათა და წონის დეტალური გარჩევა სცდება ნაშრომის ფარგლებს, მაგრამ, ნათელია, რომ „ბუშის დოქტრინად“ მონათლული ამერიკული ახალი სტრატეგიის აქცენტები მტრის მიმართ წინმსწრებ დარტყმებზე, დაწყვილებული უნილატერალიზმთან და ამ წინააღმდეგობრივ იმპერიულ დისკურსთან, ევროპული პოლიტიკური კლასის მნიშვნელოვან ნაწილს აფრთხობდა.

[284] Terry Young, and Peggy Crawford, “Hands Across the Atlantic?”, International Business & Economics Research Journal, Vol. 3, No. 1 (January 2004), https://doi.org/10.19030/iber.v3i1.3657 (16.11.2020): 91;

[285] Richard Immerman, *Empire for Liberty: A History of American Imperialism from Benjamin Franklin to Paul Wolfowits* (Princeton: Princeton University Press, 2010);

ერაყის მეორე ომის მიზეზებზე, რომლის დაწყებაში, ამერიკელებთან ერთად, ბრიტანელები, ავსტრალიელები და პოლონელები მონაწილეობდნენ, მრავალი შეიძლება ითქვას და ითქვა კიდეც. ამ მხრივ საინტერესოა რაიმონდ ჰინებუხის ნარატივი,[286] რომელიც ამერიკული მოტივაციის სხვადასხვა, კრიტიკულ ვერსიებს აანალიზებს. ჰინებუხი განიხილავს სამხედრო ინდუსტრიული კომპლექსის თუ ნავთობის ამერიკული ბიზნესის პასუხისმგებლობის ვერსიასაც, თუმცა კი თავად არ ემხრობა ამ კლასობრივ/მემარცხენე ახსნებს და ხელს ისევ ვოლფოვიცის მსგავს ნეოკონსერვატორებისაკენ იშვერს, რომელთაც ერაყში ინტერვენციით ახლო აღმოსავლეთში ამერიკული ჰეგემონიის შექმნა/გამყარება სურდათ, რისი ნაწილიც იყო ისრაელის მემარჯვენე მთავრობის მხარდაჭერა არაბულ სამყაროსთან დაპირისპირებაში. ჰინებუხის აზრით, ეს იყო ამერიკული მმართველობის „შეკავება-გაწონასწორების“ სისტემის მარცხი.

მაგრამ, ამერიკის მიერ ერაყის ოპერაციის უნილატერალურად დაგეგმვისა და მხოლოდ რამოდენიმე მოკავშირის დახმარებით განხორციელების მიუხედავად, ალიანსი თითქმის იმთავითვე აღმოჩნდა ამ მოვლენების თანამონაწილე. გამომდინარე იქიდან, რომ ნატო-ში ყველა აცნობიერებდა პერიფერიების სტაბილიზაციის აუცილებლობას მთლიანად ალიანსის დაცულობისათვის, ერაყზე დებატებს ხელი არ შეუშლია, რომ ალიანსს სათანადო ლოჯისტიკური მხარდაჭერა აღმოეჩინა ცენტრალურ ერაყში სამშვიდობო ძალების სარდლობის პოლონელთათვის გადასაცემად.[287] შედარებით მტკივნეულად წარიმართა ნატო-ს მიერ ერაყის ომისას თურქეთის დაცვის მისიის განხორციელება. დასაწყისში ამას საფრანგეთი, გერმანია და ბელგია ბლოკავდნენ, მაგრამ საკითხი ნატო-ს თავდაცვის კომიტეტში გადაწყდა, რომელშიც მაშინ საფრანგეთი არ იყო წარმოდგენილი.[288]

---

[286] Raymond Hinnebusch, “The US Invasion of Iraq: Explanations and Implications, Middle East Critique”, Taylor & Francis Online, Vol. 16, Issue 3 (October 2007), https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/10669920701616443 (15.10.2020): 209-228;

[287] Rebecca Moore, *NATO’s New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 4;

[288] Rebecca Moore, *NATO’s New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 95;

ცხადია, ალიანსისათვის ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლა მხოლოდ ავღანეთის და ერაყის ოპერაციებით არ ამოწურულა. ოპერაციების პარალელურად, მოხდა ამ თემის ინტეგრირება ნატო-ს ახალ სტრატეგიულ დოკუმენტებში, გატარდა შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები (მაგალითად, უკვე ნახსენები NATO Response Force-ს შექმნა). გარკვეულწილად, ალიანსის სტრატეგიასა თუ ოპერატიულ მოქმედებებში (გეგმებში, წვრთნებსა თუ სტრუქტურებში) ტერორიზმის და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა ურთიერთგადაჯაჭვული იყო. 2002 წლის პრაღის სამიტზე მოხდა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ საგანგებოდ მიღებული დოკუმენტის: „ტერორიზმისაგან თავდაცვის სამხედრო კონცეფცია“ მაღალი ლეგიტიმაცია. მასში ალიანსის როლის ოთხი მთავარი ელემენტი იყო გამოკვეთილი: ანტი-ტერორიზმი, კონტრ-ტერორიზმი, შედეგების მენეჯმენტი და სამხედრო კოოპერაცია. იგი გულისმობდა ტერორიზმის მიზეზებთან ბრძოლასა და სათანადო სადაზვერვო მონაცემთა გაცვლას; ტერორისტებთან აქტიურ ბრძოლას; ტერორისტული თავდასხმების შედეგთა შემცირების ზომებს; ინტერვენციის პროცედურათა ჰარმონიზაციას და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კოოპერაციას.[289] პრაღის სამიტზე იგივე კონტექსტში მოხდა შეთანხმება სხვადასხვა ინიციატივებზე ბირთვულ, ბიოლოგიურ და ქიმიურ თავდაცვაში.[290]

პრაღის 2002 წლის სამიტის შედეგებიდან საინტერესო სიახლე გახლდათ აქცენტი ე.წ. Niche Capability-ზე, ანუ სპეციალიზაციის განვითარებაზე წევრი სახელმწიფოების სამხედრო შესაძლებლობებში, რაც, პირველ რიგში, სწორედ ტერორიზმთან ომის უფრო ეფექტურად წარმართვას ემსახურებოდა. სამიტზე მიღებული იქნა „პრაღის უნარების ვალდებულება“ (Prague Capabilities Commitment - PCC).[291] შემდგომში, ეს ვალდებულება ხელახლა დაადასტურა სტამბულის (2004) და რიგის სამიტებმა (2006).

---

[289] Claudia Bernasconi, “NATO’s Fight Against Terrorism, Where Do We Stand?” NDC Research Paper No 66 (April 2011), https://www.files.ethz.ch/isn/128562/rp_66.pdf (12.06.2021): 2;

[290] Michael Rühle, “NATO Ten Years After: Learning the Lessons”, NATO Review (September 2011), https://www.nato.int/docu/review/articles/2011/09/02/nato-ten-years-after-learning-the-lessons/index.html (21.09.2021);

[291] NATO’s Prague Capabilities Commitment, Congressional Research Service, RS21659, (22.07.2008), https://www.everycrsreport.com/reports/RS21659.html (07.08.2021);

ერთის მხრივ, ამ ვალდებულებაში იგულისხმებოდა ნატო-ს ზოგად უნართა გაუმჯობესების აუცილებლობა, რაზეც წინა სამიტებზეც იყო საუბარი და რაც ნიშნავდა შეერთებულ შტატებთან შედარებით ევროპული არმიების შესაძლებლობების ჩამორჩენის შემცირებას; მეორეს მხრივ, ახალ ინიციატივაში იყო ტერორიზმის საფრთხესთან ბრძოლაში წევრი სახელმწიფოების სპეციალიზაციის, ანუ კონკრეტული ნიშების არჩევის მოთხოვნა, რაც, პირველ რიგში, ნატო-ს რეაგირების ძალების (NATO Response Force) შექმნის გადაწყვეტილებასთან იყო კავშირში - სრულიად ლოგიკური იყო, რომ ნატო-ს ყოველ წევრს საკუთარი სპეციფიკური წვლილი შეეტანა ამ ძალებში. დოკუმენტში განისაზღვრა კონკრეტული უნარები, რომელთა არჩევა-გაძლიერება წევრების პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. ასეთებს განეკუთვნებოდა მართვა-კონტროლი-კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები, საწვავის მიწოდება ოპერაციის განხორციელებისას, საჰაერო სტრატეგიული ტრანსპორტირების საშუალებები თუ სხვა. მაგალითად, ვალდებულებების დანაწილების შედეგად, ჩეხეთის ნიშა ხდებოდა ნატო-ს კონტინგენტისათვის ბიოლოგიური და ქიმიური თავდაცვის ქვედანაყოფების მიწოდება.[292]

ნატო-ს პრაღის და, განსაკუთრებით, სტამბოლის სამიტებზე ნათლად გამოჩნდა, რომ ტერორიზმის საფრთხის ფონზე, უსაფრთხოება განხილული უნდა ყოფილიყო გლობალურ და არა რეგიონულ დონეზე. ამის დადასტურება იყო ალიანსის 2004 წლის სტამბოლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლითაც გაძლიერდა ნატო-ს პარტნიორული ურთიერთობები ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და დაიწყო თანამშრომლობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან. ეს გადაწყვეტილებები ასახავდა მოკავშირეების ხედვას, რომ გლობალური საფრთხეების ეპოქაში ნატო-ს ამოცანაა უსაფრთხოების პროექცირება არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ევროპის საზღვრებიდან მნიშვნელოვნად დაშორებულ რეგიონებშიც. ეს მიდგომა წარმოადგენს მნიშვნელოვან ცვლილებას ნატო-ს ტრადიციული, ევრო-ცენტრული ხედვისგან, რომელიც არსებობდა ალიანსში მისი შექმნის დღიდან და „ცივი ომის“

[292] NATO's Prague Capabilities Commitment, Congressional Research Service, RS21659, (22.07.2008), https://www.everycrsreport.com/reports/RS21659.html (07.08.2021);

შემდეგაც - ფაქტობრივად, სტამბოლის სამიტზე დასრულდა მუდმივი დავა იმის თაობაზე, უნდა იყოს თუ არა ნატო ჩართული მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე პროცესებში. ამ ცვლილების გარდაუვლობის თაობაზე განაცხადი ჯერ კიდევ 2002 წელს გააკეთა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ლორდმა რობერტსონმა: „უსაფრთხოების ახალი გარემო აღარ აძლევს მოკავშირეებს იმის ფუფუნებას, აწარმოონ თეორიული ბრძოლები თემაზე, თუ რა არის საზღვრებს შიგნით და რა - საზღვრებს გარეთ. ნატო-ს უნდა შეეძლოს მოქმედება ყველგან, სადაც ამას მოითხოვს ჩვენი უსაფრთხოებისა და ჩვენი მოსახლეობის დაცვის ამოცანა“.[293]

თუმცა, გეოგრაფიის ცვლილების მიუხედავად, არ შეცვლილა მოკავშირეთა მიდგომა, რომ უსაფრთხოების პროექცირება განუყოფლად არის დაკავშირებული ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებასთან. როგორც ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, იაპ დე ოოპ სხეფერმა სტამბოლში განაცხადა, „მოკავშირეები ვალდებულებას იღებენ, დაიცვან და გაავრცელონ საერთო ღირებულებები და ინტერესები როგორც ევროატლანტიკურ რეგიონში, ასევე მის გარეთაც“.[294]

პროცესი გაგრძელდა ტერორიზმისაგან დაცვის შესახებ ალიანსის ახალი სამხედრო კონცეფციის გამოქვეყნებით 2016 წელს.[295] მასში აღინიშნება, რომ ტერორიზმი ერთერთი მყისიერი ასიმეტრიული საფრთხეა ალიანსისა და მისი წევრებისათვის. კონცეფცია ანაცვლებს 2002 წლის ანალოგიურ დოკუმენტს და ის შესაბამისობაშია როგორც გაერო-ს გლობალურ კონტრ-ტერორისტულ სტრატეგიასთან, ასევე სხვა თემატურ საერთაშორისო დოკუმენტებთანაც. ამასთან, კონცეფციაში აქცენტი კეთდება ნატო-ს გამოცდილებაზე, უნარებსა და ექსპერტიზაზე ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. მთლიანობაში, კონცეფცია ქმნის კონტრ-ტერორიზმში ნატო-ს

[293] Lord George Robertson, „NATO: Vision for 2012“, Speech at NATO/GMFUS Conference (03.10.2002), http://www.nato.int/docu/speech/2002/s021003a.htm (23.09.2021);
[294] Jaap de Hoop Scheffer, Opening Remarks at the Meeting of the North Atlantic Council at the level of Heads of State and Government, Istanbul (28.06.2004), https://www.nato.int/docu/speech/2004/s040628a.htm (23.09.2021);
[295] Military Committee Concept for Counter-Terrorism, Final Decision on MC 0472/1 (06.01.2016), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_01/20160817_160106-mc0472-1-final.pdf (20.10.2021);

პოტენციური წვლილის განვითარების ჩარჩოს, პრინციპებსა და სამოქმედო გაიდლაინებს, რომლის აქცენტი ფოკუსირებულია ცნობიერების ამაღლებაზე, უნარების განვითარებაზე და მონაწილეობაზე. აღინიშნება, რომ შიდა კოორდინაციის მიზნით დანიშნული უნდა იყვნენ კონტრ-ტერორიზმის საკონტაქტო პირები ნატო-ს სარდლობებსა და ძალთა სტრუქტურებში. დანარჩენი, ანუ კონკრეტული დეტალები, უკვე კლასიფიცირებული დოკუმენტების სფეროა.

მთლიანობაში, როგორიც არ უნდა იყოს მოსაზრებები ავღანეთის ოპერაციის შედეგების, ან ერაყის მეორე ომის დაწყების მიზეზების და ამ ომში შეერთებული შტატების მოქმედებების თაობაზე, თვით ისეთი ინტერპრეტაციებიც კი, რომელთა საფუძველი არა აშშ-ს თუ ნატო-ს ოფიციალური დოკუმენტები, არამედ ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა, ჟურნალისტთა ან ანალიტიკოსთა შეფასებებია, ვერ უარყოფს რეალობას, რომ ბუშის უნილატერალიზმის ეპოქაშიც აშშ განაგრძობდა ზრუნვას ალიანსის ერთიანობაზე და კოოპერატიული უსაფრთხოების პრინციპების გავრცელების გზით, მეტი სტაბილურობისა და დემოკრატიის მშენებლობას ისახავდა მიზნად როგორც ევროატლანტიკურ რეგიონში, ისე მის პერიფერიაზე. თუმცა, სამწუხაროდ, დღევანდელი გადასახედიდან ამ მცდელობების შედეგი არც თუ იმედისმომცემად გამოიყურება - აღმოსავლური ნაციონალიზმი და ფუნდამენტალიზმი ბევრად უფრო კომპლექსური აღმოჩნდა, ვიდრე ეს კოლექტიურ ვოლფოვიცს წარმოედგინა. 2011 წელს დაწყებული იმედისმომცემი „არაბული გაზაფხული“ სირიაში სამოქალაქო ომით და ე.წ. ისლამური ხალიფატის ტერორისტული ანკლავის წარმოქმნით გაგრძელდა; ეგვიპტეში ძალაუფლება ისევ სამხედროებმა აიღეს ხელში; ავღანეთის ხელისუფლებაში დაბრუნდა თალიბანი; წლებია, გრძელდება ქაოსი და ჰუმანიტარული კატასტროფა როგორც ლიბიაში, ისე იემენში.

მაგრამ, ამის მიუხედავად, არ არსებობს ტერორთან, ადამიანთა პოლიტიკურ რეპრესირებასა და ჩაგვრასთან ბრძოლის სხვა, უფრო ეფექტური მექანიზმი, ვიდრე ნატო-ს, ევროპის კავშირისა და უშუალოდ შეერთებული შტატების მოქმედებებია. ცხადია, ეს არ უარყოფს დასავლეთის შეცდომებს, არასწორ ძალებსა და აქტორებზე

დაყრდნობას ავღანეთსა თუ ერაყში. მაგრამ, ვფიქრობ, ოპტიმალური გამოსავალი ისევ ნატო-ს 90-იან წლებში შემუშავებული მიდგომების მოდერნიზაციაში მოსჩანს - კერძოდ, ძნელია რაიმე ალტერნატივის მოძებნა სუსან ულგენის და კან კასაპოღლუს რეკომენდაციებისათვის, რომლებიც, ნატო-ს ბოლოდროინდელ სტრატეგიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, ალიანსის კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის უფრო ენერგიულ განვრცობას ითხოვენ სამხრეთ ფლანგზე, ანუ ახლო აღმოსავლეთში. მათი რეკომენდაციები ნატო-ს ახლო აღმოსავლური სტრატეგიისათვის ეყრდნობა რეგიონის გამოწვევების ანალიზს და ითხოვს ალიანსის მეტ ჩართულობას - მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლით დაწყებული და ადგილობრივ სახელმწიფოთა არშემდგარობის წინააღმდეგ ზომების მიღებით დამთავრებული.[296]

ავღანეთისა და ერაყის მაგალითი, მთელი ახლო აღმოსავლური დრამა და ნატო-ს ცალკეული წევრებისა თუ თავად ალიანსის მონაწილეობა მასში, მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლა არ ყოფილა. ოპონენტების თვალში, ევრო-ამერიკული სამყაროს მიმართება როგორც ამ ოპერაციებთან, ისე შემდგომ რეგიონალურ მოვლენებთან სრულიად სხვაგვარად აღიქმებოდა, რასაც კიდევ ერთი გლობალური გამოწვევის, ჰიბრიდული ომების კონტექსტში შევეხები. მაგრამ, მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად ნატო-ს კიდევ ერთი ტრანსფორმაციისა, რაც რუსული რევიზიონიზმის მიზეზით მოხდა და ჰიბრიდულ საფრთხეებს დაუკავშირდა, ტერორიზმის პრობლემა კვლავაც რჩება ალიანსის პრიორიტეტულ საზრუნავად.

5.2. ნატო ჰიბრიდული საფრთხის პირისპირ:

აკადემიური დისკუსია ჰიბრიდულ ომზე, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების ახალ გამოწვევაზე, 21-ე საუკუნეში დაიწყო. ეს დისკუსია იმთავითვე აშშ თავდაცვის ისტებლიშმენტთან იყო დაკავშირებული, ხოლო თავად ტერმინის შემოღება ყოფილ

[296] Sunan Ulgen and Can Kasapoglu, "A Threat-based strategy for NATO's Southern Flank", Carnegie Europe, Carnegie Endowment for International Peace (10.06.2016), https://carnegieeurope.eu/2016/06/10/threat-based-strategy-for-nato-s-southern-flank-pub-63785 (13.09.2020);

საზღვაო ქვეითს, საგარეო პოლიტიკის კვლევების ინსტიტუტის მრჩეველთა საბჭოს წევრს და ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის აკადემიის მკვლევარს, ფრენკ ჰოფმანს მიეწერება. ტერმინის უკან იგულისხმება მოსაზრება, რომ 21-ე საუკუნის შეიარაღებული კონფლიქტები აღარ ექვემდებარება მარტივ დიქოტომიას - დიდი და კონვენციური, ან პატარა და არარეგულარული.[297] ჰოფმანი აგრეთვე ასკვნიდა, რომ მატულობს პოტენციალი ისეთი კონფლიქტებისათვის, რომელშიც ქრება სხვაობა ომსა და მშვიდობას, მებრძოლსა და სამოქალაქო პირს შორის; რომ ნაცვლად განცალკევებული მეტოქეებისა თავიანთი ფუნდამენტურად განსხვავებული მიდგომებით (კონვენციური, არარეგულარული თუ ტერორისტული), შეერთებული შტატები უნდა ელოდოს მეტოქეებს, რომლებიც ომის ყველა ფორმასა და ტაქტიკას ერთდროულად გამოიყენებენ; რომ მომავალი ომის ტაქტიკაში შეიძლება კრიმინალური აქტივობაც იქნას შეტანილი, რადგან იგი ძირს უთხრის სამიზნე ქვეყნის ლეგიტიმურობას.[298]

ჰოფმანი ხაზს უსვამდა, რომ ჰიბრიდული საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორებისაგან. მაგალითისთვის იგი ანალიზებდა ისრაელის წინააღმდეგ ორგანიზაცია ჰესბოლას მოქმედებებს, თუმცა გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მსგავსი ჰიბრიდული ტაქტიკა რიგ სახელმწიფოებსაც მიიზიდავდა. ყოველივე ეს კი გარდაუვალს გახდიდა ამერიკისა და მთლიანად დასავლეთის შეიარაღებული ძალების სტრუქტურის, ოპერატიული მართვის, კონტროლის, წრთვნისა და განათლების მეთოდების მნიშვნელოვან ცვლილებებს.[299]

---

[297] Frank G. Hoffman, "Conflicts in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars", Potomac Institute for Policy Studies (December 2007), https://www.potomacinstitute.org/images/stories/publications/potomac_hybridwar_0108.pdf (05.11.2020): 5;

[298] Frank G. Hoffman, "Conflicts in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars", Potomac Institute for Policy Studies (December 2007), https://www.potomacinstitute.org/images/stories/publications/potomac_hybridwar_0108.pdf (05.11.2020): 7;

[299] Frank G. Hoffman, "Conflicts in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars", Potomac Institute for Policy Studies (December 2007), https://www.potomacinstitute.org/images/stories/publications/potomac_hybridwar_0108.pdf (05.11.2020): 8-9;

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედ თუ პოტენციურ მეტოქეთა კომბინირებული, ჰიბრიდული მოქმედების შესაძლებლობათა შესახებ იმჟამინდელი აშშ-ს სამხედრო-სტრატეგიულ დოკუმენტებშიც იყო საუბარი, ჰიბრიდული ომის თუ საფრთხეების თემა კიდევ რამოდენიმე წელი არ გახდა ნატო-ს სტრატეგიული აზროვნების ბირთვი. თავად ჰოფმანი ნაკლებად საუბრობდა ომის ამ ფორმის ეკონომიკურ და ინფორმაციულ ასპექტებზე. და, რაც მთავარია, ეს ყოველივე ჯერ კიდევ არ ასოცირდებოდა რუსულ სამხედრო-სტრატეგიულ გეგმებთან, რასაც შეეძლო ალიანსის დამოკიდებულებებისა და საფრთხეთა ინვენტარიზაციის რადიკალურად შეცვლა.

არ შევალ წმინდა აკადემიურ დავაში იმის შესახებ, თუ რა არის ჰიბრიდულ ომში ნამდვილად თანამედროვე და რა არის ისეთი, რაც საუკუნეთა სიღრმეებში იღებს სათავეს. მომრავლებულ ნაშრომებში ჰიბრიდული ომის შესახებ ამ საკითხის თაობაზე თანხმობა არ არის და ეს დავა სცილდება კვლევის ამოცანებს. რაც ამ ნაშრომისთვის აქტუალურია, გახლავთ ფაქტი, რომ, მიუხედავად ევროპაში ნატო-ს მიერ გატარებული კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკისა და რუსეთის მიერ დემოკრატიის თუ საბაზრო ეკონომიკის რიგი პრინციპების გაზიარებისა, ამ უკანასკნელის პოლიტიკურ და სამხედრო ელიტაში თანდათან მატულობდა რესენტიმენტი, საერთაშორისო უსაფრთხოებითი არქიტექტურის რევიზიის სურვილი. ფორმა კი, რომლითაც ეს სურვილი საბოლოოდ სიტყვიდან საქმედ იქცა, სწორედ ჰიბრიდული აღმოჩნდა.

რუსული წუხილებისა და რევიზიონიზმის ნიშნები ჯერ კიდევ მაშინ იჩენდა თავს, როდესაც ნატო „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას ნერგავდა და რუსეთის ფედერაცია, როგორც სსრკ-ს მემკვიდრე, ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს, შემდეგ კი ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი ხდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1992 წელს პრეზიდენტი ელცინი აცხადებდა, რომ რუსეთიც შეიძლებოდა გამხდარიყო ნატო-ს წევრი. მაგრამ იმავე 1992 წლის დეკემბერში, ეუთო-ს მინისტერიალზე სტოკჰოლმში, რუსეთის ფედერაციის პროდასავლელ ლიბერალად ცნობილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი

კოზირევმა იმ რუსული ოპოზიციის მიდგომები გაახმოვანა, რომლის გავლენა ქვეყანაში დღითიდღე იზრდებოდა. კერძოდ, კოზირევმა განაცხადა, რომ რუსეთი ყველა საშუალებით დაიცავდა თავის ინტერესებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და მოუწოდა დასავლეთს, შეეწყვიტა საუბარი სერბეთთან სანქციების ენით. ოდნავ მოგვიანებით, კოზირევმა განმარტა, რომ ამ სიტყვით მან არა საკუთარი შეხედულებები, არამედ მზარდი რუსული რეაქციონერი ოპოზიციის მოსაზრებები გამოხატა და ისიც - „რბილად“.[300]

მაგრამ, დამოუკიდებლად იმისგან, იყვნენ თუ არა თავად ელცინი და კოზირევი რუსული იმპერიული რევიზიონიზმის ახალი ტალღის გაჩენის ინიციატორები, თუ უბრალოდ არ/ვერ უძალიანდებოდნენ ე.წ. წითელ-ყავისფერ პოლიტიკურ წრეებს, რუსი სამხედროები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე წარმოქმნილ ომებში და უფრო მეტიც, ხშირად თავად ახდენდნენ ამ ომების პროვოცირებას; რუსეთი ოპონირებდა ნატო-სთან ბალკანეთში; მოსკოვი მზარდი ეჭვით უყურებდა ალიანსის გაფართოებას და ცდილობდა შეწინააღმდეგებას ცენტრალური ევროპის ნატო-ში გაწევრიანების საქმეში.

ვერ ვიტყვით, რომ ალიანსი თუ უშუალოდ შეერთებული შტატები საერთოდ არ იჩენდა ინტერესს რუსეთის უშუალო სამეზობლოს მიმართ - სხვაგვარად, ეს კოოპერატიული უსაფრთხოების პრინციპებიდან გადახვევა იქნებოდა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველო - იმ პერიოდის ერთერთი ყველაზე პრობლემური ქვეყანა, სადაც სრულმასშტაბიანი სამოქალაქო და ეთნიკური დაპირისპირებები მიმდინარეობდა - გახდა როგორც ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი, ასევე „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრემის მონაწილე. მაგრამ ეს ინტერესი მეტწილად სწორედ ასეთი, ფორმალური თანამშრომლობით შემოიფარგლებოდა - იმავე საქართველოში, რუს სამხედროებს სრული კონტროლი ჰქოდათ აღებული კონფლიქტების მიმდინარეობაზე ე.წ.

[300] Norman Kempster, “Just Kidding, Russian Says After Cold War Blast Stuns Europeans”, Los Angeles Times (15 December 1992), https://www.latimes.com/archives/la-xpm-1992-12-15-mn-2214-story.html (23.09.2020);

მშვიდობისმყოფელობის სტატუსის საფარქვეშ,[301] რაც არც შეერთებულ შტატებს გაუპროტესტებია საკითხის გაერო-ს უშიშროების საბჭოში განხილვის დროს. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთს და ნატო-ს მაშინ არ ეცალა საქართველოსათვის - მოსაგვარებელი იყო ცენტრალური და სამხრეთ ევროპის საქმეები. რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა სივრცეს, აქ დასავლეთის ინტერესს ძირითადად საბჭოთა ბირთვული არსენალის მემკვიდრე ქვეყნებთან თანამშრომლობა და მათი ტერიტორიიდან ბირთვული შეიარაღების გატანა წარმოადგენდა. იმავე შეერთებული შტატების ისტებლიშმენტშიც ძლიერი რჩებოდა რუსეთთან პარტნიორობის გაღრმავების სურვილი.

თუმცა 1996-1997 წლებიდან ვითარებამ თანდათანობით შეცვლა დაიწყო: საქართველო ჯერ რუსმა მესაზღვრეებმა დატოვეს და ქვეყანა ნატო-ს წევრ თურქეთს შუამავლების გარეშე დაუმეზობლდა. როგორც უკვე ვახსენეთ, 1999 წელს, ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე, ამერიკელთა დახმარებით, საქართველომ რუსული ბაზების დახურვის პირობა მიიღო. საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი აცხადებდა, რომ ქვეყანა საკუთარი უსაფრთხოების სისტემის დამოუკიდებლად კონტროლს იწყებდა.[302] შეერთებული შტატების დახმარებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო შეიარაღებული ძალების მანამდე უპრეცენდენტო „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა. 2002 წელს, ნატო-ს პრაღის სამიტზე, ქვეყნის იმჟამინდელი პრეზიდენტი შევარდნაძე, რომელიც მანამდე სიფრთხილითა და ბალანსირებული პოლიტიკით გამოირჩეოდა, ნატო-ს კარზე დაკაკუნებაზე ალაპარაკდა.[303]

---

[301] ერთმა მაშინდელმა ქართველმა პარლამენტარმა საინტერესო კალამბური მოიფიქრა ინგლისურ ენაზე: “Russian peace keeping is keeping pieces of the empire” (“რუსული მშვიდობისმყოფლობა იმპერიის ნაწილთა შენარჩუნებაა”).

[302] დავით დარჩიაშვილი, *პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი* (თბილისი: თსუ, 2000): 202;

[303] როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის თანამშრომელი, 1998 წლიდან უშუალოდ ვმონაწილეობდი იმ დროს დაწყებულ აშშ-საქართველოს უსაფრთხოების საკითხებზე დიალოგის შეხვედრებში. სწორედ ამ ფორმატში განიხილებოდა „წვრთნა და აღჭურვის“ პროგრამა, ისევე, როგორც საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის მოლაპარაკებების მდგომარეობა და,

მაგრამ, მიუხედავად ამ დადებითი ტენდენციებისა, ანუ რუსეთის ერთგვარი დათმობებისა ნატო-ს კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის წინაშე უკვე უშუალოდ პოსტ-საბჭოთა სივრცეშიც, რაც პრეზიდენტ ბუშის ტერორთან ომის დროს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, არ ნელდებოდა ამ პროცესის საწინააღმდეგო იმპულსებიც. უკვე ვახსენე რუსეთის მწვავე რეაქცია ნატო-ს მიერ ბელგრადის დაბომბვაზე. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა რენდ კორპორაციის 2017 წლის ანალიზი, რომლის თანახმადაც, 1999 წლის 24 მარტს დაწყებულმა ოპერაციამ ნატო რუსების მნიშვნელოვანი ნაწილის თვალში პარტნიორიდან ექსპანსიონისტურ ალიანსად აქცია. დასავლეთისათვის კოსოვო, პირველ რიგში, ჰუმანიტარული საზრუნავი იყო, თუმცა, ძალადობის ესკალაცია კოსოვოში ემუქრებოდა ბოსნიის მყიფე მშვიდობას და ნიშნავდა კონფლიქტის მაკედონიაში გავრცელებას. ნატო-ს აწუხებდა თავისი სამშვიდობო ძალები ბოსნიაში და დევნილთა ახალ კრიზისი. მაგრამ რუსებს საერთოდ სხვა ხედვა ჰქონდათ.[304] რუსეთის მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, პრეზიდენტ ელცინს არ სურდა განხეთქილება დასავლეთთან, მაგრამ რუსეთში ბევრი თვლიდა, რომ ნატო რუსეთსაც სერბეთივით მოექცეოდა და ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტსაც ასე გადაწყვეტდა. რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი არბატოვი აცხადებდა, რომ „დღეს - სერბეთი, ხვალ - რუსეთი“ რუსეთში მთავარი ლოზუნგი უნდა გამხდარიყო.[305]

საბოლოო ჯამში, რუსეთის მთავრობამ ვერ მოახერხა რაიმე მნიშვნელოვანი როლის შესრულება კოსოვოს კრიზისის დროს. მიუხედავად იმისა, რომ როდესაც საქმე ნატო-ს ინტერვენციამდე მივიდა, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ეს აქტი გენოციდად მონათლა და ნატო-ს ლიდერებს „სამხედრო

სხვა საკითხთა შორის, საქართველოსა და ნატო-ს შორის თანამშრომლობის ინტენსიფიკაციაც.

[304] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021);

[305] Алексей Арбатов, „Россия больше не может всегда идти за Западом“, „Сегодня“ (22.04.1999), https://www.yabloko.ru/Publ/Articles/arbat-34.html (17.04.2021);

დამნაშავეები“ უწოდა, ხოლო საჰაერო კამპანიის დასრულების შემდეგ, როდესაც სერბეთი დათანხმდა კოსოვოში ნატო-ს ჯარების განლაგებაზე, 200 რუსი ჯარისკაცი, რომლებიც ბოსნიაში, ნატო-ს კოოპერატიული მიდგომის ფარგლებში, ალიანსის ძალებთან ერთად მშვიდობისმყოფელთა როლს ასრულებდა, მოულოდნელად კოსოვოში შეიჭრა. ამ რაზმმა პროვინციის მთავარი აეროპორტი დაიკავა. დაძაბულობა მალე განიმუხტა, თუმცა ამერიკელ და რუს სამხედროთა შეჯახება ძლივს იქნა თავიდან აცილებული.

გარკვეული ვადით, რუსეთმა „გაყინა“ ურთიერთობა ნატოსთან.[306] ვითარების ქაოტურობასა და არაპროგნოზირებადობაზე ისიც მეტყველებდა, რომ სერბეთის წინააღმდეგ ნატო-ს სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობის დროს, 10 აპრილს, რუსეთ-უნგრეთის საზღვარს მიადგა ბელორუსული და რუსული სამხედრო ქვედანაყოფების კოლონა, რომლის მეთაურებიც ითხოვდნენ სერბეთისკენ გატარებას და აცხადებდნენ, რომ დანიშნულების ადგილზე ჰუმანიტარული ტვირთი მიჰქონდათ. მოგვიანებით, რუსულ-უნგრული ინციდენტი განმეორდა, როდესაც რუსეთმა უნგრეთის საჰაერო სივრცის გამოყენება მოითხოვა. ცოტა ხანში გაირკვა, რომ 6 რუსულ თვითმფრინავს კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში, ასევე შეუთანხმებლად, 600 რუსი ჯარისკაცი უნდა გადაეყვანა.[307]

საბედნიეროდ, 1999 წლის ეს ინციდენტები მშვიდობიანად სრულდებოდა. ასევე არ მოჰყოლია რაიმე სერიოზული და ხანგრძლივვადიანი გართულება ბალტიის ქვეყნების ნატო-ში ინტეგრაციას. თუმცა, თავდაპირველად, ეს თემაც მწვავე რუსული რეაქციებით იყო დაღდასმული. უფრო მეტიც - 1990-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა, არ დაეშვა ნატო-ს გაფართოება

[306] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021): 77-78;

[307] László Valki, “Hungary’s Road to NATO”, The New Hungarian Quarterly 40 (154) (June 1999), https://www.researchgate.net/publication/298817383_Hungary's_road_to_NATO (10.03.2020): 3-19;

ბალტიის რეგიონში, ხოლო 1998 წელს პრეზიდენტმა ელცინმა ალიანსში ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის გაწევრიანება იმ „წითელ ხაზად“ გამოაცხადა, რომელიც დასავლეთს არ უნდა გადაეკვეთა.[308]

პრეზიდენტ ელიცინის მემკვიდრემ, ვლადიმერ პუტინმა, დასაწყისისათვის რიტორიკის შეცვლა და უფრო პრაგმატული პოზიციის დაკავება არჩია. მისი მიზანი დასავლეთის მთავრობებზე, განსაკუთრებით აშშ-ზე, ანტიტერორისტულ ომში კონტრიბუციით შთაბეჭდილების მოხდენა იყო, რათა ჩეჩნეთის ომიც ამ გლობალური პროცესის ნაწილად აღქმულიყო. ამ მხრივ, რუსეთმა მართლაც მიაღწია გარკვეულ წარმატებას. ბალტიის ქვეყნების ნატო-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, რომელიც 2004 წელს განხორციელდა, ოფიციალური მოსკოვი მხოლოდ იმას ითხოვდა, რომ ამ ტერიტორიაზე ალიანსს ძალთა განლაგება შეეზღუდა. თუმცა ეს რუსული მცდელობაც მარცხით დამთავრდა, რამაც მალე წვლილი შეიტანა ნატო-რუსეთის ურთიერთობათა ხელახალ და უფრო რადიკალურ გაუარესებაში.[309]

რუსული ელიტის მიდგომების ცვლილებაში, რომელმაც მიგვიყვანა ნატო-რუსეთის ურთიერთობების გაცივებასა და, არსებითად, ჰიბრიდული ომის საფრთხის ევროპის კონტინენტზე წარმოშობაში, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს და უკრაინის მოვლენებს. იგულისხმება დემოკრატიული, ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ ახალი ტალღა, რომლის გამომწვევი პოსტ-საბჭოური პოლიტიკური სისტემების არადემოკრატიული, არაეფექტური და კორუფციული ბუნება იყო. ამასთან, ხელისუფლებაში მოსული ახალი ქართული და უკრაინული პოლიტიკური ძალები გამოხატავდნენ რუსული რეზიდუალური გავლენებისაგან თავის დაღწევის,

[308] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021): 83-84;

[309] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021): 82-84;

მკაფიოდ დასავლური ტიპის ქვეყნის აშენებისა და და ევროატლანტიკურ სივრცეში სრულად ინტეგრაციის ღია სურვილს.

კრემლის ელიტას კი, რომელიც სულ უფრო სცილდებოდა მართვის ლიბერალურ-დემოკრატიულ სტანდარტებს და რომელშიც განუხრელად მატულობდა ძველი საბჭოთა გავლენების დაბრუნების სურვილი, სამეზობლოში განვითარებული მოვლენები მისი ინტერესებისთვის საფრთხის შემცველად მიაჩნდა ორი ძირითადი მიზეზის გამო:

1. რუსეთი თავად ყალიბდებოდა სსრკ-ს მემკვიდრე პატრიმონიალურ თუ პატრონულ რეჟიმად, რომლის მთავარი ნიშნებია: სახელმწიფოს პრივატიზაცია თავისი ინსტიტუტებით, პირველ რიგში, ძალოვანი და უსაფრთხოებითი სტრუქტურებით („სახელმწიფოს მიტაცება“); ამ ინსტიტუტების გამოყენება კერძო ჯგუფური, მერკანტილური ინტერესებისათვის; არჩევნების, როგორც ინსტიტუტის შენარჩუნება, მაგრამ იმის უზრუნველყოფა, რომ არჩევნებში ყოველთვის „სწორი ხალხი“ იმარჯვებდეს; ძალაუფლების სხვადასხვა შტოების მხრიდან ერთმანეთის ბალანსისა და შეკავების ნაცვლად, არსებითად, ერთიანი სახელისუფლო პირამიდის მშენებლობა, რომელშიც მთავარი პერსონალური, პატრონ-კლიენტური კავშირებია. ასეთი იყო რუსეთი და ასეთივე იყო პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმეტესობაც.[310] შესაბამისად, რუსეთის მმართველ ელიტას არ სურდა, რომ უახლოეს სამეზობლოში ამ სისტემას ალტერნატივა გასჩენოდა. დემოკრატიული ექსპერიმენტები საქართველოსა და უკრაინაში მისთვის სარისკო და მიუღებელ პრეცედენტებს ქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული და დასავლური რეფორმების გზა ცოტათი ადრე ბალტიის ქვეყნებმაც გაიარეს, ამ მხრივ, მოსახლეობის აღქმა სხვაგვარი იყო - რუსებისა და საბჭოთა მოქალაქეების დიდი ნაწილისათვის ბალტიის ქვეყნები ყოველთვის იყო მენტალურად არასაბჭოთა და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული გამონაკლისი. ამიტომ, ამ სახელმწიფოებში მიმდინარე

[310] პოსტ-საბჭოთა სამყაროს მსგავსი ანალიზისათვის საინტერესოა Henry E. Hale, *Patronal Politics, Eurasian Regime Dynamics in Comparative Perspective* (Cambridge: Cambridge University Press, 2015);

ცვლილებები რუსი ხალხისათვის ნაკლებად გამოდგებოდა მიბაძვის, ან ინსპირაციის წყაროდ. მაგრამ, იგივე ცვლილებები რუსეთივით მართლმადიდებლურ საქართველოში და, განსაკუთრებით, უკრაინაში, სულ სხვანაირად რეზონირებდა და რუსულ პოლიტიკურ ელიტას საკუთარ მამულში დემოკრატიზაციის აჩრდილით აშინებდა;

2. საქართველოს და უკრაინის დემოკრატიზაციის პროცესებს, რომლებიც 2003 და 2004/5 წლებში რევოლუციურად განვითარდა, მიესალმა როგორც აშშ, ისე ევროპის კავშირი. გატარებული რეფორმების შედეგად, მკვეთრად გაიზარდა ამ ქვეყნების ავტორიტეტი და მათი მხარდაჭერა დასავლური სამყაროს მხრიდან, პრეზიდენტმა ბუშმა საქართველოს „დემოკრატიის შუქურაც“ კი უწოდა. რევოლუციური დემოკრატიული გარდაქმნების წყალობით, არამხოლოდ უკრაინა და საქართველო, არამედ, ამ უკანასკნელის დამსახურებით, მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონიც ევროპის კავშირის სამეზობლო პოლიტიკისა და ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმების მონაწილე გახდა. შესაბამისად, გაიზარდა რუსეთის შიში, რომ მისი ტრადიციული გავლენის ზონაში შეერთებული შტატები და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შემოდიოდა. უფრო მეტიც - ბევრი რუსი პოლიტიკოსი და ანალიტიკოსი საქართველოსა და უკრაინას განიხილავდა, როგორც დასავლეთის „ტროას ცხენს“, რომლის მიზანიც იყო პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში არსებული რეჟიმების შეცვლა „ფერადი რევოლუციების“ გზით, რუსეთის გარშემორტყმა დასავლეთისგან მხარდაჭერილი მთავრობებით, შედეგად, რეგიონში ნატო-სა და შეერთებული შტატების გავლენის ზრდა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება, რასაც, თავის მხრივ, მოყვებოდა თავად რუსული რევოლუცია და ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა.

უსაფრთხოების სფეროს ზოგიერთი მკვლევარის აზრით, რუსეთისათვის პოსტ-საბჭოეთში ექსკლუზიური გავლენის ზონის ფლობა დიდი სახელმწიფოს პრესტიჟის შენარჩუნების საშუალება იყო.[311] აქედან გამომდინარე, კრემლსა თუ მისი

[311] Barry Buzan, and Ole Waewer, *Regions and Powers, The Structure of International Security*, (Cambridge: Cambridge University Press, 2003): 410;

ინტერესების დამცველ რუსულ ინტელექტუალურ წრეებში სულ უფრო მტკიცდებოდა კონსპიროლოგიური აზრი, რომ რუსეთის პრობლემა ტოტალიტარიზმიდან დაუსრულებელი ტრანზიცია, მუდმივ წრეზე ტრიალი, რეფორმების ნაკლებობა და არასწორი შიდა განვითარება კი არ იყო, არამედ დასავლეთის შეთქმულება რუსული „ძერჟავის“ წინააღმდეგ, მისი მაქსიმალური დამცრობისა და დასუსტების მიზნით. უკვე ციტირებული რენდ კორპორაციის ანგარიშში აღინიშნება, რომ: „ ... რუსეთი ვერ ხედავს მკაფიო ზღვარს რიგ პოლიტიკურ აქტივობებსა (მაგ. დემოკრატიის ხელშეწყობა) და უფრო ფართო სტრატეგიულ საკითხებს შორის და მიიჩნევს, რომ აშშ და ნატო იყენებენ ასეთ აქტივობებს რუსეთისათვის მუქარის შესაქმნელად“.[312]

რუსული რევიზიონიზმისა და საერთაშორისო არენაზე მისი აგრესიულობის ზრდის ეს ორი მიზეზი ერთმანეთს ერწყმოდა: რუსეთის ელიტას აშინებდა როგორც უშუალო სამეზობლოს დემოკრატიზაცია, ისე ნატო-ს გაფართოება და ეს ყოველივე ერთიან, ანტირუსულ გეგმად თუ საფრთხედ მიაჩნდა. როგორც აღვნიშნე, ამგვარი მსოფლხედვის კატალიზატორი სწორედ ქართულ-უკრაინული პროცესები გახდა. რუსეთი მთლიანობაში შეეგუა ბალტიის ქვეყნების ნატო-ში ინტეგრაციას, მაგრამ დანარჩენ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში იგი თავის ინტერესებს მეტი ენერგიით იცავდა - მოსკოვმა გადაწყვიტა, არ დაეშვა დასავლეთის შეღწევა იმ ტერიტორიებზე, რომელსაც საკუთარ „ისტორიულ სივრცედ“ აღიქვამდა.[313]

პრეზიდენტ პუტინისა და მისი გარემოცვის რიტორიკაში ანტიდასავლური ინტონაციების მატება 2005 წლიდან იწყება. რეზონანსული გახდა პუტინის აპრილის

[312] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021): 30;

[313] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021): 30;

მიმართვა ფედერალური ასამბლეისადმი, რომლის ფარგლებშიც, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირის დაშლა გეოპოლიტიკურ კატასტროფად მონათლა.[314] 2006 წლის დასაწყისში საჯარო გახდა კრემლის კონცეფცია იმის შესახებ, რომ რუსეთი „სუვერენული დემოკრატიაა“. რუსეთის ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკურ ოპონენტთა გახშირებული რეპრესიების ფონზე, ამ ტერმინით აპელირება იყო სიგნალი დასავლეთისათვის: რუსეთის დემოკრატიის მდგომარეობა მოცემულობაა და ამ მტკიცებულების შემოწმების, ან მისი შეცვლის მცდელობები აღქმული იქნება, როგორც არამეგობრული ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში.[315]

კიდევ უფრო რეზონანსული გამოდგა 2007 წელი. მიუნჰენის ტრადიციულ უსაფრთხოების კონფერენციაზე პრეზიდენტ პუტინის გამოსვლა შოკისმომგვრელი აღმოჩნდა დასავლელი პოლიტიკოსებისა და აკადემიური წრეებისათვის. პუტინმა არამხოლოდ დემონსტრატიულად უგულვებელყო დასავლური წუხილები რუსული დემოკრატიის ხარისხის შესახებ, არამედ პირიქით, შეტევაზე გადავიდა და დაადანაშაულა აშშ უნიპოლარული მსოფლიოს შენებაში.[316] კიდევ უფრო აგრესიული გახდა მოსკოვი 2008 წლიდან, როდესაც პრეზიდენტ პუტინს საჯაროდაც არ დაუმალავს უკიდურესი გაღიზიანება კოსოვოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების გამო და განაცხადა, რომ ამ მოვლენის საპასუხოდ, რუსეთს უკვე მომზადებული აქვს „საშინაო დავალება“ („Домашние заготовки“).[317]

2008 წლის გაზაფხულზე, ბუქარესტში ნატო-ს სამიტის პარალელურად ჩატარებულ ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე ჩასული პუტინი უფრო კონსტრუქციული ჩანდა,

---

[314] “Putin: Soviet Collapse a “Genuine Tragedy””, NBC News (25.04.2005), https://www.nbcnews.com/id/wbna7632057 (15.02.2021);

[315] Masha Lipman, “Putin’s “Sovereign Democracy”, The Washington Post (15 July 2006), https://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2006/07/14/AR2006071401534.html (03.11.2020);

[316] “Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy” (10.02.2007), President of Russia E-Library, http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034 (20.04.2021);

[317] „Путин: у России есть домашние заготовки в ответ на отделение Косово“, „Новый День“ (14.02.2008), https://newdaynews.ru/policy/164382.html (02.03.2021);

რაც ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა აღნიშნა კიდეც. მაგრამ, ამ ღონისძიებაში მისი პერსონალური მონაწილეობა ნიშნავდა, რომ რუსეთი კვლავინდებურად ოპონირების რეჟიმში იმყოფებოდა ნატო-სთან, ამჯერად, პოლონეთსა და ჩეხეთში ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის განლაგებისა და საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივების გამო.[318] ბუქარესტის სამიტის შედეგები ცნობილია - ნატო-ს სამიტის საბოლოო გადაწყვეტილებაში ვერ აისახა ამერიკის უკვე წარმავალი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის წინადადება საქართველოსა და უკრაინისთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭებაზე, მაგრამ დაფიქსირდა ალიანსის პოზიცია და ვალდებულება, რომ ეს ქვეყნები ნატო-ს წევრები გახდებოდნენ.[319] რუსი ანალიტიკოსის, დიმიტრი ტრენინის აზრით, ასეთმა გადაწყვეტილებამ ვერავინ დაამშვიდა, თბილისიც და მოსკოვიც ამ კომპრომისს დროებით მოვლენად და მყიფე დაზავებად განიხილავდნენ, რომელიც დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.[320]

მაგრამ, ლოგიკურად, ნებისმიერ დაზავებას წინ ომი უნდა უძღოდეს. რა ომზე შეიძლება იყოს საუბარი და რას გულისხმობს ტრენინის ლოგიკა? სამწუხაროდ,

---

[318] David Darchiashvili, "Russo-Georgian War of August 2008: Clash of Ideologies and National Projects in the Era of Hybrid Warfare", Sojateadlane (Estonian Journal of Military Studies), Vol. 7 (July 2018), www.ksk.edu.ee/teadus-ja-arendustegevus/publikatsioonid (15.11.2020): 16-17;

[319] ნაშრომის მესამე თავში უკვე ნახსენები მაქვს ბუქარესტის სამიტის წინ აშშ-სა და გერმანიის პოზიციებს შორის არსებული განსხვავებები. აქ დავამატებ მხოლოდ იმას, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის, მეთიუ ბრაიზას მიერ ჩემთვის მოთხრობილი ისტორიის თანახმად, ბუქარესტის სამიტის პირველ დღეს ბრაიზას პირადად უთხრა პრეზიდენტმა ბუშმა, რომ მას ძალიან აწუხებდა კანცლერ მერკელის წინააღმდეგობა და ღელავდა, რომ ვერ შესძლებდა გერმანული მხარის დათანხმებას გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე. სამწუხაროდ, ასეც მოხდა - ვერც პირველი პირების მოლაპარაკებებმა სამიტის პირველ საღამოს, ვერც დელეგაციების მუშაობამ მთელი ღამის განმავლობაში შედეგი ვერ მოიტანა. მხოლოდ დილით, სამიტის შედეგების ოფიციალურად გასაჯაროებამდე სულ ცოტა ხნით ადრე შეთანხმდა კომპრომისული ფორმულირება პირადად პრეზიდენტებს ბუშს, კაჩინსკის, ბასესკუს და კანცლერ მერკელს შორის;

[320] David Darchiashvili, "Russo-Georgian War of August 2008: Clash of Ideologies and National Projects in the Era of Hybrid Warfare", Sojateadlane (Estonian Journal of Military Studies), Vol. 7 (July 2018), www.ksk.edu.ee/teadus-ja-arendustegevus/publikatsioonid (15.11.2020): 17;

თავად ტრენინი არ საუბრობს მისი შეფასების დეტალებზე, მაგრამ ვფიქრობ, აქ არ იგულისხმება მხოლოდ უშუალოდ ნატო-ში ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული დიპლომატიური ბრძოლა.[321] მიმაჩნია, რომ თუ 2008 წლის აგვისტოს რუსულ-ქართულ ომს რაიმე სხვა ომი უძღოდა წინ, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 12 აგვისტოს შეთანხმების შემდეგაც გაგრძელდა, ეს სწორედ რუსეთის მხრიდან საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისა და მისი დასავლური პერსპექტივის წინააღმდეგ მიმართული ჰიბრიდული ომია.

რენდ კორპორაციის უკვე არაერთგზის ციტირებულ ანგარიშში აღინიშნება, რომ 1993 წლისათვის რუსეთი საქართველოზე ზეწოლას ახორციელებდა შიდა დაპირისპირების და ეთნიკური კონფლიქტების გამოყენებით, იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობაში შესულიყო; სხვადასხვა დროს რუსეთი მიმართავდა სავაჭრო ბლოკადას, რუსული პასპორტების მასობრივ დარიგებას, საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაციას რუსეთიდან.[322] კორპორაციის ანგარიში არ იყენებს ტერმინს „ჰიბრიდული ომი“, მაგრამ ყველა ეს ნაბიჯი, დღევანდელი

[321] როგორც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, პირადად ვმონაწილეობდი ბუქარესტის სამიტის მომზადებაში და ამ სამიტის წინ მიმდინარე რამდენიმეთვიან დიპლომატიურ ბრძოლაში. საგარეო საქმეთა სამინისტროს მომზადებული ჰქონდა სპეციალური უწყებათაშორისი სამუშაო გეგმა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო ნატო-ს წევრ თითოეულ ქვეყანასთან მიმართებაში, რომელი უწყებები ჩართულიყვნენ, რომელი ცნობადი ფიგურების მხარდაჭერა ყოფილიყო გამოყენებული, რომელი მედიასაშუალებების დახმარებით შექმნილიყო დადებითი ფონი, რა ვიზიტები დაგეგმილიყო. მაგალითისათვის აღვნიშნავ, რომ ნიდერლანდების სკეპტიკური პოზიციის შესაცვლელად და ამ ქვეყნის მხრიდან პოზიტიურად ნეიტრალური მიდგომის მისაღებად გადამწყვეტი აღმოჩნდა არა სამთავრობო უწყებებს შორის მოლაპარაკება, რომელმაც შედეგი ვერ მოიტანა, არამედ მაშინდელ მმართველ პარტიებს, ენმ-სა და VVD-ს შორის არსებული კარგი პარტიული ურთიერთობები, პირველი ლედის, სანდრა რულოვსის აქტიური პიარ-კამპანია ჰოლანდიურ მედიაში და ქართული დელეგაციის მონაწილეობა ნიდერლანდების პარლამენტის თავდაცვის, აგრეთვე საგარეო კომიტეტების სპეციალურ მოსმენებში.

[322] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021): 31;

ოფიციალური ამერიკული ლექსიკონით, სწორედაც რომ ე.წ. არარეგულარული, იგივე ჰიბრიდული ომის ნაწილებად ითვლება. სხვათა შორის, იმავე რენდ კორპორაციის ფარგლებში შესრულებული 2017 წლის სხვა ანგარიში, რომელიც ამ დროისათვის უკვე საკმაოდ პოპულარული ტერმინის, „ჰიბრიდული ომის“ რუსულ ვარიანტს ეძღვნება, ხაზს უსვამს იმას, რომ რუსეთის მხრიდან 2014 წელს ყირიმის ანექსია გაგრძელებაა იმ ტაქტიკის, რომლის მსგავსი, წლებით ადრე, საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდებოდა. აღნიშნული ანგარიშის ავტორი მიიჩნევს, რომ ეს ტაქტიკა საბჭოთა უშიშროების (ე.წ. კაგებეს) ძველი „აქტიური ზომების“ მსგავსია და გულისხმობს საგანგებო საინფორმაციო კამპანიებს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საბოტაჟს, ადგილობრივი პოლიტიკური კლასის, შეიარაღებული მოკავშირეების და ელიტარული სპეცდანაყოფების გამოყენებას. მისი თქმით, რუსეთი ამ მეთოდებს საქართველოს და უკრაინის „ფერადი რევოლუციების“ შემდეგ მიუბრუნდა.[323]

დღეისათვის, ჰიბრიდულ ომსა თუ საფრთხეებზე უკვე მრავალი კვლევა და დიდძალი დაგროვილი მასალა არსებობს. ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების კვლევების ცენტრის სპეციალური პროგრამის სასწავლო გეგმის თანახმად, ეს ფენომენი კავშირშია დიდ სახელმწიფოთა კონკურენციასთან და მის მეთოდებს იყენებენ რუსეთი, ჩინეთი, ირანი; იგი გულისხმობს საზღვრების წაშლას ომსა და მშვიდობას, სამოქალაქო პირსა და სამხედროს, ლეგიტიმურსა და კრიმინალურს, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის. ესაა ომი ბირთვული დაპირისპირების რისკის გარეშე და როგორც ევროპის კავშირის, ისე ნატო-ს სტრატეგიულ დოკუმენტებში, მას ჰიბრიდული ომის სახელით მოიხსენიებენ.[324] აღნიშნული სასწავლო მასალების თანახმად, არარეგულარული/ჰიბრიდული ომის კომპონენტებია ეკონომიკური ზეწოლა, მართვადი პოლიტიკური ოპოზიციის შექმნა, კრიმინალის ჩართვა სტრატეგიულ კონკურენციაში, საინფორმაციო ომი, კიბერ-

[323] Christopher S. Chivvis, “Understanding Russian “Hybrid Warfare” And What Can Be Done About It”, RAND Corporation Testimonies, CT-468 (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/testimonies/CT400/CT468/RAND_CT468.pdf (04.05.2021);

[324] აღნიშნული მასალები მოწოდებულია დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელის დავით დარჩიაშვილის მიერ, რომელიც მონაწილეობდა 2021 წლის 24-26 აგვისტოს მარშალის ცენტრის მიერ ამ გეგმის შესამუშავებლად ორგანიზებულ სემინარში.

შეტევები, ე.წ. Lawfare და Proxy Forces.[325] აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ კრიმინალური დაჯგუფებების მოქმედებაზე საუბრისას, ამერიკელი ექსპერტები რუსულენოვან სამყაროში ცნობილ ე.წ. კანონიერ ქურდებს ახსენებენ. მათი თქმით, ორგანიზებული დამნაშავეობის სამყარო კავშირშია სპეცსამსახურებთან. მაგალითისათვის მოყვანილია მარკ გალეოტის სტატია რუსი კრინალების მონაწილეობის შესახებ მონტენეგროში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში 2016 წელს.[326]

საინტერესოა, რომ რუსული სტილის არარეგულარული/ჰიბრიდული ომის ეს უკანასკნელი ასპექტი ადრეც შეინიშნებოდა, თუმცა კი გალეოტი და მარშალის ცენტრის ამერიკელი ექსპერტები მას კრემლის უახლეს „ტექნოლოგიად“ ნათლავენ. ასე მაგალითად, თავის ნაშრომში, დავით დარჩიაშვილს მოჰყავს ვიკილიკსის მიერ 2010 წელს გავრცელებული ცნობები, რომელთა თანახმადაც, რუსული სპეცსამსახურები იყენებდნენ მაფიის შესაძლებლობებს საზღვარგარეთ, რათა კრიმინალებს გაეკეთებინათ ის, რასაც სამთავრობო სტრუქტურები ვერ გააკეთებდნენ.[327]

---

[325] ამ ორი ტერმინის ქართულად თარგმნა რთულია, რადგან პირველი ერთგვარი კალამბურია, მეორე კი „წარმომადგენელთა ომს“ გულისხმობს და ქართულად თარგმნის შემთხვევაში განმარტებას საჭიროებს. Lawfare (პირდაპირი თარგმანით, „კანონთა ომი“) საერთაშორისო წესების გამოყენების მცდელობას გულისხმობს, ამ წესების ბუნებრივი კონტექსტის საპირისპიროდ. ამგვარი მაგალითია რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსიის შემდეგ, მიმდებარე წყლებზე პრეტენზიისათვის გაერო-ს ზღვების კონვენციის გამოყენება, ან რუსული პასპორტების დარიგება დონბასში თუ, მანამდე, საქართველოში და ამ გზით საკუთარ მოქალაქეთა უფლებების დაცვის ვალდებულებების მოხმობა. რაც შეეხება ტერმინს Proxy War, იგი არაა მთლად ახალი ფენომენი და ომის არასახელმწიფო აქტორების მეშვეობით წარმოებას გულისხმობს. ამ მხრივ, ამერიკელი ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ რუს „მწვანე კაცუნებზე“ (შეიარაღებული ადამიანები განმასხვავებელი ნიშნების გარეშე, რომლებიც 2014 წელს ყირიმში სახელმწიფო დაწესებულებებს იკავებდნენ) და ჩინელ „ლურჯ კაცუნებზე“ (სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მოქმედი, ოფიციალურად არაიდენტიფიცირებადი, მაგრამ ჩინეთის სასარგებლოდ უკანონოდ მოქმედი მცურავი საშუალებების ეკიპაჟები);

[326] MarkGaleotti, “The Kremlin’s Newest Hybrid Warfare Asset: Gangsters”, Foreign Policy (12.06.2021), https://foreignpolicy.com/2017/06/12/how-the-world-of-spies-became-a-gangsters-paradise-russia-cyberattack-hack/ (15.09.2021);

[327] David Darchiashvili, “Russo-Georgian War of August 2008: Clash of Ideologies and National Projects in the Era of Hybrid Warfare”, Sojateadlane (Estonian Journal of Military

მაგრამ, ჯერ 1990-იან და შემდეგ, ადრეულ 2000-იან წლებში, როდესაც საქართველო და რიგი სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნები კრემლიდან დაგეგმილ ამ საფრთხეებს აწყდებოდნენ, ჰიბრიდული ომის ცნება არათუ პოსტ-საბჭოურ სივრცესთან, არამედ ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაშიც კი არ გამოიყენებოდა. სხვა ფაქტორებთან ერთად, ესეც იყო ერთერთი მიზეზი იმისა, რომ 2008 წლის უკვე ღია და კონვენციური რუსულ-ქართული ომის დასაწყისი და მის უკან მდგომი მოსამზადებელი პროცესები საერთაშორისო თანამეგობრობისათვის ბუნდოვანი გახდა. არსებითად, დასავლურ სამხედრო-დიპლომატიურ, მნიშვნელოვანწილად კი აკადემიურ სამყაროსაც არ აღმოაჩნდა სათანადო კონცეფტუალური მატრიცა, რომლის მეშვეობითაც რევიზიონისტული რუსეთისაგან მომდინარე ეკონომიკურ ზეწოლას, დეზინფორმაციას, დივერსიულ აქტებს, სეპარატისტული ანკლავების ღია მხარდაჭერას თუ კრიმინალური სამყაროს ქმედებებს კონცეფტუალურად გააერთიანებდა და პროდასავლური, რეფორმატორი, თუმცა გამოუცდელი და შეცდომების დამშვები ხელისუფლებების დამხობის კონცენტრირებულ ჰიბრიდულ სტრატეგიად მონათლავდა. 2013-1014 წლის უკრაინულმა მოვლენებმა ვითარება შეცვალა და, როგორც რენდ კორპორაციის ნაშრომებიდან ჩანს, საქართველოს მაგალითიც ჰიბრიდული ომის რეტროსპექტული ანალიზის ობიექტი გახდა.

ასეთი ანალიზი, სხვა მკვლევართა ნაშრომებს შორის, გვხვდება დავით დარჩიაშვილის უკვე ციტირებულ ნაშრომშიც, რომელშიც ავტორი რეტროსპექტულად იყენებს ჰიბრიდული ომის კონცეფციას 2008 წლის სამხედრო ინტერვენციამდე პერიოდში რუსეთის მოქმედებების გასაანალიზებლად და ასკვნის, რომ საქართველო იყო რუსეთის მხრიდან არადეკლარირებული ჰიბრიდული შეტევის ობიექტი მინიმუმ 2006 წლიდან. ამ დასკვნის მისაღებად დავით დარჩიაშვილი, საქართველოს დასავლური ინტეგრაციის, ქართულ შიდა პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების, ნატო-ში გაწევრიანების და წარმატებული რეფორმების კონტექსტში, დეტალურად განიხილავს მზარდ ღირებულებით და

Studies), Vol. 7 (July 2018), www.ksk.edu.ee/teadus-ja-arendustegevus/publikatsioonid (15.11.2020): 30;

იდეოლოგიურ დაპირისპირებას საქართველოსა და რუსეთს შორის 2004-2008 წლებში, აანალიზებს ამ პერიოდში თვით პუტინის რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცვლილებებს, აგრეთვე აფასებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებას და რუსი ე.წ. „მშვიდობისმყოფელების“ როლს.

დარჩიაშვილი მიჩნევს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2008 წლის გაზაფხულზე, დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარებისა და ნატო-ს ბუქარესტის სამიტის შემდგომ, რუსეთის მხრიდან ვითარების თვისებრივად გამწვავება - 2008 წლის გაზაფხული იყო მკაფიო მოსამზადებელი პერიოდი სრულმასშტაბიანი კონფლიქტის დასაწყებად. ავტორის აზრით, „შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისთვის საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის პოლიტიკური და უსაფრთხოების სტრუქტურების მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის ყველა ელემენტი უკვე სრულად იყო გამოყენებული. კონფლიქტურ ზონებში რუსული სამხედრო შენაერთების მალულად განლაგების და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო და ეკონომიკური დახმარების გაზრდის გზით სეპარატისტული განწყობების გაღვივების გარდა, რუსეთი აგრეთვე იყენებდა დიპლომატიური, პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და საინფორმაციო ზეწოლის მრავალგვარ მეთოდს“.[328]

უკრაინასა და საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის შესახებ ამჟამად უკვე მრავალი საინტერესო ნაშრომია შექმნილი. ჰანა შელესტი 2015 წელს წერდა, რომ გარდა მრავალწლიანი დეზინფორმაციული შეტევისა უკრაინაზე, რისი მიზანიც ევროპის კავშირის იმიჯის დანგრევა იყო, რუსული ჰიბრიდული ომი მოიცავდა ე.წ. გაზის ომს 2005/6 და 2008/9 წლებში, კიბერ-შეტევებს, საბოტაჟს, პრორუსული პარტიების და ორგანიზაციების დაფინანსებას, ადგილობრივი პოლიტიკოსების შანტაჟს, უკრაინელთათვის რუსული პასპორტების დარიგებას.

[328] David Darchiashvili, “Russo-Georgian War of August 2008: Clash of Ideologies and National Projects in the Era of Hybrid Warfare”, Sojateadlane (Estonian Journal of Military Studies), Vol. 7 (July 2018), www.ksk.edu.ee/teadus-ja-arendustegevus/publikatsioonid (15.11.2020): 18;

უკრაინელი ანალიტიკოსის აზრით, რუსული წარმატებები ამ ომში უკრაინული სახელმწიფოს სისუსტით იყო გამოწვეული.[329]

ასევე საყურადღებოა მიჰაილო პაშკოვის ანალიზი, რომელიც 2016-2017 წლებში უკრაინის აღმოსავლეთში, დონეცკის და ლუგანსკის ოლქებში მიმდინარე მოვლენებს აღწერს და აღნიშნავს, რომ ანტიუკრაინული არარეგულარული ძალების დაახლოებით 40 ათას მოხალისეს რუსული რეგულარული არმიის ხუთი ათასი მეომარი უმაგრებდა ზურგს, ხოლო ამ დაჯგუფების ოპერაციების დაგეგმვაში რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები მონაწილეობდენ.[330] ამასთან, პაშკოვის ნარატივი უკრაინაში მიმდინარე ჰიბრიდული ომის შესახებ ფართოა და კარგ შედარებით მასალას იძლევა: „ ... შეიძლება ითქვას, რომ რეალურად, რუსეთმა თავისი ჰიბრიდული საინფორმაციო აგრესია 2007-2008 წლებში დაიწყო. ამ პერიოდში რუსეთი მიმართავდა აქტიურ ზომებს, რომ უკრაინულ საინფორმაციო სივრცეში ჩანერგილიყო ... თემები და გზავნილები მიზნად ისახავდა აუდიტორიის მომზადებას მომავალი სამხედრო აგრესიისთვის, ან მის წახალისებას მტრის მხარეზე გადასვლისათვის კონფრონტაციის აქტიური ფაზის დროს. შეიძლება დავასკვნათ, რომ საინფორმაციო ომის აქტიური ფაზა 2013 წლის შემოდგომაზე დაიწყო, ვილნიუსის სამიტის წინ, სადაც მხარეებს ევროპის კავშირისა და უკრაინის ასოცირების შეთანხმებაზე უნდა მოეწერათ ხელი. სწორედ მაშინ აამოქმედა კრემლმა ძლიერი პროპაგანდისტული მანქანა უკრაინის წინააღმდეგ, რაც მოიცავდა სატელევიზიო და რადიო ტრანსლირებას, ბეჭდვით და ელექტრონულ მედიას, კინოს, თეატრს, წიგნების ბეჭდვას, კონცერტებს, ფესტივალებსა და გამოფენებს, ახალგაზრდულ სუბ-კულტურებს და ინტერნეტის სოციალურ ქსელებს, სხვადასხვა საჯარო და რელიგიურ ორგანიზაციებს“.[331]

---

[329] Hanna Shelest, “Hybrid War and the Eastern Partnership: Waiting for a Correlation”, Turkish Policy Quarterly, Vol. 14, No 3 (Fall 2015): 45-53;

[330] Mykhailo Pashkov, “Russia’s Information Expansion: Ukrainian Foothold”, In *Information Warfare – New Security Challenge for Europe* (Bratislava: Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), 2017): 106-107;

[331] Mykhailo Pashkov, “Russia’s Information Expansion: Ukrainian Foothold”, In *Information Warfare – New Security Challenge for Europe* (Bratislava: Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), 2017): 99;

ვფიქრობ, ამ ციტატიდან კარგად ჩანს, თუ რამდენად მრავალფეროვან მეთოდებს იყენებდა რუსეთი რეგიონში ექსკლუზიური გავლენის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, რა იყო რუსული ჰიბრიდული ომის ტექნოლოგიები. აქვე მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი ქართულ-რუსული კონფრონტაციის ისტორიიდან, რომელიც, გარკვეულწილად, რუსულ-უკრაინულზე უფრო ძველიცაა. სხვათაშორის, იმავე კრებულში, რომელშიც პაშკოვის სტატია დაიბეჭდა, შოთა ღვინერია დეტალურად აღწერს საქართველოში რუსეთის მტრული ქმედებების ჩამონათვალს. 1990-იანი წლების პერიპეტიებთან მიბრუნების გარეშე, ღვინერია ასკვნის, რომ უკრაინის და საქართველოს მაგალითები ურთიერთდაკავშირებულია, რამდენადაც დასავლეთის სუსტმა პასუხმა რუსეთის აგრესიაზე საქართველოში, კრემლი უკრაინაში იგივე ქმედებებისაკენ წაახალისა.[332]

წარმოდგენილი კვლევის საგანი არაა საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული კონფლიქტების ისტორია თუ ანატომია. შესაბამისად, არ შევუდგები იმის ანალიზს, თუ კერძოდ რა იყო ე.წ. proxy force რუსეთისათვის საქართველოში, ან რა ფორმებს იღებდა და ვის მიერ ხორციელდებოდა საინფორმაციო შეტევა დასავლეთის დისკრედიტაციისა და პრორუსული განწყობების გაღვივებისათვის. ეს, თავისთავად, დამოუკიდებელი კვლევის თემებია და ახლაც არაერთი ანალიტიკოსია ამით დაკავებული. ამ დისერტაციის მიზნებისათვის კი მთავარი იმის აღნიშვნაა, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში მსგავს ტექნოლოგიებზე ყურადღების გამახვილება და, შესაბამისად, ჰიბრიდულ/არარეგულარულ საფრთხეებზე გადაწყობა ნატო-მ მხოლოდ 2013-2014 წლებიდან განახორციელა. საქართველოს ამ მხრივ არ გაუმართლა: ალიანსის არსენალში უკვე რომ არსებულიყო თანამედროვე ომის ამოცნობის და მასზე დროულად რეაგირების ახალი კონცეფტუალური ჩარჩო, 2008 წლის აგვისტოს ტრაგედია ეგებ არ მომხდარიყო კიდეც.[333]

---

[332] Shota Gvineria, "Information Warfare As Russia's Hybrid Warfare Tool", In *Information Warfare – New Security Challenge for Europe* (Bratislava: Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), 2017): 70;

[333] მაგალითისთვის მოვიყვან ფაქტს, რომ აგვისტოს ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველომ სთხოვა ევროპის კავშირს, მოეხდინათ როკის გვირაბის

2008 წელს საქართველოში რუსეთის აგრესიამ ნატო-რუსეთის ურთიერთობებზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა, მიუხედავად იმისა, რომ 19 აგვისტოს, ეს საკითხი განხილული იქნა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მინისტერიალზე და შეხვედრის შემდეგ, ალიანსის გენერალურმა მდივანმა განაცხადა: " … ჩვენ ... ვერ გავაგრძელებთ ჩვეულებრივ ბიზნესს ... სანამ რუსეთი არ უერთგულებს იმ პრინციპებს, რომლებზედაც ჩვენი ურთიერთობების აგებას დავთანხმდით".[334] მაგრამ რუსეთის არმიის საქართველოში შემოჭრა ოფიციალურად არ/ვერ მოინათლა წლების წინ დაწყებული ჰიბრიდული აგრესიის დაგვირგვინებად და რუსული პოლიტიკის კანონზომიერ შედეგად. დაიწყო კონფლიქტის მიზეზთა კვლევის ხანგრძლივვადიანი და წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელიც ევროპის კავშირს ჩაბარდა.

სამწუხაროდ, იმ ეტაპზე დასავლეთში არავინ იყო მზად რუსეთთან სრულმასშტაბიანი პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირებისთვის - მიუხედავად არაერთი საგანგაშო სიგნალისა, პრეზიდენტი პუტინი ჯერ კიდევ მიაჩნდათ რთულ, მაგრამ მაინც პარტნიორად. შესაბამისად, ევროპის კავშირმაც, ნატო-მაც და შეერთებულმა შტატებმაც თავი აარიდეს საქართველოში რუსული აგრესიის, როგორც მიზანმიმართული რუსული პოლიტიკის შედეგის შეფასებას, რადგან ამას, როგორც შემდგომში უკრაინის მაგალითმა დაადასტურა, გარდაუვლად უნდა მოჰყოლოდა რუსეთთან ურთიერთობების გადასინჯვა და მის წინააღმდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რისთვისაც, დასავლეთი, იმ ეტაპზე, მზად არ იყო. ამის ნაცვლად, მათ არჩიეს, რუსეთის პასუხისმგებლობის

მუდმივი მონიტორინგი ევროპული კოსმოსური სატელიტის გამოყენებით. სამწუხაროდ, აღნიშნული თხოვნა დაბლოკა ევროკავშირის ერთერთმა მნიშვნელოვანმა წევრმა იმ მოტივით, რომ არ არსებობდა რუსეთის მხრიდან მომავალი რეალური საფრთხის ინდიკაციები - რომ არა ეს გადაწყვეტილება, შესაძლებელი გახდებოდა არამხოლოდ იმის ზუსტად დადგენა, თუ ვინ და როდის დაიწყო საბრძოლო მოქმედებები და როდის შემოვიდა რუსული სამხედრო ტექნიკა საქართველოში, არამედ ამგვარ მონიტორინგს შეიძლება რუსეთისთვის შემაკავებლის როლიც კი შეესრულებინა;

[334] NATO's Foreign Ministers Reiterate Their Support for Georgia (20.08.2008), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/docu/update/2008/08-august/e0819a.html (11.09.2021);

პარალელურად, პასუხისმგებლობის ნაწილი გადაეტანათ საქართველოს ხელისუფლებაზე, ადგილობრივ სეპარატისტულ რეჟიმებზე ან/და შემთხვევითობის ელემენტებზე - ასეთი „ბუნდოვანი ბრალი“ საშუალებას იძლეოდა, საქართველოს დაცვა და აგრესიაში რუსეთის დადანაშაულება მომხდარიყო რუსეთის წინააღმდეგ სრულფასოვანი სანქციების დაწესებისა და ურთიერთობების გადასინჯვის გარეშე. სწორედ ამით აიხსნება ევროკავშირის მაშინდელი დაინტერესება ომის დაწყების კონკრეტული მიზეზების გამოძიებით და აქცენტირება ქართული მხარის მოქმედებებზე უშუალოდ აგრესიის დაწყების მომენტში. 2014 წელს უკრაინაში რუსულმა აგრესიამ ნათელი გახადა ამ დეტალების არარელევანტურობა და ყველას დაანახა, რომ პრობლემა მთლიანად რუსულ პოლიტიკაში იყო და არა საქართველოს ან უკრაინის ხელისუფლებების ცალკეულ, თუნდაც მცდარ ნაბიჯებში.[335]

თუმცა, 2008 წლის აგვისტოს მომდევნო პერიოდში ევროკავშირის მხრიდან გადადგმული ნაბიჯები გვიჩვენებს, რომ ამ უკანასკნელმა რუსული აგრესიიდან გარკვეული სწორი დასკვნები გამოიტანა - მაგალითისთვის, დაჩქარდა ევროპის კავშირის აღმოსავლური სამეზობლოს ინიციატივა, რომელსაც რუსეთის კავკასიური და აღმოსავლეთ ევროპული სამეზობლოს დემოკრატიზაციისა და, არსებითად, გადარჩენისათვის უნდა შეეწყო ხელი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების პერიმეტრზე განლაგდნენ ევროპელი დამკვირვებლები. მაგრამ, სამწუხაროდ, იმ დროს, რუსეთის აგრესიულობა უფრო კულუარების, ვიდრე ოფიციალური რეაგირების თემად გადაიქცა.

---

[335] აღნიშნული კიდევ უფრო ცხადი გახდა 2021 წელს, უკრაინის საზღვართან რუსეთის შეიარაღებული ძალების მობილიზაციის შემდეგ - ამ ნაშრომის დასრულების მომენტში, ნატო-ელი მოკავშირეები ჯერ კიდევ ელოდებიან, თუ რითი დასრულდება პრეზიდენტ პუტინის მხრიდან მორიგი გამოცხადებული აგრესიის ქრონიკა, მოხერხდება თუ არა ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების მიერ წინასწარ გაჟღერებული საპასუხო ნაბიჯებით რუსეთის შეჩერება. ამ მოვლენების ფონზე, დასავლეთში აღარ მიმდინარეობს არანაირი განხილვა 2008 წელს საქართველოს, ან 2014 წელს უკრაინის ხელისუფლებების არასწორი ან პროვოკაციული ნაბიჯების და კონფლიქტებში მათი „ბრალეულობის“ შესახებ - ძალიან სამწუხაროა, რომ ერთადერთი, ვინც ჯერ კიდევ აქტიურად აგრძელებს მსგავს დისკუსიას, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაა, რომელიც ვიწრო შიდაპოლიტიკური დაპირისპირების ამოცანების გამო აზიანებს ქვეყნის ეროვნულ და უსაფრთხოებით ინტერესებს;

საქართველოსგან განსხვავებით, ჰიბრიდული საფრთხის თემამ წინა პლანზე გადმოიწია უკრაინის 2013-2014 წლების მოვლენების ფონზე, როდესაც ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ბოლო მომენტში უარის თქმის გამო, პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა მეორე რევოლუცია მიიღო, სისხლი დაღვარა და შემდეგ ქვეყნიდან გაიქცა. კრემლმა დასავლეთზე პროპაგანდისტული შეტევა გააძლიერა - რევოლუციური მაიდანის მხარდაჭერა და წახალისება რუსეთის მხრიდან ნატო-ს წევრებს ბრალდებოდა. სინამდვილეში, უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის, ვიქტორ იანუკოვიჩის უარი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებაზე სწორედ რუსული პოლიტიკური ზეწოლის შედეგი იყო - 2008 წლიდან, როდესაც ბრიუსელმა აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა გამოაცხადა, მოსკოვი ნატო-ზე არანაკლები ეჭვით უყურებდა ევროპის კავშირს და მასაც მეტოქედ აღიქვამდა პოსტსაბჭოურ რეგიონში.

კრიზისმა კულმინაციას მიაღწია 2014 წელს, როდესაც ე.წ. „მწვანე კაცუნებმა“ იარაღით ხელში დაიკავეს დონეცკი, ლუგანსკი, მთელი ყირიმი. თავდაპირველად, რუსეთი უარყოფდა „მწვანე კაცუნებთან“ რაიმე კავშირს, მაგრამ შეიარაღებული მიმოსვლა რუსეთ-უკრაინის საზღვარზე და რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების მონაწილეობა კონფლიქტში სულ უფრო თვალნათელი ხდებოდა. ყირიმის ეგრეთწოდებული რეფერენდუმი და რეგიონის რუსეთის ფედერაციასთან მიერთება კი ის „წითელი ხაზი“ გახდა, რომელიც რუსეთმა დასავლეთის თვალში ღიად გადაკვეთა და რასაც შედეგად პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების შემოღება მოჰყვა.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანესი პროცესების ფონზე, 2008-2014 წლების შუალედში, ნატო-ს მხრიდან მოხდა ჰიბრიდული საფრთხეების თანდათანობითი სრულფასოვანი გააზრება და შესაბამისი მიდგომების ტრანსფორმირება. 2008 წელს, საქართველოში რუსული აგრესიის დროს, ნატო საერთოდ არ მსჯელობდა ჰიბრიდული ომის საგანგაშო ფენომენზე. ალიანსისათვის საკვანძო თემებად რჩებოდა კონტრ-ტერორიზმი და კოოპერატიული უსაფრთხოება. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ

პუტინის გახშირებულ ანტიდასავლურ დემარშებს დაემატა 2007 წელს რუსეთის მხრიდან ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულებაში მონაწილეობის შეჩერება, ხოლო შემდგომ კი საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის სამხედრო აგრესია, ვითარებამ მხოლოდ 2013 წლიდან დაიწყო შეცვლა და კულმინაციას 2014 წელს მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში, საბოლოოდ დაიმსხვრა ყოველგვარი ილუზია რუსეთთან დაკავშირებით და ეს სახელმწიფო პარტნიორიდან, რბილად რომ ვთქვათ, კვლავ ნატო-ს მეტოქედ იქცა. ოღონდ, „ცივი ომისგან“ განსხვავებით, მისგან მომდინარე ახალ საფრთხეს ჰიბრიდული ომის მეთოდიკა წარმოადგენდა. ასეთმა შეცვლილმა რეალობამ კვლავ აქტუალური გახადა ნატო-ს ძველი, თითქოს დავიწყებული კოლექტიური თავდაცვითი ფუნქცია.

ნატო-ს მხრიდან ჰიბრიდული ომის საფრთხის გააზრებასა და მის მეთოდებთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავებაში წამყვანი როლი ითამაშა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის, გენერალი ვალერი გერასიმოვის სტატიამ “მეცნიერების ფასი წინასწარმეტყველებაშია”.[336] გენერალ გერასიმოვის თანახმად, 21-ე საუკუნის ომი „არახაზოვანი“ და ასიმეტრიულია. იგი გამოირჩევა იმით, რომ ომი ოფიციალურად არ ცხადდება და ადგილი არ აქვს ფრონტალურ დაპირისპირებას, მაგრამ მიმდინარეობს საინფორმაციო-პროპაგანდისტული შეტევა, სამიზნე ხელისუფლების მოწინააღმდეგეების ფარული და ღია სამხედრო მხარდაჭერა, ეკონომიკური და დიპლომატიური ზეწოლა, სამიზნე ქვეყნის საპროტესტო ელექტორატზე კაპიტალიზაცია და პოლიტიკური ოპოზიციის გამოყენება, მშვიდობისმყოფელობად თუ მშვიდობისაკენ იძულებად მონათლული სამხედრო ოპერაციები.

გენერალი გერასიმოვი იმდაგვარად აგებდა თავის მსჯელობას, რომ მსგავსი ომის მეთოდები ნატო-სათვის გადაებრალებინა, დასავლეთის მხრიდან ჰიბრიდული ომის წარმოება ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ მოვლენებში დაენახა და საკუთარი განზრახულობები მხოლოდ ალიანსის მოქმედებებზე რუსეთის პასუხის გაცემის

[336] Валерии Герасимов, “Ценность науки в предвидении, Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий”, Военно-промышленный курьер (23.02.2013), https://vpk-news.ru/articles/14632 (30.01.2021);

მზადყოფნად შეენიღბა. მაგრამ ნატო-ში ეს სტატია რუსულ საომარ გეგმად აღიქვეს და „გერასიმოვის დოქტრინად“ მონათლეს. ცოტა ხანში, დასავლეთის ანალიტიკურმა წრეებმა ეს სტატია უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე მტრულ რუსულ აქციებს დაუკავშირეს, რამაც ჰიბრიდულ ომზე მსჯელობებს ახალი და ძლიერი ბიძგი მისცა.[337] დასავლეთში სათანადო ყურადღება მიექცა რუსეთის ფედერაციის 2014 წლის სამხედრო დოქტრინასაც, რომელიც არსებითად იმეორებდა გერასიმოვის პოსტულატებს: ბუნებრივია, არც ამ დოკუმენტშია ნახსენები, რომ რუსეთი სადმე ჰიბრიდულ ომს აწარმოებდა ან აწარმოებს. მაგრამ დოქტრინაში მჯერად უკვე ოფიციალური დოკუმენტის ენით არის გადმოცემული რუსული პოზიცია და ნატო დადანაშაულებულია აგრესიაში, რომლის დროსაც სამხედრო და არასამხედრო საშუალებები აღრეულია, ხოლო მედია მანიპულაციები და საინფორმაციო პროპაგანდა ხელისუფლებების მორყევას და დესტაბილიზაციას ემსახურება. 2014 წლის სამხედრო დოქტრინით დასავლეთს ბრალდება მისთვის სამიზნე ქვეყნებში სახელმწიფო სუვერენიტეტის ძირის გამოთხრა, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დეგრადირება, რის მაგალითადაც უკრაინული რევოლუციაა მოყვანილი.[338]

ბუნებრივია, რომ ვერანაირად, გარდა საკუთარი განზრახულობებისა და ქმედებების სხვაზე - მათ შორის, ამ ქმედებების მსხვერპლზე - გადაბრალებისა, ეს დისკურსი ვერ შეფასდება. ამასთანავე, სახეზეა კონცეფტუალური მცდელობა, მოხდეს

---

[337] David Darchiashvili, “Russo-Georgian War of August 2008: Clash of Ideologies and National Projects in the Era of Hybrid Warfare”, Sojateadlane (Estonian Journal of Military Studies), Vol. 7 (July 2018), www.ksk.edu.ee/teadus-ja-arendustegevus/publikatsioonid (15.11.2020): 26-27; ამ თემაზე იხ. აგრეთვე Sten Rynning, “NATO’s Futures: The Athlantic Alliance Between Power and Purpose”, NDC Research Paper N2 (March 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=583 (21.09.2021); სტენ რინინგის აზრით, ნატო-ს ფლანგებზე მის წინააღმდეგ დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების გამოყენების რუსული მცდელობები ხშირად უკავშირდება გენერალ გერასიმოვის დოქტრინას (გვ 36);

[338] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021): 30;

დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის, ავტორიტარული რეჟიმების წინააღმდეგ სახალხო ბრძოლის კანონიერების უარყოფა.

ამავე რუსულ ოფიციალურ დისკურსში არსებითად იგნორირებული ან პროფანირებულია 2005 წელს გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუცია „დაცვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (R2P). როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, ეს დოკუმენტი გულისხმობს სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეზღუდვას და მის შიდა საქმეებში ღია საერთაშორისო ჩარევას, თუ ამ სახელმწიფოს ხელისუფლება დაკავებულია გენოციდით, ომის დანაშაულებებით, ეთნიკური წმენდით ან კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენით. როგორც ზემოთაც ვახსენეთ, რეზოლუციის სულისკვეთებისა და შინაარსის პროფანირების საინტერესო მაგალითი იყო 2008 წელს, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი სწორედ ამ დოკუმენტით შეეცადა რუსეთის საქართველოზე თავდასხმის გამართლებას, რის გამოც რეზოლუციის ერთ-ერთი ავტორის, გარეთ ევანსის მიერ საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული.[339]

რა თქმა უნდა, 2013-2014 წლებში განვითარებული უკრაინული მოვლენები ძნელად თუ შეიცავს რეზოლუციაში ჩამოთვლილ ნიშნებს მანამ, სანამ რუსეთის დახმარებით აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტები შეიარაღებულ მოქმედებაზე გადავიდოდნენ. შესაბამისად, არც დასავლეთის ჩარევა მომხდარა უკრაინულ პოლიტიკაში და, მითუმეტეს, გაერო-ს აღნიშნული რეზოლუცია უკრაინის შიდა პროცესებთან საერთოდ არაფერ შუაშია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის მხრიდან ტრადიციული დიპლომატიური განცხადებების და კიევის ცენტრში შეკრებილი მოქალაქეებისადმი სოლიდარობის გამოცხადების გარდა, სხვას არაფერს ჰქონია ადგილი, გენერალ გერასიმოვიდან დაწყებული და პრეზიდენტ პუტინით დამთავრებული, ოფიციალური რუსეთი ამასაც ქვეყნის შიდა საქმეებში

[339] Gareth Evans, “Russia, Georgia and the Responsibility to Protect”, Amsterdam Law Forum, Vol. 1, No. 2, (2009): 25; ციტირებულია სტატიიდან: David Darchiashvili, “Russo-Georgian War of August 2008: Clash of Ideologies and National Projects in the Era of Hybrid Warfare”, Sojateadlane (Estonian Journal of Military Studies), Vol. 7 (July 2018), www.ksk.edu.ee/teadus-ja-arendustegevus/publikatsioonid (15.11.2020): 22;

მიუღებელ ჩარევად მიიჩნევდა.[340] ეროვნული სუვერენიტეტისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები რუსეთისთვის გახდა დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერილი რუსული რევოლუციის შესაძლო სცენარის თავიდან აცილების მექანიზმი, რის გამოც, რუსეთი საბოლოოდ გადავიდა ავტორიტარული რეჟიმების დაცვის მოდალობაში - დაწყებული მილოშევიჩის რეჟიმიდან და დასრულებული ახლო აღმოსავლეთის სისხლიანი დიქტატურებით, რუსეთი იცავდა და იცავს გაერო-ს „პასუხისმგებლობა დაცვისათვის“ რეზოლუციის ქვეშ მოქცეულ/მოსაქცევ სახელმწიფოებს. ამის პარალელურად, რუსული რეჟიმის შიდა ბუნებიდან და საგარეო ინტერესებიდან გამომდინარე, გრძელდება დემოკრატიის გზაზე დამდგარი ქვეყნების (უკრაინა, საქართველო - დ.ბ.) დემონიზაციის პოლიტიკა და მათ დასასუსტებლად მაქსიმალურად გამოიყენება ჰიბრიდული ომის მეთოდები.

ბუნებრივია, რომ რუსული რევიზიონიზმი, რომელიც ვლინდება არსებული საერთაშორისო თუ რეგიონალური უსაფრთხოების არქიტექტურის ამოყირავების მცდელობებში (ე.წ. Lawfare),[341] ეკონომიკურ ზეწოლაში, კიბერ შეტევებში, დეზინფორმაციის მაშტაბურობაში, ე.წ. proxy ძალებით თუ ძირგამომთხრელი საქმიანობით არასასურველი მთავრობების დამხობასა და სახელმწიფოების დასუსტების პოლიტიკაში, ადრე თუ გვიან ალიანსის რეაქციას გამოიწვევდა.

დაწყებული 2013 წლიდან, ნატო-ს ექსპერტები, წევრი ქვეყნების დიპლომატები და სამხედროები შეშფოთებით რეაგირებდნენ როგორც რუსეთის ღიად განხორციელებულ ანექსიონიზმზე, ისე ამ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ისტებლიშმენტის ახალ სტრატეგიულ განაცხადებზე. მაგრამ ყირიმის შემთხვევის მაგალითზე, ჰიბრიდული ომის მეთოდების მრავალფეროვნებამ გამოავლინა ნატო-ს არაეფექტურობა და აჩვენა, რომ მთელი რიგი მიმართულებებით ალიანსი არ იყო

[340] რაც არ უნდა კომიკურად ჩანდეს, ასეთი “ჩარევის“ სიმბოლოდ აქცია რუსულმა პროპაგანდამ აშს-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, ვიქტორია ნულანდის მხრიდან კიევში, მაიდანზე შეკრებილი მოქალაქეებისათვის ტკბილეულის დარიგების ფაქტი.

[341] ამერიკული ტერმინი, მისადაგებული კანონებისა თუ ნორმების ლოგიკის შეცვლის/ამოტრიალების სურვილთან (ტერმინი აღებულია დავით დარჩიაშვილის მიერ მოწოდებული, 2021 წლის 24-26 აგვისტოს გამართული, არარეგულარული ომისადმი მიძღვნილი სემინარის მასალებიდან).

მზად ახალ საფრთხეებთან საბრძოლველად. ამ მხრივ, ძალიან საინტერესოა ქეთრინ ებოტის კვლევა, სადაც ავტორი ასკვნის, რომ ნატო-ს არაეფექტურობის მთავარი მიზეზები შემდეგია:

1. ჰიბრიდული ომის შლის მკაფიო სხვაობას ომსა და მშვიდობას შორის და ძირითადი მოქმედებები მიმდინარეობს იმ ზღვარს ქვემოთ, რომელსაც ალიანსის ქარტიით მოკავშირეები განიხილავენ, როგორც ალიანსზე სამხედრო შეტევას და საკმარის საფუძველს ხელშეკრულების მე-4 და მე-5 მუხლების ასამოქმედებლად;
2. ნატო-ს აკლია ოპერატიული მოქნილობა, უპასუხოს ამ საფრთხეებს როგორც ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, ასევე ადგილზე ქმედებებით;
3. ალიანსის თავდაცვის ხარჯები არ ითვალისწინებს ისეთი ტიპის მოქმედებებს, რომელიც აუცილებელია ჰიბრიდული ომის მეთოდების გასანეიტრალებლად;
4. ჰიბრიდულ ომში გააზრებულად და მასიურად ხდება მოქმედების სამოქალაქო (არასამხედრო) საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება, რაც ამცირებს ნატო-ს, როგორც სამხედრო ალიანსის შესაძლებლობას, უპასუხოს ამ მოქმედებებს წარმატებული თავდაცვითი და შემაკავებელი საშუალებებით.[342]

შესაბამისად, იმავე ავტორის აზრით, ამ გამოწვევების საპასუხოდ აუცილებელია, ნატო-ს მხრიდან უახლოეს მომავალში შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. ევროკავშირთან სისტემური თანამშრომლობის გაღრმავება, რათა მოხდეს ორივე ინსტიტუციაში შემავალ წევრ სახელმწიფოებში და განსაკუთრებით, ამ ინსტიტუციების ფარგლებს გარეთ ქვეყნებში დემოკრატიის, „კარგი მმართველობისა“ და სოციალური ერთობის პრინციპების დანერგვა და გაძლიერება;

[342] Katie Abbott, “Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization*”,* API6999-Major Research Paper, University of Ottawa (2016), https://ruor.uottawa.ca/bitstream/10393/34813/1/ABBOTT%2C%20Kathleen%2020161.pdf (10.04.2021): 19-20;

2. ევროკავშირთან ერთად ადრეული შეტყობინების სისტემისა და ერთობლივი მონაცემთა ბაზის შექმნა ჰიბრიდული ომის გაზრდილი რისკების წინაშე მდგომი ქვეყნების იდენტიფიცირების მიზნით;

3. სადაზვერვო მონაცემების გაცვლის გაუმჯობესება როგორც ალიანსის შიგნით, ასევე ევროკავშირთან და მათ არაწევრ ქვეყნებთანაც;

4. ნატო-ს თავდაცვის ხარჯების და შესყიდვების სისტემის გადახედვა და შეცვლა ჰიბრიდული ომის საჭიროებების გათვალისწინებით;

5. ჰიბრიდული ომის საწინააღმდეგო დოქტრინის, სამოქმედო ინსტრუქციების შემუშავება;

6. ალიანსის ოპერაციული და სტრუქტურული მოქნილობის გაუმჯობესება ჰიბრიდული ომის კონკრეტული მეთოდების საპასუხოდ.[343]

აღნიშნული რეკომენდაციებიდან ამ ნაშრომის მიზნებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გზა გადის ნატო-სა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებში დემოკრატიისა და უკეთესი მმართველობის პრინციპების გაძლიერებაზე. თუმცა, ამ თემას, ისევე როგორც ევროკავშირისა და ნატო-ს თანამშრომლობის მნიშვნელობას ამავე თავში, ოდნავ ქვემოთ დავუბრუნდებით.

ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლაში ნატო-ს არაეფექტურობას კარგად ხედავდნენ თავად ალიანსის შიგნითაც. სწორედ ამიტომ, როგორც ყოველთვის ხდებოდა პოლიტიკური ან უსაფრთხოების სისტემის გარდამტეხი ცვლილებების მომენტებში, დაიწყო ალიანსის მორიგი გარდაქმნა. ჯერ 2014 წლის უელსის სამიტზე, შემდეგ კი უკვე ვარშავასა (2016) და ბრიუსელში (2018), ნატო-ს 2010 წლის სტრატეგიული კონცეფციის ძირეულმა ამოცანებმა - კოლექტიურმა თავდაცვამ, კრიზისის მენეჯმენტმა და კოოპერატიულმა უსაფრთხოებამ - ახალი ტრაექტორია შეიძინა,

[343] Katie Abbott, "Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization", API6999-Major Research Paper, University of Ottawa (2016), https://ruor.uottawa.ca/bitstream/10393/34813/1/ABBOTT%2C%20Kathleen%2020161.pdf (10.04.2021): 4;

რისი ძირითადი მიზეზიც სწორედ ჰიბრიდული საფრთხეების გაჩენა იყო.[344] შეიძლება ითქვას, რომ სწორედ უელსის სამიტიდან, ანუ 2014 წლიდან დაიწყო ალიანსის კიდევ ერთი ტრანსფორმაცია, თუმცა, ისევე როგორც წინა ცვლილებები, ეს ახალი ტალღაც ნატო-ს არსში თავიდანვე ჩადებულ პრინციპებსა და ალიანსის ფუნქციონირების მრავალწლიან გამოცდილებას დაეყრდნო.

ამ ახალი ტრანსფორმაციის შემთხვევაში, ნატო-ს ამოცანა კოლექტიური თავდაცვის და შეკავების ტრადიციული ფუნქციის აქტუალიზაცია იყო, რაც საკმაოდ სწრაფად განხორციელდა.[345] დიეგო პალმერი თვლის, რომ აღდგა ალიანსის სამხედრო სტრატეგიის, წვრთნების, ძალთა სტრუქტურის და ოპერატიული დაგეგმარების ძველი პრაქტიკა, რომელიც 1990-იანი წლებიდან ერთგვარად ატროფირებული იყო. გარკვეულწილად, ამაში გამოყენებული იქნა ტერორთან ომის ეპოქაში შექმნილი ნატო-ს რეაგირების ძალებზე (NATO Response Force) მუშაობის გამოცდილება.[346] ჰიბრიდული ომისა და საფრთხეების ეპოქის შეკავება-თავდაცვის ნატო-სეული მისია ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების უკეთეს დაცვას რუსეთიდან, ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხეებისგან, ხოლო ამოცანის საკვანძო ელემენტებია აღმოსავლეთის საზღვრებზე ფლოტის, ავიაციისა და სახმელეთო ქვედანაყოფების სიტუაციური განლაგება და ინტენსიური წვრთნები; მზადყოფნის სამოქმედო გეგმის შექმნა (Readiness Action Plan) და განახლებული თავდაცვითი დაგეგმვის პაკეტის (Defence Planning Package) მიღება; დაზვერვისა და წინასწარი შეტყობინების ელემენტების გაძლიერება, „საზრიანი თავდაცვის“ (Smart Defense) ახალი კონცეფციის შემუშავება და დანერგვა; ბალტიის ქვეყნებისა და პოლონეთის დასაცავად ოთხი მრავალეროვნული მექანიზირებული

[344] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 1;
[345] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 11;
[346] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 71-72, 86;

ოპერატიული დაჯგუფების ფორმირება; მრავალეროვნული ბრიგადების განლაგება რუმინეთსა და ბულგარეთში; სამხედრო აქტივობა შავ ზღვაზე.[347]

გარდა ამისა, შეიცვალა რეაგირების ძალების იდეა და სტრუქტურაც - შეიქმნა ხუთიათასიანი შემადგენლობის „ძალიან მაღალი მზადყოფნის ძალები“ (Very High Readiness Force), რომელსაც მოსდევდა დივიზიის ზომის უშუალოდ „რეაგირების ძალები“ (Response Force) და 30 დღეში შეკრების უნარის მქონე „მაღალი მზადყოფნის“ (High Readiness) 30 სახმელეთო ბატალიონი, 30 გემი და 30 საავიაციო ესკადრონი; გათვალისწინებული იქნა მთელი ამ სტრუქტურის გაძლიერების, მომარაგების, წვრთნისა და მართვა-კონტროლის კომპონენტები.[348] ასევე მოხდა ევროკავშირთან კიბერუსაფრთხოების სფეროში ტექნიკური შეთანხმების გაფორმება და ნატო-ს ახალი სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრის დაფუძნება ლატვიაში. ყველა განხილული ნაბიჯი ემსახურება იმ ახალი რეალობის შექმნას, როდესაც ნატო-ს საშუალება ექნება, წარმატებულად შეაკავოს და უპასუხოს ჰიბრიდული აგრესიის არსებულ თუ სამომავლო საფრთხეებს.[349]

თუმცა, სამხედრო ტრანსფორმაცია და ტერიტორიული თავდაცვის უნარების გაძლიერება ალიანსის სტრატეგიის მხოლოდ ერთი ნაწილია - გამომდინარე იქიდან, რომ თავისი შინაარსით ჰიბრიდული საფრთხეები სცდება სამხედრო-კინეტიკური შეხების პერსპექტივას, ნატო-ს საპასუხო ნაბიჯები ვერ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამხედრო სფეროს ადაპტაციით. ალიანსის 2014 წლის უელსის სამიტის დეკლარაცია აცხადებდა, რომ: „ ... „რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა უკრაინის წინააღმდეგ ფუნდამენტური გამოწვევა შეუქმნა ჩვენს ხედვას ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის თაობაზე ... ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ნატო-ს შეეძლოს,

[347] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 96-97;
[348] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019): 97-98;
[349] უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის საფრთხე გარდაუვლად გამოიწვევს ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანგზე და შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღებას, რისი ერთერთი ნიშანია შეერთებული შტატების გადაწყვეტილება ამ რეგიონის ქვეყნებში დამატებითი ამერიკული სამხედრო კონტინგენტის განთავსების შესახებ.

ეფექტიანად გაუმკლავდეს ჰიბრიდული საფრთხეებიდან მომდინარე სპეციფიკურ გამოწვევებს, რომელთა ფარგლებშიც ღია და ფარული სამხედრო, პარა-სამხედრო და სამოქალაქო ქმედებების ფართო სპექტრი გამოიყენება ძალზე ინტეგრირებული ფორმით. არსებითია, რომ ალიანსი ფლობდეს საჭირო საშუალებებსა და პროცედურებს, რომლებიც აუცილებელია ჰიბრიდული ომის საფრთხეთა შესაკავებლად და მათზე ეფექტიანად საპასუხოდ ... ეს ასევე მოიცავს სტრატეგიული კომუნიკაციების გაუმჯობესებას, საწვრთნელი სცენარების განვითარებას ჰიბრიდულ საფრთხეთა გათვალისწინებით, სხვა ორგანიზაციებთან ნატო-ს კოორდინაციის გაძლიერებას“.[350]

ნატო-ს ყველაზე ბოლო, 2021 წლის ბრიუსელის სამიტზე მიღებული კომუნიკე კიდევ უფრო დეტალურია ჰიბრიდული საფრთხეების მრავალფეროვანი შინაარსის თაობაზე. კომუნიკე აღნუსხავს იმ ახალ გამოწვევებს, რომლებიც ალიანსის წინაშე დგას - კვლავ განიხილება რუსეთის აგრესიული ქმედებები, როგორც არსებითი საფრთხე ევროატლანტიკური სამყაროსათვის; საყურადღებოა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მიერ კანონზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგისათვის ძირის გამოთხრის მცდელობების აღნიშვნა, რაც რუსეთის აგრესიულობის ხსენებას მოსდევს. დოკუმენტში აგრეთვე გამოყოფილია არარეგულარული მიგრაცია, ტრეფიკინგი, კიბერ, ჰიბრიდ და სხვა ასიმეტრიული საფრთხეები, რომლებიც მოიცავს დეზინფორმაციულ კამპანიებსა და ახალი ტექნოლოგიების ბოროტი განზრახვით გამოყენებას.[351]

ნატო-ს წევრების წინაშე არსებულ საფრთხეებთან და გამოწვევებთან რუსეთის კავშირი მკაფიოდ არის აღნიშნული კომუნიკეს მეექვსე მუხლში, სადაც აღნიშნულია,

---

[350] Wales Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Wales (05 September 2014), Press Release (2014) 120, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm (19.11.2020): paragraphs 1,13;

[351] Brussel’s Summit Communiqué, Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Brussels, 14 June 2021), Press Release (2021)086, NATO/OTAN E-Labrary, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_185000.htm (20.09.2021): paragraph 3;

რომ სამხედრო აქტივობასთან ერთად, რუსეთი ე.წ. Proxy ძალების მეშვეობით ცდილობს ალიანსის წევრთა არჩევნებსა და დემოკრატიულ პროცესებში ჩარევას; მიმართავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას, დეზინფორმაციას; თვალს ხუჭავს მისი ტერიტორიიდან მოქმედ კიბერ-კრიმინალთა აქტივობაზე, მათ შორის ისეთზე, რომელიც აზიანებს ნატო-ს ქვეყნების კრიტიკულ ინფრასტრუქტურას. იქვეა აღნიშნული რუსეთის სადაზვერვო სამსახურების მოქმედება ალიანსის ტერიტორიაზე, რასაც მსხვერპლი და/ან ნგრევა მოსდევს.[352] ამ ახალი, არასამხედრო თუ ჰიბრიდული ბუნების საფრთხეების განეიტრალებისათვის, რომლებიც უშუალოდ ალიანსის წევრებს ემუქრება, კომუნიკე ხაზს უსვამს ევროპის კავშირთან თანამშრომლობის საჭიროებასა და მნიშვნელობას.[353]

ევროპის კავშირიც ასევე აცნობიერებდა და აცნობიერებს ახალი რუსული საფრთხის წინაშე შიდა სოლიდარობისა და ნატო-სთან პარტნიორობის აუცილებლობას. სწორედ თანამშრომლობის ახალი ველის გაჩენა ნატო-სა და ევროკავშირს შორის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ჰიბრიდული ომის მიერ მოტანილი ერთი დადებითი შედეგი. უკანასკნელ წლებში უფრო ინტენსიური გახდა ნატო-ს ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და ევროპის კავშირის პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის შეხვედრები, თანამშრომლობის ერთერთი მთავარი სფეროა ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავებაზე ზრუნვა.[354] მკვლევარი ჰანნა სმიტი ხაზს უსვამს, რომ ნატო-სა და ევროკავშირში ჰიბრიდულ საფრთხეებზე საკმაოდ მსგავსი შეხედულებებია ჩამოყალიბებული. ამ შეხედულებებში, გარდა აქცენტირებისა კინეტიკურ და არა-კინეტიკურ მეთოდთა აღრევაზე,

---

[352] Brussel's Summit Communiqué, Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Brussels, 14 June 2021), Press Release (2021)086, NATO/OTAN E-Labrary, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_185000.htm (20.09.2021): paragraph 6;

[353] Brussel's Summit Communiqué, Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Brussels, 14 June 2021), Press Release (2021)086, NATO/OTAN E-Labrary, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_185000.htm (20.09.2021): paragraph 12;

[354] Thierry Tardy, and Gustav Lindstrom, "The Scope of EU-NATO Cooperation", In *NATO and the EU - the Essential Partners*, NDC Research Paper N5 (September 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=607 (10.05.2021);

დეზინფორმაციაზე და ა.შ., კარგად ჩანს ამ ორი ინსტიტუციის გაზიარებული აღქმა, რომ ჰიბრიდული ომის მეთოდები ინტეგრირებულია, ცენტრალიზებულადაა შექმნილი და ცენტრალიზებულადვე კონტროლდება.[355] საერთო შეხედულებების საფუძველზე ვითარდება თანამშრომლობა ქვედა დონეზეც: ახლადშექმნილი სტრუქტურას, „ევროკავშირის ჰიბრიდულ უჯრედსა“ (EU Hybrid Fusion Cell) და ნატო-ს „ჰიბრიდული ანალიზის განყოფილებას“ (Hybrid Analysis Branch) შორის მიმდინარეობს ინფორმაციის რეგულარული გაცვლა.[356]

საყურადღებოა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროპის კავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ჯოზეფ ბორელის 2021 წლის სექტემბრის ოფიციალური განცხადებაც, რომელშიც საუბარია წევრი ქვეყნების წინააღმდეგ რუსეთთან ასოცირებულ მტრულ კიბერ-შეტევებზე. ბორელი აღნიშნავდა, რომ მსგავსი ქმედებები ემუქრებოდა ევროპის კავშირის მთლიანობასა და უსაფრთხოებას.[357]

ჰანნა სმიტი, ისევე როგორც ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის არაერთი ძველი თუ ახალი მკვლევარი, ხაზს უსვამს, რომ არსებობს განსხვავებები ევროპის კავშირსა და ნატო-ს შორის; რომ ისინი ჰეტეროგენული გაერთიანებებია, რომელთა წევრებს შეიძლება განსხვავებული პოლიტიკური და უსაფრთხოების კულტურა ჰქონდეთ; რომ არსებობს რიგ საკითხებზე შიდა უთანხმოებები - მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, შელესტი ასკვნის, რომ მთავარი და ყველაზე აღმატებული ფაქტორი ამ

---

[355] Hanna Smith, “Countering Hybrid Threats”, In *NATO and the EU - the Essential Partners*, NDC Research Paper N5 (September 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=607 (10.05.2021): 16;

[356] Hanna Smith, “Countering Hybrid Threats”, In *NATO and the EU - the Essential Partners*, NDC Research Paper N5 (September 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=607 (10.05.2021): 18;

[357] Declaration by the High Representative on behalf of the European Union on respect for the EU’s democratic processes, Council of the European Union, Press-release (24.09.2021), https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2021/09/24/declaration-by-the-high-representative-on-behalf-of-the-european-union-on-respect-for-the-eu-s-democratic-processes/ (03.10.2021);

ორი ინსტიტუციის მხრიდან საფრთხეთა გაზიარებული შეფასება და ერთობლივი ქმედებების აუცილებლობის გააზრებაა.[358]

აქ კიდევ ერთხელ დავუბრუნდები ქეთრინ ებოტის უკვე ციტირებულ ნაშრომს და მის დასკვნას ნატო-სა და ევროკავშირს შორის სისტემური თანაშრომლობის გაღრმავების აუცილებლობის თაობაზე.[359] ებოტის აზრით, ეს თანამშრომლობა, პირველ რიგში, უნდა გამოიხატებოდეს დემოკრატიული ღირებულებების, კარგი მმართველობის, სოციალური ერთობისა და უმცირესობების მიმართ ტოლერანტული კლიმატის გავრცელებასა და პროაქტიულ წახალისებაში იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან ნატო-სა და ევროკავშირის წევრები, ესაზღვრებიან რუსეთს და იმყოფებიან ჰიბრიდული შეტევის მაღალი რისკის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს სტრატეგიულ იდენტობაში თავიდანვე ჩადებულია დასავლური ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება და მხარდაჭერა, მას არ გააჩნია არც მანდატი და არც აუცილებელი მექანიზმები ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების, კარგი მმართველობის, ანტიკორუფციული და სოციალური ერთობის იმ მექანიზმების შესაქმნელად და მხარდასაჭერად, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია დასავლური ლიბერალური წესრიგი. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირს, როგორც არასამხედრო ძალას, გააჩნია უნარი და შესაძლებლობა, გააძლიეროს და წაახალისოს დემოკრატიული ინსტიტუტები მის საზღვრებს გარეთ, მათ შორის - დაინტერესებული ქვეყნებისთვის სამომავლო გაწევრიანების შეთავაზების გზით. სწორედ ამიტომ, დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების საკითხში თანამშრომლობა ამ ორ მთავარ დასავლურ ინსტიტუციას შორის არის უაღრესად მნიშვნელოვანი ჰიბრიდული საფრთხეების შესაკავებლად.

---

[358] Hanna Smith, "Countering Hybrid Threats", In *NATO and the EU - the Essential Partners*, NDC Research Paper N5 (September 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=607 (10.05.2021): 23;

[359] Katie Abbott, "Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization*"*, API6999-Major Research Paper, University of Ottawa (2016), https://ruor.uottawa.ca/bitstream/10393/34813/1/ABBOTT%2C%20Kathleen%2020161.pdf (10.04.2021);

ებოტი მიიჩნევს, რომ ძლიერი, დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა და მოსახლეობის ყველა ჯგუფს შორის სოციალური ერთობის განცდის შექმნა შეიძლება იყოს გადამწყვეტი ფაქტორი, თუ რამდენად წარმატებულად და მარტივად მოახერხებს ჰიბრიდული ომის მეთოდები მოქმედებას სამიზნე ქვეყანაში. ქვეყნები, რომელთა მთავრობები და დემოკრატიული ინსტიტუციები სუსტია, უფრო მოწყვლადი არიან საგარეო ზეწოლის მიმართ და ამით ქმნიან ხელსაყრელ გარემოს ჰიბრიდული შეტევისთვის.[360]

აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოდგენილი ნაშრომის მიზნებისთვის, რადგან განსაზღვრავს, რომ სამომავლოდ, ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი გზა გადის ნატო-სა და ევროკავშირის არაწევრ, მეზობელ სახელმწიფოებში დემოკრატიული ღირებულებების მეტად გავრცელებაზე.

ვფიქრობ, ამ თავში განხილული პრაქტიკული განვითარებები და აკადემიური მოსაზრებები ნათელს ხდის, რომ ნატო-ს ყველა წევრისათვის დღესაც ღირებულია ის ინსტიტუციური ერთობა და კოორდინირების მაღალი ხარისხი, რომელიც აუცილებელია ევროატლანტიკური ცივილიზაციის წინააღმდეგ მომართულ ახალ საფრთხეებთან საბრძოლველად. სწორედ ეს ლოგიკა ჩანს ნატო-ს მიმდინარე ფართომასშტაბიან სამხედრო ტრანსფორმაციაში, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი. იგივე ლოგიკა გამოსჭვივის ევროპის კავშირთან თანამშრომლობაშიც და ეს ყოველივე კვლავინდებურად იხსნება როგორც მორავჩიკის ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმით, ისე კეოჰეინის ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმით. საბოლოო ჯამში კი, მთელს პროცესს ზურგს უმაგრებს ალიანსის წევრთა ღირებულებითი ერთობა, რაც კონსტრუქტივიზმის მთავარი არგუმენტია.

[360] Katie Abbott, "Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization", API6999-Major Research Paper, University of Ottawa (2016), https://ruor.uottawa.ca/bitstream/10393/34813/1/ABBOTT%2C%20Kathleen%2020161.pdf (10.04.2021): 29;

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის წევრებს შორის გარდაუვალი იყო და დღესაც არის განსხვავება ეგოისტურ ეროვნულ ინტერესებში, პოლიტიკურ ხედვებსა და ტაქტიკაში, ახალი გამოწვევები უცილობლად მოითხოვს მომავალ წლებში, ტრადიციული თავდაცვითი კომპონენტების გაძლიერებასთან ერთად, ტრანსატლანტიკური ერთობის შენარჩუნებას, კოოპერატიული უსაფრთხოების მეთოდიკის გაგრძელებასა და დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების კიდევ უფრო მეტად გააქტიურებას.

დასკვნა: ალიანსის შემდგომი გაფართოების საჭიროება და პერსპექტივები

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არსებობის მერვე ათწლეულს ითვლის. მოყოლებული 1990-იანი წლებიდან, როგორც აკადემიურ, ისე პოლიტიკურ წრეებში არ წყდება საუბრები მისი არარელევანტურობის შესახებ. მაგრამ ნატო განაგრძობს არსებობას და ყოველ ახალ გამოწვევასთან ერთად, საკუთარი სტრუქტურისა და აქტივობის გადახალისებას ახორციელებს. ასე მოხდა 1990 წელს, 2001 წელს, 2014 წელს. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, თავდაცვის ტრადიციული ფუნქცია კოოპერატიული უსაფრთხოების ინოვაციურ მიდგომამდე გაფართოვდა და კოლექტიურ თავდაცვას დაემატა ინდივიდუალური უსაფრთხოება, კოლექტიური უსაფრთხოება და სტაბილურობის გავრცობა წევრი სახელმწიფოების საზღვრებს გარეთ.[361] ამ ახალი ელემენტებიდან, მოყოლებული 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან, კოლექტიური და ინდივიდუალური უსაფრთხოების კონცეფციები და სტაბილურობის გავრცელების იდეა კრიზისების მენეჯმენტის პოლიტიკური საფუძველიც გახდა.

2001 და, განსაკუთრებით კი, 2014 წლიდან, ნატო მიუბრუნდა ტრადიციულ სამხედრო კომპონენტს - კოლექტიურ თავდაცვას. ბუნებრივია, საფრთხეთა ხასიათიდან გამომდინარე, ახალი ძალთა სტრუქტურა თუ სამხედრო დაგეგმვა „ცივი ომის“ პერიოდისაგან განსხვავებულ ამოცანებს ისახავდა მიზნად: აქცენტი სწრაფი რეაგირების ძალებზე კეთდებოდა და კეთდება. თუმცა, აღმოსავლეთის საზღვრებთან, ბალტიის ქვეყნებიდან შავ ზღვამდე, მზარდი ყურადღება ექცევა ტერიტორიული დაცვის სფეროში თანამშრომლობასაც.[362]

თავის მხრივ, კოლექტიური თავდაცვის აქტუალიზაცია არანაირად არ გულისხმობს, თითქოს ალიანსის სხვა ამოცანები, რომლებიც 1990 წლიდან განსაკუთრებით

[361] Richard Cohen, “From Individual Security to International Stability”, In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001): 1;

[362] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019), https://www.ndc.nato.int/news/news.php?icode=1330 (02.02.2021): 96-101;

მნიშვნელოვანი იყო - კოლექტიური უსაფრთხოება და სტაბილურობის ზონის გაფართოება - მეორეხარისხოვანი გახდა. გრძელდებოდა და გრძელდება როგორც ნატო-ს მისია ბალკანეთში, სადაც პროცესი ევროპის კავშირთან განსაკუთრებით მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს, ისე ალიანსის რიგებში ახალ წევრთა მიღება: 2017 წელს ნატოში გაწევრიანდა მონტენეგრო, 2020 წელს კი ჩრდილოეთ მაკედონია. ვფიქრობ, ორივე ეს შემთხვევა მეტყველებს არა იმდენად ალიანსის თავდაცვისუნარიანობის თუ სტრატეგიული მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილზე, რამდენადაც ერთიანი ევროპის კოოპერატიული უსაფრთხოების თანამეგობრობად გადაქცევის მიზანზე.

ეს მიზანი უცვლელი იყო არამხოლოდ 1990-იანი წლებიდან, არამედ ალიანსის დაარსების მომენტიდანვე წარმოადგენდა ნატო-ს საზრისს და იდეურ ქვაკუთხედს. ტერმინი „კოოპერატიული უსაფრთხოება“ ახალია, მაგრამ მას ყავს წინამორბედი - „უსაფრთხოების თანამეგობრობა“, განსაზღვრება, რომელიც კარლ დოიჩმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში შემოიტანა აკადემიურ დისკურსში. ეს კონცეფტი, რომელიც შემდგომში საერთაშორისო ურთიერთობების კონსტრუქტივისტული მიდგომის ფარგლებში განვითარდა, იმთავითვე ასოცირდებოდა ალიანსთან, როგორც ლიბერალ-დემოკრატიულ და ინსტიტუციონალიზებულ ერთობასთან.[363] მისი ინსპირაცია მომდინარეობს 1949 წლის დამფუძნებელი ხელშეკრულებიდან, რომლის თანახმად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნის მიზეზი და მოქმედების მიზანი ადამიანის უფლებზე, კანონის უზენაესობასა და დემოკრატიაზე დაფუძნებული პოლიტიკური სამყაროს დაცვა და გაფართოება იყო. ხელშეკრულებაშივე ცხადდებოდა მშვიდობის ხელშეწყობისა და საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტის სურვილი. როგორც დისერტაციის ტექსტში იყო განხილული, 1967 წელს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ მიღებულმა ე.წ. „ჰარმელის ანგარიშმა“ დაუდო საფუძველი უშუალოდ ოპონენტებთან კოოპერატიული ურთიერთობების მშენებლობას. ამგვარ საფუძველზე დამყარებული 1975 წლის ჰელსინკის

[363] Ronald Jepperson, Alexander Wendt, and Peter J. Katzenstein, “Norms, Identity, and Culture in National Security”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996): 62;

უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი გახდა ევროპაში კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის საცდელი ქვა.

სოციალური კონსტრუქტივიზმის დაშვებებით, რაც, პირველ რიგში, ალექსანდრე ვენდტის სახელს უკავშირდება, ერთა შორის თანამშრომლობა არა იმდენად და არა მხოლოდ მატერიალურ ინტერესს, არამედ გაზიარებულ ნორმებსა და ღირებულებებს უკავშირდება. კოოპერატიული უსაფრთხოების მოდელი, როგორადაც იგი ჩემი ნაშრომის გვერდებზე იყო ასახული, ლიბერალურ-დემოკრატიული თანამეგობრობის იდეალთა განვრცობის საფუძველზე, ალიანსის გარეთ სტაბილურობის პროეცირებას გულისხმობს. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ უსაფრთხოების თანამეგობრობას საკუთარივე სტაბილურობა სურს, ოპონენტების მიერ „დემოკრატიის ექსპორტად“ მონათლული საერთაშორისო ტენდენციები, რომლებიც, არსებითად, სამეზობლოში დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერაში გამოიხატება, გარდაუვლად გაგრძელდება და გაძლიერდება.

ნატო-ს ისტორია, ისევე როგორც მისი აწმყო და მომავალი, ახსნადი და პროგნოზირებადია არა მხოლოდ სოციალური კონსტრუქტივიზმის თვალთახედვით, არამედ, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმისა და ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის თეორიებითაც. დიეგო პალმერის აზრით, ნატო იყო არსებითი გზამკვლევი, კომპასი, რომელიც დეკადების მანძილზე მიუძღვოდა მის წევრებს საშინაო პოლიტიკათა ტალღებში.[364] ეს მოსაზრება, რომელიც მრავალი მაგალითით დასტურდება, კორელირებს ენდრიუ მორავჩიკის ლიბერალურ ინტერგოვერნმენტალიზმთან, რომელიც ევროპის კავშირის ამხსნელი თეორიული კონსტრუქტია, მაგრამ ესადაგება ნატო-ს არსის გაგების ამოცანასაც. ამ მიდგომის თანახმად, რიგი საკითხების საერთაშორისო ინსტიტუტებისათვის გადაცემით, მთავრობები თავს იზღვევენ სხვადასხვა საშინაო აქტორებისგან

[364] Diego A. Ruiz Palmer, “A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019”, NDC Research Paper N3 (June 2019), https://www.ndc.nato.int/news/news.php?icode=1330 (02.02.2021): 31;

მომდინარე წინააღმდეგობისაგან. ინსტიტუტებს შეუძლიათ დახმარება, რათა მნიშვნელოვანი საკითხები საშინაო პოლიტიკათა გავლენისაგან გათავისუფლდეს.[365]

როგორც მორავჩიკი, ისე ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის წამყვანი წარმომადგენელი, რობერტ კეოჰეინი, ხაზს უსვამენ საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობას სახელმწიფოთა სტაბილური, პროგნოზირებადი და კომპრომისზე ბაზირებული ურთიერთობებისათვის. მაგრამ, ამავე დროს, სამივე ნახსენები თეორიის თანახმად, თავად ასეთი ორგანიზაციების სტაბილურობისა და ეფექტიანობისათვის გადამწყვეტია მასში შემავალი ქვეყნების კანონის უზენაესობის პრინციპზე ბაზირებული ლიბერალურ-დემოკრატიული არსი. ფორმალური თვალსაზრისით, ნატო თავდაცვითი ალიანსია. მასში გადაწყვეტილება მხოლოდ კონსენსუსით მიიღება და იგი არ წარმოადგენს წევრი სახელმწიფოების გაზიარებული სუვერენიტეტის, ფედერალიზმის ელემენტების მქონე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ერთობას. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ფორმალური მხარეა: თანამედროვე უსაფრთხოება, რომელიც ნატო-ს ფუნქციაა, თავდაცვაზე მეტია. ალიანსის წევრების სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და დემოკრატიული განვითარება მნიშვნელოვანწილად სწორედ ნატო-ს არსებობაზეა დამოკიდებული. ეს ესმოდათ ამ ორგანიზაციის დამფუძნებლებს და ესმით მის დღევანდელ მესვეურებსაც. მიმაჩნია, რომ სოციალური კონსტრუქტივიზმის მთავარი პოსტულატები, რომელთა თანახმადაც, საერთაშორისო კულტურულ-ინსტიტუციონალური გარემო შედგება უსაფრთხოების რეჟიმებისაგან, მსოფლიო პოლიტიკური კულტურისა და მტერ-მოყვრობის ისტორიულად განპირობებული კლასტერებისაგან,[366] დამარწმუნებელიცაა და ნატო-ს გამძლეობაზე მეტყველიც. იდენტობა გავლენას ახდენს ეროვნულ ინტერესებზე, საერთაშორისო რეჟიმებზე,

[365] Andrew Moravcsik and Frank Schimmelfenning, "Liberal Intergovernmentalism", In *European Integration Theory* (Oxford: Oxford University Press, 2019): 70;

[366] Ronald Jepperson, Alexander Wendt, and Peter J. Katzenstein, "Norms, Identity, and Culture in National Security", In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996): 34;

აყალიბებს უსაფრთხოების თანამეგობრობებს.[367] ტრანსატლანტიკური იდენტობა კი წარმოუდგენელია „ერთიანი და თავისუფალი ევროპის“ იდეის გარეშე. თუ ამ იდეას პერსპექტივა აქვს და, ვფიქრობ, აქვს, ამ პერსპექტივის უზრუნველყოფა ნატო-ს მსგავსი ერთობის გარეშე წარმოუდგენელია.

რა თქმა უნდა, არც ევროპის სრული თავისუფლების მიღწევაა ადვილი და არც ალიანსის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. წინააღმდეგობა იმ მიზეზებიდან მოდის, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკის რეალისტურ/ნეორეალისტურ პერსპექტივას კარგად აქვს არტიკულირებული. ესაა ეროვნული ეგოიზმი. სახელმწიფოთა ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება და ყოველი მათგანის მეთაური საკუთარ სახალხო ლეგიტიმიზმზე ზრუნავს. აქედან მოდის გერმანიის გატაცება რუსეთთან დამაკავშირებელი ახალი გაზსადენის გაყვანით, საფრანგეთის პერიოდული გაუცხოვება აშშ-საგან, თურქეთის განსხვავებული ხედვა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით და ა.შ. მაგრამ, როგორც ვთქვი, გაზიარებული იდენტობა და საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტიანი პროცედურები ამ მოვლენებს აბალანსებს.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების სპეციალისტები ამბობენ, რომ ომი დღეს ისევე აღარაა მისაღები ინდუსტრიული ქვეყნებისათვის, როგორც დუელი ან მონობა.[368] ამ სიტყვებში იგულისხმება, რომ კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრესი პრინციპები - დიალოგი, კომუნიკაცია, კომპრომისებზე ორიენტაცია, არალიბერალური ოპონენტების თანამშრომლობაზე დაყოლიების სურვილი - დემოკრატიული ქვეყნების თანდაყოლილი ფილოსოფია, მსოფლმხედველობა და კულტურაა და არანაირად არ არის თვალთმაქცობა, შიში ან ინდიფერენტიზმი, როგორადაც ზოგჯერ არადემოკრატიული ქვეყნები აფასებენ კეთილდღეობის შემქმნელი ლიბერალური დემოკრატიების მოქმედებებს.

---

[367] Ronald Jepperson, Alexander Wendt, and Peter J. Katzenstein, “Norms, Identity, and Culture in National Security”, In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics* (New York: Columbia University Press, 1996): 60-63;

[368] Michael E Broun, Owen R. Cote, Jr., Sean M/ Lynn-Jones and Steven E. Miller, *Theories of War and Peace*, (Cambridge: The Mit Press, 1998): XXXII;

ვფიქრობ, დისერტაციაში მოყვანილი მაგალითები ადასტურებს, რომ ალიანსის არსში მართლაც თავიდანვე იდო ლიბერალური დემოკრატიის არა მხოლოდ დაცვის, არამედ გავრცელების მიზანი. მშვიდობის დაცვასთან ერთად, სწორედ ამ მიზანს ისახავდა დიალოგი მოწინააღმდეგესთან, მისი დარწმუნება დაძაბულობის განმუხტვაზე - „ცივი ომის“ ეპოქაში ეს ყოველივე ხდებოდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის დაყოლიებით დემოკრატიული ღირებულებებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების აღიარებაზე. შედეგად, საერთაშორისო თანამეგობრობამ მიიღო „ცივი ომის“ დასასრული, მაგრამ ამ ახალი მოცემულობით შეიცვალა არა ნატო-ს ფუნდამენტური საზრისი და მისია, არამედ გაფართოვდა მისი მოქმედების მეთოდები, ფარგლები, გაძლიერდა დემოკრატიული ზონის გავრცელების ფუნქცია და დაიწყო ერთიანი და თავისუფალი ევროპის მშენებლობა.

ნაშრომის საბოლოო ჰიპოთეზა მომავალს ეხება და იგი აწმყოშია დასანახი. დისერტაცია ვერ იქნება მომავლის წინასწარმეტყველების მომცემი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნატო-ს ოცდაათწლიანი გაფართოების ტალღები, რაც დემოკრატიის გავრცელების ერთერთი უმთავრესი მექანიზმი იყო, არ და ვერ შეწყდება, რადგან ეს პროცესი თავად ალიანსის იდენტობაშია ჩაქსოვილი. ამაზე მიუთითებს ახალ საფრთხესთან, ჰიბრიდულ ომთან გამკლავების ალიანსისეული მიდგომა. სწორედ ჰიბრიდული საფრთხეები აჩვენებს (და ეს ნათლადაა გაცნობიერებული ნატო-ს სტრატეგიულ ხედვებში), რომ ალიანსის წარმატება ამ გამოწვევასთან ბრძოლაში დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ მოიგერიებს იგი მას საკუთარ საზღვრებზე, არამედ დიდწილად იმაზეც, თუ როგორ აღმოფხვრის ჰიბრიდული ომის საფუძვლებს უახლოეს სამეზობლოში.

ამ ამოცანის შესრულების გზა ერთადერთია და უკვე ტრადიციულიც - დემოკრატიული ღირებულებებისა და ინსტიტუტების დაცვა/გაძლიერება უშუალოდ ნატო-ს საზღვრებს გარეთ. ამიტომ, ვფიქრობ, რომ კოოპერატიული უსაფრთხოების ზონის გაფართოება და „ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი“ ევროპის

პროექტის დასრულება ალიანსისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა გახდება სწორედ ჰიბრიდული საფრთხეების ფონზე.

ამ თემაზე, ანუ ნატო-ს მომავალ ამოცანებსა და გამოწვევებზე ასევე ბევრი იწერება. ალიანსის ფარგლებში მუდმივი უთანხმოებისა და ერთიანობის დიალექტიკაზე ჩემს პოზიციას ერთგვარად ეხმიანება სტენ რინინგის „ნატოს მომავალი: ატლანტიკური ალიანსი ძალასა და მიზანს შორის“. დანიელი ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ ნატო-ს დეზინტეგრაცია მოკავშირეებს ძვირად დაუჯდებოდათ ეროვნული თავდაცვის ორგანიზების თვალსაზრისით, ხოლო აშშ დაკარგავდა მნიშვნელოვან ბერკეტს როგორც რუსეთთან, ისე ჩინეთთან ურთიერთობაში. ავტორი მნიშვნელოვნად თვლის რუსული რევიზიონიზმის შეკავებას, რომლის საფრთხე ევროპაში განსაკუთრებით იგრძნობა.[369]

თუმცა, შემდგომ ამისა, რინინგი „ხარკს“ უხდის მერშეიმერის მსგავს რეალისტ თეორეტიკოსებს და აცხადებს, რომ რუსეთთან მეგობრობის ძველი იმედები ძალთა ახალი ბალანსით უნდა ჩანაცვლდეს; რომ რუსეთი რეალპოლიტიკის ფარგლებში აღიქვამს საერთაშორისო ურთიერთობებს და ნატო-მაც უნდა გაიგოს, რომ ბალანსის დარღვევა რუსულ ანტაგონიზმს გამოიწვევს. რინინგის დასკვნით, რუსეთის შეკავებისა და რუსეთთან ახალი დათბობისათვის საჭიროა ნატო-ს მხრიდან ურთიერთობების გაყინვა უკრაინასა და საქართველოსთან და რუსეთის შეკავების საქმეში წინა ხაზზე ევროპის კავშირის მიშვება.[370]

ვთვლი, რომ ნაშრომში განვითარებული ლოგიკის მიხედვით, რინინგის დასკვნები და რეკომენდაციები, მინიმუმ, წინააღმდეგობრივია. იგი, არსებითად, ეჭვის ქვეშ აყენებს ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების აქამდე არსებული ტალღების მიზანშეწონილობას და არც მალავს ამას, როდესაც ამბობს, რომ კლინტონის

[369] Sten Rynning, “NATO’s Futures: The Atlantic Alliance Between Power and Purpose”, NDC Research Paper N2 (March 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=583 (21.09.2021): 2, 33;
[370] Sten Rynning, “NATO’s Futures: The Atlantic Alliance Between Power and Purpose”, NDC Research Paper N2 (March 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=583 (21.09.2021): 33-37;

შესაბამისი გადაწყვეტილებები პოლონეთის და ჩეხეთის ლიდერთა მიერ იყო ინსპირირებული. გასაგებია ამ წუხილთა არსი, მაგრამ ვთვლი, რომ ნატო-ს რინინგის ლოგიკით არ უმოქმედია და ვერც მომავალში იმოქმედებს, რადგან მსგავსი ლოგიკას დათმობათა დაუსრულებელ სპირალში შევყავართ: რევიზიონისტული რუსეთი უკრაინასა და საქართველოში არა თუ ნატო-ს, არამედ ევროპის კავშირის აქტიურობას და დასავლეთის ქვეყნების მხრიდან უბრალოდ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებასაც კი მტრულად უყურებს. შესაბამისად, რინინგზე უფრო თანამიმდევრული მის მიერ ციტირებული ჯონ მერშეიმერია, რომელიც დემოკრატიული, ერთიანი ევროპის მშენებლობას საერთოდ შეუძლებლად მიიჩნევს. რინინგი აქამდე არ მიდის და მეტიც, ითხოვს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის (PfP) კლინტონისდროინდელი ლოგიკის და ლექსიკონის გავრცელებას ახლო აღმოსავლეთშიც. არაბულ სამყაროსთან რუსეთის ურთიერთობების და, განსაკუთრებით, სირიაში განვითარებული პროცესების გათვალისწინებით, რთულია წარმოვიდგინოთ, რატომ უნდა შეზღუდოს რუსეთმა საკუთარი მოთხოვნები მხოლოდ საქართველო/უკრაინით და შავი ზღვის რეგიონში ნატო-ს მხრიდან დათმობის შემთხვევაში, არ მოითხოვოს ანალოგიური დათმობები ახლო აღმოსავლეთში? ამიტომ, თანმიმდევრულობის ლოგიკა გვკარნახობს, რომ ნატო ან პასიურ, მუდმივად თავდაცვით პოზიციაში წარმოვიდგინოთ გავლენის სფეროებად დაყოფილ სამეზობლოში, ან მისი, ისევე როგორც მთელი დასავლური სამყაროს აქტიურობა პოსტ-საბჭოთა სივრცეზე გარდაუვლად მივიჩნიოთ. ვფიქრობ, რომ ნატო-ს ისტორია მეორე ვერსიას ამყარებს, თუმცა კი პროცესი ნელი, წინააღმდეგობრივი, კონკრეტულ გარემოებებზე დამოკიდებული და, რა თქმა უნდა, ევროპის კავშირთან კოორდინირებული იქნება.

ნატო-ს აწმყოსა და მომავლის მიმანიშნებელი რეალობების უფრო შესაბამისი მგონია რებეკა მურის ლოგიკა: არ განიხილავს რა კავკასიას უშუალოდ ევროპად, მაგრამ შეყავს რა იგი ე.წ. „გაფართოებული ევროპის“ (wider Europe) ფარგლებში, მკვლევარი ამტკიცებს, რომ საფრთხეთა ცვალებადი ბუნებიდან გამომდინარე, სრულიად ნათელია ამ რეგიონში ნატო-ს აქტიურობის ზრდის აუცილებლობა. ამასთან, მური ხაზს უსვამს, რომ 2006 წლისათვის მოლდოვას, სამხრეთ კავკასიის და ყაზახეთის

მიერ ნატო-სთან თანამშრომლობის ახალი ფორმატის, „პარტნიორობის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის“ (IPAP, Individual Partnership Action Plan) მიღება კავშირში იყო ისლამური რადიკალიზმის ზრდასთან - ევროპელებში კიდევ ერთხელ გაძლიერდა განცდა, რომ მათ ამერიკელებთან საერთო ბედი აქვთ.[371]

ალბათ, ნაკლებად იწვევს კითხვას, რა გეოგრაფიული არეალი შეიძლება გახდეს ევროატლანტიკურ სივრცესთან ამა თუ იმ ფორმით შემდგომი ინტეგრაციის ობიექტი. ბალკანეთის ინტეგრაციის შემდეგ, ალიანსთან ყველაზე ახლოს, როგორც გეოგრაფიული, ისე პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით, ყოფილი საბჭოთა სივრცის დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ნაწილია. თუმცაღა ტერორთან ომის პიკზე აშშ არანაკლებ იყო დაინტერესებული ცენტრალურ აზიასთან თანამშრომლობითაც, მაგრამ, როგორც რებეკა მური აღნიშნავს, გამოცდილებამ აჩვენა, რომ ცენტრალურ აზიაში დემოკრატიის გავრცელება ძნელია.[372]

მაგრამ არც პოსტ-საბჭოთა სივრცის აღნიშნული რეგიონია ერთგვარი. სანამ ბელორუსში ის რეჟიმია, რომელიც არის, შეუძლებელია მისი განხილვა ნატო-ს კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკის სუბიექტად. ასევე ძნელია რაიმე პერსპექტივის დანახვა ვლადიმერ პუტინის რუსეთთან ურთიერთობაში. როგორც რენდ კორპორაციის მრავალგზის ციტირებულ ანგარიშშია ნათქვამი,[373] პრეზიდენტ პუტინის რეიტინგის კლების კვალობაზე, რეჟიმის უსაფრთხოებით დაკავებული რუსეთის ლიდერთაგან მოსალოდნელია კონკურენტული და არა კოოპერატიული პასუხები ნატო-ს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კრემლში სჯერათ, რომ წლების მანძილზე სხვადასხვა ინტენსივობით მოქმედი რუსული საპროტესტო მოძრაობა შეერთებული შტატების მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკის

[371] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 132-136;
[372] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 125;
[373] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, "Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements", RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021);

ნაწილია - ე.წ. „გადატვირთვის პოლიტიკის“ დროსაც კი, პრეზიდენტი პუტინი ღიად ადანაშაულებდა აშშ-ს მაშინდელ სახელმწიფო მდივანს, ჰილარი კლინტონს და რუსეთში აშშ-ს ელჩს, მაიკ მაკფოლს მოსკოვში 2011 წელს გამართული მასობრივი პროტესტის ორგანიზებაში, რომელსაც „თოვლის რევოლუციას“ უწოდებდნენ.[374] მოგვიანებით, რუსულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა ეს და მსგავსი მოვლენები „არაწრფივ ომად“ მონათლა და, არსებითად, საკუთარი ჰიბრიდული ომის მეთოდიკის გზამკვლევი შექმნა, რის შესახებაც წინამდებარე თავში მქონდა საუბარი.

შესაბამისად, რეგიონის ქვეყნებიდან რჩება საქართველო, მოლდოვა, უკრაინა და, პერსპექტივაში, სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ორი სახელმწიფოც. ეს ის ქვეყნებია, სადაც ნატო-ს კოოპერატიული უსაფრთხოების პოლიტიკას საზოგადოებრივი მხარდაჭერა და ინსტიტუციონალური ნიადაგი გააჩნია. ამ ქვეყნებიდან, ჯერჯერობით, ნატო-ში სრული ინტეგრაციის ოფიციალურად ინსტიტუციონალიზებული სურვილი მხოლოდ უკრაინას და საქართველოს აქვს გამოხატული. მაგრამ ამ სურვილის დაკმაყოფილების პროცესი ნელა და რთულად მიდის. დღემდე არსად არ შეხვედრია ნატო-ს გაფართოებას ისეთი წინააღმდეგობა, როგორც ამ რეგიონში. ეს წინააღმდეგობა ორგვარია:

ერთის მხრივ, ეს არის რუსეთის ზეწოლა, რომელიც საქართველოს და უკრაინის წინააღმდეგ მუდმივ ჰიბრიდულ და ორ კონვენციურ ომში, აგრეთვე ამ ომებით გამოწვეული არასტაბილურობით ნატო-ს დასავლეთ და სამხრეთ ევროპელი მოკავშირეების დაშინებაში გამოიხატება.[375] უკრაინაში ჰიბრიდული და კონვენციური

[374] Bryan Frederick, Matthew Povlock, Stephen Watts, Miranda Priebe, and Edward Geist, “Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements”, RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021);

[375] კერძოდ, მოკავშირეთა ნაწილს აფრთხობს საქართველოს გაწევრიანების შედეგად, ნატო-ს წესდების მე-5 მუხლის ვალდებულების გავრცელების პერსპექტივა, რამაც, რუსეთის მხრიდან ოკუპირებულ რეგიონებში ვითარების გამწვავების შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს მთლიანად ალიანსის „ჩათრევა“ რუსეთთან დაპირისპირებაში. მიმაჩნია, რომ აქ პირიქით ლოგიკა მოქმედებს და სწორედ მე-5 მუხლის გავრცელებაა

ომები პრაქტიკულად გაერთიანებულია და ახლაც აქტიურად მიმდინარეობს. საქართველოში კი სპეციფიკური სიტუაციაა - გარე დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ როგორც ჰიბრიდული, ისე კინეტიკური ომის ინტენსივობამ მოიკლო. რიგი მიზეზების გამო, რომელთა ახსნა-დასაბუთება სცდება დისერტაციის თემატიკას, 2012 წლიდან თბილისში რუსეთისათვის უფრო მისაღები ხელისუფლებაა, რომლის საგარეო პოლიტიკური ხაზიც თავიდანვე გადიოდა კრემლის არგაღიზიანებაზე. ამასთან, რუსეთმა დაამყარა სრული კონტროლი საქართველოს ორ ოკუპირებულ რეგიონზე და იქ საკუთარი სამხედრო ბაზები განალაგა. მიმაჩნია, რომ ეს მიზეზები (უკრაინის გამო რუსეთზე დაწესებულ საერთაშორისო სანქციებთან ერთად - დ.ბ.) მოქმედებს კონვენციური ომის ალბათობის კლებაზე. რაც შეეხება ჰიბრიდულ ომს, საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა გადასულია უფრო აქტიურ და ეფექტურ, თუმცა კი, ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობის არგაწევის გამო, ნაკლებად კონფლიქტურ და ამდენად, გარეშე დამკვირვებლისთვის ნაკლებად ხილულ ფაზაში.

მეორე პრობლემა საშინაოა და უკავშირდება ამ ქვეყანათა დემოკრატიის და შინაგანი სტაბილიზაციის ხარისხს. საქართველოსაც და უკრაინასაც აქვთ იმის პოტენციალი, თავიანთი წვლილი შეიტანონ ალიანსის უსაფრთხოებასა და თავდაცვაში, მაგრამ ნატო-ს ზოგიერთი დასავლეთ ევროპელი წევრი კვლავ მიჰყვება ალიანსის გაფართოების პერსპექტივათა შესახებ 1995 წლის ანგარიშის ლოგიკას, რომლის თანახმადაც, წევრობის კანდიდატებს არ უნდა ჰქონდეთ ტერიტორიული პრობლემები სამეზობლოში, წარმოადგენდნენ ჩამოყალიბებულ, საკუთარ ტერიტორიაზე ეფექტური მართვისა და დემოკრატიული კონტროლის განმახორციელებელ ერთეულებს. გასაგებია, რომ ვერც უკრაინა და ვერც საქართველო, ჯერჯერობით, ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ასეთი ვითარება ქმნის დილემას, განსაკუთრებით ჰიბრიდული საფრთხეების ეპოქაში. დემოკრატიული რეფორმების შეუქცევადობისა და ლიბერალური

იმის გარანტი, რომ რუსეთი ვეღარ გაბედავს საქართველოში სიტუაციის არევას - ანალოგიურად იმისა, როგორც დასრულდა ბალტიის ქვეყნებში რუსულენოვანი უმცირესობებით მანიპულირებისა და არეულობის მოწყობის მუდმივი მცდელობები;

დემოკრატიის განვითარებისათვის ევროპის ამ ნაწილში ბევრად მეტად სჭირდებათ ნატო-ს და ევროპის კავშირის წევრობის ნათელი პერსპექტივა, ვიდრე, თავის დროზე, პოლონეთს თუ ჩეხეთს სჭირდებოდათ. მაგრამ ამ პერსპექტივას ევროატლანტიკური სივრცე მხოლოდ ზოგად ფორმებში თანხმდება, კონკრეტული ვადებისა და პროცედურების დაუდგენლად - იგი წინმსწრებად ელის ამ ქვეყანათა მიერ განვითარების გარკვეული სტანდარტების მიღწევას. საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში რუსეთის ნეგატიურ როლის გათვალისწინებით, ნატო-ს ამგვარი მოლოდინების სრულად დაკმაყოფილება არც ისე ადვილია.

შედეგად, შექმნილია ერთგვარი „მოჯადოვებული წრე“ - ალიანსში გაწევრიანებისათვის საქართველომ და უკრაინამ უნდა მოაგვაროონ საკუთარი შიდა და რუსეთთან არსებული გარე პრობლემები.[376] მაგრამ, ამავე დროს, ეს პრობლემები რუსეთის მხრიდან არსებობს სწორედ იმიტომ, რომ არ მისცეს ამ სახელმწიფოებს ნატო-ში გაწევრიანების შესაძლებლობა. გამოდის, რომ პრობლემების გამო საქართველოსა და უკრაინის ალიანსში არმიღებით, ნატო ახდენს რუსეთის მოტივირებას, გააგრძელოს ჰიბრიდული თუ კონვენციური ომები ამ ქვეყნების წინააღმდეგ, ამით დროში გააჭიანუროს მათი ნატო-ში გაწევრიანება და შედეგად, მიიღოს არაპირდაპირი ვეტოს უფლება ალიანსის გაფართოებაზე. ეს კი ეწინააღმდეგება არა მხოლოდ საქართველოსა და უკრაინის, არამედ მთლიანად

[376] ნაშრომში არ ვსაუბრობ საქართველოს ალიანსში გაწევრიანების იმ ე.წ. „კომპრომისულ“ მოდელებზე, რომელთა მიზანია, გააქარწყლოს მოკავშირეთა შორის ზემოთ ნახსენები შეშფოთებები წესდების მე-5 მუხლის გავრცელების შესაძლო რისკებთან დაკავშირებით. ერთერთი ყველაზე გავრცელებული ვერსია, რომელიც, სინამდვილეში, ქართული პროდასავლური საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ რუსული ჰიბრიდული ბრძოლის ნაწილია, გულისხმობს ალიანსში გაწევრიანებას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე - ცხადია, რომ ასეთი ალტერნატივის დაყენება არასდროს იქნება მისაღები ქართული საზოგადოებისთვის და სწორედ ამიტომაც ახდენს მის ტირაჟირებას რუსეთი, მისგან მართული პოლიტიკური თუ საინფორმაციო სტრუქტურების ხელით. მეორე, უკვე მეგობრებისგან მომავალი მოდელი, გულისხმობს საქართველოს ერთიანად გაწევრიანებას, ოღონდ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ოკუპირებული რეგიონებისთვის მე-5 მუხლით განსაზღვრული გარანტიების მინიჭების გარეშე - ვფიქრობ, რომ ამ ვერსიას აქვს განხილვის უფლება, მაგრამ, თავისთავად, დიდი პოლიტიკური გადაწყვეტილების გარეშე, ის მაინც არ იქნება საკმარისი გაწევრიანების პროცესის მკვდარი წერტილიდან დასაძრავად;

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბუნებასა და მის ინტერესებს. ამიტომ, მიმაჩნია, რომ საქართველოსა და უკრაინის მხრიდან სწორი რეფორმების გატარების, პარტნიორების რეკომენდაციების შესრულების, ოკუპაციასთან მიმართებაში პასუხისმგებლიანი პოლიტიკის გატარებისა და, განსაკუთრებით, ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის რეალური ნაბიჯების გადადგმის შემთხვევაში, ნატო-ს მხრიდან აუცილებლად იქნება შემხვედრი კონკრეტული ნაბიჯები ამ ქვეყნების ალიანსში გაწევრიანების კუთხით.

ნატო-ში საქართველოსა და უკრაინის გაწევრიანების პროცესისათვის ამ ქვეყნების დემოკრატიზაციის მნიშვნელობის შესაფასებლად, კიდევ ერთხელ დავუბრუნდები ნეოლიბერალურ ინსტიტუციონალიზმსა და სოციალურ კონსტრუქტივიზმს. კერძოდ, როგორც ნაშრომში უკვე განვიხილეთ, თომას რისსე-კაპენის, პიტერ კატცენშტეინისა და რობერტ კეოჰეინის მოსაზრებების შესაბამისად, ამ ქვეყნებს ექნებათ ალიანსში გაწევრიანების რეალური შანსი მაშინ, როდესაც ნატო-ს წევრი სახელმწიფოების საზოგადოებრივი აზრი ჩათვლის, რომ ზოგადი სიმპატიიდან ან საკუთარი ღირებულებებიდან გამომდინარე, მის ინტერესში შედის უკრაინისა და საქართველოს მეტი კეთილდღეობის მიღწევა. ანუ, საერთაშორისო რეჟიმი შეიცვლება იმის შესაბამისად, თუ რას იფიქრებს ნატო-ს წევრ ქვეყნებში ხალხი მის ინტერესზე, მათ შორის - სხვა ხალხების (ამ შემთხვევაში, საქართველოსა და უკრაინის) დაცულობისა და კეთილდღეობის მიღწევაზე. ასეთი საზოგადოებრივი აზრისა და მხარდაჭერის ერთადერთი გზა კი არის ამ ქვეყნების აღქმა დემოკრატიად და შესაბამისად, იმ პლურალისტულ უსაფრთხოების თანამეგობრობის, ანუ მეგობართა „შიდა“ ჯგუფის ნაწილად, რომლის ინსტიტუციონალიზაციასაც წარმოადგენს ნატო.

მთლიანობაში, შეიძლება მაინც ითქვას, რომ მიუხედავად აღნიშნული შიდა თუ გარე გეოპოლიტიკური გამოწვევებისა, ყოფილი საბჭოთა სივრცის აქ დასახელებულ ნაწილში ნატო-ც და ევროპის კავშირიც უკვე წარმოდგენილნი არიან, როგორც აქტიურად მოქმედი პარტნიორები. ძალაშია ევროპის კავშირის აღმოსავლური სამეზობლოს ინიციატივა, საქართველო და უკრაინა ბრიუსელთან ასოცირების

შეთანხმების მონაწილენი არიან. დადებითია ამ ქვეყნებსა და ალიანსს შორის თანამშრომლობის დინამიკაც - 2004 წლის სტამბულის სამიტის შემდეგ, როდესაც უშუალოდ სამხრეთ კავკასიასთან ნატოს თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გაცხადდა,[377] ბევრი რამ მოხდა. საქართველომ და უკრაინამ მიიღეს ალიანსში გაწევრიანების პირობა. ორივე ქვეყანა მოიხსენიება წევრობის ასპირანტად და ალიანსის მხრიდან მათთან თანამშრომლობის სპეციალური პაკეტებია შექმნილი, ყოველწლიურად უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს ნატო-სთან ამ ქვეყნების სამხედრო პარტნიორობაც.

ნათელია, რომ შავი ზღვის სტრატეგიული მნიშვნელობა ალიანსისათვის მხოლოდ მზარდია. ეს ერთდროულად ორ რამეზე მიუთითებს: მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს სრული შემოსვლა რეგიონში არ იქნება სწრაფი, ნატო შავი ზღვიდან მაინც არ წავა. ჯერ ერთი, კოლექტიური უსაფრთხოება, რომელსაც ალიანსი ნერგავს და რომელიც კოოპერატიული უსაფრთხოებითი თანამეგობრობის ნაწილია, აძლიერებს ნდობას და აღრმავებს თანამშრომლობას, და მეორეც, თუ ნატო შეჩერდა თავის გაფართოებაში, ამით იგი რუსეთს შეუქმნის გავლენის ზონის ლეგიტიმურად ფლობის განცდას.[378]

ასეთი პერსპექტივა კი ალიანსის ძირეული პრინციპების საპირისპიროა. როგორც თავის დროზე აშშ სახელმწიფო მდივანმა, მადლენ ოლბრაიტმა თქვა, „ნატო-ს არ სჭირდება მტერი, მას აქვს მყარი მიზანი“.[379] ეს მიზანი კი, ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის ლორდი რობერტსონის თქმით, უსაფრთხო და დემოკრატიული თანამეგობრობის მშენებლობაა.[380] თუ პოსტ-საბჭოთა სივრცის რიგ საზოგადოებებს სურთ და ალიანსს კი სჭირდება ამ პროცესის გაგრძელება, ეს

[377] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 35;
[378] Charles A. Kupchan, and Clifford A. Kupchan, "The Promise of Collective Security", In *Theories of War and Peace* (Cambridge: The Mit Press, 1998): 402-404;
[379] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 26;
[380] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 76;

აუცილებლად მოხდება კოლექტიურ და კოოპერატიულ უსაფრთხოების არქიტექტურაში უკრაინისა და საქართველოს თანდათანობითი ინტეგრაციით.

ამ მოსაზრებას ამყარებს ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესებიც - კერძოდ, რუსეთის უკანასკნელი ინიციატივა „ახალი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის“ შესახებ და ნატო-ს მიმართ წაყენებული პირდაპირი მოთხოვნა, უარი თქვას აღმოსავლეთისკენ გაფართოებაზე, მათ შორის, ბუქარესტის სამიტის ვალდებულებაზე საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების შესახებ.[381] მოლაპარაკებები ამ თემაზე ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ როგორც ნატო-ს, ისე აშშ-ს ადმინისტრაციის პასუხი ამ მოთხოვნებზე სრულიად ნათელია - რუსეთი ვერ მოახერხებს ნატო-ს ღია კარის დახურვას და ყველა ერს აქვს უფლება, თავად აირჩიოს საკუთარი მოკავშირეები მისი საერთო ღირებულებების საფუძველზე.[382] ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა დასავლეთს ღიად შესთავაზა გავლენის სფეროების ხელახლა ფორმირება და ამ გზით, ორპოლუსიანი, ნეორეალისტური სამყაროს რეჟიმში დაბრუნება. დასავლეთის მკაფიო უარი ამ შეთავაზებაზე ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ დღეს რუსეთი არ აღიქმევა საბჭოთა კავშირის მსგავს და დასავლეთის ტოლფარდ მოწინააღმდეგედ, არამედ - და ეს მთავარი ფაქტორია - იმასაც, რომ არც ამერიკა და არც ევროპა არ აპირებს გადასინჯოს კოოპერატიული უსაფრთხოების პრინციპებსა და ღირებულებით ერთიანობაზე დამყარებულ სისტემა.[383] ამდენად, ვფიქრობ, რუსეთის ინიციატივა და ამ ინიციატივაზე ნატო-ელი მოკავშირეების პასუხი წარმოადგენს კარგ პრაქტიკულ ტესტს წარმოდგენილ დისერტაციაში განხილული ჰიპოთეზებისთვის და მთლიანად ადასტურებს ნაშრომის ძირითად მიმართულებას - სწორედ ნატო-ს ღირებულებითი

[381] “Russia urges NATO to break promise to Ukraine as part of security package”, Reuters (10 December 2021), https://www.reuters.com/world/europe/russia-demands-rescinding-nato-promise-ukraine-georgia-2021-12-10/ (15.12.2021);

[382] “FACT SHEET: U.S. Diplomatic Engagement with European Allies and Partners Ahead of Talks with Russia”, The White House (10 January2022), https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2022/01/10/fact-sheet-u-s-diplomatic-engagement-with-european-allies-and-partners-ahead-of-talks-with-russia (14.01.2022);

[383] უფრო მეტიც - რუსეთის მოთხოვნებმა შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს ეს სისტემა, რადგან უკრაინის მოვლენების ფონზე შვედეთმა და ფინეთმა სერიოზულად დაიწყეს მსჯელობა ნატო-ში გაწევრიანებაზე;

მდგენელია ის ფაქტორი, რომელიც მიუღებელს ხდის გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოების ხარჯზე შეთანხმების მიღწევას გავლენის სფეროების შესახებ (რეალიზმის თვალსაზრისით, სრულიად მისაღებ მიდგომას - დ.ბ.) და ალიანსის მხრიდან უარს დემოკრატიული უსაფრთხოებითი არეალის შემდგომ გაფართოებაზე.[384]

კიდევ ერთხელ მოვიყვან ციტატას კვლევაში არაერთგზის ციტირებულ რებეკა მურის ნაშრომიდან, რომელშიც, ავტორის აზრით, „საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი სისტემა შინაარსით ძალიან ჰგავს ემანუელ კანტის მიერ აღწერილ მოდელს - სახელმწიფოების ზრდადი მშვიდობიანი ფედერაცია, დამყარებული ლიბერალურ-დემოკრატიულ საერთო ვალდებულებებზე და გავრცობილი სრულად ინტეგრირებულ ევროატლანტიკურ სივრცეზე. მიუხედავად იმისა, რომ ნატო ერთგული რჩება ტერიტორიული დაცვის ვალდებულებისა, უსაფრთხოების ახალი კონცეფცია ნაკლებად არის ორიენტირებული სახელმწიფოებზე, ნაკლებად ეყრდნობა

[384] ამ პროცესის თანმდევი ეფექტი შეიძლება გახდეს საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრიანების შანსის გაჩენა არა მხოლოდ ღირებულებითი პარსპექტივიდან, როგორც ეს ამ ნაშრომში რამდენჯერმე მაქვს აღნიშნული, არამედ უკვე გეოპოლიტიკური და სამხედრო კუთხიდანაც. დასავლური დემოკრატიებისათვის სრულიად მიუღებელი პირობების საჯაროდ წამოყენებით, რუსეთმა, ერთის მხრივ, იძულებული გახადა ეს დემოკრატიები, ასევე საჯაროდ და მკაფიოდ ეთქვათ უარი მისი მოთხოვნებისთვის (მათ შორის, დაეცვათ და გაემეორებინათ ბუქარესტის ვალდებულება საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში, რომლის თანდათანობით „მივიწყებას“ და უკანა პლანზე გადატანას რამდენიმე დასავლეთ ევროპელი მოკავშირე თავისითაც ცდილობდა - დ.ბ.) და, მეორეს მხრივ - რაც მთავარია - გააცოცხლა ევროპაში ბლოკური და სამხედრო დაპირისპირების თითქოს მივიწყებული შიში, განსაკუთრებით, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ პროცესს შედეგად აუცილებლად მოყვება ნატო-ს შეიარაღებული ძალების კონფიგურაციის ცვლილება, მეტი აქცენტის გადატანა აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთის საზღვრებზე, ცალკეულ სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოების დამატებით გარანტიებზე შეთანხმება. ეს ყოველივე კი უკვე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისითაც ზრდის საქართველოს მნიშვნელობას, აჩენს თავდაცვითი პოტენციალის მკვეთრად გაძლიერების, ცალკეულ მოკავშირეებთან ორ- ან მრავალმხრივი უსაფრთხოების ხელშეკრულებების გაფორმების და მთლიანად ალიანსში გაწევრიანების პროცესის მკვდარი წერტილიდან დაძვრის შანსს. ამიტომ, პრეზიდენტ პუტინის აგრესია შეიძლება ბუმერანგივით დაუბრუნდეს რუსეთს, ოღონაც ამ პროცესში წარმატების მისაღწევად, საქართველოს ხელისუფლება მზად უნდა იყოს ძალიან აქტიური და მოკავშირეებთან მჭიდროდ კოორდინირებული პოლიტიკის საწარმოებლად;

ჩაურევლობის შესახებ ვესტფალიურ პრინციპს და მჭიდროდაა დაკავშირებული ინდივიდის უფლებათა ცნებასთან... ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებები, რომელთაც ნატო იცავდა „ცივი ომის“ განმავლობაში, დღეს აღქმულია, როგორც უნივერსალური ნორმები, რომლებიც უნდა მოქმედებდეს როგორც ევროპაში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც“.[385]

საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა თეორიული პერსპექტივებიდან ნატო-ს აწმყოსა და მომავლის დანახვის მოსურნე მარკ ვებერი თვლის, რომ ალიანსი კომპლექსურია, მისი ქმედებები მრავალმხრივია და, ეგებ, წინააღმდეგობრივიც. შესაბამისად, იგი შეიძლება ერთდროულად აჩვენებდეს დაღმასვლასაც და რეგენერაციასაც და მისი ანალიზისათვის კონკრეტულ საკითხებზე ფოკუსი და მაგალითების კვლევაა საჭირო.[386] ვფიქრობ, წარმოდგენილი ნაშრომი მიყვებოდა ამ იდეას და შედეგად, აჩვენებს, რომ ალიანსის გარდაცვალების იდეა არა მხოლოდ გაზვიადებულია, არამედ, შინაგანი და საერთაშორისო ვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, მისი ჩართულობა საზღვრებს მიღმა სტაბილიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესებში მხოლოდ გაძლიერდება.

ნატო-ს არსისა და მისი პერსპექტივის თაობაზე როგორც აკადემიურ, ისე პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში მიმდინარე დაუსრულებელი დებატის ფონზე, კვლევაში ნაჩვენებია, რომ სწორედ მისი არსიდან გამომდინარე, ალიანსისთვის დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ამოცანის მნიშვნელობის შემდგომი ზრდა გარდაუვალია. ეს გარდაუვალობა, პოლიტიკურ და უსაფრთხოებით მიზეზებთან ერთად, სტრუქტურული და კულტურული ფაქტორებითაცაა განპირობებული. საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის, საფრთხეთა ბუნებისა და ალიანსის ტრანსფორმაციის ისტორიული პროცესი, რომელიც პრაქტიკული ქეისების გარდა, ნაშრომში ასევე საერთაშორისო

[385] Rebecca Moore, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World* (Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007): 35;
[386] Mark Webber, "Thinking NATO through Theoretically", *paper presented to the ECPR Joint Sessions (Lisbon, 14-19 April 2009), Workshop 24: 'Theorizing NATO'*, https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/e004327f-8597-4408-b51a-2e8fabdbeb21.pdf/ (20.03.2021): 23;

ურთიერთობების შესაბამისი თეორიებით არის გამყარებული, გვიჩვენებს, რომ დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების ამოცანა გამომდინარეობს ნატო-ს შინაგანი ბუნებიდან და მთელი მისი ისტორიის განმავლობაში ისეთივე ორგანული იყო ალიანსისთვის, როგორც წევრების თავდაცვის უზრუნველყოფა.

ერთა შორის თანამშრომლობა არა მხოლოდ და არა იმდენად მატერიალურ ინტერესს, არამედ გაზიარებულ ნორმებსა და ღირებულებებს უკავშირდება - ღირებულებები, პროცედურები და ორგანიზაციული ერთობა კრავს ნატო-ს (ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმი, ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმი), ღირებულებათა თანხვედრა და დემოკრატიული კულტურა აყალიბებს არა მხოლოდ სტრატეგიულ ინტერესებს, არამედ იდენტობასაც (სოციალური კონსტრუქტივიზმი). ეს ყველაფერი კი ნატო-ს განუხრელად უბიძგებს გაფართოებისკენ იქ, სადაც ელიან, სადაც მის ღირებულებებს იღებენ და დახმარებას ითხოვენ. კოოპერატიული უსაფრთხოების მოდელი ლიბერალურ-დემოკრატიული თანამეგობრობის იდეალთა განვრცობის საფუძველზე სტაბილურობის გარეთ პროეცირებას გულისხმობს და ვერ დაიყვანება რეალიზმისა და ნეორეალიზმის თეორიების ფარგლებში შემუშავებულ ძალთა კალკულაციებამდე - ძლიერთა შორის შეთანხმების მიღწევა სუსტის ხარჯზე აღარ წარმოადგენს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმს.

ჰიბრიდული საფრთხეების გავრცელების პირობებში, უახლოეს წლებში ალიანსის გაფართოება და დემოკრატიული ღირებულებების მეტად გავრცობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა გახდება. რა თქმა უნდა, ალიანსის მომავალმა ლიდერებმა შეიძლება სხვაგვარად გადაწყვიტონ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა იქნება. ვფიქრობ, იმ არგუმენტაციით, რომელიც სადისერტაციო ნაშრომში მოცემული, მეც შემაქვს წვლილი ნატო-ს ირგვლივ არსებულ აკადემიურ კამათში.

ბიბლიოგრაფია:

1. Abbott, Katie, "Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization*",* API6999-Major Research Paper, University of Ottawa (2016), https://ruor.uottawa.ca/bitstream/10393/34813/1/ABBOTT%2C%20Kathleen%2020161.pdf (10.04.2021);
2. Agius, Christine, "Social Constructivism", In *Contemporary Security Studies*, 4th edition, Oxford: Oxford University Press, 2016;
3. Axworthy, Lloyd, "NATO's New Security Vocation", NATO Review, Vol. 47, No. 4 (Winter 1999), https://www.nato.int/docu/rev-pdf/eng/9904-en.pdf (10.09.2020);
4. Bakradze, David, and Darchiashvili, David, "The EU Eastern Partnership Initiative and Georgia - Context and Perceptions, Experiences and Prospects", Politeja, Vol. 16 No. 5(62) (October 2019);
5. Bernasconi, Claudia, "NATO's Fight Against Terrorism, Where Do We Stand?" NDC Research Paper No 66 (April 2011), https://www.files.ethz.ch/isn/128562/rp_66.pdf (12.06.2021);
6. Broun Michael E, Cote Owen R., Jr., Sean M/ Lynn-Jones and Miller Steven E., *Theories of War and Peace*, Cambridge: The Mit Press, 1998;
7. ბუტიკაშვილი, გიორგი, „ომის კომპლექსური ხასიათი 21-ე საუკუნეში", *ჰიბრიდული ომების ანატომია,* თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L, 2020;
8. Buzan, Barry and Waewer, Ole, *Regions and Powers, The Structure of International Security*, Cambridge: Cambridge University Press, 2003;
9. Chenghao, Sun, "Afghan Failure could trigger war weariness in US, limiting its future military operations abroad", Opinion/Viewpoint (2021), Global Times, https://www.globaltimes.cn/page/202108/1232239.shtml (21.08.2021);
10. Chivvis, Christopher S, "Understanding Russian "Hybrid Warfare" And What Can Be Done About It", RAND Corporation Testimonies, CT-468 (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/testimonies/CT400/CT468/RAND_CT468.pdf (04.05.2021);
11. Clauzevits, Carl Von, *On War*, Edited and translated by Michael Howard and Peter Paret, Princeton: Princeton University Press, 1989;
12. Cohen Richard, "From Individual Security to International Stability", In *Richard Cohen and Michael Mihalka, Cooperative Security: New Horizons for International Order*, The Marshall Center Papers, No 3 (April 2001);
13. Collins Allan (editor), *Contemporary Security Studies*, 4th edition, Oxford: Oxford University Press, 2016;
14. Darchiashvili, David, "Russo-Georgian War of August 2008: Clash of Ideologies and National Projects in the Era of Hybrid Warfare", Sojateadlane (Estonian Journal of Military Studies), Vol. 7 (July 2018), www.ksk.edu.ee/teadus-ja-arendustegevus/publikatsioonid (15.11.2020);
15. დარჩიაშვილი, დავით, *პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი*, თბილისი: თსუ, 2000;

16. Deutsch, Karl W., *Political Community and the North Atlantic Area,* Princeton: Princeton University Press, 1957;
17. D. J. K., (1952), "Greece, Turkey, and NATO", The World Today, Vol. 8, No. 4 (April 1952), Royal Institute of International Affairs: 162-169;
18. Dollan, Anthony R., "Four Little Words", WSJ, Opinion (08.11.2009), https://www.wsj.com/articles/SB10001424052748704795604574522163362062796 (02.09.2021);
19. Drent, Margriet, Hendriks, Rob, and Zandee, Dick,"New Threats, New EU and Nato Responses" Clingendael Report (July 2015), Clingendael, Netherlands Institute of International Relations;
20. Evans, Gareth, "Russia, Georgia and the Responsibility to Protect", Amsterdam Law Forum, Vol. 1, No. 2, (2009), https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1509342 (10.03.2021);
21. Frederick Bryan, Povlock Matthew, Watts Stephen, Priebe Miranda, and Geist Edward, "Assessing Russian Reactions to US and NATO Posture Enhancements", RAND Corporation (2017), https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR1800/RR1879/RAND_RR1879.pdf (02.04.2021);
22. Galeotti, Mark, "The Kremlin's Newest Hybrid Warfare Asset: Gangsters", Foreign Policy (12.06.2021), https://foreignpolicy.com/2017/06/12/how-the-world-of-spies-became-a-gangsters-paradise-russia-cyberattack-hack/ (15.09.2021);
23. Герасимов Валерии, "Ценность науки в предвидении, Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий", Военно-промышленный курьер (23.02.2013), https://vpk-news.ru/articles/14632 (30.01.2021);
24. Gordon, Philip H., "The Crisis in the Alliance", Report, Brookings (February 2003), https://www.brookings.edu/research/the-crisis-in-the-alliance (22.09.2021);
25. Gvineria, Shota, "Information Warfare As Russia's Hybrid Warfare Tool", In *Information Warfare – New Security Challenge for Europe*, Bratislava: Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), 2017;
26. Hale, Henry E., *Patronal Politics, Eurasian Regime Dynamics in Comparative Perspective*, Cambridge: Cambridge University Press, 2015;
27. Havel, Vaclav, "NATO's Quality of Life," New York Times (13.05.1997), https://www.nytimes.com/1997/05/13/opinion/nato-s-quality-of-life.html (15.03.2020);
28. Herman, Robert G., "Identity, Norms, and National Security: The Soviet Foreign Policy Revolution and the End of the Cold War", In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics*, New York: Columbia University Press, 1996;
29. Hersh, Seymour M., "Selective Intelligence: Donald Ramsfeld has his own special sources. Are they reliable?", Annals of National Security, The New Yorker (May 2003), https://www.newyorker.com/magazine/2003/05/12/selective-intelligence (12.10.2020);
30. Hinnebusch Raymond, "The US Invasion of Iraq: Explanations and Implications, Middle East Critique", Taylor & Francis Online, Vol. 16, Issue 3 (October 2007), https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/10669920701616443 (15.10.2020)
31. Hoffman, Frank G., "Conflicts in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars", Potomac Institute for Policy Studies (December 2007),

https://www.potomacinstitute.org/images/stories/publications/potomac_hybridwar_0108.pdf (05.11.2020);
32. Huntington, Samuel P., *The Soldier and the State, The Theory and Politics of Civil-Military Relations,* Cambridge: Harvard University Press, 1995;
33. Jakobsen, Peter Viggo, "Coercive Diplomacy: Countering War-Threatening Crisis and Armed Conflicts", In *Contemporary Security Studies*, Oxford: Oxford University Press, 2015;
34. Immerman, Richard, *Empire for Liberty: A History of American Imperialism from Benjamin Franklin to Paul Wolfowits,* Princeton: Princeton University Press, 2010;
35. Jepperson Ronald L., Wendt Alexander, and Katzenstein Peter J., "Norms, Identity, and Culture in National Security", In *The Culture of National Security, Norms and Identity in World Politics*, New York: Columbia University Press, 1996;
36. Kaplan, Lawrence S., *NATO Divided, NATO United: The Evolution of an Alliance*, Connecticut: Praeger Publishing, 2004;
37. Katzenstein, Peter, (editor), *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics,* New York: Columbia University Press, 1996;
38. Kempster, Norman, "Just Kidding, Russian Says After Cold War Blast Stuns Europeans", Los Angeles Times (15.12.1992), https://www.latimes.com/archives/la-xpm-1992-12-15-mn-2214-story.html (23.09.2020);
39. Kenneth, Waltz, *Theory of International Politics*, New York: McGraw Hill, 1979;
40. Keohane, Robert, *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy*, Princeton: Princeton University Press, 1984;
41. Keohane, Robert, *International Institutions and State Power: Essays in International Relations Theory,* Colorado: Westwiev Press, 1989;
42. Keohane, Robert, "Empathy and International Relations", In *Beyond Self-Interest,* Chicago: Univercity of Chicago Press, 1990;
43. Keohane, Robert O., and Martin, Lisa L., "The Promise of Institutionalist Theory", In *Theories of War and Peace*, Cambridge: The Mit Press, 1998;
44. Kramer, Franklin D. and Speranza, Lauren M., "Meeting the Russian Hybrid Challenge, A Comprehensive Strategic Framework", Atlantic Council (May 2017), https://issuu.com/atlanticcouncil/docs/meeting_the_russian_hybrid_challeng (05.06.2021);
45. Kupchan, Charles A. and Kupchan, Clifford A., "The Promise of Collective Security", In *Theories of War and Peace*, Cambridge: The Mit Press, 1998;
46. Lambeth, Benjamin S., "Operation Allied Force, Lossons for the Future", Research Brief, RAND Corporation (2001), https://www.rand.org/pubs/research_briefs/RB75.html (15.09.2021);
47. Laugen, Torunn, "Stumbling Into a New Role: NATO's Out-of-area Policy After the Cold War", The Norwegian Institute for Defense Studies, Defense Studies No. 5 (1999);
48. Lebow, Richard Ned, "Karl Wolfgang Deutsch: A Brief Introduction", Research Paper, Deutsch Security Square (January 2015), https://deutschsquare.fsv.cuni.cz/DSS-1-version1-lebow_essay.pdf (12.02.2021);
49. Lipman, Masha, "Putin's "Sovereign Democracy", The Washington Post (15.07.2006), https://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2006/07/14/AR2006071401534.html (03.11.2020);

50. Long, David, "J.A. Hobson and Idealism in International Relations", Review of International Studies, Vol. 17, No. 3 (July, 1991), https://www.jstor.org/stable/20097263?read-now=1&refreqid=excelsior%3A0e3b8c8d32c9a65433b93bf89ecee25a&seq=1#page_scan_tab_contents (22.02.2021);
51. McFaul, Michael, *From Cold War to Hot Peace: An American Ambassador in Putin's Russia,* Boston - New York: Houghton Mifflin Harcourt, 2018;
52. Mearsheimer John J., "Back to the Future: Instability in Europe after the Cold War", International Security, Vol. 15, No. 1 (Summer, 1990);
53. Mearsheimer, John J., "Why We Will Soon Miss The Cold War", The Atlantic Monthly, Vol. 266, No. 2. (August 1990);
54. Mearsheimer, John J., "The False Promise of International institutions", In *Theories of War and Peace*, Cambridge: The Mit Press, 1998;
55. Monaghan, Andrew, "The "War" in Russia's "Hybrid Warfare", Parameters, Vol. 45, No.4 (Winter 2015–16), https://press.armywarcollege.edu/parameters/vol45/iss4/8 (10.03.2021);
56. Moore, Rebecca R, *NATO's New Mission: Projecting Stability in a Post-Cold War World*, Connecticut-London: Praeger Security International Westport, 2007;
57. Moravcsik, Andrew, *The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht*, New York: Cornell University Press, 1998;
58. Moravcsik, Andrew, and Schimmelfenning, Frank, "Liberal Intergovernmentalism", In *European Integration Theory,*, Oxford: Oxford University Press, 2019;
59. Morgentau, Hans J., *Politics Among Nations: Straggle for Power and Peace*, Revised by Thompson, Kenneth W., and Clinton W. David, New York: McGraw-Hill, 2006;
60. Nilsson, Niklas, "Russian Hybrid Tactics in Georgia", Silk Road Paper (2018), Central Asia-Caucasus Institute and Silk Road Studies Program, https://silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2018_01_Nilsson_Hybrid.pdf (15.10.2020);
61. Palmer, Diego A. Ruiz, "A Strategic Oddyssey: Constancy of Purpose and Strategy-Making in NATO, 1949-2019", NDC Research Paper N3 (June 2019), https://www.ndc.nato.int/news/news.php?icode=1330 (02.02.2021);
62. Pashkov, Mykhailo, "Russia's Information Expansion: Ukrainian Foothold", In *Information Warfare – New Security Challenge for Europe*, Bratislava: Centre for European and North Atlantic Affairs (CENAA), 2017;
63. Risse-Kappen, Thomas, "Collective Identity in a Democratic Community: Case of NATO", In *The Culture of National Security, Norms and Identity in the World Politics*, New York: Columbia University Press, 1996;
64. Risse-Kappen, Thomas, *The Third Force: The Rise of Transnational Civil Society,* Tokyo: Japan Center for International Exchange; Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace, 2000;
65. Lord Robertson, George, „NATO: Vision for 2012", Speech at NATO/GMFUS Conference (03.10.2002), http://www.nato.int/docu/speech/2002/s021003a.htm (23.09.2021);
66. Rose, Michael, "France's Macron: I'm not sorry I called NATO brain dead", Reuters (28.11.2019), https://www.reuters.com/article/us-france-nato-braindead-idUSKBN1Y21JE (18.09.2021);

67. Rühle, Michael, "NATO Ten Years After: Learning the Lessons", NATO Review (September 2011), https://www.nato.int/docu/review/articles/2011/09/02/nato-ten-years-after-learning-the-lessons/index.html (21.09.2021);
68. Rynning, Sten, "NATO's Futures: The Atlantic Alliance Between Power and Purpose", NDC Research Paper N2 (March 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=583 (21.09.2021);
69. Сараджян, Симон, "А если? Могло ли членство России в НАТО и ЕС изменить противостояние запада с Китаем", Россия в глобальной политике (08.05.2020), https://globalaffairs.ru/articles/a-vdrug-rossiya-v-nato-i-es (01.09.2020);
70. Scheffer, Jaap de Hoop, Opening Remarks at the Meeting of the North Atlantic Council at the level of Heads of State and Government, Istanbul (28.06.2004), https://www.nato.int/docu/speech/2004/s040628a.htm (23.09.2021);
71. Schelling, Thomas, *The Strategy of Conflict,* Cambridge: Harvard University Press, 1960;
72. Schnabel, Albrecht, and Ehrhart, Hans-Georg, "Post-Conflict Societies and Military: Challenges and Problems of Security Sector Reform", In *Security Sector Reform and Post-Conflict Peace-Building*, New York: United Nations University Press, 2005;
73. Shelest, Hanna, "Hybrid War and the Eastern Partnership: Waiting for a Correlation", Turkish Policy Quarterly, Vol. 14, No 3 (Fall 2015);
74. Sloan, Stanley R., *Permanent Alliance? NATO and the Transatlantic Bargain from Truman to Obama*, London: Bloomsbury, 2013;
75. Sloan, Stanley R., *NATO, the European Union, and the Atlantic Community: The Transatlantic Bargain Challenged*, Lanham: Rowman & Littlefield Publishers, 2005;
76. Smith, Hanna, "Countering Hybrid Threats", In *NATO and the EU - the Essential Partners*, NDC Research Paper N5 (September 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=607 (10.05.2021);
77. Stent, Angela, "The Impact of September 11 on US-Russian Relations", Brookings (08.09.2021), https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2021/09/08/the-impact-of-september-11-on-us-russian-relations (24.09.2021);
78. Tardy, Thierry, and Lindstrom, Gustav, "The Scope of EU-NATO Cooperation", In *NATO and the EU - the Essential Partners*, NDC Research Paper N5 (September 2019), https://www.ndc.nato.int/download/downloads.php?icode=607 (10.05.2021);
79. თვალავაძე, რატი, "რეიგანის ტრიუმფი", Politicalreviewer (06.02.2017), https://politicalreviewer.wordpress.com/2017/02/06/reagan-foreign-policy-triumph (01.02.2021);
80. Trenin, Dmitri, "The Disruptor", Security Times (16.02.2018), Carnegie Moscow Center, Carnegie Endowment for International Peace, http://carnegie.ru/2018/02/16/disruptor-pub-75565 (12.09.2020);
81. Ulgen, Sunan, and Kasapoglu, Can, "A Threat-based strategy for NATO's Southern Flank", Carnegie Europe, Carnegie Endowment for International Peace (10.06.2016), https://carnegieeurope.eu/2016/06/10/threat-based-strategy-for-nato-s-southern-flank-pub-63785 (13.09.2020);
82. Vaïsse, Maurice, Sebag, Clémence, "France and NATO: An History", In *Politique Étrangère 2009/5*, Institut Français des Relations Internationals (May 2009), https://www.cairn.info/revue-politique-etrangere-2009-5-page-139.htm (30.06.21);

83. Valki, László, "Hungary's Road to NATO", The New Hungarian Quarterly 40 (154) (June 1999), https://www.researchgate.net/publication/298817383_Hungary's_road_to_NATO (10.03.2020);
84. Wallace, Thies, *Why NATO Endures,* Cambridge: Cambridge University Press, 2009;
85. Walt, Stephen, *The Origins of Alliances,* Ithaca: Cornell University Press, 1986;
86. Waltz, Kenneth, *Theory of International Politics*, New York: McGraw Hill, 1979;
87. Webber, Mark, "Thinking NATO through Theoretically", paper presented to the ECPR Joint Sessions (Lisbon, 14-19 April 2009), Workshop 24: 'Theorizing NATO", https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/e004327f-8597-4408-b51a-2e8fabdbeb21.pdf/ (20.03.2021);
88. Webber, Mark, Sperling, James, and Smith, Martin, *NATO's Post-Cold War Trajectory: Decline or Regeneration (New Security Challenges)*, London: Palgrave Macmillan, 2012;
89. Wendt, Alexander, "Anarchy is What States Make of it: The Social Construction of Power Politics", International Organization, Vol. 46, No. 2 (Spring, 1992);
90. Wendt, Alexander, "Constructing International Politics", In *Theories of War and Peace*, Cambridge: The Mit Press, 1998;
91. Young, Terry, and Crawford, Peggy, "Hands Across the Atlantic?", International Business & Economics Research Journal, Vol. 3, No. 1 (January 2004), https://doi.org/10.19030/iber.v3i1.3657 (16.11.2020).

წყაროები:

1. Address given by Ernest Bevin to the House of Commons (22.01.1948), University of Luxemburg's E-Library, https://www.cvce.eu/en/obj/address_given_by_ernest_bevin_to_the_house_of_commons_22_january_1948-en-7bc0ecbd-c50e-4035-8e36-ed70bfbd204c.html (22.08.2020);
2. The Alliance's New Strategic Concept, Agreed by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Rome, 8 November 1991), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_23847.htm (12.10.2021);
3. The Alliance's Strategic Concept, Approved by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Washington D.C., 24 April 1999), Press Release NAC-S(99)65, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_27433.htm (14.10.2021);
4. "The Alliance's Strategic Concept (1999)", In *Towards the New Strategic Concept, A Selection of Background Documents*, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120412_Towards_the_new_strategic_concept-eng.pdf (20.09.21);
5. Арбатов, Алексей, „Россия больше не может всегда идти за Западом", „Сегодня" (22.04.1999), https://www.yabloko.ru/Publ/Articles/arbat-34.html (17.04.2021);
6. Barlovac, Bojana, "Putin Says Kosovo Precedent Justifies Crimea Secession", Balkan Insight (18.03.2014), https://balkaninsight.com/2014/03/18/crimea-secession-just-like-kosovo-putin/ (22.06.2021);
7. Brussel's Summit Communiqué, Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (Brussels, 14 June 2021), Press Release (2021)086, NATO/OTAN E-Labrary, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_185000.htm (20.09.2021);
8. Charter of Paris for a New Europe, (Paris, 19-21 November 1990), OSCE E-Library, https://www.osce.org/files/f/documents/0/6/39516.pdf (08.05.2021);
9. "The Comprehensive Political Guidance", In *Towards the New Strategic Concept, A Selection of Background Documents*, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_publications/20120412_Towards_the_new_strategic_concept-eng.pdf (20.09.21);
10. Cooperative Security as NATO's Core Task (07.09.2011), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_77718.htm?selectedLocale=en (18.11.2020);
11. Declaration by the High Representative on behalf of the European Union on respect for the EU's democratic processes, Council of the European Union, Press-release (24.09.2021), https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2021/09/24/declaration-by-the-high-representative-on-behalf-of-the-european-union-on-respect-for-the-eu-s-democratic-processes/ (03.10.2021);
12. Directive to the NATO Military Authorities from the North Atlantic Council, C-M(56)138, (13.12.1956), In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical

Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a561213a.pdf (30.06.21);
13. "Ex-NATO Head Says Putin Wanted to Join Alliance Early on in His Rule", The Guardian (04 November 2021), https://www.theguardian.com/world/2021/nov/04/ex-nato-head-says-putin-wanted-to-join-alliance-early-on-in-his-rule (13.11.2021);
14. "FACT SHEET: U.S. Diplomatic Engagement with European Allies and Partners Ahead of Talks with Russia", The White House (10 January2022), https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2022/01/10/fact-sheet-u-s-diplomatic-engagement-with-european-allies-and-partners-ahead-of-talks-with-russia (14.01.2022);
15. "Flashback: Prezident Bush on Putin's "Soul"", NBC News (27 March 2014), https://www.nbcnews.com/video/flashback-president-bush-on-putins-soul-208352323648 (15.08.2021);
16. Flexible Response, In *Nuclear Strategy,* Britannica, https://www.britannica.com/topic/nuclear-strategy/Flexible-response (14.10.2021);
17. The Future Tasks of the Alliance, Report of the Council – "The Harmel Report" (14.12.1967), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_26700.htm (14.10.2021);
18. "Harmel Report" (16.11.2017), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_67927.htm (14.10.2021);
19. Hawton, Nick, "EU Troops Prepare for Bosnia Swap", BBC News (23.10.2004), http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/3944191.stm (15.04.2021);
20. Iron Curtain Speech by Churchill (05.03.1946), Britannica, https://www.britannica.com/topic/Iron-Curtain-Speech (27.05.2021);
21. Marshall, George, "Against Hunger, Poverty, Desperation and Chaos: the Harvard Speech", Foreign Affairs (May/June 1997), https://web.archive.org/web/20040130053503/http://www.foreignaffairs.org/19970501faessay76399-p0/george-c-marshall/against-hunger-poverty-desperation-and-chaos-the-harvard-speech.html (27.05.2021);
22. Membership Action Plan, Approved by Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council (24.04.1999), Press Release NAC-S (99) 066, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_27444.htm (10.09.2021);
23. Military Committee Concept for Counter-Terrorism, Final Decision on MC 0472/1 (06.01.2016), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/pdf_2016_01/20160817_160106-mc0472-1-final.pdf (20.10.2021);
24. Munich Security Report 2015, Munich Security Conference, https://www.securityconference.de/fileadmin/MunichSecurityReport/MunichSecurityReport_2015.pdf/ (22.03.2021);
25. NATO Response Force (20.09.2021), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_49755.htm (11.10.2021);
26. NATO's Foreign Ministers Reiterate Their Support for Georgia (20.08.2008), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/docu/update/2008/08-august/e0819a.html (11.09.2021);

27. NATO's Prague Capabilities Commitment, Congressional Research Service, RS21659, (22.07.2008), https://www.everycrsreport.com/reports/RS21659.html (07.08.2021);
28. Niall Ferguson's and Fareed Zakaria's Summary Debate: The Liberal International Order is Over? 16th Yalta European Strategy Annual Meeting (14.09.2019), https://www.youtube.com/watch?v=UtC-eT9YWZg (28.05.21);
29. The North Atlantic Treaty (Washington, 04 April 1949), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/stock_publications/20120822_nato_treaty_en_light_2009.pdf (05.09.2021);
30. The North Atlantic Treaty (Washington, 04 April 1949), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_17120.htm (18.09.2020);
31. Operation Active Endeavour (27.10.2016), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_7932.htm (11.03.2020);
32. Operations and Missions: Past and Present (10.09.2021), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52060.htm (11.10.2021);
33. Pedlow, Gregory W., "The Evolution of NATO Strategy 1949-1969", In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/intro.pdf (10.08.2021);
34. Petersberg Declaration made by the WEU Council of Ministers (Bonn, 19 June, 1992), Western European Union, https://www.cvce.eu/en/obj/petersberg_declaration_made_by_the_weu_council_of_ministers_bonn_19_june_1992-en-16938094-bb79-41ff-951c-f6c7aae8a97a.html (10.09.2021);
35. „Путин: у России есть домашние заготовки в ответ на отделение Косово", „Новый День" (14.02.2008), https://newdaynews.ru/policy/164382.html (02.03.2021);
36. "Putin Deplores Collapse of USSR", BBC News (25 April 2005), http://news.bbc.co.uk/2/hi/4480745.stm (12.02.2021);
37. "Putin: Soviet Collapse a "Genuine Tragedy"", NBC News (25 April 2005), https://www.nbcnews.com/id/wbna7632057 (15.02.2021);
38. "Reagan's Mixed White House Legacy", BBC News (6 June, 2004), http://news.bbc.co.uk/2/hi/americas/213195.stm (22.08.2020);
39. Relations with Serbia (06.04.2021), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50100.htm (10.09.2021);
40. Remarks on East-West Relations at the Brandenburg Gate (West Berlin, 12 June, 1987), Reagan Library, US National Archives, https://web.archive.org/web/20170122092404/https://reaganlibrary.archives.gov/archives/speeches/1987/061287d.htm (02.09.2021);
41. A Report by the Military Committee on Overall Strategic Concept for the Defense of the North Atlantic Treaty Organization Area, MC 14/2 (23.05.1957), In *NATO Strategy Documents 1949-1969*, Brussels: Historical Office Supreme Headquarters Allied Powers Europe (October 1997), https://www.nato.int/docu/stratdoc/eng/a570523a.pdf (29.06.21);
42. Resolute Support Mission in Afghanistan, 2015-2021 (13.09.2021), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_113694.htm (22.10.2021);

43. "Russia Urges NATO to Break Promise to Ukraine as Part of Security Package", Reuters (10 December 2021), https://www.reuters.com/world/europe/russia-demands-rescinding-nato-promise-ukraine-georgia-2021-12-10/ (15.12.2021);
44. Sebak, Nened, "The KLA – terrorists or Freedom Fighters?", BBC News (28.06.1998), http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/121818.stm (15.09.2020);
45. "Speech and the Following Discussion at the Munich Conference on Security Policy" (10.02.2007), President of Russia E-Library, http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/24034 (20.04.2021);
46. Telegram 861.00/2 – 2246: The Charge in the Soviet Union (Kennan) to the Secretary of State (22.02.1946), National Security Archive, The George Washington University, https://nsarchive2.gwu.edu//coldwar/documents/episode-1/kennan.htm (20.09.2020);
47. "The US War in Afghanistan 1999-2021, Timeline", Council on Foreign Relations (2021), https://www.cfr.org/timeline/us-war-afghanistan (25.10.2021);
48. Wales Summit Declaration, Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Wales (05 September 2014), Press Release (2014) 120, NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm (19.11.2020);
49. Watson, Roy, "Putin's speech: Back to Cold War?", BBC News (10 February 2007), http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/6350847.stm (29.06.2020);
50. "Will NATO Still Be Relevant in the Future? Virtual Debate", Atlantic Council (24 July 2020), https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/will-nato-still-be-relevant-in-the-future/ (20.05.2021);
51. 12 March, 1947 - President Truman Announces the Truman Doctrine, History, A&E Television Networks (10.03.2020), https://www.history.com/this-day-in-history/truman-doctrine-is-announced (11.12.2020);
52. 1990 Summit: A Turning Point in "East-West" Relations (19.12.2014), NATO/OTAN E-Library, https://www.nato.int/cps/en/natohq/news_116133.htm?selectedLocale=en (12.10.2021);